უსაფრთხოების მზერის ქვეშ:

ისტორია, პოლიტიკა და რელიგია პანკისის ხეობაში

უსაფრთხოების მზერის ქვეშ: ისტორია, რელიგია და პოლიტიკა პანკისის ხეობაში

2018

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი
EMC
Human Rights Education and Monitoring Center

OPEN SOCIETY FOUNDATIONS

კვლევა მომზადებულია *„საქართველოში მცხოვრები მუსლიმი თემის ინტეგრაციის, მარგინალიზაციის და რადიკალიზაციის პრობლემებზე რეაგირება“* პროექტის ფარგლებში.

პროექტი ხორციელდება ღია საზოგადოების ფონდების მხარდაჭერით.

კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს ავტორთა პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს ღია საზოგადოების ფონდების შეხედულების ამსახველად.

კვლევის ავტორები: მაია ბარქაია, ბარბარე ჯანელიძე
მთავარი რედაქტორი: თამთა მიქელაძე
ენობრივი რედაქტორი: თორნიკე ჯუმბურიძე
კვლევის ასისტენტი: სოფიო ცხვარიაშვილი
კვლევის იურისტ-მკვლევარი: ქეთი ჩუთლაშვილი
ინგლისური თარგმანი: მარიამ გოშაძე
დაკაბადონება: თორნიკე ლორთქიფანიძე
გარეკანის დიზაინი: სალომე ლაცაბიძე

ტირაჟი: 300
ISBN 978-9941-27-651-4

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) წერილობითი ნებართვის გარეშე.

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 032 2 23 37 06

www.emc.org.ge
info@emc.org.ge
https://www.facebook.com/EMCRIGHTS/

სარჩევი

შესავალი 7
თემირლანი 7
ისტორიული წანამძღვრები 10
მეთოდოლოგიური ჩარჩო 12
კვლევის მიზნები და ამოცანები 15
კვლევის მეთოდები 16
კვლევის სტრუქტურა 19

თავი 1: პანკისის კრიზისი და პოლიტიკური გარემოებები 21
1.1. რუსეთ-ჩეჩნეთის ომიდან ანტიტერორისტულ კამპანიამდე 21
1.2. პანკისის კრიზისი და საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა 11 სექტემბრამდე 28
1.3. პანკისის კრიზისი და გლობალური პოლიტიკის გავლენა საქართველოს ხელისუფლებათა მიდგომებზე 11 სექტემბრის შემდეგ 34

თავი 2: უსაფრთხოების სისტემის ტრანსფორმაციები:
რა ვიცით და რა არ ვიცით *ტერორიზმის* შესახებ 42
2.1. „ომი ტერორის წინააღმდეგ“, ისლამოფობია და ახალი ეპისტემოლოგია 43

თავი 3: რელიგია, პოლიტიკა და *მიმიკრია* პანკისის ხეობაში 54
3.1. რელიგიური ტრანსფორმაცია პანკისის ხეობაში 55
3.2. რელიგია სხვისი მზერის ქვეშ 57
3.3. სალაფიზმის მრავალგვარობა და სახელდების ძალაუფლება 60
3.4. მუსლიმად ყოფნა პანკისის ხეობაში 64

თავი 4: გლობალური უსაფრთხოების ჩრდილქვეშ: სიტყვები და მათი ძალა 71
4.1. ძალადობიდან დისციპლინირებამდე. რადიკალიზაცია, ძალადობრივი ექსტრემიზმი და ახალი კვლევითი მოდელები 72
4.2. ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის მოდელების, კვლევებისა და რეკომენდაციების საგულისხმო პრაქტიკა 78

თავი 5: მიჯნიდან დანახული პოლიტიკა: სახელმწიფოს მიდგომები, ექსპერტული ანალიზი და ადგილობრივები 87
5.1. სახელმწიფოს პოლიტიკა პანკისის ხეობაში 2003-2018 წლებში 87
5.2. სახელმწიფოს ძალოვანი მიდგომების სამართლებრივი და კრიტიკული მიმოხილვა 91
5.2.1. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შეუზღუდავი მანდატი და კომპეტენციები 91
5.2.2. ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლისა და გამკლავების პოლიტიკის კრიტიკული მიმოხილვა 96
5.3. სახელმწიფოს არაძალოვანი მიდგომები: სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია 102
5.4. ექსპერტები პანკისის ხეობის, სახელმწიფო სტრატეგიისა და პანკისიდან ერაყსა და სირიაში გადინების შესახებ 107
5.5. პანკისელი ქისტების პერსპექტივები სირიაში მებრძოლთა წასვლის მიზეზებზე..... 117

ეპილოგი 125

გამოყენებული ლიტერატურა 130

შესავალი

თემირლანი[1]

26 დეკემბერი დგება. პანკისის ხეობის სოფელ დუისში ჯერაც ღამეა ჩამოწოლილი. 19 წლის თემირლანი თავის ლოგინში წევს. მან ჯერ არაფერი იცის. თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებული ანტიტერორისტული სპეცოპერაციიდან ერთი თვეა გასული.[2] სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური [სუს] აცხადებს, რომ თბილისის სპეცოპერაციის დროს დაკავებული და ლიკვიდირებული პირების გეგმა საქართველოსა და თურქეთში დიპლომატიურ მისიებზე თავდასხმა იყო. უთითებენ იმასაც, რომ საქართველოს მოქალაქეები დაჯგუფების წევრებს ეხმარებოდნენ თურქეთის ტერიტორიაზე გადაადგილებასა და საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლაში. სახელმწიფო უსაფრთხოების ანტიტერორისტული სამსახური თემირლან მაჩალიკაშვილს დაჯგუფების ერთ-ერთ დამხმარედ თვლის. ამის შესახებ ჯერ არაფერი იცის არც თემირლანმა და არც მისმა ოჯახმა. არ იციან, რადგან თემირლანს ბრალი არ აქვს წაყენებული, არც დაკითხვაზეა დაბარებული. იგეგმება შეიარაღებული სპეცოპერაცია. რატომ არ იბარებენ თემირლანს დაკითხვაზე?

იმ დღეს, თემირლანი მთელი დღე მამას ეხმარებოდა საოჯახო საქმეებში: მამამ, ჭალაში ლობიოს სარი მოჭრა და თემირლანს სთხოვა სარის ჩამოზიდვა. სახლის საქმეები რომ მოათავა, ჩვეულებისამებრ, მეჩეთში ღამის ნამაზი შეასრულა, ოჯახთან ერთად ივახშმა და თავის ოთახში ავიდა. ყველამ დაიძინა.

26 დეკემბერს, დღის 12 საათზე სუს-ი საგანგებო ბრიფინგს მართავს. საქართველოს მოსახლეობა ტელეეკრანებიდან იგებს, რომ

> „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული დეპარტამენტის მიერ 26 დეკემბრის დილით თბილისსა და ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლებში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დაკავებულია საქართველოს 5 მოქალაქე – 4 პანკისის სოფლებში და ერთი თბილისში“.[3]

1 თემირლან მაჩალიკაშვილის შესახებ აქ გაშლილი ისტორია რეკონსტუირებულია „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ მიერ მაჩალიკაშვილების ოჯახთან აღებული ახსნა-განმარტებებიდან.

2 თბილისში, 2018 წლის 21-22 ნოემბერს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტულმა დეპარტამენტმა, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ანტიტეროისტული ოპერაცია ჩაატარა, რომლის ფარგლებში ტერორისტული აქტის მომზადებაში ბრალდებული პირები დააკავა და ზოგიერთის ლიკვიდირება მოახდინა.

3 ალადაშვილი, გიორგი. „სპეცოპერაცია პანკისსა და თბილისში“. რადიო თავისუფლება, 26 დეკემბერი, 2017. წვდომა 23 აგვისტო, 2018. https://www.radiotavisupleba.ge/a/spetsoperatsia-pankissa-da-tbilisshi/28939197.html

ერთ-ერთი დაკავებული თემირლან მაჩალიკაშვილია. ბრიფინგზე ირკვევა, რომ ის სპეცოპერაციის დროს დაიჭრა.

თემირლანის მშობლები იხსენებენ: დაახლოებით დილის 4 საათზე კარის ჩამტვრევისა და სროლის ხმა გაიგეს და გარეთ გაცვივდნენ. სახლის ეზო და აივანი სპეცრაზმელებით იყო სავსე. მშობლებს გადაადგილების შესაძლებლობას არ აძლევდნენ. თემირლანის მამა, მალხაზი, უფრო მეტად აღელდა, როდესაც სუს-ის თანამშრომლებმა მას შვილის ოთახში შესვლის უფლება არ მისცეს. იკითხა, თემირლანს ხომ არ დამართეს რამე. უპასუხეს, რომ მიმდინარეობს ჩხრეკა. დაახლოებით 3 საათის შემდეგ ოთახში შეუშვეს. თემირლანის საწოლი სისხლიანი იყო, ზედ გასისხლიანებული ტელეფონი იდო, საწოლის ქვეშ კი სისხლის გუბე იდგა. უთხრეს, რომ თემირლანმა წინააღმდეგობა გაუწია, ამიტომ გასროლა მოუწიათ; დაარწმუნეს, რომ თემირლანი მხარში იყო დაჭრილი. მამა ცოტათი დამშვიდდა: მხრის ჭრილობას გადაიტანს. თუმცა მაინც იკითხა – საწოლში მწოლიარემ წინააღმდეგობა რით გაუწია? ოთახის კუთხეში იატაკზე დადებულ ყუმბარაზე მიუთითეს. მალხაზი იხსენებს: საწოლისა და ტელეფონისაგან განსხვავებით, ხელყუმბარას წვეთი სისხლი არ ქონდა. და თან რა – ფიქრობს მამა, თემირლანის გვერდით ოთახში მის დას ეძინა; მისი ოთახის ქვემოთ, ხის იატაკით გაყოფილ პირველ სართულზე მის მშობლებს – ყველას აფეთქებას გვიპირებდა? აბსურდია. თემირლანის ოთახში მდგარი მისი ორსაწოლიანი ლოგინის საზურგეზე, შუაში, ცოტა მარჯვნივ, ნატყვიარები მოჩანს. მამა იხსენებს: თემირლანი მაღალი ბიჭი იყო, საზურგეზე ჰქონდა ხოლმე თავი მიდებული და ასე ეძინა.

2018 წლის 10 იანვარს, სპეცოპერაციიდან ორი კვირის შემდეგ, თემირლან მაჩალიკაშვილი საავადმყოფოში, ქალა-ტვინის გამჭოლი ჭრილობით, გარდაიცვალა. გაიგო თუ არა ბოლოს თემირლანმა რა ხდებოდა, როდესაც შეიარაღებული სპეცრაზმელები მის ოთახში შევიდნენ?

ტერმინები ტერორიზმი და ტერორისტი ჩვენს დღევანდელ, 11 სექტემბრის შემდგომ სამყაროში ის აღმნიშვნელებია, რომლებიც ხშირად თვითამომწურავი მნიშვნელობის მატარებლები ხდებიან. ისინი თითქოს სამმაგ ფუნქციას ასრულებენ: შეიძლება ერთდროულად გაიგებოდნენ მიზეზად, დიაგნოზად და მიზნად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც თემირლან მაჩალიკაშვილის ისტორიას კითხულობდით, ხომ არ გიჩნდებოდათ ასეთი შეკითხვები: მაჩალიკაშვილების თავს გადამხდარი ამბავი, მართლაც ტრაგედიაა, მაგრამ რა ვიცით, რომ თემირლანი მართლაც არ ეხმარებოდა 21-22 ნოემბერს, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ანტიტერორისტული სპეცოპერაციის შედეგად დაკავებულ და ლიკვიდირებულ პირებს? იქნებ მას მართლაც ჰქონდა ხელყუმბარა და მის აფეთქებას აპირებდა? მაშინ სხვა რა უნდა ექნა სუს-ს? ის ხომ, პანკისში მცხოვრები, მორწმუნე, წეს-ჩვეულებების დამცველი მუსლიმი იყო? ცხადია, ამგვარ შეკითხვათა ნაწილი, ერთი შეხედვით, ლოგიკურია. იმის დადგენა, ეხმარებოდა თუ არა თემირლან მაჩალიკაშვილი ტერორიზმში ბრალდებულ პირებს, გამოძიების საქმეა და სამეცნიერო

კვლევა ამ კითხვაზე პასუხს ვერ გასცემს. თუმცა, მიუხედავად ამ შეკითხვების ლოგიკურობისა მათ თან დაყვება წანამძღვრები, რომლებიც, ერთი მხრივ, სიცოცხლის მოსპობის მიზეზთა ლეგიტიმურობას მოიცავს – თუ თემირლან მაჩალიკაშვილი ტერორისტებს ეხმარებოდა ან თუ თემირლან მაჩალიკაშვილს ჰქონდა ხელყუმბარა – ხოლო, მეორე მხრივ, ამ ლეგიტიმაციის სუბიექტს ეხება – თემირლან მაჩალიკაშვილი სალაფიტი და მორწმუნე მუსლიმი იყო. შესაბამისად, აღმნიშვნელი ტერორისტი შესაძლოა სახელმწიფოს ძალადობის ლეგიტიმაციის წყაროდაც იქცეს, რომელიც მიზეზს – ისლამი, დიაგნოზს – ტერორისტი და მიზანს – ტერორიზმის გაუვნებელყოფა, წინასწარვე შემოფარგლავს და ამით, საფუძველშივე აუფასურებს კრიტიკული შეკითხვების დასმის შესაძლებლობას. კერძოდ, შეკითხვებისა: მაინც რაზე ვსაუბრობთ, როდესაც ტერორიზმზე ვლაპარაკობთ? არის თუ არა ეს ტერმინი ერთმნიშვნელოვანი? რატომ აიგივებენ ისლამს, კონკრეტულად კი სალაფიზმს, ტერორიზმთან?

დასაწყისშივე უნდა შევნიშოთ: შეკითხვების ამგვარი ფორმით ჩამოყალიბება, თავისთავად გულისხმობს, რომ ჩვენი კვლევითი ინტერესი არ მიყვება მედიასა თუ ფართო საზოგადოებაში არსებულ დომინანტურ აზრს, რომელიც ხშირად ტერორიზმს როგორც მოვლენას, თუ ტერორისტებს, როგორც ამ მოვლენის განმახორციელებლებს თვითცხად, არარაციონალურ და სოციალური ლოგიკის არმქონე მოცემულობად წარმოგვიდგენს. და სწორედ ამიტომაა, რომ ზემოთ დასმული შეკითხვები თავად ტერორიზმის მნიშვნელობას შეეხება. ამასთანავე, ტერმინ „ტერორიზმის“ რაობის შესახებ კრიტიკული კითხვების დასმა უშუალო კავშირშია პანკისის ხეობის გარედან მოაზრების როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ კონტექსთან. „მიძინებული ვულკანი“,[4] „შავი ოაზისი“,[5] „ტერორისტების სამოთხე“,[6] ამგვარი განგაშის შემცველი მეტაფორებით აღწერენ მკვლევრები და ჟურნალისტები პანკისის ხეობას. ეს ჰეგემონური პარადიგმა, რომელმაც გავლენა მოახდინა პანკისის შესახებ ჩვენი ცოდნის ჩამოყალიბებაზე, უნივერსალურ, ნეიტრალურ და ობიექტურ მოსაზრებად წარმოგვიდგება. ნეიტრალური სარჩულის ქვეშ იფუთება ის დომინანტური ეპისტემური პერსპექტივა, რომელიც ადგილობრივების გამოცდილებას, ინტერესებსა და ხედვას უგულებელყოფს. წინამდებარე კვლევისთვის მნიშვნელოვანია ეპისტემური სამართლიანობა და ის მიზნად ისახავს შეისწავლოს პანკისის ხეობის „საფრთხედ“ მონიშვნის ადგილობრივი და გლობალური გარემოებები, საქართველოს ხელისუფლებების პოლიტიკა პანკისის ხეობის მიმართ და გააჟღეროს ხმა ადგილობრივი მოსახლეობისა, რომლისთვისაც ზემოთ აღნიშნული ჰეგემონური წარმოდგენის გარღვევა ეგზისტენციური მნიშვნელობისაა.

4 კეკელიძე, თამარ. *პანკისი პრესის ფურცლებზე.* თბილისი: კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 2007. გვ. 38

5 იქვე, გვ. 42

6 „Al-Qaeda Men Handed to US, Says Georgia.“ *The Guardian*. October 23, 2002. წვდომა 20 ივლისი, 2018. https://www.theguardian.com/world/2002/oct/23/alqaida.terrorism

ისტორიული წანამძღვრები

მეცხრამეტე საუკუნე ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის ხანგრძლივი დაპყრობითი ომების ხანაა. კავკასია, მასზე გამავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზების და გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, მნიშვნელოვანი სტრატეგიული რეგიონი იყო. ჩრდილოეთ კავკასიისგან განსხვავებით, სამხრეთ კავკასია სწრაფად დაემორჩილა მეფის რუსეთს.[7] რუსეთის კოლონიური ექსპანსიის ერთ-ერთი სტრატეგია იყო დაპყრობილი ხალხების მმართველი ფენის მოსყიდვა, რაც ვაინახებით დასახლებულ ჩრდილოეთ კავკასიაში რთული აღმოჩნდა, რადგან სამხრეთ კავკასიისგან განსხვავებით, მოსახლეობა არ აღიარებდა ფეოდალურ იერარქიებს. ამასთანავე, ჩრდილოკავკასიელთა ანტიკოლონიალისტურ წინააღმდეგობას სოციალური და რელიგიური ფაქტორები ასაზრდოებდა. ასე მაგალითად, მეთვრამეტე საუკუნეში შეიხმა მანსურმა რუსეთის წინააღმდეგ ღაზავათი – საღვთო ომი გამოაცხადა, ხოლო მეცხრამეტე საუკუნეში უკვე იმამმა შამილმა წამოიწყო ანტიკოლონიალისტური ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ (1834-1859).

მადინა ტლოსტანოვა, რომელიც აანალიზებს მეფის რუსეთის კოლონიალურ პოლიტიკას ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში, მეცხრამეტე საუკუნის რუსეთის იმპერიას ორსახოვანი იანუსად მოიხსენიებსს: ერთი მხრივ, რუსეთი თავად იყო „ორიენტი“ დასავლეთისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, კავკასიასა და ცენტრალურ აზიას წარმოსახავდა „ორიენტად“.[8] დასავლეთი არასოდეს მოიაზრებდა რუსეთს თავისი ცივილიზაციური სივრცის ნაწილად,[9] ხოლო რუსეთის იმპერიისთვის კავკასია იყო სივრცე, სადაც ის ხვდებოდა აზიას და ადასტურებდა თავის ევროპელობას. ჩრდილოეთ კავკასიის მკვიდრი ჩეჩნები რუსულ დისკურსში წარმოჩინდებოდნენ „აზიელ ველურებად“, რომელთაც მხოლოდ ძალადობის ენა ესმით.[10]

რუსეთის მსგავსად, საქართველოც, როგორც წარმოსახვითი ევროპისკენ მსწრაფი სუბიექტი, არაევროპელი „სხვის“ წარმოებით და მასთან დაპირისპირებაში აგებს საკუთარ „ევროპელობას“, რათა იმპერიული ლოგიკის მიერ შემოთავაზებულ იერარქიულ სისტემაში დაიმკვიდროს ადგილი.[11] თუმცა, ის მხოლოდ მიმიკრიას ე.ი. მიბაძვას ახერხებს, რადგან ამგვარი იერარქიზების და ორიენტალიზაციის რეალური მატერიალური სარგე-

7 ჰალბახი, უვე. „რუსეთი ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში: “ახლო საზღვარგარეთსა და “შიდა საზღვარგარეთს” შორის.” *საზღვრებს მიღმა: კონფლიქტები და თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიაში.* ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო, 2017.

8 Tlostanova, Madina. *Gender Epistemologies and Eurasian Borderlands.* New York: Palgrave Macmillan, 2010. გვ. 64.

9 Tlostanova, Madina. “Between the Russian/Soviet Dependencies, Neoliberal Delusions, Dewesternizing Options, and Decolonial Drives.” *Cultural Dynamics* 27 (2015): 267-283.

10 Derlugian, Georgi. „Whose Truth?“ In *A Small Corner of Hell: Dispatches from Chechnya,* by Anna Politkovskaya. Chicago: The University of Chicago Press, 2003. გვ. 22

11 Bhabha, Homi.“Of Mimicry and Man: The Ambivalence of Colonial Discourse.” In *The Location of Culture*, by Bhabha, Homi, 121-131. New York: Rutledge, 1994.

ბელი და თანმდევი ძალაუფლება იერარქიის შემქმნელი აქტორების ხელთაა. საქართველოს მიერ პანკისის ხეობის ორიენტალიზაციაც, როგორც ამ კვლევის პირველ თავში ვლინდება, საერთაშორისო პოლიტიკურ რუკაზე ადგილის დამკვიდრების საშუალებაა.

პანკისის ხეობაში მოსახლე ქისტები, ჩრდილო-კავკასიელი ჩეჩნებისა და ინგუშების მსგავსად, ვაინახები არიან და საერთო ვაინახურ ენაზე მეტყველებენ. ქართველებსა და ვაინახებს მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდათ.[12] მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ვაინახების ნაწილი ადგილობრივი ხელისუფლების ნებართვით პანკისის ხეობაში დასახლდა. პანკისის ხეობა მეთვრამეტე საუკუნეში მოსახლეობისგან დაიცალა და ვაინახების ჩამოსახლების დროისთვის უკაცრიელი იყო.

მეოცე საუკუნის განმავლობაში პანკისელ ქისტებს ხშირი მიმოსვლა ჰქონდათ ჩეჩნეთში, სადაც ისინი სტუმრად ან სამუშაოდ მიდიოდნენ. მეოცე საუკუნის 70-იანი წლებიდან აქტიურდება ქისტების მიგრაცია ჩეჩნეთსა და ინგუშეთში, მაგრამ ისინი პანკისშიც ინარჩუნებენ მუდმივ საცხოვრებელს. 1990-იანებშიც, სამუშაოს ძიების მიზნით ქისტების მიგრაციამ ჩეჩნეთში საყოველთაო ხასიათი მიიღო. ქისტები მათ შორის სეზონურად მუშაობდნენ ჩეჩნეთსა და ინგუშეთში და იქ გამომუშავებული თანხით ოჯახებს არჩენდნენ პანკისში.[13] თუმცა, 1994 წლის ნოემბერში რუსეთსა და ჩეჩნეთს შორის დაწყებულმა ომმა ქისტების ცხოვრება შეცვალა.[14] პანკისელი ქისტებისა და ჩეჩნეთის მოსახლეობის პოლიტიკური ყოფა არაერთხელ გადაკვეთილა ერთმანეთთან. ისტორიის მანძილზე ჩეჩნეთში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური პროცესები პანკისელი ქისტების ცხოვრებაზეც აისახებოდა და მათი ისტორიული მეხსიერების ნაწილი ხდებოდა.

1944 წლის 23 თებერვალს საბჭოთა მთავრობამ ჩეჩნებს და ინგუშებს ბრალი დასდო მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელებთან მოკავშირეობაში და დაახლეობით 387 229 ჩეჩენი და 91 250 ინგუში საქონლისთვის განკუთვნილი ვაგონებით შუა აზიაში გადაასახლა.[15] მკვლევარ ხვთისო მამისიმედიშვილის თანახმად, პანკისელი ქისტებიც ორი თვის განმავლობაში ელოდებოდნენ სამკვიდროდან აყრას, მაგრამ ისინი ქართველების ძალისხმევით გადაურჩნენ დეპორტაციას. თუმცა, გადასახლებაში მოყვნენ ის ქისტები, რომლებიც 23 თებერვალს ჩეჩნეთში იმყოფებოდნენ და ასევე მეოცე საუკუნის 30-იან წლებში მთიანი ჩეჩნეთიდან პანკისის ხეობაში ახლადჩამოსახლებული

12 მარგოშვილი, ლეილა. *პანკისელი ქისტების წეს-ჩვეულებები და თანამედროვეობა*. თბილისი: მეცნიერება, 1985.

13 მამისიმედიშვილი, ხვთისო. *პანკისი: წარსული და თანამედროვეობა*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008.

14 Tsulaia, Ia."To be Kist: Between Georgian and Chechen." In *Changing Identities: Armenia, Azerbaijan, Georgia*, edited by Viktor Voronkov, Sophia Kutsishvili and John Horan, 126-147. Tbilisi: Heinrich Boll Stiftung South Caucasus, 2011.

15 Williams, Brian G. *Inferno in Chechnya: The Russian-Chechen Wars, the Al-Qaeda Myth, and the Boston Marathon Bombings*. University Press of New England, 2015.

ქისტებიც.[16] მოგვიანებით, იმ ვაინახებს, რომელთა გვარებსაც ქართული დაბოლოება „-შვილი“ ან „-ძე“ ჰქონდათ, სამშობლობში დაბრუნების ნებართვა მისცეს. ჩეჩნებისა და ინგუშების შუა აზიაში გადასახლების შემდეგ ამბოხებულ ვაინახთა რაზმმა თავი შეაფარა კავკასიის მთებს და საბჭოთა მილიცის რაზმებს შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევდა. მათ ხელისუფლება „ბანდიტურ დაჯგუფებებს“ უწოდებდა.[17] ქართველი მთიელები, ხელისუფლებისგან ფარულად, ამბოხებულ ვაინახებს ეხმარებოდნენ, რაც მამისიმედიშვილის აზრით, ხევსურების მასობრივად ბარში ჩამოსახლების ერთ-ერთი მიზეზი გახდა.[18]

ნახევარი საუკუნის შემდეგ ჩრდილო კავკასიელი ვაინახები კვლავ მოვლენების ეპიცენტრში აღმოჩნდნენ. ჯოხარ დუდაევი, საბჭოთა ავიაციის ყოფილი გენერალ-პოლკოვნიკი, ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას ჩაუდგა სათავეში, 1991 წელს კი ჩეჩნეთის საერთო ეროვნულმა კონგრესმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 1994 წლის 11 დეკემბერს ჩეჩნეთში რუსეთის ჯარი შეიჭრა და ჩეჩნეთ-რუსეთის პირველი ომი დაიწყო. 1995 წელს რუსმა ძალოვანებმა სოფელ სამაშკიში 100-ზე მეტი მშვიდობიანი ჩეჩენი ამოხოცეს. 1996 წლის აპრილს რუსეთის მხარემ მოკლა ჯოხარ დუდაევი. დუდაევის სიკვდილის შემდეგ პრეზიდენტი გახდა ზელიმხან იანდარბიევი, რომელიც 2004 წელს რუსულმა სპეცსამსახურებმა მოკლეს დოჰაში. ჩეჩენთა შეიარაღებულმა ძალებმა რუსეთის ხელისუფლება აიძულეს ხელი მოეწერა სამშვიდობო შეთანხმებისთვის და 1996 წელს რუსეთმა ჩეჩნეთიდან სამხედრო შენაერთები გაიყვანა. ჩეჩნეთის პირველ ომში მოკლულთა დაახლოებითი რაოდენობა 100 000 აღწევს, ხოლო დაჭრილთა – 240 000-ს.[19] ჩეჩნეთის ომში პანკისელი ქისტებიც იღებდნენ მონაწილეობას. ომში მიღწეულმა გამარჯვებამ მათში ეთნიკური და რელიგიური მიკუთვნებულობის გრძნობა აამაღლა და ეს მოვლენა ქისტების მეხსიერების განუყოფელ ნაწილად იქცა.

მეთოდოლოგიური ჩარჩო

ამ კვლევის თავდაპირველ მიზანს პანკისის ხეობიდან ახლო აღმოსავლეთში მებრძოლთა წასვლის მიზეზების შესწავლა წარმოადგენდა. მას შემდეგ, რაც რელევანტური ლიტერატურის დამუშავებას შევუდექით, აღმოჩნდა, რომ სამეცნიერო ნაშრომების და პოლიტიკის დოკუმენტების არცთუ უმნიშვნელო ნაწილი იმდენადვეა გაჯერებული პანკისის ხეობის მაცხოვრებელთა პოლიტიკური გამოხატვის და ქმედების უსაფრთხოების ჰეგემონურ ჩარჩოში ინტერპრეტაციით, რამდენადაც მათგან გაძევებულია კვლევის სუ-

16 მამისიმედიშვილი, ხვთისო. *პანკისი: წარსული და თანამედროვეობა.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008.

17 იქვე, გვ. 257.

18 ერთ-ერთი დაჯგუფება „ჰიდრისი“ 1944 წლიდან 1953 წლამდე მოქმედებდა, ამბოხებულები პანკისს გამოსაზამთრებლად აფარებდნენ ხოლმე თავს და მათი ნაწილი შეპყრობილი ან შსს-ს მიერ შემორიგებულ იქნა.

19 Youngs, Tim. „The Conflict in Chechnya.“ *House of Commons Library Research Paper*. February 7, 2000.

ბიექტების თვალსაზრისი, პოლიტიკური კონტექსტი და ისტორიული გარემოება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ პანკისელთა ხმის გაჟღერება, თავისთავად, ამ ხმის გაგების საწინდარი არ არის. დომინანტური სააზროვნო ჩარჩოსთვის მის ფარგლებს მიღმა წარმოებული აზრი სხვა არაფერია, თუ არა ბგერათა კრება ანუ ხმა, რომელსაც არ აქვს აღმნიშვნელი. ამგვარად, ეპისტემური უსამართლობა, რომელსაც პანკისელები განიცდიან, გამოიხატება, ერთი მხრივ, მათი თვალსაზრისისადმი მუდმივ უნდობლობაში და მეორე მხრივ, მათი პოლიტიკური გამოხატულების და ინტერპრეტაციების მარგინალიზებაში, რაც ჰერმენევტიკულ უსამართლობაზე მიანიშნებს. შესაბამისად, პანკისში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბარი მოითხოვს დომინანტურ ჩარჩოში მუდმივ „დეკონსტრუქციულ ინტერვენციას“.[20]„დეკონსტრუქციული ინტერვენცია“ ფილოსოფოს ჟაკ დერიდას ტერმინია, რომელიც, აქ, მოკლედ განსაზღვრული, იმას გულისხმობს, რომ ზღვარისა და საზღვრების რაობაზე კრიტიკული რეფლექსია შესაძლებელს ხდის მყარად გამჯდარი აზროვნების წესისა და წყობის გარდაქმნას. დეკონსტრუქცია ეძებს იმ კვალს, რომელიც თვითდახშული ტოტალობების მიერ ზედმიწევნით განდევნილი და გამორიცხულია, თუმცა, ამავდროულად, ძიება სწორედ თავად ამ ტოტალობიდანვე გამომდინარე დატოვებული კვალის შედეგად არის შესაძლებელი. დეკონსტრუქცია ამ კვალს მოიძიებს და იყენებს მას, რათა ხმა მისცეს იმას, რაც არ შეესაბამება, ვერ თავსდება ინკლუზიებისა და ექსკლუზიების დომინანტურ წყობაში. დეკონსტრუქციული ინტერვენციები თვითდახშული ტოტალობების დეტოტალიზებას ახდენენ იმით, რომ დეკონსტრუქცია ამ ტოტალობებს მათივე შინაგანი განსხვავებების პირისპირ აყენებს.[21]

თუმცა, დერიდასეული „დეკონსტრუქციული ინტერვენცია“ საკმარისი არ აღმოჩნდა კვლევის მთავარ ფოკუსსა და თავად კვლევის პროცესზე რეფლექსიისათვის, ვინაიდან ამგვარი მეთოდოლოგიური ჩარჩოთი მხოლოდ დისკურსის დონეზე შეიძლება დავრჩენილიყავით. ეს კი საკმარისი არ იქნებოდა აწ უკვე შეცვლილი კვლევის მიზნების მთლიანად მოსაცველად. სიტყვა რეფლექსია აქ მნიშვნელოვან დატვირთვას ატარებს და ამიტომაც, ცოტაოდენ განვრცობას მოითხოვს. ზოგადად, სოციოლოგიურ-ანთროპოლოგიური ხასიათის ყველა კვლევა, მკვლევრის მხრიდან არამხოლოდ საკვლევ სუბიექტზე რეფლექსიას, არამედ თვითრეფლექსიასაც საჭიროებს.[22] ამ უკანასკნელით ჩვენ არ ვგულისხმობთ თვითრეფლექსიას ტრადიციული ეთნოგრაფიული გაგებით, როდესაც ეთნოგრაფმა/სოციოლოგმა/ანთროპოლოგმა თავისი საკვლევი პოზიცია, მისი როლი და მიმართება საკვლევ სუბიექტებთან უნდა გაიაზროს და შემდეგ საკვლევი სუბიექტისაგან დისტანცირება და საკუთარი თავის ობიექტივირება უნდა მოახდინოს (თითქოს ამგვარი დაცლილი ობიექტურობა შესაძლებელი იყოს სოციოლოგიურ თუ ანთროპოლოგიურ კვლევაში). არამედ, თავად სოციოლოგიური და ანთროპოლოგიური კვლევების,

20 Derrida, Jacques: *Autoimmunity: Real and Symbolic Suicides. Dialogue with Jacques Derrida.* In: Giovanna Borradori (Ed.), Philosophy in a Time of Terror. Dialogues with Jürgen Habermas and Jacques Derrida, 85-136. Chicago and London: The Ubiversity of Chicago Press, 2003.

21 იქვე, გვ. 147

22 Bourdieu, Pierre: *Participant Objectivation.* In: The Journal of Royal Anthropological Institute, 9 (2), 2003.

სოციოლოგ პიერ ბურდიეს სიტყვებით, „პოზიტივისტური რეპრესიის“[23] მიღმა წარმოდგენილ თვითრეფლექსიაზე ვსაუბრობთ. ბურდიესათვის, მეცნიერება არ დაიყვანება იმ წინასწარ მოცემული მნიშვნელობების უბრალოდ აღწერასა და ანალიზზე, რომლებსაც საზოგადოებრივი აქტორები იყენებენ რეალობის კონსტრუირებისათვის. მეცნიერებამ ასევე უნდა მოიცვას ის საზოგადოებრივი მოცემულობები, რომელთა ფარგლებშიც ხდება ამ წინარე კონსტრუქციათა წარმოება და რომლებსაც, თავის მხრივ, საზოგადოებრივი აქტორები აწარმოებენ. სხვა სიტყვებით, ბურდიესათვის ის რაც თვითრეფლექსიას/ობიექტივირებას მოითხოვს არის არა ანთროპოლოგის მიერ „უცხო სამყაროს“ შესწავლის აქტი, არამედ ის სოციალური სამყარო, რომელშიც თავად ანთროპოლოგი, მთლიანად ანთროპოლოგია და მისი კვლევის სუბიექტი იმყოფებიან.[24] ამგვარი თვითრეფლექსია იყო სწორედ ის, რამაც კვლევის პროცესში გადაგვააზრებინა საკუთარივე ხედვა და მიზნები.

ამგვარად, გლობალიზებული ცნებების და პოლიტიკური პროექტების დეკონსტრუქციასა და კრიტიკულ ანალიზთან ერთად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ერთი მხრივ, პანკისის ხეობის ისტორიულად განსხვავებული მოცემულობის და ძალაუფლებრივი ურთიერთობების შესწავლა და მეორე მხრივ, თვისებრივი ინტერვიუების მეშვეობით პანკისის ხეობის მაცხოვრებელთა თვალსაზრისის შეცნობა იმ რელევანტურ პოლიტიკურ პროცესებსა და მიდგომებზე, რომლებიც მათ ცხოვრებაზე აისახა. ამიტომაც, საკვლევი საკითხის შესწავლისთვის აუცილებელი, მაგრამ არა ერთადერთი, კომპონენტი აღმოჩნდა თვისებრივი ინტერვიუები. საველე სამუშაოებისას პანკისელი რესპოდენტების მიერ გაჟღერებული უკმაყოფილება ნორმატიული ჩარჩოს წიაღში გაჩენილი დომინანტური მიდგომების მიმართ არ იყო მხოლოდ ადგილობრივი წუხილი, არამედ ასევე კარგად ასახავდა გლობალურად მიმდინარე დებატებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მებრძოლთა გადინება სირიაში და „რადიკალიზაცია“. კვლევის პროცესში აშკარა გახდა კვლევის თავდაპირველი მიზნის – მებრძოლთა სირიაში წასვლის მიზეზების შესწავლა – იდეოლოგიური და მეთოდოლოგიური შეზღუდვები, რომლებზეც დაწვრილებით კვლევის მეოთხე თავში ვისაუბრებთ.

ამასთანავე, ვინაიდან სახელმწიფო ძალადობის არა მხოლოდ აღმკვეთი, არამედ შემოქმედიც შეიძლება გახდეს, პოლიტიკური კონტექსტის შესასწავლად ჩვენ გადავწყვიტეთ პანკისის მიმართ ხელისუფლების პოლიტიკის კვლევა. თუმცა, პოლიტიკური კონტექსტის და ცოდნის წარმოების მთავარი აქტორები არამარტო სახელმწიფო და ხელისუფლებები არიან, არამედ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებიც. ამიტომაც, სახელმწიფოს პოლიტიკის კვლევისათვის ჩვენ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთანაც ჩავატარეთ ინტერვიუები.

23 იქვე, გვ. 282

24 იქვე, გვ.283

პანკისის ხეობის შესახებ „საფრთხის“ დისკურსის ჰეგემონური კვალის ძიებამ ჩვენი ყურადღება უახლეს ისტორიაში პანკისისთვის განმსაზღვრელ მოვლენაზე – პანკისის კრიზისზე – შეაჩერა. „პანკისის კრიზისის“ მთლიანი სურათის აღდგენამ და მისი გლობალური ძალაუფლებრივი ურთიერთობების კონტექსტში ანალიზმა, გლობალიზებული ცნებების და იარლიყების ისტორიულად სპეციფიკური მნიშვნელობის გამოვლენის შესაძლებლობაც მოგვცა.

ზემოთ თქმული ასე შეგვიძლია შევაჯამოთ: ამ კვლევის მიზანი და მეთოდოლოგიური ჩარჩო, ანთროპოლოგ საბა მაჰმუდის სიტყვებით რომ ვთქვათ, არა უბრალოდ ცნებების ისტორიული ან დისკურსული შესწავლა, ანდაც მოცემულ საზოგადოებაში ადამიანთა აზროვნებისა და ქცევების „ობიექტური“ აღწერაა, არამედ ცხოვრების ერთი კონკრეტული წესის პრაქტიკათა და განმსაზღვრელ ცნებათა ცხოვრების მეორე, დომინანტურ წესთან გვერდიგვერდ დაყენებაა. ეს კი იმისთვისაა საჭირო, რომ დავსვათ კრიტიკული და განსხვავებული შეკითხვები, შევძლოთ ჩამოვშორდეთ ცენტრს და ამით, ის ნორმატიული ჩარჩოც გადავიაზროთ, ასე რომ მივეჩვიეთ და ერთადერთად აღვიქვამთ, საკუთარი, სხვისი, თუ ჯერ კიდევ არგანხორციელებული ცხოვრების წესების განსაჭვრეტად.[25]

კვლევის მიზნები და ამოცანები

წინამდებარე კვლევის **მიზანია** პანკისის ხეობის პოლიტიკურ ეპიცენტრად ჩამოყალიბების პროცესის ანალიზი ისტორიული გარემოებების, ძალაუფლებრივი კონფიგურაციებისა და გაბატონებული დისკურსების ურთიერთმიმართების კონტექსტში.

ამ მიზნის მისაღწევად კვლევის **ამოცანებს** წარმოადგენს (1) პანკისის ხეობის „საფრთხედ“ მონიშვნასთან დაკავშირებული ადგილობრივი და გლობალური გარემოებებისა და ინტერესების გამოაშკარავება; (2) პანკისის ხეობის რელიგიური სურათის ანალიზი; (3) ტერმინების „ტერორიზმი“, „რადიკალიზმი“, „ძალადობრივი ექსტრემიზმი“ კრიტიკული გამორკვევა და მათით მოაზრებულ მოვლენებთან გამკლავების პროგრამების პოლიტიკური მნიშვნელობის ანალიზი; (4) პანკისის ხეობის მიმართ ხელისუფლებებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების პოლიტიკის მიმოხილვა; (5) ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით პანკისელთა თვალსაზრისების შესწავლა და გაჟღერება.

25 Mahmood, Saba: *Religious Difference in a Secular Age. A Minority Report*. Princeton University Press: Princeton and Oxford, 2016. გვ.23-24

კვლევის მეთოდები

კვლევის პროცესში გამოყენებული მეთოდები ორი ტიპისა იყო: სამაგიდო კვლევა და თვისებრივი ინტერვიუები. სამაგიდო კვლევისას ჩვენ დავამუშავეთ სხვადასხვა ტიპის მასალები, როგორებიცაა თეორიული ლიტერატურა ზოგადად ისლამის, ისლამის შიგნით არსებული მიმდინარეობების შესახებ; სამეცნიერო ლიტერატურა, როგორც ჰუმანიტარული, ისე სოციალური მეცნიერებების მიმართულებით, რომლებიც უშუალოდ პანკისის ხეობას ეხებიან. ასევე დავამუშავეთ პოლიტიკის დოკუმენტები და კვლევები რადიკალიზაციის, ტერორიზმის, ძალადობრივი ექსტრემიზმის შესახებ. ამასთანავე, ვინაიდან ჩვენ გვაინტერესებდა პანკისის ხეობის „საფრთხედ მონიშვნის" ისტორიულ-გენეალოგიური ხაზი, ისტორიულ ნაშრომებთან ერთად, მოვიძიეთ და გადავამუშავეთ რელევანტური მასალები პრესიდან. მთლიანობაში, სამაგიდო კვლევის შედეგად ჩვენ შევქმენით მონაცემთა ერთიანი კორპუსი, რაც განუყოფელი კომპონენტია დეკონსტრუქციისა და დისკურსის შესწავლისთვის.[26] თეორიულ მონაცემთა კორპუსის აგებამ მოგვცა შესაძლებლობა, ერთი მხრივ, განგვესაზღვრა კვლევისთვის შესაბამისი თეორიული ჩარჩო, რომელიც აჩვენებს პანკისის ხეობის „საფრთხედ" მომნიშვნელი ცოდნის, როგორც ადგილობრივ, ისე რეგიონალურ და გლობალურ განმაპირობებლებს, ხოლო, მეორე მხრივ, ტერორიზმზე, რადიკალიზაციასა და ძალადობრივ ექსტრემიზმზე არსებული კვლევების, მათში გამოყენებული ცნებების დეკონსტრუქციით, არამხოლოდ ის მეთოდოლოგიური ხარვეზები გვეჩვენებინა, რომლებიც მათ ხშირად ახასიათებთ, არამედ თავად ნეიტრალურად წარმოდგენილი ცნებების შიგნით არსებული იერარქიულობა და პოლიტიკური შინაარსიც გამოგვეკვეთა.

როგორც მეთოდოლოგიური ჩარჩოს შესახებ მსჯელობისასაც შევნიშნეთ, დისკურსის დეკონსტრუქცია და გენეალოგიური ძიება ჩვენი ერთადერთი მიზანი არ ყოფილა. იმისათვის, რომ პანკისის ხეობის მოსახლეობის ხმა და მათი ცხოვრების წესი დომინანტურ სააზროვნო ჩარჩოს პირისპირ დაგვეყენებინა და ამით გვეცადა თავად ამ ნორმატიული ჩარჩოს გადააზრება, ჩვენ საერთო ჯამში 39 თვისებრივი, პირისპირი ინტერვიუ ჩავატარეთ. აქედან 5 ინტერვიუ სამოქალაქო სექტორის იმ წარმომადგენლებთან ჩავატარეთ, რომლებიც პანკისის ხეობაზე მუშაობენ, ხოლო დანარჩენი 34 ინტერვიუ უშუალოდ პანკისის მოსახლეობასთან. თვისებრივი ინტერვიუებისთვის შერჩევა შემდეგი იყო: ვინაიდან კვლევის სამიზნეს უშუალოდ პანკისის ხეობა წარმოადგენდა, ჩვენ თვისებრივი ინტერვიუების უმრავლესობა თავად პანკისელებთან ჩავატარეთ. თუმცა, რადგან ჩვენ გვაინტერესებდა პანკისელთა შეხედულებები ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა სახელმწიფოს ძალოვანი და არაძალოვანი პოლიტიკის შეფასება პანკისელთა მიერ, მათი პერსპექტივები პანკისის რელიგიურ სურათზე და პანკისიდან ახლო აღმოსავლეთში წასულ მებრძოლა წასვლის მიზეზებზე, შევეცადეთ ინტერვიუებით მეტნაკლებად მთლიანად

26 Keller, Reiner: *Wissensoziologische Diskursanalyse. Grundlegung eines Forschungsprograms.* VS Verlag: Wiesbaden, 2011 (3. Auflage).

მოგვეცვა პანკისის მოსახლეობის მრავალფეროვნება. ამიტომაც, თვისებრივი ინტერვიუები ჩავატარეთ უხუცესთა კავშირის წარმომადგენლებათან, ტრადიციული ისლამის წარმომადგენლებთან, სალაფიტ სწავლულებთან, სხვადასხვა სალაფიტური ჯგუფის წარმომადგენლებთან, პანკისის ხეობაში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, განათლების სფეროში მოღვაწე პანკისელებთან.

თვისებრივი ინტერვიუებისათვის შევიმუშავეთ ნახევრად სტრუქტურირებული, თემატურად ფოკუსირებული ინტერვიუს გზამკვლევები. ნახევრად სტრუქტურირებული, თემატურად ფოკუსირებული გზამკვლევების შემუშავება გამომდინარეობდა თავად კვლევის მიზნიდან: ერთი მხრივ, ჩვენი მიზანი იყო თვისებრივი კვლევისათვის დამახასიათებელი ღიაობით, გაგებაზე (ამ სიტყვის სოციოლოგიური მნიშვნელობით) მიმართული ინტერვიუების ჩატარება; თუმცა, ამავდროულად, რადგან ეს ინტერვიუები ბიოგრაფიული ან ნარატიული ტიპისა არ იყო და ჩვენ წინასწარვე გვქონდა კვლევის თემატური ბირთვი, ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუები, რომლებიც რესპონდენტს ბიძგს აძლევენ კვლევისთვის საინტერესო საკითხებზე სასაუბროდ, ინტერვიუს ყველაზე რელევანტური ტიპი იყო ჩვენთვის.

ინტერვიუების ჩატარების ფაზის დასრულების შემდეგ, ჩვენ მათ ანალიზს შევუდექით. აუდიო ინტერვიუების გაშიფვრის შემდეგ, ყველა რესპონდენტი ანონიმური გავხადეთ. ანონიმურობისათვის ჩვენ პანკისელ რესპონდენტებს მივანიჭეთ ნომრები რიგითობის მიხედვით, ამგვარად: რესპონდენტი N1, რესპონდეტი N2 და ა.შ.

პანკისელი რესპონდენტების ნახევრად სტრუქტურირებული, თვისებრივი ინტერვიუების ანალიზისთვის თემატური კოდირება გამოვიყენეთ. თუმცა, როგორც უკვე შევნიშნეთ, თვისებრივი ინტერვიუები ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანი, მაგრამ არა ერთადერთი ინსტრუმენტი იყო, და გვაინტერესებდა, მათი ურთიერთმიმართება ზემოთ განხილულ ნორმატიულ ჩარჩოსთან. ამიტომაც, ანალიზის შემდეგ ეტაპს წარმოადგედნდა ინტერვიეუბში თემატური კოდების შედეგად გამოკვეთილი კვლევისთვის რელევანტური საკითხების დამუშავებულ კვლევებთან მისადაგება. ამგვარი ანალიზის შედეგად ჩვენ ინტერვიუებიდან საბოლოოდ გამოვყავით მთავარი თემატური კატეგორიები, რომლებიც კვლევის შესაბამის თავებში თეორიულ ჩარჩოსთან ერთადაა წარმოდგენილი. ხოლო კვლევის მეხუთე თავში, ახლო აღმოსავლეთში მებრძოლთა გადინებაზე პანკისელთა პერსპექტივების ანალიზისას დედუქციურად გამოვყავით თემატური კატეგორიები, რომელთა ქვეშაც წარმოვადგინეთ პანკისელთა ინტერვიუების ანალიზის შედეგები.

ინტერვიუების მეორე ნაწილი, როგორც უკვე შევნიშნეთ, არაადგილობრივებთან, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან ჩავატარეთ. ეს ინტერვიუები ექსპერტებთან ინტერვიუების ტიპს წარმოადგენს. თვისებრივი ინტერვიუს ეს ტიპი ზოგადად ორ მიმართულებად იყოფა ხოლმე: ინფორმაციული ტიპის ინტერვიუები და ცოდნის წარმოების

ანალიზზე მიმართული ინტერვიუები.[27] თუმცა, ანალიზისას ორივე მიმართულების ნაზავზე ფოკუსირებაც შესაძლებელია.[28] ექსპერტებთან ინტერვიუების ჩატარების მიზანი ორი იყო: ერთი მხრივ, გვინდოდა შეგვეგროვებინა და სისტემატურად დაგველაგებინა სახელმწიფო პოლიტიკის ექსპერტული შეფასებები, ხოლო მეორე მხრივ, პანკისის შესახებ თავად ექსპერტთა მიერ წარმოებული ცოდნა გაგვეანალიზებინა. ექსპერტებთან ინტერვიუების ჩატარების მნიშვნელობა იქიდან გამომდინარეობს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები თავისთავად მნიშვნელოვანი აქტორები არიან პანკისის ხეობის შესახებ ფართო საზოგადოებივი აზრის ჩამოყალიბებაში და თავად ხეობაში სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ინფრასტრუქტურის შექმნაში.

ექსპერტებთან ინტერვიუებისთვისაც, პანკისელებთნ ინტერვიუების მგსავსად, ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუს გზამკვლევები შევიმუშავეთ. ინტერვიუებისათვის შევარჩიეთ 5 ექსპერტი, რომლებიც პანკისის ხეობაზე მომუშავე არასამთავრო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები არიან. კვლევის ეთიკიდან და რესპონდენტთა ანონიმურობის დაცვიდან გამომდინარე, ჩვენ ინტერვიუების გაშიფვრის შემდეგ, ყველა ექსპერტის ვინაობა ანონიმური გავხადეთ და მივანიჭეთ ნომრები შემდეგი სახით: ექსპერტებთან ინტერვიუ N1 და ა.შ. ექსპერტებთან ინტერვიუების ანალიზისათვის გამოვიყენეთ თემატური კოდირება. ხოლო თემატური კოდების მინიმალური შედარების მეშვეობით (რათა მიგნებათა კონსოლიდირება მოგვეხდინა) ინდუქციურად გამოვყავით თემატური კატეგორიები.[29] სწორედ ამ თემატური კატეგორიების ქვეშ წარმოვადგენთ, ამ კვლევის მე-5 თავში, ექსპერტებთან ინტერვიუების ანალიზის შედეგებს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო ინტერვიუების ჩატარება სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებთანაც, თუმცა კვლევის დასრულებამდე შესაბამისი სტრუქტურებიდან ინტერვიუზე თანხმობა არ მიგვიღია.[30] ამიტომაც, სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზისათვის ჩვენ გამოვიყენეთ საჯაროდ ხელმისაწვდომი დოკუმენტები, როგორებიცაა: სუს-ის ანგარიშები, სხვადასხვა შესაბამისი საკანომდებლო აქტები, და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის სტრატეგია და საჯაროდ ხელმისაწვდომი ანგარიშები.

27 Bogner, Alexander, Beate Litting und Wolfgang Menz: *Interviews mit Experten. Eine praxisorientierte Einführung.* Springer VS: Wiesbaden, 2014. გვ. 23

28 იქვე, გვ. 22

29 იქვე, გვ. 36

30 ამაზე დაწვრილებით იხილეთ, თავი 5, ქვეთავი 5.2.

კვლევის სტრუქტურა

წინამდებარე კვლევა ხუთი თავისაგან შედგება. ზემოთ აღწერილი მიზნებიდან და მეთოდოლოგიური ჩარჩოდან – ერთი მხრივ, პანკისის ხეობის „საფრთხედ მონიშვნის“ გენეალოგიური ხაზის ძიება, ხოლო, მეორე მხრივ, პანკისელთა ცხოვრების წესის დომინანტურ სააზროვნო წესთან პირისპირ დაყენების მცდელობა – გამომდინარე, ეს ხუთი თავი, მკითხველს შეუძლია ერთი დიდი სურათის ხუთ ფრაგმენტად წარმოიდგინოს, ხოლო, კვლევის ავტორები იმ „არქეოლოგებად“, რომლებიც ამ ფრაგმენტთა „ამოთხრას“ და „დალაგებას“ ცდილობენ. ეს „ფრაგმენტები“, ერთი შეხედვით, შეიძლება ერთმანეთთან დაუკავშირებლადაც მოგეჩვენოთ, და მაგალითად, იკითხოთ, რატომ ვიწყებთ კვლევის პირველ თავს „პანკისის კრიზისზე“ ისტორიული მსჯელობით, ხოლო მომდევნო, მეორე თავში ისეთ ტერმინებზე ვსაუბრობთ და მათ დეკონსტრუქციას ვცდილობთ, როგორებიცაა „ძველი და ახალი ტერორიზმი“. თუმცა, დაკვირვებულ თვალს არ გამორჩება ამ „ფრაგმენტთა“ გამაერთიანებელი ხაზი: პანკისის ხეობის მოქცევა უსაფრთხოების მზერის ქვეშ არ არის მხოლოდ ადგილობრივი და რეგიონალური პოლიტიკის შედეგი, არამედ პირდაპირ კავშირშია გლობალური უსაფრთხოების სისტემასთან და მის ცვალებადობასთან. თუმცა, უსაფრთხოების სისტემის ცვალებადობასთან ერთად, ჩვენ არც ადგილობრივი, პანკისის ხეობისათვის უნიკალურად დამახასიათებელი ტრანსფორმაციებიც უნდა გამოგვრჩენოდა თვალსაწიერიდან. ამიტომაც, კვლევის მესამე და ერთ-ერთი ცენტრალური თავი პანკისის ხეობის რელიგიურ ტრანსფორმაციებს აანალიზებს: როგორ ჩამოყალიბდა პანკისის თანამედროვე რელიგიური სურათი? როგორია ის და რამდენად სწორია მისი ერთ, ჰომოგენურ ერთობად წარმოდგენა? როგორ გამოიყურება ეს სურათი ადგილობრივების თვალსაწიერიდან და როგორ – გარედან? და რაც მთავარია, რა განაპირობებს პანკისელთა რელიგიური მრავალფეროვნების „საშიშ“ და „უვნებელ“ ჯგუფებად დაყოფას? – კვლევის მესამე თავის მთავარი საკვლევი კითხვებია. მაგრამ ამავდროულად, ამ კითხვებზე, განსაკუთრებით კი უკანასკნელ კითხვაზე, რომელიც „საშიშ“ და „უვნებელ“ ისლამს ეხება, პასუხების მოძიება მხოლოდ პანკისის რელიგიური სურათის ადგილობრივი ცვლილებების შესწავლით შეუძლებელია. ამიტომაც, კვლევის მეოთხე თავი კვლავაც გლობალურ უსაფრთხოების პოლიტიკას და ისეთ გლობალიზებულ ცნებებს ეხება, როგორებიცაა „რადიკალიზაცია“, „ძალადობრივი ექსტრემიზმი“ და მათთან გამკლავების პროგრამები და კვლევითი მოდელები. ამ თავში ჩვენ ვცდილობთ სისტემატიზება გავუკეთოთ გლობალური უსაფრთხოების სისტემის არაძალოვან მიდგომებს, მაგრამ ამავდროულად გამოვკვეთოთ მათი პრობლემატურობა, ვაჩვენოთ მათი კავშირი პანკისის ხეობის „საფრთხედ“ წარმოდგენასთან და ისეთი მიდგომებიც წამოვწიოთ წინ, რომლებიც მკვლევრებსა და სახელმწიფოს ალტერნატიული სტრატეგიების შემუშავების შესაძლებლობას მისცემს. მეხუთე თავში კი ჩვენ უკვე ვცდილობთ უსაფრთხოების მზერა ჩამოვაცილოთ პანკისის ხეობას და ყურადღება სახელმწიფოს და არაადგილობრივ ექსპერტებს მივაპყროთ: რა ძალოვანი და არაძალოვანი მიდგომები აქვს სახელმწიფოს პანკისის ხეობისადმი და როგორია ისინი – სახელმწიფოს პოლიტიკის

ანალიზისათვის ორი მთავარი კითხვაა. ხოლო, ექსპერტების ინტერვიუების ანალიზის შედეგების წარმოდგენისას, ჩვენ აღვწერთ და სისტემატიზირებას ვუკეთებთ ექსპერტთა მიერ სახელმწიფო პოლიტიკის შეფასებებს, და ამავდროულად, ვაანალიზებთ თავად ექსპერტთა პერსპექტივებს პანკისის ხეობიდან გადინების მიზეზების შესახებ. მაგრამ, ამავე თავის ბოლოს ჩვენ ვინტერესდებით მთავარით: როგორია თავად პანკისელთა შეხედულებები, რითი ხსნიან ისინი 2012-2015 წლებში პანკისის ხეობიდან მებრძოლების ახლო აღმოსავლეთში წასვლას? პანკისელთა პერსპექტივები ახლო აღმოსავლეთში გადინების შესახებ, ან თუნდაც, ექსპერტთა პერსპექტივები, ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს კვლევის ავტორები სწორედ მეხუთე თავში აღწერილ მიზეზებს წარმოადგენდნენ წასვლის განმაპირობებლებად. ავტორების მხრიდან, ამგვარი დასკვნის გაკეთება არამხოლოდ მეთოდოლოგიური შეცდომა იქნებოდა, არამედ კვლავაც გააგრძელებდა იმ ხაზს, რის შედეგადაც პანკისელები და პანკისი „საფრთხედ“, „შავ ოაზისად“ და „ტერორისტების სამოთხედ“ წარმოგვიდგება ხოლმე.

საბოლოოდ, ჩვენ დასკვნის სახით ვაჯამებთ ხუთივე თავის მთავარ მიგნებებს და ამით ვცდილობთ, თითოეული „ფრაგმენტის“ უკვე ერთიანი სურათის სახით მიწოდებას მკითხველისათვის.

თავი 1:
პანკისის კრიზისი და პოლიტიკური გარემოებები

1990-იან წლებში საქართველოში და ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე ომებმა, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა პროცესებმა არსებითად განსაზღვრა პანკისის მოსახლეობის ცხოვრება და ხეობა დაძაბულობის ეპიცენტრად აქცია. სწორედ ამ პერიოდში მოინიშნა პანკისის ხეობა უსაფრთხოების სისტემის „შავ ხვრელად" და საერთაშორისო ანტიტერორისტული პოლიტიკის სამიზნე გახდა. წინამდებარე თავში მიმოვიხილავთ, **როგორ არის დაკავშირებული პანკისის ხეობის, როგორც „საფრთხის" დისკურსული წარმოება ადგილობრივ, რეგიონალურ და საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებთან და ინტერესებთან.** ამ მიზნით, ამ თავში შევისწავლით ადგილობრივი კონტექსტისთვის საკვანძო მოვლენას, „პანკისის კრიზისს" და ამ პერიოდში (1999-2002 წლებში) პანკისთან მიმართებით, საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკას, რომელიც ერთი მხრივ, რუსეთ-ჩეჩნეთის ომის და მეორე მხრივ, 11 სექტემბრის და მისი თანმდევი საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების ფონზე წარიმართებოდა.

1.1. რუსეთ–ჩეჩნეთის ომიდან ანტიტერორისტულ კამპანიამდე

1999 წლის სექტემბერში რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომი დაიწყო. იჩქერიის პრეზიდენტმა ასლან მასხადოვმა, რომელიც 1997 წელს აირჩიეს, დაქსაქსულ ჩეჩენ საველე მეთაურებს რუსეთის წინააღმდეგ გაერთიანებისკენ მოუწოდა. რუსი სამხედროები ადგილობრივ უხუცესებს გარიგებას სთავაზობდნენ: თუკი ისინი განდევნიდნენ მეამბოხეებს, მათი სოფელი დაბომბვას გადაურჩებოდა.[31] 1999 წლის დეკემბრის დასაწყისში რუსულმა ძალებმა გროზნოში გამაფრთხილებელი პამფლეტები გაავრცელეს და მოსახლეობას 11 დეკემბრამდე ქალაქის დატოვება მოსთხოვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ტერორისტებად და ბანდიტებად ჩათვლიდნენ და ძალადობრივად გაუსწორდებოდნენ.[32]

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის თანახმად კონფლიქტის მხარეებმა ერთმანეთისგან უნდა განასხვავონ სამოქალაქო მოსახლეობა და მებრძოლები, სამოქალაქო და სამხედრო ობიექტები და საბრძოლო მოქმედებები მხოლოდ მებრძოლების და სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ წარმართონ. რუსეთ-ჩეჩნეთის კონფლიქტში დაირღვა შეარაღებული კონფლიქტის ისეთი ფუნდამენტური პრინციპები, როგორიცაა „განსხვავება", „სამხედრო საჭიროება" და „პროპორციულობა". ომის დანაშაულებებიდან ჩეჩნეთ-

31 Youngs, Tim. *The Conflict in Chechnya.* House of Commons Library Research Paper. February 7, 2000. გვ. 16
32 იქვე, გვ. 17

ში გვხვდება ადგილობრივი მოსახლეობის მასობრივი ხოცვის შემთხვევები სოფლებში სამაშკი, ალხან-იურტა და ნოვიე-ალდი. ადამიანის უფლებების რუსული ორგანიზაციის თანახმად, 1999-2005 წლებში 3000-დან 5000-მდე ადამიანი გაუჩინარდა,[33] ხოლო ადგილობრივი თანამდებობის პირები ჩეჩნეთში 49 მასობრივი საფლავის არსებობას ადასტურებენ.[34]

რუსი ძალოვანების სამიზნე არამხოლოდ ჩეჩენი მებრძოლები, არამედ მშვიდობიანი სამოქალაქო მოსახლეობაც იყო. რუსეთის 1999 წლის განცხადებით 10-დან 60 წლამდე ასაკის ყველა ჩეჩენი კაცი ექვემდებარებოდა დაკავებას და შემოწმებას.[35] რუს სამხედროებს დაკავებულები მიჰყავდათ „ფილტრაციის პუნქტებში“, სადაც დაკავებულებს ჰკითხავდნენ, აწამებდნენ (მათ შორის ელექტრული შოკის გამოყენებითაც) და ამცირებდნენ მეამბოხეების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად.[36] რუსი ძალოვანების და პრორუსული ჩეჩნური ძალების მიერ ზემოთხსენებული მეთოდების გამოყენებაზე წერს Human Rights Watch-იც.[37] „ფილტრაციის პუნქტებში“ დაკავებულთა შორის იყვნენ როგორც კაცები,ისე ქალები. „ფილტრაციის პუნქტებს“ ჟურნალისტი ანა პოლიტკოვსკაია მოძრავ საკონცენტრაციო ბანაკებად მოიხსენიებს.[38] დაკავებული მშვიდობიანი სამოქალაქო და ზოგჯერ სამხედრო პირების ცოცხლად გათავისუფლების ან მათი ნეშტის დაბრუნების სანაცვლოდ ძალოვანები გამოსასყიდს ითხოვდნენ.[39] რუსი სამხედროების „მარადიორობა“, მოსახლეობის გაქურდვა, ქრთამის აღება, ადამიანების გატაცება ფულის გამოძალვის მიზნით და ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაცია ჩეჩნეთში ყოველდღიურობა გახდა.[40] პოლიტკოვსკაიას სიტყვებით ჩეჩნეთში ადგილობრივების „წამება ნორმაა, სასამართლო პროცესის გარეშე სიკვდილით დასჯა კი – რუტინა“.[41] ორგანიზაცია „საერთაშორისო ამნისტიაც“ ადასტურებს რუსეთის მიერ ჩეჩნეთში ჰუმანიტარული სამართლისა და საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს.[42]

33 Gilligan, Emma. *Terror in Chechnya: Russia and the Tragedy of Civilians in War*. Princeton: Princeton University Press, 2010. გვ. 17.

34 იქვე.

35 Youngs, Tim. *The Conflict in Chechnya.* House of Commons Library Research Paper. February 7, 2000. გვ. 19.

36 Politkovskaya, Anna. *A Small Corner of Hell: Dispatches from Chechnya*. Chicago: The University of Chicago Press, 2003. გვ. 58.

37 Human Rights Watch. *Worse Than a War: „Disappearances“ in Chechnya – A Crime Against Humanity*. 2005. წვდომა 15 მაისი, 2018. https://www.hrw.org/legacy/backgrounder/eca/chechnya0305/chechnya0305.pdf .

38 Politkovskaya, Anna. *A Small Corner of Hell: Dispatches from Chechnya*. Chicago: The University of Chicago Press, 2003. გვ. 58.

39 იქვე, გვ. 59.

40 Gilligan, Emma. *Terror in Chechnya: Russia and the Tragedy of Civilians in War*. Princeton: Princeton University Press, 2010. გვ. 21

41 Politkovskaya, Anna. *A Small Corner of Hell: Dispatches from Chechnya*. Chicago: The University of Chicago Press, 2003. გვ. 37.

42 Amnesty International. Amnesty International Statement on the Situation of Chechen Asylum-Seekers. 2004. წვდომა 15 მაისი, 2018. https://www.amnesty.org/download/Documents/96000/eur460102004en.pdf .

რუსეთის ოფიციალურმა ნარატივმა ჩეჩენი მებრძოლების წინააღმდეგობა ტერორიზმამდე დაიყვანა, ხოლო რუსეთის არაპროპორციული პასუხი და ომის დანაშაულები კონტრტერორისტულ ოპერაციად წარმოაჩინა.[43] იგორ ივანოვი, რუსეთის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი აცხადებდა, რომ ჩეჩნეთის ომი საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ მიმდინარეობს და არა ჩეჩენი ხალხის.[44] თუმცა, 2000 წლის 1 იანვარს ჩეჩნეთში ჩასულმა პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ სამხედრო ოპერაციის მიზანი იყო არა მხოლოდ ტერორისტების ლიკვიდაცია, არამედ რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაც.[45] ომის შესახებ რუსეთის ამ ოფიციალური ვერსიის ჰეგემონურად ქცევაში გადამწვეტი აღმოჩნდა 2001 წლის 11 სექტემბერი, რომელმაც რუსეთს შესაძლებლობა მისცა ჩეჩნეთში დამოუკიდებლობისთვის მებრძოლნი „ალ-ყაიდას ემისრებად“ გამოეცხადებინა, ჩრდილოეთ კავკასიაში სამხედრო ინტერვენცია კი „კონტრტერორისტული ოპერაციით“ გაემართლებინა.[46]

ცივი ომის დროს განვითარებულმა გლობალურმა დაპირისპირებამ ახლო აღმოსავლეთსა და ავღანეთში, ისევე, როგორც ინტერვენციული პოლიტიკის შედეგებმა, რა თქმა უნდა, უკვალოდ არც ჩრდილოეთ კავკასიაში ჩაიარა და რუსეთ-ჩეჩნეთის კონფლიქტშიც ერთგვარი როლი შეასრულა მუჯაჰიდებისა და ჩეჩენთა წინააღმდეგობის რელიგიური არტიკულაციის სახით. თუმცა, ჩეჩენთა წინააღმდეგობის საერთაშორისო ტერორისტული ქსელის გეგმის ნაწილად წარმოჩენით რუსული მხარე, უპირველეს ყოვლისა, უგულებელყოფს ადგილობრივ პოლიტიკურ გარემოებებს, ანტი-კოლონიური ბრძოლების ისტორიას და ჩეჩენთა ტრავმატულ კოლექტიურ მეხსიერებას.[47] ამგვარად, მეოცე საუკუნის მიწურულს ჩეჩენთა ბრძოლა წარსული წინააღმდეგობის კვალს ატარებს. ისევე, როგორც 1990-იან წლებში, მეცხრამეტე საუკუნეშიც რუსეთი მეამბოხეობაში ეჭვმიტანილებს აპატიმრებდა, მებრძოლების ძებნისას დასახლებულ პუნქტებს „ასუფთავებდა“ და ადგილობრივებს კოლექტიურად სჯიდა.[48] მეცხრამეტე საუკუნეში, ჩრდილოეთ კავკასიაში ბარის მოსახლეობის დაპყრობის შემდეგ, რუსეთმა გადაწყვიტა ადგილობრივების დაბეგვრა და მათ მოსავალი ჩამოართვა. რუსეთის მცდელობა, განეიარაღებინა მაღალი მთების მკვიდრი კავკასიელები გადამწყვეტი აღმოჩნდა და მას პასუხად მოჰყვა საღვთო ომი იმამ შამილის მეთაურობით. მოგვიანებით, 1944 წლის 23 თებერვალს,საბჭოთა მთავრობამ ვაინახები საქონლისთვის განკუთვნილი ვაგონებით შუა აზიაში გადაასახლა. ამიტომაც, მეოცე საუკუნის მიწურულს ჩეჩნების წინააღმდეგობის საფუძველმდება-

43 Pokalova, Elena. *Chechnya's Terrorist Network: The Evolution of Terrorism in Russia's North Caucasus*. Santa Barbara: PRAEGER, 2015. გვ.122.

44 Gilligan, Emma. *Terror in Chechnya: Russia and the Tragedy of Civilians in War*. Princeton: Princeton University Press, 2010. გვ. 20.

45 Youngs, Tim. *The Conflict in Chechnya*. House of Commons Library Research Paper. February 7, 2000. გვ. 18.

46 Pokalova, Elena. *Chechnya's Terrorist Network: The Evolution of Terrorism in Russia's North Caucasus*. Santa Barbara: PRAEGER, 2015. გვ. xi.

47 Williams, Brian G. *Inferno in Chechnya: The Russian-Chechen Wars, the Al-Qaeda Myth, and the Boston Marathon Bombings*. University Press of New England, 2015.

48 იქვე.

რე მიზეზები უმთავრესად ტრაგიკულ ისტორიულ წარსულში, პოლიტიკურ კონტექსტსა და კოლექტიურ მეხსიერებაში უნდა ვეძიოთ.[49] თუმცა, საგულისხმოა, რომ ის მკვლევრები, რომლებსაც ანტიტერორისტულ კამპანიამდე დაჰყავთ რუსეთ-ჩეჩნეთის ომი, მაგალითად, ელენა პოკალოვა, ამასთანავე, ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის იმპერიის ინტერვენციულ პოლიტიკასაც და ადგილობრივების 40 წლიან წინააღმდეგობას დისკურსულად ფუთავენ,როგორც რუსეთის მიერ ჩრდილოეთ კავკასიის „ინტეგრაციას“.[50]

რუსეთი ჩეჩნეთში მშვიდობიან მოქალაქეებზე ძალადობას ომის საჭიროებით ხსნიდა,[51] ხოლო ჩეჩნების ძალადობას – ირაციონალური „ტერორიზმით“. თუმცა, ჩეჩნეთის პირველი ომის დროს მებრძოლთა ჰეტეროგენული ჯგუფის მხოლოდ ერთმა ნაწილმა მიმართა რამდენჯერმე რადიკალურ ქმედებას. პირველი ე.წ. ტერორისტული აქტი, რომელიც პასუხი იყო ელცინის გადაწყვეტილებაზე შეეყვანა ჯარი ჩეჩნეთში, 1991 წლის 9 ნოემბერს მოხდა. მეორე ტერორისტული აქტი 1995 წლის 14 ივნისს მოხდა, რაც ასევე იყო პასუხი ელცინის გადაწყვეტილებაზე სამხედრო გზით გადაეწყვიტა ჩეჩნების მიერ დამოუკიდებლობის მოთხოვნის საკითხი. ჩეჩენ მებრძოლთა ტაქტიკა მოსახლეობის მძევლად აყვანა იყო და ყველა ამ შემთხვევისას ისინი ჩეჩნეთიდან რუსეთის ჯარის გაყვანას და სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყებას ითხოვდნენ. ბოლო, 1996 წლის ტერორისტული აქტი, ელენა პოკალოვას აზრით, ჩეჩენ მებრძოლებს რუსეთთან ხასავიურტის სამშვიდობო შეთანხმების მიღწევაში დაეხმარა.[52] ჩეჩენ მებრძოლთა ჯგუფი ფაქტობრივად დაბალი ინტენსივობის კონფლიქტით (LIC) ითხოვდა მაღალი ინტენსივობის კონფლიქტიდან (ე.ი. ომიდან) გამოსვლას და ამ კონფლიქტის შეწყვეტას. რუსეთის მიერ არაპროპორციული ძალის გამოყენების და ჩეჩენი ხალხის თვითგამორკვევის უფლების უარყოფის ფონზე, ჩეჩენ მეამბოხეებს წინააღმდეგობის გამოხატვის ფართო არჩევანი არ ჰქონდათ. სამხედრო ქმედებების კანონიერება ინტერპრეტაციის საგანია. ძალადობის კანონიერების განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია არა ის, თუ რა სახის ქმედებასთან გვაქვს საქმე, არამედ ის, თუ რა საჭიროებას აფუძნებს სუბიექტი თავის გადაწყვეტილებას. თუმცა, ძალაუფლება განსაზღვრავს იმას, თუ ვინ წყვეტს და განსჯის საჭიროებას და ვისი გადაწყვეტილება კვალიფიცირდება კანონიერად.[53] როგორც ანთროპოლოგი ტალალ ასადი განმარტავს, ის, რაც ტერორისტებისა და სამხედროების განსხვავებისას მნიშვნელობს, არის არა სისასტიკე ან სამხედრო საჭიროება, არამედ მათი ცივილიზაციური სტატუსი.[54] სწორედ ამგვარადვე, რუსეთის ე.წ. „ანტი-ტერორის-

49 Williams, Brian G. *Inferno in Chechnya: The Russian-Chechen Wars, the Al-Qaeda Myth, and the Boston Marathon Bombings*. University Press of New England, 2015.

50 Pokalova, Elena. *Chechnya's Terrorist Network: The Evolution of Terrorism in Russia's North Caucasus*. Santa Barbara: PRAEGER, 2015. გვ. 1.

51 Gilligan, Emma. *Terror in Chechnya: Russia and the Tragedy of Civilians in War*. Princeton: Princeton University Press, 2010. გვ. 19.

52 Pokalova, Elena. *Chechnya's Terrorist Network: The Evolution of Terrorism in Russia's North Caucasus*. Santa Barbara: PRAEGER, 2015. გვ. x.

53 Asad, Talal. *On Suicide Bombing*. New York: Columbia University Press, 2007. გვ. 21-22.

54 იქვე, გვ. 38.

ტული“ ოპერაცია, რომლის მიზანიც მძევლად აყვანის პრაქტიკებთან ბრძოლა იყო, თავად იყენებდა იმავე ტერორისტულ ტაქტიკას სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ. პოლიტიკურ-ისტორიული კონტექსტის უგულებელყოფის ფონზე, ჩეჩნების წინააღმდეგობის მიზეზის რელიგიურ მნიშვნელობამდე დაყვანამ და მებრძოლების რელიგიურ ფანატიკოსებად წარმოჩენამ ხელი შეუწყო წინააღმდეგობის დელეგიტიმაციას. რელიგიური ელფერი მებრძოლთა წინააღმდეგობას „პრემოდერნულ“ მოვლენად აქცევს, მაშინ როდესაც სეკულარული პოლიტიკით მოტივირებული ძალადობა რაციონალურად და სამართლიანად[55] წარმოჩინდება და ამიტომაცაა, რომ მთავარი პრობლემა აქ არა სისასტიკე, არამედ მოტივაციის „ცივილურობის“ საკითხია.

ისტორიულად, რელიგიას ჩრდილოეთ კავკასიელებში შემაკავშირებელი და მაკონსოლიდირებელი პოლიტიკური ფუნქცია ჰქონდა. საბჭოთა ავიაციის ყოფილმა გენერალმა და სეკულარული სახელმწიფოსთვის მებრძოლმა ჯოხარ დუდაევმაც კი რუსეთის წინააღმდეგ ჯიჰადი გამოაცხადა, რაც სამართლიანობისთვის ომს გულისხმობდა. პოლიტკოვსკაია აღნიშნავს, რომ ჩეჩნეთში „ჯიჰადი“ „რუსეთის წინააღმდეგ სასიკვდილო ბრძოლას“ ნიშნავდა.[56] მაგრამ, არც რუსეთისადმი უკმაყოფილების ისლამით არტიკულირება და მის გარშემო გაერთიანება ყოფილა ახალი ჩრდილოეთ კავკასიელებისთვის. ასე მაგალითად, რელიგიური ლიდერი იმამი შამილი, რომელმაც კავკასიის იმამატი დააფუძნა, მეცხრამეტე საუკუნეში სათავეში ედგა ანტიიმპერიალისტურ ბრძოლას, რომელიც რამდენიმე ათწლეული გაგრძელდა.

ჩეჩნური წინააღმდეგობის რელიგიურ მოტივამდე დაყვანა ასევე უგულებელყოფს ჩეჩენ მებრძოლთა და პოლიტიკოსთა არაერთგვაროვან შემადგენლობას, რომელშიც სამი ჯგუფი შეგვიძლია გამოვყოთ:[57] 1. სეკულარული ფრთა, რომელიც საკუთარი წინააღმდეგობის ასახსნელად და გამოსახატად იყენებს ადამიანის უფლებების არგუმენტებს და სურს საერთაშორისო ტრიბუნალის გამართვა. 2. რელიგიური ფრთა, რომელიც მიმართავს რელიგიას წინააღმდეგობის გასაძლიერებლად. 3. წარმოადგენენ შურისმაძიებლები, რომლებიც თავიანთი ნათესავების და ახლობლების მოკვლის, გატაცების, წამების ან/და გაქრობის შემდეგ შეუერთდნენ ბრძოლას. ეს არის ჯგუფი, რომელმაც ბრძოლაზე ფიქრი მხოლოდ რუსეთის ხელისუფლების „ანტიტერორისტული ოპერაციის“ შემდეგ დაიწყო. ახმედ ზაკაევი, პრეზიდენტ მასხადოვის ელჩი ევროპაში 2001 წელს აცხადებს: „როგორ შეიძლება ვინმეს გაუკვირდეს, რომ ჩვენი ახალგაზრდები – ძმა, რომლის დაც გააუპატიურეს, შვილი, რომლის მამაც სიკვდილამდე აწამეს – სასოწარკვეთილ შურისმაძიებელთა რიგებს უერთდებიან?“[58]

55 Asad, Talal. *On Suicide Bombing*. New York: Columbia University Press, 2007.გვ. 45.

56 Politkovskaya, Anna. *A Small Corner of Hell: Dispatches from Chechnya*. Chicago: The University of Chicago Press, 2003. გვ. 38.

57 იქვე, 190

58 Gilligan, Emma. *Terror in Chechnya: Russia and the Tragedy of Civilians in War*. Princeton: Princeton University Press, 2010. გვ. 28.

რუსეთი ჩეჩნეთის ამბოხის მიზეზებს გარე ძალებში ეძებს, კერძოდ ე.წ. რადიკალურ ისლამსა და უცხოელ ზილოტებში. მიუხედავად იმისა, რომ 1990-იან წლებში ჩეჩნეთში გარე ინტერესთა სხვადასხვა ჯგუფები არსებობდნენ და არც კრიმინალური ელემენტები იყო უცხო, ეს პოლიტიკური პრობლემა იყო, რომლისთვისაც რუსეთს მხოლოდ სამხედრო პასუხი აღმოაჩნდა. ჩეჩნების ამბოხის გამიჯვნა ანტიიმპერიალისტური ბრძოლისგან და მათი არარაციონალურ ჯიჰადისტებად წარმოჩენა, მებრძოლებს არაისტორიულ სუბიექტებად მოიაზრებს, რომელთა ბრძოლის მოტივაცია თითქოს ადრეული შუა საუკუნეების აბსტრაქტულ იდეებთან უფროა კავშირში, ვიდრე კონკრეტულ დანაშაულებთან და ჩაგვრასთან, რომელსაც ისინი მეცხრამეტე და მეოცე საკუნეში განიცდიდნენ იმპერიული ძალებისგან, თანაც მაშინ, როდესაც ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულები არასოდეს მოიაზრება ალოგიკურ პოლიტიკად.

1990-იანებში რუსეთი ჩეჩნების დეჰუმანიზებას ახდენდა და მათ „შავებად“, „ბანდიტებად“ და „ტერორისტებად“ წარმოაჩენდა.[59] ჩეჩნების ორიენტალიზაცია და ტერორისტად წარმოჩენა ემსახურება ადამიანთა სიცოცხლის იერარქიზებას, რაც, თავის მხრივ, იძლევა ნაკლებად ღირებული სიცოცხლის მქონე სუბიექტზე „ლეგიტიმური“ ძალადობის შესაძლებლობას, წესრიგის დამყარებისა და ძალაუფლების გამყარებისათვის. ადამიანის სიცოცხლეს განსხვავებული საცვლელი ღირებულება აქვს სიკვდილის ბაზარზე.[60] ზოგიერთი ადამიანის („ბარბაროსების“) სიცოცხლე ნაკლებ ღირებულია ვიდრე სხვების („ცივილიზებული“ მოსახლეობის) და შესაბამისად, მათი უფლებების შელახვა და მათ წინააღმდეგ ჩადენილი სისასტიკე ნაკლებად აღმაშფოთებელია. [61,62]

ამგვარად, ჰეგემონური ნარატივი ჩეჩენ მებრძოლთა ჰეტეროგენულ ჯგუფს და მთელ ჩეჩენ ერს ტერორისტულ საფრთხედ წარმოაჩენს. ძალაუფლებისგან გარიყული მოსახლეობის პერსპექტივა კი წაშლილია გამარჯვებული ძალის მიერ შექმნილ დისკურსში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთის ოფიციალური ვერსიის ჰეგემონურად ქცევაში გადამწყვეტი აღმოჩნდა 2001 წლის 11 სექტემბერი, რის შემდეგაც ვლადიმერ პუტინი ერთ-ერთი პირველი იყო პრეზიდენტთა შორის, რომელიც ბუშს დაუკავშირდა და განაცხადა, რომ რუსეთი დიდი ხანია მარტო ებრძვის საერთაშორისო ტერორიზმს და შეეცადა ჩეჩნეთში მიმდინარე პროცესების საერთაშორისო ტერორიზმთან გაიგივებას.[63]

2001 წლის 11 სექტემბრამდე რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომს საერთაშორისო პოლიტიკური საზოგადოების დიდი ნაწილი კრიტიკულად გამოეხმაურა. მაგალითად: 1. 2000

59 Gilligan, Emma. *Terror in Chechnya: Russia and the Tragedy of Civilians in War*. Princeton: Princeton University Press, 2010. გვ. 20.

60 Asad, Talal. *On Suicide Bombing*. New York: Columbia University Press, 2007. გვ. 94.

61 იქვე, გვ. 33.

62 იქვე, გვ. 94.

63 Pokalova, Elena. *Chechnya's Terrorist Network: The Evolution of Terrorism in Russia's North Caucasus*. Santa Barbara: PRAEGER, 2015. გვ. 122.

წლის იანვარში გაეროს გენერალურმა მდივანმა, კოფი ანანმა რუსეთი არაპროპორციული ძალის გამოყენებაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ რუსეთმა ტერორისტებთან ბრძოლის სახელით ჩეჩნეთის მთელი მოსახლეობა ძალადობის სამიზნედ აქცია.[64] 2001 წელს კოფი ანანი მოსკოვს ეწვია. სწორედ ამ ვიზიტამდე ცოტა ხნით ადრე Human Rights Watch-ის ანგარიშში გამოაშკარავდა მშვიდობიანი სამოქალაქო მოსახლეობის მასობრივი საფლავები ჩეჩნეთში, თუმცა კოფი ანანს ვიზიტისას ამ საკითხზე სიტყვაც არ დაუძრავს. ანა პოლიტკოვსკაია ამტკიცებდა, რომ რუსეთი საერთაშორისო გაერთიანებებთან და ორგანიზაციებთან გარიგებაში შევიდა, რათა ჩეჩნეთის საკითხი მიეჩქმალა.[65] 2. 1999 წლის 17 დეკემბერს ევროკავშირის და აშშ-ს ერთობლივი განაცხადიც აღნიშნავს, რომ რუსეთის სამხედრო ტაქტიკა საფრთხეს უქმნის უდანაშაულო მოსახლეობას და ქმნის ჰუმანიტარულ კრიზისს. 3. რუსეთმა დაბლოკა გაეროს უსაფრთხოების საბჭოზე ჩეჩნეთის საკითხის განხილვა. 4. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა 1999 წლის 7 დეკემბერს განაცხადა, რომ მათ ესმით რუსეთის „ლეგიტიმური წუხილი ტერორიზმთან დაკავშირებით", მაგრამ გაუგებარია ტერორიზმთან ბრძოლა ჩეჩნეთის მთელ მოსახლეობაზე თავდასხმით.[66] 5. ჩინეთმა მხარი დაუჭირა რუსეთის მოქმედებებს ჩეჩნეთში.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ შექმნილი ვითარება სახარბიელო აღმოჩნდა რუსეთისთვის, რომელმაც „ანტიტერორისტული" დროშის საფარქვეშ იმუნიტეტი მოიპოვა, რათა ყოველგვარი კანონის დარღვევით გასწორებოდა ჩეჩენ მებრძოლებს, მათი ოჯახის წევრებს და მათ თანამგრძნობებს. ჩეჩენ მებრძოლთა კრიმინალებად გამოცხადება მათ ლტოლვილად კვალიფიცირების უფლებასაც ართმევდა.[67] ეს კი გულისხმობდა, რომ „კრიმინალები" ვერ ისარგებლებდნენ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებით და რუსეთს შეეძლო მათი უკან დაბრუნების მოთხოვნა. თუმცა, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კონტექსტშიც კი პირის ფიზიკური ხელშეუხებლობა სრულად ვერ შეიზღუდებოდა.[68] 2002 წლის ივლისში ვ. პუტინის „კონტრტერორისტულ" არსენალს დაემატა კანონი ექტრემიზმზე, რომელიც ოფიციალური რიტორიკის საწინააღმდეგო აზრის ჩასახშობად გამოიყენებოდა.[69] ჩეჩენთა წინააღმდეგობის მხარდაჭერა შეიძლება ტერორისტული აქტივობების მხარდაჭერად ან გამართლებად კვალიფიცირებულიყო. ეს კანონი კრემლს დაეხმარა ჩრდილოეთ კავკასიის კონფლიქტზე თავისი ნარატივის ჰეგემონურად ქცევაში. გეოპოლიტიკური ინტერესების გადაკვეთის ამ ეტაპზე მოექცა პანკისის ხეობაც ყურადღების ცენტრში.

64 Youngs, Tim. *The Conflict in Chechnya.* House of Commons Library Research Paper. February 7, 2000. გვ. 21.

65 Politkovskaya, Anna. *A Small Corner of Hell: Dispatches from Chechnya*. Chicago: The University of Chicago Press, 2003. გვ. 194.

66 Youngs, Tim. *The Conflict in Chechnya.* House of Commons Library Research Paper. February 7, 2000. გვ. 22.

67 ადამიანის უფლებათა ცენტრი. დუმილი კლავს: ჩეჩენ ლტოლვილთა უფლებების შელახვა საქართველოში. 2006. http://www.humanrights.ge/files/chechen_report_Geo.pdf. გვ. 11.

68 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. საქმე „ბაისუევი და ანზოროვი საქართველოს წინააღმდეგ." საჩივარი 39804/04. სტრასბურგი, 2013. http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/baiusebidaanzorovi.pdf . გვ. 256.

69 Pokalova, Elena. *Chechnya's Terrorist Network: The Evolution of Terrorism in Russia's North Caucasus*. Santa Barbara: PRAEGER, 2015. გვ. 121.

1.2. პანკისის კრიზისი და საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა 11 სექტემბრამდე

ჩეჩნეთის მეორე ომის დაწყებასთან ერთად ლტოლვილად ქცეული მოსახლეობის ნაწილი საქართველოს საზღვრებსაც მოადგა და პანკისს შეაფარა თავი. მათ შემადგნლობაში შედიოდნენ (1) საკუთრივ ჩეჩნები და (2) ჩეჩნეთში მუდმივსაცხოვრებლად გადასახლებული პანკისელი ქისტები ან ისინი, ვინც იქ დროებით სამუშაოდ იმყოფებოდნენ. აღსანიშნავია, რომ ჩეჩნეთში საცხოვრებლად გადასახლებული ქისტების უმრავლესობას პანკისში სახლ-კარი გაყიდული არ ჰქონდა, რაც მათ ლტოლვილობის ჟამს წაადგათ. ხოლო უსახლკაროდ დარჩენილი ჩეჩენი ლტოლვილები მთელმა ხეობამ შეიფარა და ისინი სოფლის მოსახლეობის შესაძლებლობების მიხედვით ოჯახებში გაანაწილეს.[70] ადგილობრივების გარდა, ისეთმა საერთაშორისო ფონდებმა და ორგანიზაციებმაც, როგორიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, წითელი ჯვარი, წითელი ნახევარმთვარე და ისლამური ჰუმანიტარული მოძრაობა „ალ-ჰარამეინი“[71], პანკისში ჩამოსული ჩეჩენი ლტოლვილების დახმარება დაიწყეს. თუმცა, ჩეჩნები თვლიდნენ, რომ ჰუმანიტარული დახმარების დიდი ნაწილი რამდენიმე კრიმინალური დაჯგუფების ხელში მოექცა და ეს ფაქტი ქისტებსა და ჩეჩნებს შორის დაპირისპირების მიზეზად იქცა.[72]

2001 წელს გაზეთი „ახალი ვერსია“ უცხოეთიდან მიღებული ჰუმანიტარული და ფინანსური დახმარების გაყიდვისა და მიღებული თანხით იარაღის ყიდვის უკან ე.წ. „ვაჰაბიტების“ კვალს მოიაზრებს.[73] თუმცა, მკვლევრები, რომლებმაც 2000-2001 წლებში პანკისში კვლევა ჩაატარეს, ნაშრომში „უსაფთხოების სტრატეგიის ეთნიკური ასპექტები“ აღნიშნავენ, რომ „ვაჰაბისტების“ მიმართ მოსახლეობაში დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. ჩეჩენი ლტოლვილები და ქისტების ნაწილი მათ დადებითად აფასებს, ვინაიდან მათი აზრით, ჯამაათი სამართლიანად ანაწილებს ჰუმანიტარულ დახმარებას. როგორც კვლევაში ვკითხულობთ: „ხალხი მშვიდადაა, რომ ყველას ერგება კუთვნილი. მატერიალურად ეხმარებიან ომში დაღუპულთა ოჯახებს; ლტოლვილთა ოჯახებს ამარაგენ

70 ჩიქოვანი, გულდამ. „დასახლების სტრუქტურული ცვლილებები, კონფლიქტური სიტუაციები და მათი დარეგულირების ტრადიციული მექანიზმები.“ *უსაფრთხოების სტრატეგიის ეთნიკური ასპექტები (პანკისის კრიზისი),* რედ. ლია მელიქიშვილი. თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2002. გვ. 118.

71 რუსეთმა ისლამური ჰუმანიტარული ორგანიზაციები ტერორისტულ ორგანიზაციებად გამოაცხადა და შედეგად „ალ-ჰარამეინიმ“, რომელიც პანკისში 1999 წლის ნოემბრიდან მოქმედებდა, 2000 წელს გააუქმა უფასო საავადმყოფოები და სასადილოები და შეწყვიტა საქართველოში ფუნქციონირება. მოგვიანებით, 2004 წლიდან აშშ-მაც წამოაყენა ფონდის მიერ ტერორიზმის მხარდაჭერის საკითხი და გაეროს უსაფრთხოების საბჭომ ალ-ჰარამეინის დამფუძნებელი ინტერპოლის ძებნილად გამოაცხადა, მაგრამ 2014 წელს სასამართლომ ის უდანაშაულოდ სცნო.

72 კეკელიძე, თამარ. *პანკისი პრესის ფურცლებზე.* თბილისი: კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 2007. გვ. 121.

73 იქვე, გვ. 72.

შეშითაც“.[74] უფრო მეტიც, ერთ-ერთი ჩეჩენი ლტოლვილი ქალი ამბობს: „ჩვენ მოვითხოვეთ, რომ მთელი ჰუმანიტარული დახმარება: წითელი ჯვრის, გაეროს, მასხადოვის ფონდის – ვაჰაბისტებს გადასცენ და იმათ გაანაწილონ, რადგან ვიცით, რომ პატიოსნად დაგვირიგებენ“.[75] ე.წ. „ვაჰაბიტებმა“ პანკისში 1997 წელს შექმნეს ჯამაათი. ლია ხუციშვილი თავის ნაშრომში „რელიგიური რეორიენტაციის პრობლემები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში“, აღნიშნავს, რომ ჯამაათის წევრები

> „ყველაფერს ობიექტურად ანაწილებენ. დახმარება თვეში ერთხელ მოდის. ლტოლვილ მოსახლეობას ურიგებენ შაქარს, ფქვილს, ზეთს, კარტოფილს, კარაქს. მუსლიმური რელიგიის დღესასწაულის დღეს ოჯახს თითო ცხვარიც კი მისცეს. ზამთრისთვის ხალხს ქირაობენ, ტყეში შეშას აჭრევინებენ და ოჯახში თითო ღუმელზე ანაწილებენ. ასევე ამარაგებენ შეშით საბავშვო ბაღს, საავადმყოფოს და სკოლას... გარდაცვლილ ლტოლვილს ჯამაათი თავისი ხარჯით მარხავს. ადგილობრივებს სურდათ თვითონ დაერიგებინათ ჰუმანიტარული დახმარება, მაგრამ ლტოლვილებმა ჯამაათი აირჩიეს იმ მოტივით, რომ ისინი ყველაფერს ობიექტურად ანაწილებენ“.[76]

1990-იან წლებში საქართველოში ომი და ეკონომიკური კოლაფსი ერთმანეთს ასაზრდოებდა. ეს პერიოდი ხასიათდება უკონტროლო ზონებით, ორგანიზებული დანაშაულით, კორუფციით და იმ კრიმინალური ჯგუფების გაძლიერებით, რომლებმაც მმართველ პოლიტიკურ ელიტაშიც შეაღწიეს.[77] ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 1990-იან წლებში საქართველოს ეკონომიკაზე ყოფილი ოპორტუნისტი ნომენკლატურა და კრიმინალები ბატონობდნენ. დამოუკიდებელი საქართველოს პირველ ათწლეულში, ისტორიკოს სტივენ ჯონსის თანახმად, კრიმინალური საქმიანობის სამი ფართო კატეგორია არსებობდა: 1) კრიმინალური სინდიკატები, რომლებიც დაკავებული იყვნენ სახელმწიფო ქონების გაფლანგვით და კონტრაბანდით სახელმწიფო თანამდებობის პირებთან და უცხოელ პარტნიორებთან ერთად; 2) კრიმინალური გაერთიანებები, რომლებიც რეკეტიორობდნენ, კლავდნენ ადამიანებს და სხვა ბანდიტურ ქმედებებს სჩადიოდნენ; 3) „ეთნიკური ნიშნით შექმნილი ჯგუფები“, რომლებიც კონფლიქტურ ზონებში იტაცებდნენ ადამიანებს და ვაჭრობდნენ ნარკოტიკებით.[78] მაგალითად, 2000 წლის აგვისტოში პანკისის ხეობაში გაიტაცეს წითელი ჯვრის საზოგადოების თანამშრომლები და შემდეგ გაათავისუფლეს.

74 შუბითიძე, ვერა. „უსაფრთხოება და ეთნიკური კულტურის ადაპტაციის უნარი ახალ სოციალურ-კულტურულ გარემოსთან.“ *უსაფრთხოების სტრატეგიის ეთნიკური ასპექტები (პანკისის კრიზისი),* რედ. ლია მელიქიშვილი. თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2002.

75 იქვე, გვ. 94-95

76 ხუციშვილი, ლია. „რელიგიური რეორიენტაციის პრობლემები პოლიტიკურ საზოგადოებაში.“ *უსაფრთხოების სტრატეგიის ეთნიკური ასპექტები (პანკისის კრიზისი),* რედ. ლია მელიქიშვილი. თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2002. გვ. 167.

77 ჯონსი, სტივენ. *საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2013. გვ. 363.

78 ჯონსი, სტივენ. *საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2013. გვ. 366.

ხელისუფლებამ დამნაშავეები პასუხისგების გარეშე დატოვა. ასევე, 2000 წლის ნოემბერში გაიტაცეს ესპანელი ბიზნესმენები და მხოლოდ ერთი წლის შემდეგ, 2001 წლის 17 დეკემბერს გაათავისუფლეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პანკისის ხეობაში მოქმედი კრიმინალური ჯგუფების ეთნიკური შემადგენლობა არაერთგვაროვანი იყო.[79] 2001 წელს გათავისუფლებული ბიზნესმენები თავიანთ ჩვენებაში საუბრობენ პანკისში მოქმედი კრიმინალური დაჯგუფებების ჰეტეროგენულობაზე, და მათ წევრებს შორის ასახელებენ ქისტებს, ქართველებს, აზერბაიჯანელებს და ჩეჩნებს.[80]

1990-იანებში საქართველოს ეკონომიკაში კრიმინალების ბატონობა განპირობებული იყო გარკვეული გარემოებებით: სასაზღვრო ზოლებთან სიახლოვ, საერთაშორისო ბაზრებზე იოლი წვდომა და ცენტრისგან დაშორებულობა. შესაბამისად, ტრანსნაციონალურმა კრიმინალურმა დაჯგუფებებმა ისარგებლეს გეოგრაფიული მდებარეობით და უკონტროლო ზონებით აჭარაში,[81] აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთსა და პანკისის ხეობაში და ისინი შუა აზიიდან ნარკოტიკების დინების ტრანზიტულ რეგიონებად აქციეს.[82]

სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ 1999-2002 წლებში პანკისის ხეობაში გავრცელებული კრიმინალი და ნარკოტიკებით ვაჭრობა, რაც არაერთხელ გახდა მეზობელ სოფლებში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებთან ურთიერთობის გამწვავების საფუძველი. თუმცა, როგორც ქეთევან ხუციშვილი წერს თავის ნაშრომში „კავკასია გეოპოლიტიკური თვალსაზრისით“ „პანკისში ქისტი და ქართველი მოსახლეობის ინტერესებს ერთად სძლია ქისტი და ქართველი კრიმინალების საერთო ინტერესებმა, ხეობა ნარკოტიკებისა და კონტრაბანდის სატრანზიტო ზონად იქცა“.[83]

11 სექტემბრამდე ხელისუფლება პანკისში ფორმალური ჩაურევლობის პოლიტიკას ირჩევს. შევარდნაძის ხელისუფლების ჩაურევლობის პოლიტიკამ, რომელიც ერთნაირად შემწყნარებელი იყო როგორც კრიმინალთა, ისე „ბოევიკთა“ ქმედებებისადმი პანკისის ხეობაში, საფუძველი გაუმყარა მედიისა და ექსპერტების მიერ ამ ჯგუფების ჰომოგენურად წარმოჩენას. 2000-იანი წლების სამეცნიერო წყაროები არ ავლებენ მკაფიო საზღვრებს მებრძოლებს, მუჯაჰიდებსა და კრიმინალებს შორის. თავდაპირველად საქართ-

79 Kurtsikidze, Shorena and Vakhtang Chikovani.“Georgia's Pankisi Gorge: An Ethnographic Survey.” *Berkeley Program in Soviet and Post-Soviet Studies: Working Paper Series*, 2002. Accessed November 20, 2017. https://escholarship.org/uc/item/64d7v9hj. გვ. 37.

80 მამისიმედიშვილი, ხვთისო. *პანკისი: წარსული და თანამედროვეობა.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008. გვ. 297.

81 მაგალითად, აჭარაში ეკონომიკა ფიქტიური ორგანიზაციებით მუშაობდა (მაგ. შპს-ბასრი), რომლებსაც გაჰქონდათ ნარკოტიკები და ზოგიერთ მათგანს არალეგალური ვაჭრობის მხრივ მონოპოლია ჰქონდათ დამყარებული.

82 ჯონსი, სტივენ. *საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2013. გვ. 365.

83 ხუციშვილი, ქეთევან. „კავკასია გეოპოლიტიკური თვალსაზრისით (სუბიექტები, ინტერესები).“ *უსაფრთხოების სტრატეგიის ეთნიკური ასპექტები (პანკისის კრიზისი),* რედ. ლია მელიქიშვილი. თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2002. გვ. 38.

ველოს ხელისუფლება „ბოევიკებთან“ ურთიერთობის დალაგებას საკუთარი ძალებით გეგმავდა და „რადიკალური ზომების მიღებისგან თავს შეგნებულად იკავებდა“.[84] 2001 წლამდე ხელისუფლების პოზიციებში ჩანს „პრობლემის საკუთარი ძალით გადაწყვეტის“ სურვილი.[85] ამასთანავე, ჩეჩენი ბოევიკების პანკისის ხეობაში ყოფნა ექსპერტების მიერ „საფრთხედ“ აღიქმებოდა იმდენად, რამდენადაც ეს შეიძლება გამხდარიყო რუსეთის მიერ საქართველოსთვის სერიოზული პრობლემების შექმნის მიზეზი.[86] 2001 წლის 11 სექტემბრამდე მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენელი უარყოფდა „ბოევიკების“ არსებობას პანკისის ხეობაში და ამბობდა, რომ იქ მხოლოდ კრიმინალური დაჯგუფებებია. თუმცა, ხელისუფლება არაფერს აკეთებდა კრიმინოგენური ვითარების აღსაკვეთად, რაც პირველ რიგში პანკისის ხეობის მაცხოვრებლებს აყენებდა საფრთხის წინაშე.

ვინაიდან ხელისუფლებამ თავის დროზე ვერ მოაწესრიგა კრიმინალური მდგომარეობა, მან საფუძველი შეუქმნა ამ მოცემულობის პოლიტიკურ ჭრილში თარგმნას და კრიმინალებთან ბრძოლის „ტერორისტებთან“ ბრძოლად გადაქცევას. 2001 წელს თავად საჯარო სექტორის წარმომადგენელი[87] ამბობს, რომ პანკისში მდგომარეობა არა პოლიტიკური, არამედ კრიმინალური თვალსაზრისით საჭიროებს მოწესრიგებას.[88] 2001 წლის ივლისში მედიაში გამოქვეყნებული ერთ-ერთი სტატიის თანახმად, „ბიზნესს [უკანონო ბიზნესს], რომელიც რამდენიმე ადამიანის კერძო ინიციატივა იყო, თავად ხელისუფლებამ აუნთო მწვანე შუქი და თავად შეუწყო ხელი ცალკეული უკანონო ქმედების მკაცრად ორგანიზებულ, სისტემური ხასიათის დანაშაულებრივ ბიზნესად ჩამოყალიბებას“.[89] ექსპერტი მამუკა არეშიძეც 2001 წლის ივლისში გამოქვეყნებულ ინტერვიუში შენიშნავს, რომ პანკისში არსებული ვითარება „წლების განმავლობაში მიმდინარე პროცესების – ხელისუფლებისა და ადგილობრივი მოსახლეობის არასწორი ურთიერთობების – ლოგიკურ[ი] შედეგ[ია]“.[90]

ხეობაში კრიმინოგენური ვითარების აღსაკვეთად არც გეგმა არსებობდა და არც პოლიციას გადაუდგამს რაიმე ქმედითი ნაბიჯი. ნოდარ ნათაძის აზრით პანკისის ხეობაში მთელი პროცესი თვითდინებაზე იყო მიშვებული.[91] მხოლოდ 2001 წელს დაიწყო პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ კრიმინოგენური დაჯგუფების გამოვლენისთვის გეგმის

84 კეკელიძე, თამარ. *პანკისი პრესის ფურცლებზე.* თბილისი: კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 2007. გვ. 16.

85 იქვე, გვ. 17.

86 იქვე, გვ. 14, 17, 18.

87 საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავჯდომარე ვ. ჩხეიძე

88 კეკელიძე, თამარ. *პანკისი პრესის ფურცლებზე.* თბილისი: კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 2007. გვ. 19.

89 იქვე, გვ. 30.

90 იქვე, გვ. 31.

91 კეკელიძე, თამარ. *პანკისი პრესის ფურცლებზე.* თბილისი: კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 2007. გვ. 24.

შემუშავებაზე ლაპარაკი.[92] 2001 წლის ივლისში პრეზიდენტი მოუწოდებს შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროებს ბოლო დროს ჩადენილი დანაშაულების გახსნისკენ, დამნაშავეთა დასჯისკენ და ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებისკენ.[93] ახმეტის გამგებელი და სამართალდამცავები პანკისის ხეობაში სპეცოპერაციის აუცილებლობას ვერ ხედავდნენ და თვლიდნენ, რომ ლოკალური მასშტაბის პოლიციური ოპერაციაც საკმარისია კრიმინალური დაჯგუფებების წინააღმდეგ საბრძოლველად.[94]

პანკისის ხეობის მოსახლეობის წინაშე მდგარი გამოწვევების საპასუხოდ ხელისუფლებამ ჯერ 2000 წელს პოლიციის ქვეგანყოფილება გამოიყვანა დუისიდან (სოფ. პანკისის ხეობაში), რაც სამხარეო ადმინისტრაციის მითითებით მოხდა, შემდეგ კი პანკისის ხეობის მისადგომებთან ჯარი შეიყვანა და ბლოკ-პოსტების მოწყობის გადაწყვეტილება მიიღო,[95] რითაც ინსტიტუციურად გარიყა პანკისის ხეობის მთელი მოსახლეობა და ისინი მარტო დატოვა კრიმინალის წინაშე. თუმცა, უფრო მეტიც, ამ ქმედებით სახელმწიფომ მთლიანად პანკისის მოსახლეობა წარმოაჩინა „საფრთხედ“, რომლისგანაც ბლოკ-პოსტებით იცავდა საქართველოს დანარჩენ მოსახლეობას. შესაბამისად სიტუაციის დარეგულირების ნაცვლად, ხელისუფლებამ ფორმალური ჩაურევლობის პოლიტიკით პანკისის ხეობა სახელმწიფოს მოწყვიტა. ეს არის პერიოდი, როდესაც პანკისის ხეობაში კრიმინალთან ერთად მწვავედ იდგა ჰუმანიტარული კრიზისის საკითხი, რადგანაც ჩეჩენი ლტოლვილები ელემენტარული საკვების გარეშე დარჩნენ ჰუმანიტარული დახმარების შემცირების გამო.[96] ამგვარად, კრიმინალთა ქმედებები ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობას ემუქრებოდა. მაგალითად, 2000 წელს წითელი ჯვრის თანამშრომლების გატაცების შემდეგ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ჩეჩენ ლტოლვილებს პანკისში მძევლების გათავისუფლებამდე დახმარება შეუწყვიტა.[97] 2001 წლის ივლისში მედიაში გამოქვეყნებული სტატიის თანახმად, ხელისუფლებას „არ აღმოაჩნდა პოლიტიკური ალღო და გამჭრიახობა იმისთვის, რომ კეთილგანწყობილ ქისტებს მისი ნდობა არ დაეკარგა“.[98] პანკისელები ხეობაში მიმდინარე პროცესებს „რუსეთის სპეცსამსახურებს, საქართველოს ძალოვანებსა და ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს აბრალებენ“.[99] ამასთან ერთად, მედიაში საუბრობენ ბლოკ-პოსტებზე განლაგებული ძალოვანი უწყებების წარმომადგენლების კრიმინალურ სამყაროსთან თანამშრომლობის ფაქტებზე.[100] [101]

92 იქვე, გვ. 22.

93 იქვე, გვ. 25.

94 იქვე, გვ. 23.

95 იქვე, გვ. 25.

96 იქვე, გვ. 25.

97 იქვე, გვ. 86.

98 იქვე, გვ. 29.

99 იქვე, გვ. 32.

100 კეკელიძე, თამარ. *პანკისი პრესის ფურცლებზე.* თბილისი: კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 2007. გვ. 37.

101 იქვე, გვ. 40.

პანკისის კრიზისის დროს საქართველო ნარკოტიკების სატრანზიტო დერეფნად იყო ქცეული.[102] საქართველოს სასაზღვრო და საბაჟო გამშვებ პუნქტებზე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, სპეცტექნიკის და პროფესიული კადრების სიმცირე რეალურად ნიშნავდა სასაზღვრო ზოლის დაუცველობას და საბაჟო კონტროლის არასახარბიელო მუშაობას, რაც საქართველოს ნარკოტიკების სატრანზიტო ქვეყნად ქცევისთვის განსაკუთრებით მოწყვლადს ხდიდა. თუმცა, გარდა ტექნიკური გაუმართაობისა, პანკისელები ხეობაში ნარკოტიკების არსებობის მიზეზად სამართალდამცავების არაქმედით მუშაობასაც ასახელებდნენ.[103] ადგილობრივების აზრით „ნარკობიზნესმენები" ხელშეუხებელნი არიან და სწორედ ამან მიიყვანა ხეობა მწვავე კრიმინოგენულ სიტუაციამდე. უფრო მეტიც, ნარკოტიკების გასაღება ხშირად მოსახლეობის თვალწინ ხდებოდა.[104] ამასთანავე, საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობაც ხდიდა მას ნარკოტიკებით ვაჭრობისთვის მიმზიდველ ქვეყანად. ანტიკორუფციული საბჭოს წევრის, გივი თარგამაძის თქმით, „წლის განმავლობაში ქვეყანამ 300 მილიონი დოლარის ჰეროინი მოიხმარა. რაც შეეხება ტრანზიტს, აქ გაცილებით დიდ თანხებზე – მილიარდებზეა საუბარი".[105] აქედან გამომდინარე, შეუძლებელია ასეთი მასშტაბის არალეგალური საქმიანობა საქართველოს ხელისუფლების გარეშე განხორციელებულიყო.

სახელმწიფოსგან უგულებელყოფილი მოსახლეობა საკუთარი ძალებით შეუდგა კრიმინალთან ბრძოლას და წესრიგის დამყარებას: შეიქმნა სახალხო ლაშქარი, რომელიც დროებით მოქმედებდა; ხეობის მოსახლეობის გადაწყვეტილებით დუისის შესასვლელში პატრულირებდა ადგილობრივი მოსახლეობისგან შემდგარი ჯგუფი;[106] უხუცესთა გადაწყვეტილებით შეიქმნა ახალგაზრდების შეიარაღებული რაზმი; [107] ასევე ჩატარდა რამდენიმე სახალხო ყრილობა: 1) წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის თანამშრომლების გატაცების შემდეგ, 2000 წლის 15 აგვისტოს სოფელ დუისში გაიმართა ყრილობა, სადაც ადგილობრივმა მოსახლეობამ აღნიშნა, რომ „არ შეეგუებიან კრიმინალთა თარეშს" და გადაწყვიტეს შეემუშავებინათ დოკუმენტი, რომელიც ხეობაში ხელისუფლების და მოსახლეობის პასუხისმგებლობის საკითხს განსაზღვრავდა.[108]2) 2000 წლის 13 დეკემბერს სოფელ ჯოყოლოსა და 14 დეკემბერს სოფელ დუისში ქისტები შეიკრიბნენ თავყრილობაზე, სადაც ადამიანთა გატაცებით დაკავებულ პირთა ვინაობის გამხელას და დასჯას ითხოვდნენ. საგულისხმოა, რომ მათ ანონიმურად, წერილობით აღწერეს

102 კეკელიძე, თამარ. პანკისი პრესის ფურცლებზე. თბილისი: კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 2007. გვ. 54

103 იქვე, გვ. 55.

104 იქვე, გვ. 56.

105 იქვე, გვ. 62.

106 ჩიქოვანი, გულდამ. „დასახლების სტრუქტურული ცვლილებები, კონფლიქტური სიტუაციები და მათი დარეგულირების ტრადიციული მექანიზმები." უსაფრთხოების სტრატეგიის ეთნიკური ასპექტები (პანკისის კრიზისი), რედ. ლია მელიქიშვილი. თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2002. გვ. 136

107 იქვე, გვ. 137.

108 კეკელიძე, თამარ. პანკისი პრესის ფურცლებზე. თბილისი: კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 2007. გვ. 86.

მათ ხელთ არსებული ინფორმაცია კრიმინალებზე, რათა სამართალდამცავებისთვის შეეწყოთ ხელი. დილის გაზეთის სტატიის თანახმად, ქისტების ამ გადაწყვეტილებამ პოლიციის უკმაყოფილება გამოიწვია, ქისტებმა კი ისინი კრიმინალთა მფარველობაში დაადანაშაულა.[109] 3) 2001 წლის 20 ივლისს სოფელ ომალოში ჩატარდა სახალხო ყრილობა, სადაც გადაწყდა, რომ მოსახლეობა კრიმინალის აღკვეთას უხუცესთა ხელმძღვანელობით, ტრადიციული მეთოდების გამოყენებით შეეცდებოდა.[110]

2001 წლამდე საქართველოს ხელისუფლება ერიდებოდა „ბოევიკების" ტერორისტებად მოხსენიებას. შევარდნაძე ბოევიკების ორ კატეგორიას გამოყოფდა და განსხვავებულ დამოკიდებულებას აჟღერებდა მათ მიმართ: ა) ბოევიკების ერთ ნაწილს ჩეჩნეთში მებრძოლი და უკან დაბრუნებული პანკისელი ქისტები შეადგენდნენ. ვინაიდან ისინი საქართველოს მოქალაქეები არიან, „თუ რაიმე დანაშაული აქვთ ჩადენილი, მათთან საუბარია საჭირო და არა ხელაღებით ლანძღვა".[111] ბ) „ბოევიკების" მეორე ნაწილს შეადგენდნენ ჩეჩენი ეროვნების „ბოევიკები", რომელთა ნაწილი, შევარდნაძის თქმით, საქართველოში სამკურნალოდ იმყოფებოდა და შევარდნაძე მათ რუსეთში დაბრუნებას ეტაპობრივად გეგმავდა. თუმცა, 2001 წელს მედიაში გამოქვეყნებული სტატიის ავტორი მიიჩნევს, რომ ჩეჩნეთში რუსეთის ახალი სადამსჯელო ოპერაციების დროს ლტოლვილების რუსებისთვის გადაცემა მათ გარდაუვლად გაწირვას ნიშნავდა, რაც „ცივილიზებული ქვეყნის ხელისუფლებას". არ ეპატიება.[112] მაშასადამე, მედიისგან და ექსპერტებისგან განსხვავებით, საქართველოს ხელისუფლება ზოგჯერ ერთმანეთისგან განასხვავებდა კრიმინალურ დაჯგუფებებს და „ბოევიკებს" და, უფრო მეტიც, ბოევიკებს შორის განსხვავებულ ჯგუფებსაც გამოყოფდა.[113] თუმცა, როდესაც საქმე ეხებოდა ამ დაჯგუფებებთან ურთიერთობას, ის ორივე მათგანისადმი „ჩაურევლობის" პოლიტიკას მიმართავდა და უგულებელყოფდა ადგილობრივების მოთხოვნას მოეწესრიგებინა კრიმინალური თვალსაზრისით მდგომარეობა.

1.3. პანკისის კრიზისი და გლობალური პოლიტიკის გავლენა საქართველოს ხელისუფლებათა მიდგომებზე 11 სექტემბრის შემდეგ

როგორ ვითარდება მოვლენები 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ და რა იცვლება ხელისუფლების პოლიტიკაში პანკისის ხეობის მიმართ? 11 სექტემბრის შემდეგ რუსეთმა წარმატებით მოახერხა ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის მაძიებელ მებრძოლთა წინააღმ-

109 იქვე, გვ. 90.
110 იქვე, გვ. 33
111 იქვე, გვ. 15.
112 იქვე, გვ. 30.
113 იქვე, გვ. 19.

დეგ ბრძოლის საერთაშორისო კონტრტერორისტულ ოპერაციასთან გაიგივება[114] და ამასთან ერთად, რუსეთის მხარემ უფრო მეტი დაჟინებით დაიწყო პანკისის ხეობის ერთობლივი ინსპექტირების მოთხოვნა.[115] თუ 2001 წლამდე რუსეთის მიერ პანკისის „ბანდიტთა თავშესაფრად“ გამოცხადებას და ინტერვენციის საჭიროებას აშშ-ს სახელმწიფო დეპარატამენტი მყისიერი კრიტიკული განცხადებით ეხმაურებოდა თავისი გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე,[116] 2001 წლის სექტემბრის შემდეგ ამ საკითხზე პოზიცია შეიცვალა და აშშ, რუსეთთან ერთად, დაინტერესებული მხარე გახდა. 11 სექტემბრის შემდეგ პანკისი მსოფლიო უსაფრთხოების რუკაზე მოინიშნა და გლობალური პოლიტიკის ნაწილად იქცა. ამგვარად, ის გლობალურ ძალთა გეოპოლიტიკური ინტერესების დაპირისპირებისა და დამთხვევის უმნიშვნელოვანესი ეპიცენტრი გახდა.

2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ რუსეთმა არ დააყოვნა და 18 სექტემბერს საქართველოს ნოტა გამოუგზავნა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოსგან მოითხოვდა „ტერორიზმის მხარდაჭერის“ შეწყვეტას, ქართველი მესაზღვრეების მიერ დაკავებული 13 პირის ექსტრადიციას და იჩქერიის რესპუბლიკის წარმომადგენლობის გაუქმებას.[117] საქართველო, რომელიც 2001 წლის სექტემბრამდე უარყოფდა საქართველოში „ბოევიკების“ არსებობას, ახლა, აშშ-ში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების გათვალისწინებით, უკვე გაგებით ეკიდება „ტერორიზმის პრობლემებს და მასთან რუსი კოლეგების ზედმეტად მგრძნობიარე დამოკიდებულებას“ და უკვე მზაობასაც კი გამოთქვამს „ითანამშრომლოს ყველა ქვეყანასთან, მათ შორის რუსეთთან, ტერორიზმის ნებისმიერი გამოვლენის წინააღმდეგ“.[118,119] ქართული მხარე მზადყოფნას აცხადებს საერთაშორის ვალდებულებების შესასრულებლად და დანაშაულის ჩამდენ პირთა ექსტრადიციისთვის.

რუსეთის მედია ნიშნის მოგებით წერდა, რომ დროა აშშ-მ „ძველ მეგობარს“ ახლებურად შეხედოს და ჩეჩენ სეპარატისტებში „ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის“ გმირების ნაცვლად „ბინ ლადენის მიმდევრები“ დაინახოს.[120] რუსეთმა ვერ შეძლო იმავე წარმატებით საქართველოს ტერორისტულ ინტერნაციონალთან გაიგივება, რაც არსებითად საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობის და აღებული კურსის შედეგი იყო. საქართველომ „ტერორისტი ქვეყნის“ იარლიყი აირიდა. თუმცა, პანკისის ხეობა გახდა ის ველი, რომელიც საქართველომ დათმო და სადაც გლობალური და რეგიონული ინ-

114 Williams, Brian G. *Shattering the al-Qaeda-Chechen Myth*. April 23, 2013. წვდომა 10 მაისი, 2018. https://jamestown.org/program/shattering-the-al-qaeda-chechen-myth/

115 კეკელიძე, თამარ. პანკისი პრესის ფურცლებზე. თბილისი: კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 2007. გვ. 45.

116 იქვე, გვ. 126.

117 იქვე, გვ. 134.

118 იქვე, გვ. 135.

119 იქვე.

120 იქვე, გვ. 137.

ტერესები გადაიკვეთა.[121] პანკისის ეთნიკურ-რელიგიური სტიგმატიზება იყო ის საფასური, რომელიც საქართველომ „ტერორისტი“ ქვეყნის იმიჯის თავიდან ასარიდებლად გადაიხადა. სტივენ ჯონსის აზრით, თანამედროვე ქართულმა ისტორიოგრაფიამ შექმნა მუსლიმური „სხვა“ და მასთან დაპირისპირებაში განსაზღვრა საქართველო. ქართველი ისტორიკოსები საქართველოს წარმოადგენდნენ, როგორც „ქრისტიანულ ბარიერს“ ისლამურ აღმოსავლეთთან.[122] **პანკისის კრიზისის დროსაც, ხეობის მუსლიმურ „სხვად“ მონიშვნით და მასთან დაპირისპირებით განისაზღვრა საქართველოს როლი საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე.**

2001 წლის 27 ნოემბერს, ოთხი საათის განმავლობაში, რუსეთის თვითმფრინავებმა და შვეულმფრენებმა ხეობის დასახლებული პუნქტების მიმდებარე ტერიტორიებს და საძოვრებს 5-ჯერ შეუტიეს.[123] ძირითადად ტბათანის მიდამოები დაიბომბა. საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტის, გიორგი ჭანტურიას აზრით, „პანკისის დაბომბვა ნავთობსადენის მშენებლობის ჩასაშლელად გამიზნული ქმედებაა“.[124] 2002 წლის 1-3 თებერვალს რუსეთმა უკვე საერთაშორისო ტრიბუნიდან, მიუნხენში გამართულ უსაფრთხოების 38-ე საერთაშორისო კონფერენციაზე, დასდო საქართველოს ბრალი „ტერორისტების მფარველობაში“, ხოლო დასავლეთის სახელმწიფოებს ორმაგი სტანდარტების პოლიტიკაში.[125] პასუხად, აშშ-მ რეგიონში თავისი სამხედრო როლის გაძლიერებაზე და საქართველოსთვის „ტერორიზმის პრობლემის“ გადაჭრაში დახმარების გაწევაზე დაიწყო საუბარი და მოქმედება. რუსეთის ხელისუფლება კი, გაზეთ „გარდიანის“ 2002 წლის სტატიის თანახმად, თავს „მარგინალიზებულად“ გრძნობდა, რადგან თავისი მცდელობების მიუხედავად, პანკისში ჩეჩენი მებრძოლების დაბომბვის შესაძლებლობა არ მიეცა.[126] ამ პერიოდში პანკისი აშშ-სა და რუსეთს შორის ინტერესთა დაპირისპირების და დამთხვევის ასპარეზად უნდა განვიხილოთ.[127]

2002 წელს აშშ-მ საქართველოს სამხედრო სფეროს რეორგანიზების მიზნით დაიწყო „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა, რაც ითვალისწინებდა 1200[128] ჯარისკაცის გაწვ-

121 სუბელიანი, სოზარ. „გასული კვირის ყველაზე ხმაურიან თემად დევნილთა ყრილობა და ამ ყრილობაზე.“ რადიო თავისუფლება. 17 თებერვალი, 2002. წვდომა 5 აპრილი, 2018. https://www.radiotavisupleba.ge/a/1518909.html.

122 ჯონსი, სტივენ. *საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2013. გვ. 355.

123 მამისიმედიშვილი, ხვთისო. *პანკისი: წარსული და თანამედროვეობა.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008. გვ. 302.

124 კეკელიძე, თამარ. *პანკისი პრესის ფურცლებზე.* თბილისი: კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 2007. გვ. 44.

125 იქვე, გვ. 147.

126 Traynor, Ian. „Russia Angry at US War Plan for Georgia.“ *The Guardian*. February 22, 2002. წვდომა 5 აპრილი, 2018. https://www.theguardian.com/world/2002/feb/22/usa.chechnya .

127 ხუციშვილი, ქეთევან. „კავკასია გეოპოლიტიკური თვალსაზრისით (სუბიექტები, ინტერესები).“ *უსაფრთხოების სტრატეგიის ეთნიკური ასპექტები (პანკისის კრიზისი),* რედ. ლია მელიქიშვილი. თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2002. გვ. 39.

128 სხვა წყაროს თანახმად 1600 ჯარისკაცის: https://www.radiotavisupleba.ge/a/1523045.html

რთნას და მათ მომარაგებას 64 მილიონი დოლარის ღირებულების მსუბუქი იარაღით, ტრანსპორტითა და კომუნიკაციის საშუალებებით.[129] ქართული არმიის მომზადების პირველი ფაზა რეგიონში სიტუაციის შესწავლას დაეთმო, მეორე ფაზა საშტატო-სამეთაურო სწავლებას, მესამე – ჯარის ქვედანაყოფების გაწვრთნას. ამასთან ერთად, 2002 წლის 30 აპრილს საქართველოში ჩამოვიდა ამერიკელ ინსტრუქტორთა პირველი 20 ადამიანიანი ჯგუფი, რომლის მიზანიც კონტრტერორისტული ოპერაციისთვის მომზადება იყო.[130] ამასობაში, 2002 წლის აგვისტოში რუსეთმა განაახლა პანკისის ხეობის დაბომბვა და 8 ვერტმფრენმა ხეობასა და მოსაზღვრე ტერიტორიებზე ე.წ. „კასეტური“ ბომბები ჩამოყარა.[131] მალევე, 2002 წლის აგვისტოს ბოლოს დაიწყო „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის მესამე ფაზა და სასწავლო პოლიგონს, სადაც წვრთნები მიმდინარეობდა პრეზიდენტმა შევარდნაძემ 11 სექტემბრის მსხვერპლთა ხსოვნის პოლიგონი უწოდა.[132] ასევე, აგვისტოს ბოლოსპანკისის ხეობის მისადგომებში დაიწყო სამეთაურო-საშტაბო სწავლებები „კახეთი 2002“ და საქართველოს ესტუმრნენ აშშ-ს სენატორები ჯონ მაკკეინი და ფრედ ტომფოსონი და, მათთან ერთად, ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილე.

თუ საქართველო აღიარებდა პანკისის ხეობაში „ტერორიზმის საფრთხეს“, მაშინ მას მოუწევდა სპეცოპერაციის ჩატარება, წინააღმდეგ შემთხვევაში არსებობდა რისკი, რომ გლობალური ძალები მისგან დამოუკიდებლად იმოქმედებდნენ.[133] პანკისში „ტერორიზმის საფრთხის“ უარყოფა ხელისუფლებამ ვერ შეძლო, თუმცა ჰქონდა მცდელობები სიფრთხილე გამოეჩინა: ერთი მხრივ, კრიმინალები და ბოევიკები, ხოლო მეორე მრივ, ბოევიკები და ტერორისტები გაემიჯნა ერთმანეთისგან და ზოგჯერ „ბოევიკების“ ცალსახად „ტერორისტებად“ მოხსენიებასაც ერიდებოდა.[134]

2002 წლის აგვისტოს ბოლოს საქართველოს მთავრობამ პანკისის ხეობაში ანტიკრიმინალური და ანტიტერორისტული ოპერაციები დაიწყო. პირველი ოპერაცია 2002 წლის 6 სექტემბრისთვის დასრულდა და მის ფარგლებში 41 ეჭვმიტანილი დააკავეს.[135] დაკავებულთა შორის იყვნენ ქართველები, ქისტები, ჩეჩნები და არაბები, რაც თავის მხრივ იმაზე მიუთითებს, რომ პანკისის ხეობაში მიმდინარე უკანონობა სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებთან არის დაკავშირებული და მას კრიმინალთან უფრო მეტი აქვს საერთო, ვიდ-

129 მელიქიშვილი, ლია. *უსაფრთხოების სტრატეგიის ეთნიკური ასპექტები (პანკისის კრიზისი).* თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2002. გვ.8.

130 იქვე, გვ. 8.

131 კეკელიძე, თამარ. *პანკისი პრესის ფურცლებზე.* თბილისი: კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 2007. გვ. 48.

132 ლიკლიკაძე, კობა. „ამერიკული ‘წვრთნისა და აღჭურვის’ პროგრამა და შევარდნაძის სიურპრიზი.“ რადიო თავისუფლება. 29 აგვისტო, 2002. წვდომა 10 მარტი, 2018. https://www.radiotavisupleba.ge/a/1523045.html

133 მამისიმედიშვილი, ხვთისო. *პანკისი: წარსული და თანამედროვეობა.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008. გვ. 305.

134 კეკელიძე, თამარ. *პანკისი პრესის ფურცლებზე.* თბილისი: კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 2007. გვ.50.

135 იქვე, გვ.51.

რე რელიგიით მოტივირებულ დანაშაულთან. დაკავებულებთან ერთად ამოღებული ნივთმტკიცებების ჩამონათვალში გვხვდება „ცეცხლსასროლი იარაღი, ყალბი პასპორტები და ვაჰაბიტური ლიტერატურა“.[136] თუმცა, უცნობია, 2002 წელს რა კონკრეტულ კრიტერიუმებს და ცოდნას ეყრდნობა „ვაჰაბიტური ლიტერატურის“ იდენტიფიცრება სპეცრაზმის მიერ.

ამ პერიოდის მედიაშიც ღიად წერენ „ვაჰაბიზმისა“ და კრიმინოგენური ვითარების მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე.[137] [138] ზოგიერთი მკვლევარი მედიაზე უფრო შორს მიდის და ადამიანის გამოსასყიდის მოთხოვნით გატაცების მიზეზს ეთნიკურ თავისებურებებში ეძებს. ამ კავშირის რაციონალურობის მტკიცებულებად ერთ-ერთ ავტორს მოჰყავს ვაინახურ ენაში მონის აღმნიშვნელი ტერმინი „ლეი“, რომელიც აღნიშნავდა „მოტაცებულ, უმიწაწყლო პიროვნებას, რომელიც გამოსასყიდი პატრონის უყოლობის გამო მთელი თავისი სიცოცხლე მფლობელს ემსახურებოდა“.[139] თუმცა, მძევლად აყვანის ტაქტიკის ეთნიკური ესენციალიზება, ცხადია, ვერ უძლებს ისტორიულ კრიტიკას, ვინაიდან მეცხრამეტე საუკუნეში ცარისტული რუსეთიც მიმართავდა მძევლად აყვანის ტაქტიკას ადგილობრივი მოსახლეობის დასამორჩილებლად ჩრდილოეთ კავკასიაში.[140]

ბუნდოვანი, არანიუანსირებული და შეუსწავლელია პანკისის ხეობაში მოქმედი დაჯგუფებების მიკუთვნებულობა, ურთიერთმიმართება და კლასიფიცირების მეთოდოლოგია. საქართველოს ხელისუფლება აცხადებს, რომ პანკისში ტარდება ანტიკრიმინალური და ანტიტერორისტული სპეცოპერაცია. წყაროების თანახმად, დაჭერილი რამდენიმე ეჭვმიტანილი კრიმინალი სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს მიეკუთვნება, მათ შორის არიან ქართველები, ქისტები, აზერბაიჯანელები და ჩეჩნები.[141] მაგალითად, ესპანელი ბიზნესმენების გატაცებისთვის ეთნიკურად ქართველი შოთა ჭიჭიაშვილი გაასამართლეს. აქედან გამომდინარე, უცნობია თუ რის საფუძველზე ხდება შესაძლებელი კრიმინალური ჯგუფების, მუჯაჰიდების, ე.წ. ვაჰაბიტებისა და „ბოევიკების“ ერთმანეთთან უპირობოდ გაიგივება.

პანკისის ხეობაში ვითარების მოგვარების გზად მედია ჩეჩენ ლტოლვილთა ჩეჩნეთში დაბრუნებას სახავს.[142] ახმეტის რაიონის გამგებლის, პავლე ცაძიკიძის აზრით, ილუზიაა იმის მოლოდინი, რომ ლტოლვილების ჩეჩნეთში დაბრუნების შემდეგ კრიმინოგენური

136 იქვე.

137 იქვე, გვ. 65.

138 იქვე, გვ. 64.

139 მელიქიშვილი, ლია. *უსაფრთხოების სტრატეგიის ეთნიკური ასპექტები (პანკისის კრიზისი).* თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2002.გვ. 85.

140 Politkovskaya, Anna. *A Small Corner of Hell: Dispatches from Chechnya*. Chicago: The University of Chicago Press, 2003. გვ. 22.

141 კეკელიძე, თამარ. *პანკისი პრესის ფურცლებზე.* თბილისი: კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 2007. გვ. 50.

142 იქვე, გვ. 114.

ვითარება გაუმჯობესდება, რადგან, მისი მტკიცებით, დანაშაულთა უმრავლესობა საქართველოს მოქალაქეებმა ჩაიდინეს. საქართველოში ჩეჩნური დიასპორის ყოფილი წარმომადგენელი, ხიზრი ალდამოვიც მიიჩნევს, რომ ლტოლვილთა რეპატრიაცია არ არის მათთვის უსაფრთხო, თუმცა ის კარგად აცნობიერებს იმ ფაქტსაც, რომ „საქართველო რუსეთიდან სერიოზულ ზეწოლას განიცდის“.[143]პანკისის ხეობის ადგილობრივი მოსახლეები, მათ შორის ქართველები, ოსები და ქისტები ჩეჩენ ლტოლვილებს დადებითად ახასიათებდნენ და აღნიშნავდნენ მათ მოკრძალებულ ქცევას.[144] ყოველი ქართველი და ოსი რესპონდენტები 2000-2001 წლებში ეთნოლოგებთან საუბარში უარყოფდნენ ჩეჩენ ლტოლვილთა მონაწილეობას კრიმინალში და ხაზს უსვამდნენ იმას, რომ „ქისტი და ქართველი კრიმინალები შეკრულები არიან სამართალდამცავებთან“. [145] პანკისელები დიდი ხნის გამნავლობაში ცდილობდნენ, რომ ხელისუფლებას ხეობაში არსებული კრიმინოგენური ვითარება მოეგვარებინა, თუმცა ხელისუფლება პოლიციის დონეზეც კი არ ერეოდა ადგილზე ვითარების დასარეგულირებლად და პოლიციის ქვეგანყოფილებაც კი გაიყვანა ხეობიდან, ხოლო 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ, ის პირდაპირ ანტიტერორისტული სპეცოპერაციით ახსენებს ადგილობრივებს თავის არსებობას.

2002 წლის სექტემბერში საქართველომ უარი განაცხადა რუსეთისთვის ჩეჩნების გადაცემაზე, რის შემდეგაც რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა საქართველო კრიმინალების ანუ არაპოლიტიკური დევნილების მფარველობაში დაადანაშაულა. ამასთანავე, 2002 წელს ინგუშეთის ტერიტორიაზე რუს სამხედროებსა და ჩეჩენ მებრძოლებს შორის მიმდინარე ბრძოლებმა, რუსეთს საქართველოსადმი ახალი მოთხოვნების წაყენების საფუძველი მისცა. 2002 წლის 7-8 ოქტომბერს კიშინოვში რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტები შეთანხმდნენ, რომ მოხდებოდა ა) რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთის ერთობლივი პატრულირება; ბ) საქართველოში დაკავებული ჩეჩენი მებრძოლების ექსტრადიცია; გ) სპეცსამსახურებს შორის კონტაქტების გააქტიურება; დ) ტერორიზმთან ბრძოლის საკითხში კოორდინატორების გამოყოფა.[146]

მოგვიანებით, 2003 წლის 3 მარტიდან, ე.ი. რუსეთ-საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრამდე 3 დღით ადრე, პანკისის ხეობაში ანტიტერორისტული ოპერაციების მესამე ფაზა იგეგმება. ექსპერტთა აზრით „პრეზიდენტების პირისპირ შეხვედრამდე სამი დღით

143 კეკელიძე, თამარ. *პანკისი პრესის ფურცლებზე.* თბილისი: კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 2007. გვ. 114-115.

144 ჩიქოვანი, გულდამ. „დასახლების სტრუქტურული ცვლილებები, კონფლიქტური სიტუაციები და მათი დარეგულირების ტრადიციული მექანიზმები.“ *უსაფრთხოების სტრატეგიის ეთნიკური ასპექტები (პანკისის კრიზისი),* რედ. ლია მელიქიშვილი. თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2002. გვ.119.

145 ჩიქოვანი, გულდამ. „დასახლების სტრუქტურული ცვლილებები, კონფლიქტური სიტუაციები და მათი დარეგულირების ტრადიციული მექანიზმები.“ *უსაფრთხოების სტრატეგიის ეთნიკური ასპექტები (პანკისის კრიზისი),* რედ. ლია მელიქიშვილი. თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2002. გვ. 139.

146 მელიქიშვილი, ლია. *უსაფრთხოების სტრატეგიის ეთნიკური ასპექტები (პანკისის კრიზისი).* თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2002. გვ. 9

ადრე პანკისის ხეობაში დაწყებული ანტიტერორისტული ოპერაციის მესამე ფაზა არ მისცემს რუსეთის პრეზიდენტს მწვავე განცხადებების გაკეთებისა და მთავარი თემებიდან პანკისის პრობლემაზე ყურადღების გადატანის საშუალებას".[147]

საფრთხე ემუქრებოდა ნებისმიერს, ვის ექსტრადიციასაც რუსეთის მთავრობა მოითხოვდა. მაგალითად, 2002 წელს მესაზღვრეებმა საზღვრის არალეგალურად გადმოკვეთისთვის 13 ჩეჩენი დააკავეს და მათი ნაწილი რუსეთს გადასცეს. ორმა მათგანმა, ისლამ კაშიევმა და თემურ ბაიმურზაევმა, საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიმართა და 2004 წლის 6 თებერვალს, დაკავებიდან წელიწადნახევრის შემდეგ, სასამართლომ ისინი გაამართლა. თუმცა, სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ორ დღეში კაშიევი და ბაიმურზაევი გაუჩინარდნენ და აღმოჩნდა, რომ ისინი ლარსის საბაჟოზე დააკავეს რუსეთში გადასვლის მცდელობისას. საქართველოში ჩეჩენ ლტოლვილთა საზოგადოება საეჭვოდ მიიჩნევდა, რომ ადამიანებს, რომლებიც რუსეთში იძებნებიან, საზღვარი საბაჟოს გავლით გადაეკვეთათ და ვარაუდობდა, რომ მათი საიდუმლო ექსტრადიცია მოხდა. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, მიუხედავად იმისა, რომ უზენაესმა სასამართლომ ჩეჩნები გაამართლა, აცხადებდა: „ჩემი ინფორმაციით, ისინი ნამდვილად მებრძოლები არიან".[148]

1999-დან 2006 წლამდე ჩეჩენ ლტოლვილთა უფლებების ხელყოფის არაერთი ფაქტი დაფიქსირდა მაშინ, როდესაც ლტოლვილის სტატუსის მიღება არ უნდა ყოფილიყო შეზღუდული „რასის, რელიგიის თუ წარმოშობის ქვეყნის ნიშნით".[149] ადამიანის უფლებათა ცენტრის თანახმად, საქართველოს მთავრობა ლტოლვილის სტატუსის მაძიებელი ჩეჩნების და ქისტების დისკრიმინაციას ახდენდა. საქართველოს ხელისუფლება საზღვარზე ჩეჩნური წარმოშობის პირებს პრობლემებს უქმნიდა : უარს ეუბნებოდა ლტოლვილის სტატუსზე და აძევებდა ქვეყნიდან; აპატიმრებდა არელეგალური მიგრაციისთვის ისე, რომ ლტოლვილებს არ სთავაზობდა შესაბამის იურიდიულ დახმარებას, რათა მათ მოეთხოვათ ლტოლვილის სტატუსი; ეთნიკური წარმომავლობის გამო არ აძლევდა საქართველოს საზღვრის გადმოკვეთის ნებას იმ ადამიანებს, რომლებიც ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნით შემოდიოდნენ ქვეყანაში.[150]

გადატანილი კონფლიქტის შემდეგ ჩეჩენ ლტოლვილებს ეშინოდათ რუსეთში დაბრუნება და საქართველოსა და რუსეთს შორის მიმდინარე პოლიტიკური გარიგების ინსტრუმენტად გრძნობდნენ თავს.[151] ჩეჩენი ლტოლვილების შიში არ იყო უსაფუძვლო,

147 ჩიქოვანი, თამარ. „ქართული პრესის ყურადღების ცენტრში კვლავ პანკისის ხეობა მოექცა: კვირის ბოლოს." რადიო თავისუფლება. 1 მარტი, 2003. წვდომა 5 დეკემბერი, 2017. https://www.radiotavisupleba.ge/a/1526854.html

148 ადამიანის უფლებათა ცენტრი. *დუმილი კლავს: ჩეჩენ ლტოლვილთა უფლებების შელახვა საქართველოში.* 2006. წვდომა 5 დეკემბერი, 2017. http://www.humanrights.ge/files/chechen_report_Geo.pdf. გვ. 12.

149 იქვე, გვ. 7

150 იქვე, გვ. 7-8

151 ადამიანის უფლებათა ცენტრი. *დუმილი კლავს: ჩეჩენ ლტოლვილთა უფლებების შელახვა საქართველოში.* 2006. http://www.humanrights.ge/files/chechen_report_Geo.pdf. გვ. 5.

ვინაიდან, ჩეჩნეთში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, მათი წამების ან სხვა არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობის და გაუსამართლებლად დასჯის საფრთხე არსებობდა. ხოლო ლტოლვილთა სტატუსის შესახებ საერთაშორისო კონვენციის 33-ე მუხლის თანახმად, ქვეყანას არ ჰქონდა უფლება ლტოლვილი დაებრუნებინა და გაესახლებინა იმ ქვეყანაში, სადაც მის სიცოცხლესა და თავისუფლებას საფრთხე ემუქრებოდა.[152] წამების საწინააღმდეგო კონვენციის თანახმადაც, სახელმწიფომ არ უნდა „გააძევოს, დააბრუნოს ან გადასცეს პირი სხვა სახელმწიფოს, სადაც მისი წამების საშიშროების რეალური საფუძველი არსებობს“.[153]

ე.წ. ანტიკრიმინალური და ანტიტერორისტული ოპერაციები პანკისის ხეობაში სამოქალაქო მოსახლეობის უფლებების უხეში დარღვევებით ხორციელდებოდა და განსაკუთრებით დისკრიმინაციული იყო ლტოლვილების მიმართ. სამართალდამცავები საქართველოში ძალისმიერი მეთოდებით უსწორდებოდნენ ლტოლვილებს ე.წ. „კრიმინალური წმენდის“ ოპერაციის დროს. სამართალდამცავებმა მათ შორის სასტიკად სცემეს 14 ჩეჩენი ქალი, რომელთაგან 12 ახმეტის საავადმყოფოში გადაიყვანეს. ადამიანის უფლებათა ცენტრის თანახმად, ოთხ მათგანს ტვინის შერყევა დაუდგინდა. ერთ-ერთი დაზარალებული ქალი კი ფეხმძიმედ იყო. ლტოლვილთა განცხადებით, სამართალდამცავებმა ქალები მუხლებზე დააჩოქეს და შემდეგ კონდახებით სცემეს.[154] Human Rights Watch-ის თანახმად, საქართველოში ამერიკის მთავრობის მხარდაჭერით მიმდინარე ანტიტერორისტული ღონისძიებები ძირითადად პანკისის ხეობაში ხორციელდება, სადაც საქართველოს მთავრობის მიერ ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევები დაფიქსირდა: ადგილი ჰქონდა მასიურ ჩხრეკას, დაკავებებს, „გაუჩინარებებს“ და გასამართლების გარეშე დასჯას.[155]

ამგვარად, (1) ადგილობრივმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა პროცესებმა, რომლებიც უკონტროლო ზონებით, ორგანიზებული დანაშაულით, კორუფციით და კრიმინალური ჯგუფების გაძლიერებით ხასიათდებოდა; (2) რუსეთ-ჩეჩნეთის ომმა; (3) გლობალურ ძალთა ინტერესების დაპირისპირებამ; და (4) 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულმა აქტმა პანკისის ხეობა გლობალური უსაფრთხოების რუკაზე მონიშნა და ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა.

152 იქვე, გვ. 10.

153 იქვე, გვ. 10.

154 იქვე, გვ. 14.

155 Human Rights Watch. In the Name of Counter-Terrorism: Human Rights Abuses Worldwide. March 25, 2003. წვდომა 5 დეკემბერი, 2017. https://www.hrw.org/report/2003/03/25/name-counter-terrorism-human-rights-abuses-worldwide/human-rights-watch-briefing .

თავი 2:
უსაფრთხოების სისტემის ტრანსფორმაციები: რა ვიცით და რა არ ვიცით *ტერორიზმის* შესახებ

მიუხედავად პანკისის ხეობის ცხოვრებაში და მისდამი სახელმწიფოს დამოკიდებულებაში გამოკვეთილი ადგილობრივი და რეგიონული სპეციფიკისა (რომელიც უკვე განვიხილეთ კვლევის წინა თავში, იხ. თავი 1), ერთი მხრივ, პანკისის ხეობის „საშიშ“ ზონად მონიშვნა, ხოლო, მეორე მხრივ, თემირლან მაჩალიკაშვილის ისტორია (იხ. შესავალი) და მასთან დაკავშირებული შეკითხვები, არც შემთხვევითობაა და არც ერთჯერადი „გადაცდომა“. პანკისის ხეობის გლობალური უსაფრთხოების რუკაზე მონიშვნა, სხვა ფაქტორებთან ერთად, მჭიდრო კავშირშია, 2001 წლის 11 სექტემბრის შემდგომი უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებასთან. ამიტომაც, მსჯელობა უნდა დავიწყოთ შეკითხვით, რომელიც კვლევის შესავალში ერთხელ უკვე დავსვით: მაშ, რაზე ვსაუბრობთ, როდესაც ტერორიზმზე ვსაუბრობთ?

11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდეგ, ტერორიზმთან ბრძოლისა და მასთან გამკლავების პოლიტიკამ სხვადასხვა ტრანსფორმაციული ეტაპი გაიარა (და კვლავაც გადის). უშუალოდ ტრაგედიის შემდგომ, პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციის პერიოდში, ტერორიზმთან დაპირისპირების უმთავრესი გზა ძალოვანი გამკლავება იყო. რადიკალიზაციის შემსწავლელი საერთაშორისო ცენტრის (ICSR) დირექტორის, პიტერ ნოიმანის თანახმად, 2001-2005 წლების განმავლობაში, ტერორიზმის საფუძველმდებარე მიზეზებზე საუბარიც კი გართულდა, ვინაიდან ამ პერიოდში ამგვარ მიზეზთა ძიებას მრავალი ექსპერტი და კომენტატორი უდანაშაულო მოქალაქეთა მკვლელობის გამართლების მცდელობად აფასებდა.[156] თუმცა, გამოცხადებულ „ომს ტერორის წინააღმდეგ“, სამხედრო ინტერვენციებს ავღანეთსა და ერაყში, არამხოლოდ თავად ამ ქვეყნებში მოჰყვა სავალალო შედეგები, არამედ მანვე გამოიწვია „დასავლეთის“ სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები მილიონობით მუსლიმის ყოველდღიური ცხოვრების კონტროლი და სახელმწიფო სტრუქტურების მიერ მათი ეჭვმიტანილთა რიცხვში შეყვანაც.[157] 2004-2005 წლებში, სამხედრო ინტერვენციების მზარდ საერთაშორისო კრიტიკას შედეგად მოჰყვა ტერორიზმთან ბრძოლის ახალი სტრატეგიების ძიება და თავად ტერორიზმის საფუძველმდებარე მიზეზების ანალიზის დაწყება.

156 Peter R. Neumann, in M. Sedgwick. “The Concept of Radicalization as a Source of Confusion”, *Terrorism and Political Violence*, 22, *4* (2010): 479-494, DOI: 10.1080/09546553.2010.491009. გვ, 480.

157 შდრ. Beydoun, Khaled A. *American Islamophobia: Understanding the Roots and Rise of Fear.* Oakland, California: University of California Press, 2018; Kundnani, Arun. *Muslims Are Coming! Islamophobia, Extremism, and the Domestic War on Terror.* London and New York: Verso, 2014.

თუმცა, სწორედ ამავე პერიოდიდან მკვიდრდება ტერორიზმის შესახებ მეინსტრიმულ სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი ახალი ტერორიზმი, რომელიც პირველ რიგში რელიგიურ ტერორიზმს გულისხობს. იწყება ტერორიზმის კვლევების ახალი ტალღა, გამოიცემა უამრავი კვლევა თუ პუბლიკაცია; ამავდროულად, როგორც თეორიულ, ასევე სახელმწიფო და სახელმწიფოთაშორის დონეებზე ჩნდებიან ისეთი ტერმინები და სტრატეგიული პროგრამები, როგორებიცაა დერადიკალიზაცია, რადიკალიზმთან და ექსტრემიზთან გამკლავება და სხვ. დღეისათვის ეს სტრატეგიები ორი ძირითადი, არასამხედრო ინიციატივის სახითაა ჩამოყალიბებული და ცნობილია სახელწოდებებით ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავება [CVE] და ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენცია [PVE].[158]

თუმცა ტერორიზმის შესახებ ექსპერტთა და მკვლევართა ჯგუფების მიერ შემუშავებული სხვადასხვა რეკომენდაციები და მათგან გამომდინარე სახელმწიფოთა ინიციატივები და პროგრამები ტერორიზმთან ბრძოლისა წინააღმდეგ, ერთმნიშვნელოვნად ეფექტური შედეგების მომტანი არ აღმოჩნდა. მეტიც, **ხშირად ეს პროგრამები დაკავშირებულია როგორც სამოქალაქო და ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევასთან, ისე მზარდ ისლამოფობიასთანაც.**[159]

2.1. „ომი ტერორის წინააღმდეგ“, ისლამოფობია და ახალი ესპისტემოლოგია

ტერორიზმის, რადიკალიზაციისა და ექსტრემიზმის კვლევების შესახებ არსებულ ლიტერატურაში ტერორიზმზე საუბრისას მკვლევრები ხშირად განასხვავებენ „ძველსა“ და „ახალ ტერორიზმს“. ტერმინით „ძველი ტერორიზმი“ იმ ჯგუფებსა და მოვლენებს მოიხსენიებენ, რომლებიც მეოცე საუკუნის 90-იან წლებამდე გვხვდება. მაგალითად, გერმანული „წითელი არმიის ფრაქცია“, რომელიც სხვანაიარად ბაადერ-მაინჰოფის ტერორისტულ დაჯგუფებადაც არის ცნობილი და რომლის სახელსაც 70-იან წლებში გერმანიაში სხვადასხვა ტერორისტული აქტები უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ მკვლევართა ნაწილი „ძველსა“ და „ახალ“ ტერორიზმს განასხვავებს, მათ შორის არ არსებობს რაიმე შეთანხმება განმასხვავებელ ნიშანთა წყებაზე. თუმცა, ზოგადი განმასხვავებელი მახასიათებლები ძირითადად ისეთ კატეგორიებს მოიცავს, როგორებიცაა მოტივაცია, მიზანი, საშუალება და ორგანიზაციის ფორმები.[160] შესაბამისად, „ძველი ტერორიზმი“ მოიცავს რაციონალურად გათვლილ პოლიტიკურ მიზნებსა და ტაქტიკურ საშუალე-

158 ამ ინიციატივების უფრო დეტალური მიმოხილვა იხ. ამ კვლევის მეოთხე თავში.

159 შდრ. იქვე; აქ აღნიშნულ საკითხთა დეტალური მიმოხილვისათვის იხილეთ ამ კვლევის თავი 4.

160 Hegamann, Hendrik und Martin Kahl. *Terrorismus und Terrroismusbekämpfung. Eine Einführung.* Wiesbaden: Springer VS, 2018. გვ. 48-49.

ბებს, მიმართულთ რომელიმე კონკრეტული საზოგადოებრივი ჯგუფისა ან პოლიტიკური იდეოლოგიის წინააღმდეგ. „ძველი ტერორიზმი“ თავს სიმბოლურ სამიზნეებს ესხმოდა და ძალადობის ე.წ. კონვენციურ საშუალებებს იყენებდა (მაგალითად, ხელყუმბარას ან ცეცხლსასროლ იარაღს, რათა მსხვერპლთა რაოდენობა დიდი არ ყოფილიყო); მისი ფორმა კი ძირითადად იერარქიული იყო.[161] ამისგან განსხვავებით, „ახალ ტერორიზმს“, უკავშირებენ, პირველ რიგში, რელიგიურ მოტივებს, რომლებსაც არაამქვეყნიური მიზნები აქვთ და ამიტომაც, მოლაპარაკებასა და შეთანხმებას არ ექვემდებარება. ამავდროულად, „ახალ ტერორიზმს“ უკავშირებენ ბევრად ნაკლებ შეზღუდვას ძალადობის ფორმებსა და განხორციელებაზე; ამიტომაც, მისი მსხვერპლის რაოდენობა ბევრად დიდია და თავდასხმებისა და ძალადობის საშუალებებიც არაკონვენციურია (მაგალითად, ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული სუბსტანციებისა და იარაღის გამოყენება), ორგანიზაციული ფორმა კი ძირითადად ტრანსნაციონალური ქსელებია.[162]

როგორც ჰეგემანი და კალი აღნიშნავენ თავიანთ ნაშრომში ტერორიზმისა და ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, მიუხედავად მცდელობებისა, რომ გამოიყოს „ძველი“ და „ახალი“ ტერორიზმის განმასხვავებელი ნიშნები, კრიტიკოსები ხაზს უსვამენ „ახალი ტერორიზმისთვის“ მიწერილი მახასიათებლების ახლად წარმოჩენის პრობლემატურობას. გარდა იმისა, რომ მრავალ ისტორიულ ჯგუფს შეგვიძლია მივაწეროთ რელიგიური მოტივებიდან გამომდინარე ძალადობა, ისეთ ჯგუფებსაც, რომელთა განმაპირობებელი იყო არა რელიგიური, არამედ სოციალური მოტივაცია, ასევე ქონდათ არა მხოლოდ ლოკალური, კონკრეტული, არამედ ბევრად უფრო ზოგადი მიზნებიც, მაგალითად, მსოფლიო რევოლუციის წამოწყება. ამას გარდა, იმის თქმა, რომ რელიგიურად მოტივირებულ ჯგუფებს პოლიტიკური მიზნები არ აქვთ, საკითხს აბანალურებს და რეალობასთან შეუსაბამოა: ისეთი ტერორისტული დაჯგუფებები, როგორებიცაა ალ-ყაიდა ან ისლამური სახელმწიფო, ძალადობას კონკრეტული პოლიტიკური მიზნების მისაღწევად იყენებენ. ამას გარდა, მიუხედავად ტერორისტული ორგანიზაციების ტრანსნაციონალურობისა, მათთვის არაიერარქიული სტრუქტურის მიწერაც არარელევანტურია.[163] ხოლო, რაც შეეხება ტერორისტული აქტებისათვის გამოყენებულ იარაღსა და მსხვერპლის რაოდენობას, როგორც ჰეგემანი და კალი შენიშნავენ, გარდა იმისა, რომ თავდასხმებისათვის სხვადასხვა სახის იარაღი გამოიყენება, მათ შორის ხელყუმბარები თუ ცეცხლსასროლი იარაღი, თავისთავად მსხვერპლის რაოდენობის საკითხი, როგორც განმასხვავებელი ნიშანი „ძველსა“ და „ახალ ტერორიზმს შორის“ ერთმნიშვნელოვანი არ არის. ერთი მხრივ, ჰეგემანი და კალი მიუთითებენ გლობალური ტერორიზმის ინდექსის მონაცემებზე, რომელთა მიხედვითაც თუკი 2000

161 იქვე.

162 იქვე, გვ. 49-50.

163 იქვე, გვ. 51-52; მაგალითად, ისლამური სახელმწიფოს იერარქიულობასა და მის დაპირისპირებას, როგორც სხვა რელიგიურ ჯგუფებთან, ასევე ისეთ ტერორისტულ ორგანიზაციებთან, როგორიც ალ-ყაიდაა, დეტალურად აღწერს ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკურ მეცნიებათა სკოლის შუა აღმოსავლეთისა და საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი ფავაზ ა. გერგესი, ნაშრომში “ისისი. ისტორია”. იხ. Gerges, Fawaz A. *ISIS. A History.* Princeton and Oxford: Princeton University Press, 2016.

წლამდე ტერორიზმის მსხვერპლთა რიცხვი 5000-ს ქვემოთ იყო, 2014 წელს მსოფლიო მასშტაბით ეს მაჩვენებელი 32.765-მდე გაიზარდა, 2015 წელს კი 29.376-მდე დაიწია.[164] ხოლო, 2016 წელს ამ მაჩვენებელმა კიდევ უფრო, 13%-ით დაიწია 2015 წელთან შედარებით და 25,673 შეადგინა.[165] მეორე მხრივ, როგორც ჰეგემანი და კალი სწორად შენიშნავენ, მსხვერპლთა რაოდენობა მსოფლიო მასშტაბით თანაბრად არ არის გადანაწილებული სხვადასხვა ქვეყანაზე და მისი კონცენტრაცია რამდენიმე ქვეყანაში ხდება. **2015 წელს ტერორისტული აქტებით გამოწვეული სიკვდილიანობა ყველაზე მაღალი იყო ერაყში, ავღანეთში, სირიაში, ნიგერიასა და პაკისტანში და მხოლოდ ამ ხუთ ქვეყანაზე მსოფლიო მაჩვენებლის 72 % მოდიოდა.**[166] ***გლობალური ტერორიზმის ინდექსის*** **2017 წლის ანგარიშის მიხედვით, სიკვდილიანობის მაჩვენებლის პირველ ხუთეულში კვლავაც ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნები შედიან და მათზე მსოფლიო მასშტაბით ტერორიზმის მსხვერპლთა სამი მეოთხედი მოდის.**[167] მეორე მხრივ, მიუხედავად ტერორიზმის შედეგად სიკვდილიანობის მაჩვენებლის ზრდისა 2000-იანი წლების მომდევნო პერიოდიდან, ხაზი უნდა გავუსვათ სამ ასპექტს:

1) სიკვდილიანობის მაჩვენებელი ყველაზე მაღალი ისეთ ქვეყნებშია, როგორებიცაა ერაყი, ავღანეთი და სირია, თანაც 2000-იანი წლების შემდეგ პერიოდში. ეს კი, თავის მხრივ, იმაზე მიუთითებს, რომ შეიარაღებულმა ინტერვენციამ ავღანეთსა და ერაყში, ისევე, როგორც სამოქალაქო ომმა სირიაში, დიდწილად განაპირობა ძალადობრივი აქტების რაოდენობის ზრდა ამ ქვეყნებში.[168]

2) ამ კონტექსტიდან გამომდინარე, ხშირად რთულდება იმის დადგენა, მსხვერპლი ომმა გამოიწვია თუ ტერორიზმმა, ისეთ სტატისტიკურ მონაცემთა ბაზებზე დაყრდნობით, როგორიცაა, მაგალითად, გლობალური ტერორიზმის ინდექსი, რომელიც ამ მიზეზებს ზუსტად ვერ ასხვავებს.[169] ასე მაგალითად, გლობალური ტერორიზმის ინდექსის 2017 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველო იმ 130 სახელმწიფოს შორის, რომლებშიც ტერორიზმს გავლენა აქვს, 77-ე ადგილზეა. ხოლო რუსეთისა და ევრაზიის ქვეყნების ჯგუფში, 12 სახელმწიფოდან საქართველოს წლების განმავლობაში მესამე ადგილი ეკავა; 2016 წლის მონაცემებით მეექვსე ადგილი უკავია, ხოლო 2002-2016 წლების განმავლობაში, ანგარიშის თანახმად, საქართველოში სულ 97 ტერორისტული აქტი განხორციელდა, რასაც 38 ადამიანის სიკვდილი მოჰყვა შედეგად.[170] ცხადია, როგორც 77-ე ადილი, ისე 97 ტერორისტული აქტი (ამასთან, ანგარიშში

164 იქვე, გვ. 53.

165 Institute for Economics & Peace. *Global Terrorism Index Report. 2017.* წვდომა 11 ივლისი, 2018. *http://visionofhumanity.org/app/uploads/2017/11/Global-Terrorism-Index-2017.pdf*.

166 Hegemann und Kahl, *Terrorismus*, გვ. 53.

167 Global Terrorism Index Report 2017, გვ. 16.

168 Hegemann und Kahl, Terrorismus, გვ. 53-55.

169 იქვე, გვ. 54-55.

170 Global Terrorism Index Report 2017, გვ. 48.

საქართველო მოხსენიებულია ლოკაციად, სადაც 2016 წელს „ისლამურმა სახელმწიფომ“ განახორციელა ტერორისტული აქტი[171]) მაღალი და უცნაური მაჩვენებელიც კი არის. მაგრამ თუ ვიკითხავთ, კონკრეტულად რომელ ტერორისტულ აქტებს გულისხმობენ აღნიშნულ ანგარიშში, მაშინ უკვე გლობალური ტერორიზმის მონაცემთა ბაზას უნდა მივმართოთ, რომელსაც ეყრდნობა გლობალური ტერორიზმის ინდექსის ანგარიში.[172] გლობალური ტერორიზმის მონაცემთა ბაზაში საქართველოზე მონაცემების აღრიცხვა 1991 წლიდან იწყება. ტერორისტული აქტების ჩამონათვალში შედის საქართველოს პირველ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან დაკავშირებული მოვლენები, პრეზიდენტ შევარდნაძეზე თავდასხმა, სამოქალაქო ომის დროს მომხდარი მოვლენები, აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან კონფლიქტების დროს მომხდარი მოვლენები, 2008 წლის აგვისტოს ომის განმავლობაში განვითარებული მოვლენები, 2015 წელს პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრზე თავდასხმისა და ცემის ფაქტი, ისევე, როგორც 2016 წელს სოხუმში, აფხაზეთში ბომბის აფეთქების ფაქტი (ამ უკანსკნელზე პასუხისმგებლობა არცერთ ჯგუფს არ აუღია, თუმცა მასზე პასუხისმგებელ სუბიექტად, მონაცემთა ბაზაში გაკეთებული მოკლე განმარტების მიხედვით, „ისლამურ სახელმწიფოს“ მოიაზრებენ. სწორედ ეს მონაცემი განაპირობებს გლობალური ტერორიზმის ინდექსის ანგარიშში საქართველოს დასახელებას იმ ლოკაციად, სადაც „ისლამურმა სახელმწიფომ“ 2016 წელს ტერორისტული აქტი განახორციელა) და სხვ.[173] საქართველოში არც ერთი ეს თავდასხმა (და აქ უკვე ძნელია ზუსტად გამოვაცალკევოთ ის მახასიათებლები, რომელთა მიხედვითაც კონკრეტული მოვლენა ტერორისტულ აქტად ფასდება) არ ყოფილა რელიგიურად მოტივირებული (აფხაზეთში მომხდარ სავარაუდო ინციდენტს თუ არ ჩავთვლით). ცხადია, თუკი საქართველოშიც კი რთულია განვასხვავოთ თავდასხმების, ძალადობრივი ქმედებების, ომისა თუ პოლიტიკური დაპირისპირებებისგან გამოწვეული სიკვდილიანობა ტერორისტული თავდასხმის შედეგად გამოწვეული სიკვდილიანობისგან, ამგვარი განსხვავებების დადგენა ბევრად რთული ხდება ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ერაყი, ავღანეთი ან სირია, სადაც კონფლიქტები ბევრად მასშტაბური და მსხვერპლიც ბევრად დიდია.

3) ერაყში, ავღანეთში, სირიაში, ნიგერიასა და პაკისტანში ტერორიზმისა და ომისაგან გამოწვეულ სიკვდილიანობას მედია ბევრად ნაკლებად აშუქებს, ვიდრე, მაგალითად, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მომხდარ ტერორისტულ აქტებს. ამიტომაც, ხშირად ფართო საზოგადოებაში მკვიდრდება აღქმა, რომ ტერორისტული ორგანიზაციები განსაკუთრებულად უტევენ დასავალეთის ქვეყნებს, სადაც მსხვერპლთა რაოდენობა წლიდან-წლამდე იზრდება.[174] ჰეგემანისა და კალის მიხედვით, 1980-იან წლებში ევროპაში

171 იქვე, გვ. 73.

172 იქვე, გვ. 2.

173 Global Terrorism Database. წვდომა 15 აპრილი 2018. https://www.start.umd.edu/gtd/about/.

174 Hegemann und Kahl, *Terrorismus*, გვ.53

ტერორიზმის მსხვერპლთა რიცხვი უფრო მაღალი იყო, ვიდრე დღეს არის. ამის ძირითადი მიზეზები კი იყო იმ პერიოდში არსებული კონფლიქტები და ძალადობა ბასკეთში და ჩრდილოეთ ირლანდიაში.[175]

ინდიკატორებთან დაკავშირებით ამ ვიწრო დავაზე უფრო მნიშვნელოვანი აქ იმის აღნიშვნაა, თუ როგორ ხდება „ახალი ტერორიზმის" დაკავშირება უშუალოდ „რელიგიურ" ტერორიზმთან. ტერმინი „ახალი ტერორიზმი" ტერორიზმის კვლევების სამეცნიერო ლიტერატურაში 90-იან წლებში ჩნდება.[176] თუმცა, ტერმინის ფართოდ დამკვიდრება უკავშირდება 11 სექტემბრის ტერორისტულ აქტს, რის შემდეგაც ტერმინი „ახალი ტერორიზმი" ხშირად უშუალოდ რელიგიურ ტერორიზმთან ასოცირდება. ხოლო „ახალი ტერორიზმის" ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლიდან ერთ-ერთის (ახალი ტერორიზმი, როგორც არარაციონალური და არაამქვეყნიური მიზნების მქონე) ასახვა აშშ-ს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის სიტყვაშიც ამოიკითხება, სადაც ის 11 სექტემბრის ტრაგედიას აბსოლუტურ ბოროტებასთან აიგივებს.[177] „ახალი ტერორიზმის" „აბსოლუტურ ბოროტებად"[178] მონიშვნა შემთხვევითი არ არის და უშუალოდაა დაკავშირებული 11 სექტემბრის შემდგომ ტერორიზმთან ბრძოლის სტარატეგიების დასახვასა და განვითარებასთან.[179]

როგორც ისლამისა და პოლიტიკის მკვლევარი არუნ კუნდნანი შენიშნავს, საქმე ისაა, რომ 11 სექტემბრის შემდგომი საჯარო დისკუსიები ტერორიზმის მიზეზების შესახებ ძირითადად იმგვარი მოსაზრებებით იყო შემოფარგლული, რომლებიც ტერორიზმის მიზეზად მხოლოდ ტერორისტების ბოროტ განზრახვას აცხადებდნენ და ამიტომაც, სხვა მიზეზების ძიების მოტივაციას აქრობდა.[180] სწორედ ამავე პერიოდში, განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს, ტერორიზმის ერთ-ერთი მოწინავე მკვლევარი, ვალტერ ლაკერი და მისი თეზისი ახალი ტერორიზმის შესახებ, რაც გულისხმობს ტერორიზმის ძველი,

175 იქვე, გვ. 55.

176 იქვე, გვ. 48.

177 11 სექტემბერის ტრაგედიის დღესვე პრეზიდენტმა ბუშმა შემდეგნაირად მიმართა ა.შ.შ.-ს მოსახლეობას: „Good evening. Today, our fellow citizens, our way of life, our very freedom came under attack in a series of deliberate and deadly terrorist acts. The victims were in airplanes, or in their offices; secretaries, businessmen and women, military and federal workers; moms and dads, friends and neighbors. Thousands of lives were suddenly ended by evil, despicable acts of terror". ამას გარდა, პრეზიდენტმა ბუშმა 11 სექტემბერს წარმოთქმულ სიტყვაში კიდევ სამჯერ ახსენა სიტყვა ბოროტება: მეორედ იმ კონტექსით, რომ ამერიკელმა ერმა ამ დღეს ნახა ბოროტება, ადამიანის ბუნების ყველაზე უარესი ნაწილი. მესამედ, ა.შ.შ.-ს მოსახლეობას ამცნო, რომ მათი ძებნა და ძიება, ვინც ეს ბოროტი აქტი ჩაიდინა, დაწყებულია, ხოლო, მეოთხედ, საჯარო სიტყვის დასასრულს, მან 22 (23)-ე ფსალმუნიდან წაიკითხა ამონარიდი: „შავეთის ველზეც რომ ვიარო, ბოროტებისა არ მეშინია, რადგან შენა ხარ ჩემთან; მანუგეშებენ შენი კვერთხი და შენი საყრდენი". (იხ. *Selected Speeches of President George W. Bush;* წვდომა 01 მაისი 2018; https://georgewbushwhitehouse.archives.gov/infocus/bushrecord/documents/Selected_Speeches_George_W_Bush.pdf).

178 Bush, George W., Address to the nation on the September 11 Attacks. *In: Selected Speeches of President Geoge W. Bush,* 57-58. წვდომა 2 მაისი, 2018. https://georgewbush-whitehouse.archives.gov/infocus/bushrecord/documents/Selected_Speeches_George_W_Bush.pdf .

179 შდრ. Kundnani, *The Muslims are coming!;* Talal, Asad. *On Suicide Bombing.* New York: Columbia University Press, 2007. გვ. 7-8.

180 Kundnani, *The Muslims are coming!*, გვ. 83.

პოლიტიკური ფორმების განსხვავებას „ახალი ტერორიზმისაგან“.[181] პირველის პოლიტიკური ფორმა, შთაგონებული ნაციონალიზმით, კომუნიზმით ან ფაშიზმით, ლაკერის აზრით, განსხვავდება ტერორიზმის ახალი ფორმისაგან, ე.წ. ისლამისტურ-ფუნდამენტალისტური ძალადობისაგან, რომლის საფუძვლებიც ფანატიზმში უნდა ვეძიოთ.[182] და თუკი საფუძველი ფანატიზმი ან/და აბსოლუტური ბოროტებაა, მაშინ ერთადერთი გზა ამ აბსოლუტური ბოროტების წინააღმდეგ, რომელიც, ამერიკულ, ე.ი. ცივილიზებულ, პრეზიდენტ ბუშის სიტყვებით „ჩვენს ცხოვრების წესს“[183] ებრძვის, მისთვის დაუნდობელი ომის გამოცხადებაა.

სწორედ, ტერორიზმისა და ომის ეს შეპირისპირება, კითხვა იმის შესახებ თუ როგორ იწარმოება ომის შედეგად და ტერორიზმის შედეგად წარმოშობილ ძალადობათა მნიშვნელობების ეს განსხვავება, ან უფრო კონკრეტულად, რატომ ხდება 11 სექტემბრის შემდეგ განსაკუთრებული ფიქსაცია ტერორიზმზე, როდესაც ძალადობის გარკვეულ სახეებზე მიმდინარეობს საუბარი და რას გულისხმობს ამგვარი ფიქსაცია, არის კიდეც ამოსავალი წერტილი ანთროპოლოგ ტალალ ასადისათვის ნაშრომში „თვითმკვლელი ტერორისტების შესახებ“[184]. ასადი ომის მიერ და ტერორიზმის მიერ გამოწვეული ძალადობის განსხვავებათა წარმოების ძიებისათვის ამოსავალ წერტილად იღებს ალან ბადიუს შეკითხვას, იმის შესახებ თუ რატომ აღიწერება ორგანიზებული ძალადობის გამოყენება ტერორიზმის წინააღმდეგ ომად. ასადი ეთანხმება ბადიუს შენიშვნას, რომ წარსულში, განსაკუთრებით კი კოლონიურ კონტექსტში, როდესაც ხელისუფლებები ტერორიზმზე რეაგირებდნენ, ეს არა ომად, არამედ პოლიციის ქმედებად აღიწერებოდა. ამის მაგალითებია ბაადერ-მაინჰოფის ჯგუფზე, ირლანდიის რესპუბლიბკურ არმიაზე, ბასკურ ეტაზე რეაგირებათა „პოლიციის ქმედებად“ ან „უსაფრთხოების ზომებად“ აღწერა. ბადიუს მიხედვით, აშშ-ს მიერ ტერმინ „ომის“ გამოყენება მიუთითებს მის შესაძლებლობაზე, გამოიყენოს ეს ტერმინი, როგორც მისი ლეგიტიმური ძალაუფლებრივი ყოფნის ნიშანი.[185] თუმცა, ასადისთვის მხოლოდ ტერმინ ომზე კონცენტრირება საკმარისი არ არის, რადგანაც 11 სექტემბრის შემდგომი „ომი ტერორიზმის წინააღმდეგ“ ტერმინ ტერორიზმთან შეპირსპირებაში იწარმოება და შესაბამისად, ხდება ამ ორის მიერ გამოწვეულ ძალადობათა განსხვავება. „ახალ“ ან „ტრანსნაციონალურ“ ტერორიზმს, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, რელიგიასთან, კერძოდ კი ისლამთან აკავშირებენ და ამგვარად, ძალადობის ეს ფორმა, რომელიც, ასადის მიხედვით, ხშირად აღიწერება ტოტალიტარულ რელიგიურ ტრადიციად, რომელიც დემოკრატიას უპირისპირდება, არარაციონალურად აღიქმება.[186] ამგვარად, 11 სექტემბრის მიზეზების ძიებისას, ყველაზე პოპულა-

181 იქვე

182 იქვე.

183 Bush, Address to the nation.

184 Asad, On Suicde Bombing; ქართულად გამოუცემელი ნაშრომების ყველა სათაურის თარგმანი, თუ სხვანაირად მითითებული არ არის, აქაც და მომდევნო გვერდებზეც კვლევის ავტორებისაა.

185 იქვე, გვ.8.

186 იქვე.

რული მიზეზი გახდა რელიგია, რომელიც დომინანტურ წარმოდგენებში ტერორზმის საფუძველმდებარე მიზეზად მოიაზრება: ისლამი შეირაცხა ფანატიკურ დაპირისპირებად მოდერნულობის წინააღმდეგ და ამიტომაც, პოპულარული აზრის მიხედვით, იქამდე სანამ ისლამური სამყარო რადიკალურად არ რეფორმირდება, ტერორიზმის განსაკუთრებული საფრთხე მუდმივად დარჩება თანამედროვე სამყაროში.[187]

რელიგიისა და ისლამის არარაციონალურად მოაზრება ასადისათვის იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც მსჯელობათა ამგვარი ხაზი აძლევს მას საშუალებას გამოიკვლიოს როგორც ისლამისა და ქრისტიანობის ისტორიული თანაკვეთები, ჯიჰადის თეოლოგიური მნიშვნელობა, ისე ისტორიული თხრობისათვის დამახასიათებელი სელექციურობა, უფრო კონკრეტულად კი ის, თუ რისი შერჩევა და გადარჩევა ხდება ამგვარი ცივილიზატორული თხრობისას. გარდა იმისა, რომ ყურადღების გამახვილება არარაციონალურობასა თუ არამოდერნიზებულ ისლამზე, უგულებყოფს ურთიერთსაპირისპირო გეოპოლიტიკური ინტერესების მთელ წყებას; ამავდროულად, ისტორიული თხრობიდან ამგვარი მომენტების გამოტოვება, ამარტივებს გლობალურ ძალთა პოლიტიკურ ინტერესებს იმით, რომ ეს ინტერესები ცილიზებულობა-არაცივილიზებულობის თუ რაციონალურობა-ირაციონალურობის დიქოტომიებზე დაიყვანება.[188] ტალალ ასადის აზრით, მთავარი განსხვავება ტერორისტულ ქმედებასა და ომს, ან ტერორისტსა და სამხედრო პირს შორის არის არა სისატიკე ან ის საფრთხე, რომელსაც ის უქმნის ზოგადად ცხოვრების წესს, არამედ მათი ცივილიზატორული სტატუსი. ამიტომაც, აქ განმსაზღვრელია არა ცივილიზაციათა ჯახი (კონფლიქტი ორ შეუთავსებელ ღირებულებით სისტემას შორის), არამედ „ცივილიზაციის“ ბრძოლა „არაცივილიზებულთა“ წინააღმდეგ.[189] ამგვარად, ასადისათვის, დისკურსი ტერორზე ძალადობის სივრცეს ხელახლა განსაზღვრავს, რაც, თავის მხრივ, ყოველდღიური ცხოვრების წესსა და მიმართებებში შიშველ ჩარევასა და ტერორთან მიმართებით მათ მართვას ხდის შესაძლებელს.[190] ამიტომაც, ასადისათვის, იმ სამყაროში, რომელშიც ჩვენ დღეს ვცხოვრობთ, სამყაროში, სადაც ქვეყნები და საზოგადოებები ერთმანეთთან მტკიცედ გადაჯაჭვულია, უმნიშვნელოვანესია ამგვარი ომების კოლონიური საფუძვლების დანახვა. შესაბამისად, საუბარი რეფორმის აუცილებლობაზე ისლამურ ცივილიზაციაში, რომელსაც, ასადის თანახმად, ნამდვილად სჭირდება რეფორმა და ამას მოითხოვენ კიდეც ამ სამყაროს მკვიდრები, იმთავითვე გულისხმობს საუბარს რეფორმის აუცილებლობაზე ევროპასა და აშშ-ში, ვინაიდან რეფორმაზე საუბარი პირველში უნაყოფოა თუ არ გადაიხედება მიდგომები, ინსტიტუციები და პოლიტიკა მეორეში.[191]

187 იქვე, გვ.8-9.
188 იქვე, გვ.13.
189 იქვე, გვ. 37-38.
190 იქვე, გვ, 28.
191 იქვე, გვ.14.

ასადის მსგავსად, თანამედროვე ტერორისტულ აქტებზე მსჯელობისას, დერიდასთვისაც გადამწყვეტი მნიშვნელობისაა იმავდროულად თავად დასავლეთის პოლიტიკასა და პრაქტიკაზე საუბარი ისევე, როგორც საერთაშორისო ინსტიტუციებისა და საერთაშორისო სამართლის გარდაქმნაზე ფიქრი, ვინაიდან 11 სექტემბრის შემდგომ ომისა და ტერორიზმისათვის ზუსტი განმასხვავებელი ნიშნების მოძებნა, მათ შორის გამყოფი ხაზის გავლება სულ უფრო მეტად რთულდება. აქედან გამომდინარე, როგორც სახელმწიფო, ისე გაეროს დონეზე ვხედავთ ისეთ პრობლემებს, როგორებიცაა ტერორიზმისთვის ერთიანი, შეთანხმებული განმარტების დადგენა, რაც, თავის მხრივ, ცნების ოპორტუნისტული აპროპორიაციის შესაძლებლობას ქმნის.[192] დერიდასთვის მნიშვნელოვანია დეკონსტრუქციული ინტერვენცია იმ ძალიან ვიწრო განმარტებაში, რომელიც თანამედროვე სამყაროში სიტყვა ტერორიზმისათვის გამოიყენება და ცირკულირდება დისკურსში, რომელიც დომინანტურია საჯარო სივრცეში და პირველ რიგში, თანამედროვე მედიის ტექნო-ეკონომიკური ძალაუფლებითაა განპირობებული.[193] ხოლო იმისათვის, რომ ამ ვიწრო განმარტებას გასცდეს, დერიდა, გარდა იმისა, რომ ხაზს უსვამს თანამედროვე ომისა და ტერორიზმის განსხვავების სირთულეს, ასევე აღნიშნავს, რომ აუცილებელია დავიწყოთ მსჯელობა სახელმწიფო ტერორზე.[194]

მიუხედავად იმისა, რომ აკადემიურ ლიტერატურაში ტერორიზმის ათობით განმარტება არსებობს, სახელმწიფოებრივ და სახელმწიფოთაშორის დონეზე უნივერსალური, ერთიანი განმარტება დამკვდირებული არ არის. ასე მაგალითად, გაეროს განვითარების დეპარტამენტის მიერ ჩატარებულ კვლევაში აფრიკის სხვადასხვა ქვეყნებში ექსტრემიზმის შესახებ, ავტორები განმარტავენ, რომ ტერორიზმის უნივერსალურად მიღებული დეფინიცია არ არსებობს.[195] პოლიტიკურად საერთო განმარტების არ არსებობა მიუთითებს შეთანხმების სირთულეზე, თუ როდის არის ძალადობის გამოყენება ლეგიტიმური: ვის წინააღმდეგ, ვის მიერ და რა მიზნებისათვის. ამასთანავე, ტერორისტული ქმედებები, კვლევის ავტორთა მიხედვით, უფრო ფართო მასშტაბიანი სტრატეგიის ცალკეულ ტაქტიკად წარმოდგინდება (იქნება ეს სამხედრო თუ გეოპოლიტიკური სტრატეგია).[196]

ამგვარად, ამ აქ მოკლედ აღწერილი სამართლებრივი განმარტებებიდანაც ან მათი არარსებობიდანაც ერთი რამ ხდება ცხადი: ის, რომ ერთი მხრივ, მაგალითად გა-

192 Derrida, Jacques: *Autoimmunity: Real and Symbolic Suicides. Dialogue with Jacques Derrida.* In: Giovanna Borradori (Ed.), Philosophy in a Time of Terror. Dialogues with Jürgen Habermas and Jacques Derrida, 85-136. Chichago and London: The University of Chicago Press, 2003. გვ. 103.

193 იქვე, გვ.108.

194 იქვე, გვ.107.

195 UNDP. Journey to Extremism in Africa: Drivers, Incentives and the Tipping Point fot Recruitment. *09 September 2017.* წვდომა 12 ივნისი, *2018. http://www.undp.org/content/undp/en/home/librarypage/democratic-governance/journey-to-extremism.html;* მიუხედავად იმისა, რომ გაეროს მიერ მიღებული, უნივერსალური, სამართლებრივი განმარტება არ არსებობს, გაეროს გენერალური ასამბლეის 1994 წლის 49/60 რეზოლუცია, რომელიც საერთაშორისო ტერორიზმის აღმოფხვრას ეხება, ასე აღწერს ტერორიზმს: „კრიმინალური ქმედებები, რომლებიც განზრახული ან მიმართულია ფართო საზოგადოებაში ტერორის მდგომარეობის გამოწვევაზე“ (იქვე, გვ.19).

196 იქვე.

ეროს დონეზე არ არსებობს ტერორიზმის უნივერსალური განმარტება, ხოლო, მეორე მხრივ, ნაციონალურ დონეებზე, ტერორიზმი სამართლებრივად სხვადასხვაგვარად განიმარტება,[197] მიუთითებენ იმაზე, რომ თავისთავად ტერორიზმის განმარტებასთან დაკავშირებული საკითხები არამხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების სირთულეს უკავშირდება, არამედ, როგორც არუნ კუდნანი განმარტავს, **ტერმინ „ტერორიზმის“ ყოველი გამოყენება, იმთავითვე, არსებითად პოლიტიკური აქტია.**[198] ამიტომაც, ტერორიზმის განმარტება არასდროს არაა ერთგვაროვანი და საერთო, რადგან ერთგვაროვანი და თანმიმდევრული განმარტება იმთავითვე გულისხმობს ტერმინის დამადანაშაულებელი ძალის მიმართებას ძალადობის ყველა ფორმაზე, რომელიც (როგორც ამას ტალალ ასადიც აჩვენებს) ძალადობის ფორმების იერარქიზებას გამორიცხავს და არც უპირატესობას ანიჭებს მათ.[199]

თუკი, „ძველსა“ და „ახალ ტერორიზმს“ შორის გავლებულ ხაზთა პრობლემატურობა ისევე, როგორც ტერორიზმის ცნების შიგნითვე არსებული ჰეგემონიური პოლიტიკის გამოვლინება, ზემოთ გაშლილი მსჯელობიდან თვალსაჩინოა, ჩვენ აქ კიდევ ერთი რამის დაზუსტება გვჭირდება, კერძოდ: მაინც არის თუ არა რამე ახალი „ახალ ტერორიზმში“? დაახლოებით მსგავს კითხვაზე ცდილობს პასუხის გაცემას გაეროს განვითარების პროგრამის 2017 წლის მიმოხილვითი დოკუმენტი.[200] დოკუმენტი ტერორიზმის ნაცვლად ტერმინ ძალადობრივ ექსტრემიზმს იყენებს და აჯამებს იმ მთავარ განვითარებებს, რომლებიც ძალადობრივ-ექსტრემისტული დაჯგუფებებისთვისაა დამახასიათებელი. შენიშნავს რა, რომ ძალადობრივი ექსტრემიზმი ახალი ფენომენი არაა და არც მხოლოდ „რადიკალურ რელიგიურ რწმენასთანაა“ დაკავშირებული, დოკუმენტი განასხვავებს ოთხ ახალ განვითარებას: 1) ძალადობრივი ექსტრემიზმის გლობალიზაცია, რაშიც პირველ რიგში ძალადობრივ ექსტრემისტული ჯგუფების გლობალური ქსელები და რეკრუტირების ფორმები იგულისხმება; 2) თანამედროვე ტექნოლოგიების, განსაკუთრებით სოციალური ქსელების, რეკრუტირებისათვის ათვისება; 3) ძალადობრივი ექსტრემისტული

197 ევრო კავშირმა 2002 წელს აამოქმედდა ჩარჩო გადაწყვეტილება ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, რომელიც მართალია უშუალოდ ტერორიმზს არ განსაზღვრავს, თუმცა განმარტავს ტერორისტულ თავდასხმას შემდეგი ორი ელემენტის კომბინაციად: 1) ობიექტური ელემენტები (მკვლელობა, სხეულის დაზიანება, მძევლის აყვანა, გამოძალვა, თავდასხმების განხორციელება, ზემოთ ჩამოთვლითაგან რომელიმეს განხორციელების მუქარა) და 2) სუბიექტური ელემენტები (ქმედებები რომელთა ჩადენის მიზანი მოსახლეობის მნიშვნელოვანი დაშინებაა, ქვეყნის ან საერთაშორისო ორგანიზაციის სტრუქტურათა დესტაბილიზაცია ანდა განადგურება ან ხელისუფლების ქმედებათა განხორციელების შეფერხების იძულებაა. იხ.: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=LEGISSUM:l33168. 2002 წლის ეს ჩარჩო გადაწყვეტილება, 2017 წელს ევროპარლამენტისა და ევრო საბჭოს მიერ გამოცემულმა დირექტივამ ჩაანაცვლა. დირექტივამ განსაზღვრა და დაზუსტა ისეთი პუნქტები, როგორებიცაა ტერორისტული თავდასხმა და ტერორისტული თავდასხმების ორგანიზებასთან, დაფინანსებასთან თუ უცხოეთში მებრძოლებთან დაკავშირებული საკითხები. 2017 წლის დირექტივის ცალკეული პუნქტებისათვის იხ. https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX:32017L0541

198 Kundnani, *The Muslims are coming!*, გვ. 18.

199 იქვე.

200 UNDP. Preventing Violent Extremism through Promoting Inclusive Development, Tolerance and Respect for Diversity. A development response to addressing radicalization and violent extremism, 14 February 2017. წვდომა 2 ნოემბერი, 2018. http://www.undp.org/content/undp/en/home/librarypage/democratic-governance/conflict-prevention/discussion-paper---preventing-violent-extremism-through-inclusiv.html

თავდასხმების არაწინასწარმეტყველებადობის მაღალი დონე, რაც გამომდინარეობს სამიზნეების შემთხვევითი შერჩევიდან და 4) მასობრივი განადგურების იარაღის უპრეცედენტო ხელმისაწვდომობა.[201]

ტერმინის „ახალი ტერორიზმი“ ზემოთ გაშლილი პრობლემატიზირებით ჩვენ არ გამოვრიცხავთ ისეთ მოცემულობებს, როგორიცაა ახალი გლობალური, ძალადობრივ-ექსტრემისტული ჯგუფებისა თუ ორგანიზაციების გაჩენა ან მათი ტაქტიკის ცვლილება. ამის ნაცვლად, გაეროს განვითარების პროგრამის მიერ ჩამოთვლილი მახასიათებლების გათვალისწინებასთან ერთად, **ჩვენი მიზანია, მხოლოდ გარეგნულ მახასიათებლებზე კონცენტრირების ნაცვლად, ყურადღების გამახვილება ტერმინის შიგნით არსებულ იერარქიულობაზე, პოლიტიკურ შინაარსზე და აქედან გამომდინარე, მისი მუდმივი დეკონსტრუქციის აუცილებლობაზე.** ამავდროულად, ტერორიზმზე, ტერორიზმთან გამკლავებასა თუ ტერორის წინააღმდეგ ომზე მსჯელობისას ჩვენ არ უნდა გამოგვრჩეს ორი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზეც საუბრობენ ტალალ ასადი და არუნ კუნდნანი. ასადის თანახმად, ის რაც ახალი იყო „ომში ტერორის წინააღმდეგ“ არის „ფაქტი, რომ ტერორის წინააღმდეგ ომის მეშვეობით ახალი ეპისტემოლოგიური ობიექტის კონსტრუირება ხდება შესაძლებელი“.[202] ხოლო, კუნდნანის მიხედვით, „ომი ტერორის წინააღმდეგ“ – და მას თანდართული დიდძალი მსხვერპლი ავღანეთში, ერაყში, იემენში თუ სხვაგან – იკვებებოდა მუსლიმ მსხვერპლთა რასიალიზებული დეჰუმანიზაციით. „საზოგადოებრივმა სხეულმა“, როგორც კუნდნანი განმარტავს, „რომლის არსებობაც დამოკიდებულია იმპერიალისტურ ძალადობაზე უნდა აღმოაჩინოს იდეოლოგია, რომელიც ბუნდოვანს გახდის ამ დამოკიდებულებას, თუკი მას ლეგიტიმურობის მიღწევა სურს“.[203] რასიზმის მრავალ სახეობას შეუსრულებია მოდერნულ ეპოქაში ეს როლი, თუმცა კუნდნანის თანახმად, დღეს უპირატესობა ისლამოფობიას ენიჭება. მუსლიმობის რასიალიზაცია მისთვის მნიშვნელოვანწილად ანტისემიტიზმის მსგავსია. თუმცა, კუნდნანისთვის ისლამოფობიის სტრუქტურულ რასიზმად განმარტება ცხადია არ გულისხმობს ისლამური რწმენის ყოველგვარი კრიტიკის რასისტულად გამოცხადებას, მაგრამ ისლამოფობიასა და ანტისემიტიზმს შორის სტრუქტურული მსგავსების დანახვა და აღიარება გულისხმობს წინააღმდეგობის გაწევას იმ სოციალური და პოლიტიკური პროცესებისათვის, რომელთა შედეგათაც ისლამისადმი ანტიპათია გამოიხატება ქუჩებში ძალადობრივი თავდასხმებითა და სახელმწიფო სტრუქტურებში ძალადობის ინსტიტუციონალიზებით, რისი მაგალითიცაა მუსლიმთა მონიტორინგი და პირადი ცხოვრების ამსახველი საინფორმაციო ბაზების შექმნა, სამოქალაქო უფლებების დარღვევა და სხვ.[204]

201 იქვე, გვ. 12.

202 Asad, *On Suicide Bombing*, გვ. 29; ქართულად გამოუცემელი წიგნებიდან ციტატების თარგმანი აქაც და ყველა სხვა ადგილას, თუ სხვანაირად მითითებული არ არის, კვლევის ავტორებისაა.

203 Kundnani, *The Muslims are coming!*, გვ. 11-12.

204 იქვე.

დღეს, საერთაშორისო პოლიტიკასა თუ სამეცნიერო ლიტერატურის უდიდეს ნაწილში „ომი ტერორის წინააღმდეგ“ და სამხედრო ინტერვენციები ავღანეთსა და ერაყში არამხოლოდ ეფექტური შედეგების მომტანად აღარ აღიქმება, არამედ, დაახლოებით, 2004-2005 წლებიდან მოყოლებული, როგორც ტერორიზმის კვლევების შესახებ აკადემიურ ლიტერატურაში, ისე სახელმწიფოთა და სახელმწიფოთაშორის დონეებზე, იწყება ახალ სტრატეგიათა ძიება ტერორიზმის აღმოფხვრისა და გამკლავებისათვის. თუმცა, ხშირად, სწორედ ამ ახალი სტრატეგიების ძიებას და იმპლემენტაციას უკავშირდება ის, რასაც ტალალ ასადი ახალი ეპისტემოლოგიური ობიექტის კონსტრუირებას უწოდებს.

თავი 3:
რელიგია, პოლიტიკა და *მიმიკრია* პანკისის ხეობაში

თანამედროვე პანკისის რელიგიური სურათი კომპლექსური ისტორიული, პოლიტიკური და სოციალური პროცესების ფონზე ჩამოყალიბდა. წინამდებარე ნაშრომი რელიგიას განიხილავს დისკურსული პროცესის ისტორიულ შედეგად, რომლის უნივერსალური განსაზღვრება შეუძლებელია, ვინაიდან მისი შემადგენელი ელემენტები ისტორიული თვალსაზრისით სპეციფიკურია.[205] ჰეგემონური პარადიგმა უგულებელყოფს ადგილობრივ ეპისტემოლოგიას და ძალაუფლებრივ დისბალანსს. ამიტომაც, წინამდებარე კვლევისთვის მნიშვნელოვანია ამ ჰეგემონური მონოლოგის გარღვევა და პანკისელთა პერსპექტივების შემოყვანა დიალოგში.

პანკისის ხეობის რელიგიური სურათის აღწერისას მკვლევრები გამოყოფენ სალაფიტური და ტრადიციული ისლამის მიმდევრებს. ამასთანავე, ისინი ურთიერთჩანაცვლებად ტერმინებად იყენებენ, ერთი მხრივ, სალაფიზმს და ვაჰაბიზმს, მეორე მხრივ კი, ტრადიციულ და სუფიურ ისლამს. როგორ ჩამოყალიბდა პანკისის რელიგიური სურათი და რამდენად სწორია მისი ამ სახელდებებით აღწერა? პანკისის კრიზისი აღმოჩნდა ის საკვანძო ისტორიული მომენტი, რომელმაც განსაზღვრა ადგილობრივთა რწმენის და ცხოვრების წესის დომინანტური ინტერპრეტაცია და შეფასება. ვაჰაბიზმი გახდა ის სახელდება, რომელის საშუალებითაც მედია და ექსპერტები ხსნიან პანკისში მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებს.[206] **მაგრამ არის თუ არა ვაჰაბიზმი შესაბამისი ტერმინი პანკისში გავრცელებული ღვთისმოსაობის აღსაწერად? არის თუ არა პანკისის რელიგიური სურათი დიქოტომიური? რას გულისხმობს ახალი ეპისტემოლოგიური ობიექტის კონსტრუირება[207] პანკისის ხეობის კონტექსტში?**

პირველ და მეორე თავებში საუბარი გვქონდა იმ გეოპოლიტიკურ მიზეზებზე, რომლებმაც განაპირობეს გლობალურ ძალთა და კერძოდ, რუსეთის მიერ ჩრდილო კავკასიელი და პანკისელი ახალი ღვთისმოსავებისგან „ვაჰაბიტის“ სახე-ხატის შექმნა და დამოუკიდებლობისთვის მებრძოლთა ჰეტეროგენული ჯგუფის ტერორისტებად მონიშვნა. ასევე, ნაწილობრივ შევეხეთ იმ მიზეზებს, რომელთა გამოც ეს ნარატივი საქართველოს პოლიტიკური საზოგადოებისთთვის მისაღები გახდა. ამ თავში განვაგრძობთ მსჯელობას იმის შესახებ, თუ რამ განაპირობა პანკისელი ქისტების განხილვა იმპერიული აქტორების მიერ შემუშავებული კატეგორიებით და კლასიფიკაციებით.

205 Asad, Talal. „The Idea of an Anthropology of Islam.“ *Qui Parle* 17 (2009): 1-30.

206 კეკელიძე, თამარ. *პანკისი პრესის ფურცლებზე.* თბილისი: კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 2007, გვ. 64-65

207 Asad, Talal. *On Suicide Bombing*. New York: Columbia University Press, 2007, გვ, 29. ახალი ეპისტემოლოგიური ობიექტის შესახებ ასადისეულ მსჯელობაზე უფრო დაწვრილებით იხ. თავი 2.

3.1. რელიგიური ტრანსფორმაცია პანკისის ხეობაში

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ ისლამის ისტორიული, სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობა პანკისელი ქისტებისთვის. XIX საუკუნეში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი ჩრდილოეთ კავკასიელებში ქრისტიანობის გავრცელებაც იყო. პანკისის ხეობაში მიმდინარე გაქრისტიანებისა და განმანათლებლობის მცდელობებიც საჭიროებს ამ კონტექსტში განხილვას. ქისტი საზოგადო მოღვაწე მათე ალბუთაშვილი (1863-1953), რომელიც თავად იყო ქრისტიანი მღვდელი, აღწერს, თუ როგორ მონათლა რუსეთის მთავრობამ ჯოყოლოში[208] პირველმოსახლე მუსლიმი ქისტები ძალით და როგორ შეეხიზნა ზოგიერთი ქისტი ტყეს მონათვლისთვის თავის ასარიდებლად. თუმცა, რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებმა ოფიციალურ დოკუმენტებში გახიზნულებიც კი ქრისტიანად აღრიცხეს.[209] ამასთანავე, პანკისელი ქისტებისგან განსხვავებით, საქართველოს სხვა კუთხეებში ფრაგმენტულად დასახლებულმა ქისტებმა ქრისტიანობა მიიღეს და მათი შთამომავლობა ქართულ მოსახლეობასთან ასიმილირდა.[210] ამგვარად, ქრისტიანობის მიღება პანკისელი ქისტისთვის ქართულ მოსახლეობასთან ასიმილირების საფრთხეს და რუსეთის იმპერიული ინტერესების მორჩილებას გულისხმობდა. ქრისტიანობისგან განსხვავებით, ისლამი, რომელიც XIX საუკუნის მიწურულს და XX საუკუნის დასაწყისში ძირითადად ჩრდილოეთ კავკასიელი ისლამის მქადაგებლების მეშვეობით ვრცელდებოდა, პანკისელი ქისტებისთვის ამგვარი იმპერიალისტური და ასიმილაციონისტური რისკების შემცველი არ იყო. პირიქით, ისლამი პანკისელი ქისტებისთვის თვითმყოფადობის შენარჩუნების საშუალება იყო[211] და რუსული იმპერიალიზმის ინტერესებისადმი დაუმორჩილებლობასაც გულისხმობდა. 1898-1902 წლებში ადგილობრივმა მუსლიმებმა თავიანთი სახსრებით ააშენეს პანკისის ხეობის პირველი მეჩეთი სოფელ დუისში. მეჩეთის აშენების წინააღმდეგი იყვნენ ადგილობრივი ქრისტიანები და რუსეთის იმპერიული მთავრობა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში უარს ამბობდა მეჩეთის მშენებლობის ნებართვის გაცემაზე.[212,213]

208 ქისტებით დასახლებული ერთ-ერთი სოფელი პანკისის ხეობაში.

209 ალბუთაშვილი, მათე. *პანკისის ხეობა: ისტორიულ-ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული აღწერა.* თბილისი, 2005, გვ. 216-217.

210 მარგოშვილი, ლეილა. *პანკისელი ქისტების წეს-ჩვეულებები და თანამედროვეობა.* თბილისი: მეცნიერება, 1985, გვ. 7.

211 ზვიადაძე, სოფო. *ისლამი, პოლიტიკა და იდენტობა პანკისში.* თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2016. წვდომა ნოემბერი 20, 2017. http://www.cipdd.org/upload/files/pankisi-web.pdf. გვ.7.

212 Sanikidze, George. "Islamic Resurgence in the Modern Caucasian Region: "Global" and "Local" Islam in the Pankisi Gorge." In *Regional and Transregional Dynamism in Central Eurasia: Empires, Islam and Politics*, edited by Tomohiko Yuama, 263-282. Sapporo: Hokkaido University Press, 2007.

213 Kurtsikidze, Shorena and Vakhtang Chikovani."Georgia's Pankisi Gorge: An Ethnographic Survey." *Berkeley Program in Soviet and Post-Soviet Studies: Working Paper Series*, 2002. წვდომა 20 ნოემბერი, 2017. https://escholarship.org/uc/item/64d7v9hj

მეოცე საუკუნის დასაწყისში პანკისში გავრცელებული იყო სუფიური მოძღვრებები ყადირის (კადირიას) ორდენისა და ნაყშბანდიას ორდენის სახით.[214] მოგვიანებით, საბჭოთა კავშირის პირველ ათწლეულებში, ორიენტალიზმისა და ახალი სეკულარული სუბიექტურობის წარმოების ფარგლებში თვალსაჩინოა ისლამის მონიშვნა „რელიგიურ ფანატიზმად", „მავნე ჩვევებად" და „მაჰმადიანური რელიგიის ანტისაზოგადოებრიობის" შესახებ აზრის დამკვიდრების მცდელობები.[215] ამ პერიოდში საბჭოთა ხელისუფლებამ მრავალი სუფისტი სასულიერო პირი გადაასახლა და მეჩეთები დახურა. შედეგად, მათ შორის პანკისში გავრცელებული ისლამიც თეოლოგიური სიღრმეებისგან დაიცალა. საბჭოთა სამეცნიერო ნაშრომებისთვის დამახასიათებელი იყო ისლამის „ოფიციალურ" ანუ უვნებელ და „არაფორმალურ" ე.ი. საშიშ პრაქტიკებად დაყოფა.[216] „ოფიცილალურ" ისლამს წარმოადგენდა სახელმწიფოს მიერ კონტროლირებული ინსტიტუციონალიზებული მუსლიმთა სამმართველოები, ხოლო მის ფარგლებს მიღმა მყოფი „არაფორმალური" რელიგია მიჩნეული იყო „ნეგატიურ ფენომენად".[217] ისტორიკოსი გიორგი სანიკიძე ქისტების ისლამისკენ მიბრუნებაში „არაფორმალური" ე.ი. „პარალელური" ისლამის მნიშვნელოვან როლს ხედავს.[218] სანიკიძის თანახმად, „პარალელური" ისლამი წარმოდგენილი იყო დაურეგისტრირებელი და „მოხეტიალე" სასულიერო პირებით, რომლებიც რელიგიურ რიტუალებს (ქორწინება, დაკრძალვა) ასრულებდნენ და ლოცვებს „არაფორმალურ" სამლოცველო სახლებში აღავლენდნენ. აქედან გამომდინარეობს, სუფიური ორდენების მიმდევრების მეხსიერებაში რიტუალების შემორჩენა. ამ მოცემულობაში, პანკისში, 1969 წელს ხელახლა გაიხსნა დუისის მეჩეთი,[219] ხოლო სუფიური ორდენები დღევანდელობაში „ტრადიციული ისლამის" სახითაა ცნობილი.

1990-იან წლებში პანკისის ხეობაში კომპლექსური ისტორიული, პოლიტიკური და სოციალური პროცესების ფონზე დაიმკვიდრა ადგილი სალაფიზმმა. კვლევის ფარგლებში გაანალიზებულ ინტერვიუებსა და მეორად წყაროებზე დაყრდნობით შეიძლება სალაფიზმის გავრცელების რამდენიმე გარემოება გამოვყოთ: 1. რუსეთ-ჩეჩნეთის კონფლიქტის დროს ჰუმანიტარული დახმარების გამწევი ისლამური საქველმოქმედო ორგანიზაციების და სწავლულების გამოჩენა; 2. ჩეჩნების დასახმარებლად ჩამოსული მუჯაჰიდების

214 ნაყშბანდიის ორდენის ფუძემდებლად ითვლება შუა აზიელი ბაჰაუდინ ნაყშბანდ ბუხარი (1318-1389). სუფიური ისლამის ეს მიმდინარეობა პანკისში აზერბაიჯანელმა მქადაგებელმა ისა ეფენდიმ გაავრცელა, რომელიც ხეობას 1909 წელს ეწვია. კადირიას ორდენის ჩამოყალიბება ჩრდილოეთ კავკასიაში ქუნთა ჰაჯის სახელთანაა დაკავშირებული. პანკისში კადირიის ორდენი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში გავრცელდა.

215 მარგოშვილი, ლეილა. *პანკისელი ქისტების წეს-ჩვეულებები და თანამედროვეობა.* თბილისი: მეცნიერება, 1985, გვ.55

216 McBrien, Julie. *The Fruit of Devotion: Islam and Modernity in Kyrgyzstan*. 2008, წვდომა 6 ნოემბერი, 2017 https://d-nb.info/1024975843/34.

217 Schoeberlein, J. „Heroes of Theory: Central Asian Islam in Post-War Soviet Ethnography." In *Exploring the Edge of Empire: Soviet Era Anthropology in the Caucasus and Central Asia*, edited by Florian Muhlfried and Sergey Sokolovsky. Zurich: Lit Verlag, 2011. გვ. 61-62.

218 Sanikidze, George. "Islamic Resurgence in the Modern Caucasian Region: "Global" and "Local" Islam in the Pankisi Gorge." In *Regional and Transregional Dynamism in Central Eurasia: Empires, Islam and Politics*, edited by Tomohiko Yuama, 263-282. Sapporo: Hokkaido University Press, 2007. გვ. 273

219 იქვე, გვ. 273.

რელიგიური მიკუთვნებულობა; 3. რუსეთის მიერ ჩეჩენთა შორის დაპირისპირების ხელშეწყობა და სუფიური ისლამის „უვნებელ“, ხოლო სალაფიტურის – „საშიშად“ მონიშვნა. რუსეთმა პირველი თავის დასაყრდენ ძალად გამოაცხადა,[220] ხოლო მეორისგან მტრის ხატი შექმნა და ტერორისტებად მონიშნა. ამ გარემოებამ სალაფიტურ ისლამს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის კონტექსტში დამატებითი პოლიტიკური მნიშვნელობა შესძინა. 4. პანკისის ხეობაში თავშეფარებული ჩეჩენი ლტოლვილების რელიგიური მიკუთვნებულობა. 5. პანკისელ ახალგაზრდებს არაბული ენისა და ისლამური თეოლოგიის სიღრმისეული შესწავლის შესაძლებლობა მიეცათ ახლო აღმოსავლეთის და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში (ლიბანი, სირია, საუდის არაბეთი, ეგვიპტე). 6. ტრადიციული ისლამის წარმომადგენელი სასულიერო პირების თეოლოგიური ცოდნის არასათანადოობა, რამაც განაპირობა მორწმუნეთა ყურადღების მიმართვა სალაფიტური ავანგარდისკენ.[221]

3.2. რელიგია სხვისი მზერის ქვეშ

1990-იანების მიწურულს პანკისის ხეობაში გავრცელებული ახალი ღვთისმოსაობის აღმნიშვნელად მკვლევრებმა, ექსპერტებმა და ჟურნალისტებმა ტერმინი „ვაჰაბიზმი“ დაამკვიდრეს.[222,223,224] ისინი ნიუანსირების გარეშე საუბრობენ ისლამურ ფუნდამენტალიზმზე, რადიკალიზმზე, ვაჰაბიზმსა და ტერორიზმზე, როგორც თითქოს თავისთავად ცხად ტერმინებზე. რა წინასწარ განსაზღვრული მნიშვნელობის მატარებელია ეს სახელდებები? მაინც რას გულისხმობენ, როდესაც დომინანტური თვალთახედვიდან მსჯელობენ „ვაჰაბიზმზე“? მაგალითად, მკვლევარი ხვთისო მამისიმედიშვილის თანახმად, ვაჰაბიზმი გულისხმობს „ისლამის რადიკალურ მიმდინარეობას“, კრიმინალთან დაკავშირებულ „ორგანიზებულ დაჯგუფებას“, „ჩრდილოკავკასიელ მუსლიმებში დამკვიდრებული წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ მოლაშქრეთა“ რელიგიას, რომლის მიმდევრებიც „ურწმუნოებაში სდებენ ბრალს ყველა მუსულმანს, ვინც არ იზიარებს მათ შეხედულებებს“.[225] პრესის ფურცლებზე კი პანკისის ხეობაში „ვაჰაბიზმის“ არსებობის შესახებ ინფორმაცია პირველად 1998 წლის 27 ნოემბერს გავრცელდა. სტატიაში „ვაჰაბიზმი“ წარმოჩენილია, როგორც იდეოლოგია,

220 ხანგოშვილი, ხასო. „რელიგია და ტერორიზმი.“ *საღვთო წიგნები: ბიბლია, სახარება, ყურანი.* თბილისი: მერიდიანი, 2014. გვ. 695

221 მაგალითად, ამ უკანასკნელ პუნქტზე, ერთ-ერთი რესპონდენტი, მასწავლებელი ჯოყოლოდან, აღნიშნავს, რომ ტრადიციული ისლამის მიმდევრებს ახალგაზრდების ცნობისმოყვარე კითხვებზე პასუხი არ ჰქონდათ, ხოლო ახლო აღმოსავლეთში რელიგიურ განათლება მიღებულ სალაფიტებს კი „ყველა კითხვაზე პასუხი ჰქონდათ.“ (ინტერვიუ, რესპონდენტი 19, 17/09/2017).

222 მამისიმედიშვილი, ხვთისო. *პანკისი: წარსული და თანამედროვეობა.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008. გვ. 286

223 მაისაია, ვახტანგ. *თანამედროვე ისლამის როლი მსოფლიო გეოპოლიტიკაში.* წვდომა 20 მაისი, 2018. https://bit.ly/2LBubKz

224 Sanikidze, George. “Islamic Resurgence in the Modern Caucasian Region: “Global” and “Local” Islam in the Pankisi Gorge.” In *Regional and Transregional Dynamism in Central Eurasia: Empires, Islam and Politics*, edited by Tomohiko Yuama, 263-282. Sapporo: Hokkaido University Press, 2007.

225 მამისიმედიშვილი, ხვთისო. *პანკისი: წარსული და თანამედროვეობა.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008. გვ. 286.

რომელსაც „ნოხჩის“[226] იდეათა პროპაგანდისა და გავრცელებისთვის იყენებდა იჩქერიის ლიდერთა ერთი ნაწილი.[227]

პანკისელთა ახალი ღვთისმოსაობა მკვლევრებისა და ჟურნალისტების დომინანტური თვალთახედვიდან თავიდანვე „საფრთხის“ აღმნიშვნელი გახდა.[228] როგორც მკვლევარი ლია ხუციშვილი აღნიშნავს, ვაჰაბიზმი კოდია, „რომელიც გულისხმობს ისლამის მხრიდან ახალ საშიშროებას“.[229] ანთროპოლოგი ქეთევან ხუციშვილის აზრით კი, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში სასწავლებლად წასულ ახალგაზრდებს „ვაჰაბიტებად“ ამზადებენ და სამშობლოში დაბრუნებულები ისინი „საკმაოდ საშიშ ძალას“ წარმოადგენენ.[230] ისტორიკოსი ლია მელიქიშვილი პანკისელების გაზრდილ რელიგიურობაში ქართული ღირებულებების უარყოფის ნიშნებს და ისლამური სამყაროსკენ ორიენტაციას ხედავს.[231] მკვლევარი ვახტანგ მაისაია „ვაჰაბიზმს“განიხილავს ისლამურ ფუნდამენტალიზმად, რომელსაც, ამავდროულად, პირდაპირ უკავშირებს ტერორიზმსა და ალ-ქაიდას.[232] გიორგი სანიკიძის თანახმად ტერმინი „ვაჰაბიზმი“ პოლიტიკური ისლამისა და ექტრემისტული ისლამური მოძრაობების დასახასიათებლად გამოიყენება.[233] უახლესი კვლევების ავტორები კი, უფრო დახვეწილად და ირიბად ავლებენ ამგვარ პარალელებს.[234,235] ამგვარად, ქართულ მედიაში და სამეცნიერო კვლევებში „ვაჰაბიზმი“ არის (1) წინასწარგანსაზღვრული წარმოდგენებისა და განზოგადებების ერთგვარი კრებითი აღმნიშვნელი; (2) ადგილობრივთა რელიგიური გამოცდილების კვლევის გარეშე მათზე თავსმოხვეული სახელდება, რომელიც არ ითვალისწინებს კონტექსტს და სპეციფიკას; (3) არსებითად მცდარად გაგებული, თავად რელიგიური მიმდინარეობის ძირითადი მახასიათებლების თვალსაზრისითაც. მაგალითად, მკვლევარ ჩიქოვანთან ვკითხულობთ, რომ „მისი [„ვაჰაბიზმის“] მომხრეები „გა-

226 ნოხჩი - ჩეჩნების თვითსახელწოდება.

227 კეკელიძე, თამარ. *პანკისი პრესის ფურცლებზე.* თბილისი: კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 2007. გვ. 64.

228 კაკაბაძე, გიორგი. „ვაჰაბიზმის საფრთხეები საქართველოსთვის.“ რადიო თავისუფლება. მაისი 2, 2002.

229 ხუციშვილი, ლია. „რელიგიური რეორიენტაციის პრობლემები პოლიტიკურ საზოგადოებაში.“ *უსაფრთხოების სტრატეგიის ეთნიკური ასპექტები (პანკისის კრიზისი),* რედ. ლია მელიქიშვილი. თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2002. გვ. 165.

230 ხუციშვილი, ქეთევან. „კავკასია გეოპოლიტიკური თვალსაზრისით (სუბიექტები, ინტერესები).“ *უსაფრთხოების სტრატეგიის ეთნიკური ასპექტები (პანკისის კრიზისი),* რედ. ლია მელიქიშვილი. თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2002. გვ. 23

231 მელიქიშვილი, ლია. *უსაფრთხოების სტრატეგიის ეთნიკური ასპექტები (პანკისის კრიზისი).* თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2002. გვ 6

232 მაისაია, ვახტანგ. თანამედროვე ისლამის როლი მსოფლიო გეოპოლიტიკაში. წვდომა 20 მაისი, 2018. https://bit.ly/2LBubKz

233 Sanikidze, George. “Islamic Resurgence in the Modern Caucasian Region: “Global” and “Local” Islam in the Pankisi Gorge.” In *Regional and Transregional Dynamism in Central Eurasia: Empires, Islam and Politics*, edited by Tomohiko Yuama, 263-282. Sapporo: Hokkaido University Press, 2007. გვ. 274.

234 გოგუაძე, გიორგი და სერგი კაპანაძე. *დაეში და საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები.* საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS), 2015. წვდომა 10 სექტემბერი, 2017. http://grass.org.ge/wp-content/uploads/2015/11/daesh-da-skhva-gamotsvevebi.pdf

235 გობრონიძე, გიორგი. *ისლამის რადიკალიზაციის პრობლემა, სახელმწიფოს პოლიტიკა და რეგიონული თანამშრომლობის პერსპექტივები - ხედვა საქართველოდან.* თბილისი: კავკასიური სახლი, 2017. წვდომა 20 მარტი, 2018. http://regional-dialogue.com/wp-content/uploads/2018/03/mar-GE.pdf

მოდიან „ისლამის განწმენდისთვის „ბიდ“-აზე (bid“ah) უარის თქმით, უარყოფენ სუნიტურ მაზჰაბებს,[236] მექაში მოლოცვისთვის სიარულს, წმინდანთა კულტებს და სხვ“.[237] ზემოთ აღნიშნულ აღწერაში ცალსახად ჩანს, ერთი მხრივ, უცხოენოვან წყაროებში მოძიებული ვაჰაბიზმის მახასიათებლების ადგილობრივ ღვთისმოსაობაზე მორგება და, მეორე მხრივ, თავად ამ მახასიათებლების სიმცდარე. მაგალითად, ვაჰაბიზმი არ კრძალავს მექის მოლოცვას, რაც შეეხება მაზჰაბებს, არც ეს შეესაბამება ცალსახა სიმართლეს, რადგანაც სალაფიტებში ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებულ მიდგომებს ვაწყდებით.[238] (4) „ვაჰაბიზმისა“ და „ტრადიციული ისლამისგან“ მკვლევრებმა შექმნეს „საშიში“ და „უვნებელი“ ისლამის კატეგორიები, რის შედეგადაც თაობებს შორის რიგითი უთანხმოება რელიგიურობის არსზე სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხად წარმოაჩინეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევართა ნაწილი არ ეთანხმება პანკისში ახალი ღვთისმოსაობის ზემოთ აღწერილ შეფასებებს. ასე მაგალითად, დობროსლავა ვიქტორ-მაჩმა პანკისში ჩატარებული ეთნოგრაფიული კვლევის შედეგად დაასკვნა, რომ პანკისში ისლამის ტრადიციულ და სალაფიტურ კატეგორიებად დაყოფას შეცდომაში შევყავართ რამდენიმე მიზეზის გამო: 1. ეს კატეგორიები თითოეულ ჯგუფს ჰომოგენურ ერთობად მოიაზრებს, მაშინ როდესაც თავად ტრადიციულ ისლამშიც კი გვხვდება სხვადასხვა თარიყათები (სუფიური ორდენები) და პრაქტიკები, ისევე როგორც სალაფიტურ ისლამში გვხვდება განსხვავებული მიდგომები და ჯგუფები.[239] 2. დიქოტომიური კლასიფიკაცია უგულებელყოფს ისტორიულ კონტექსტს და ისლამის განვითარების დინამიკას რეგიონში. ისტორიის მანძილზე ჩეჩნების წინააღმდეგობაში რელიგიის როლი წამყვანი იყო : თუ მეცხრამეტე საუკუნეში ანტიიმპერიული წინააღმდეგობა გადაჯაჭვული აღმოჩნდა სუფიზმთან, 1990-იანებში ჩეჩნეთის წინააღმდეგობა გლობალური ისლამური მოძრაობების იდეებთან გადაიკვეთა. 3. დიქოტომიური კლასიფიკაცია უგულებელყოფს ჰიბრიდულ ჯგუფებს, რომლებიც თავს სუნიტური ისლამის მიმდევრებად მოიაზრებენ, მაგრამ არცერთ ქვეჯგუფს არ მიაკუთვნებენ თავს. კიდევ ერთი მკვლევარი, რებეკა გოულდი, რომელმაც ასევე ეთნოგრაფიული კვლევა ჩაატარა პანკისის ხეობაში, აღნიშნავს, რომ ახალი ღვთისმოსავების „ვაჰაბიტებად“ სახელდება არ ითვალისწინებს განსხვავებებს, წყვეტას და სპეციფიკას, ერთი მხრივ, ვაჰაბიზმსა და სალაფიტურ მოძრაობას შორის, და მეორე მხრივ, სალაფიტურ მოძრაობასა და ამჟამად პანკისში გავრცელებულ ისლამს შორის.[240]

236 რელიგიური სამართლის სკოლა.

237 ჩიქოვანი, გულდამ. „დასახლების სტრუქტურული ცვლილებები, კონფლიქტური სიტუაციები და მათი დარეგულირების ტრადიციული მექანიზმები.“ *უსაფრთხოების სტრატეგიის ეთნიკური ასპექტები (პანკისის კრიზისი),* რედ. ლია მელიქიშვილი. თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2002. გვ. 121

238 Bin Ali, Mohamed. *The Roots of Relitious Extremism: Understanding the Salafi Doctrine of Al-Wala' wal Bara'.* London: Imperial College Press, 2016.

239 Wiktor-Mach, Dobroslawa. „Competing Islamic Traditions in the Caucasus.“ *Caucasian Review of International Affairs* 3 (2009): 63-69.

240 Gould, Rebecca.“Secularism and Belief in Georgia's Pankisi Gorge.” *Journal of Islamic Studies* 22 (2011): 339-373.

3.3. სალაფიზმის მრავალგვარობა და სახელდების ძალაუფლება

პანკისის ხეობაში გავრცელებული ახალი ღვთისმოსაობის „ვაჰაბიზმად“ სახელდებით ვლინდება ამ დისკურსის უკან მდგომი ძალაუფლებრივი ცენტრები და ინტერესები. ქვინტან ვიქტოროვიჩი მის ნაშრომში „სალაფიტური მოძრაობის ანატომია“ აღნიშნავს, რომ „ვაჰაბიზმი“ არის სახელდება, რომელსაც სალაფიტების ოპონენტები იყენებენ მათი აბდ ალ-ვაჰაბის (Abd al-Wahhab) მიმდევრებად წარმოსაჩენად და შესაბამისად, სალაფიტებზე უცხოური ინტერესების გავლენის ხაზგასასმელად.[241] ამასთანავე, მკვლევარი კონორ პრასადი შენიშნავს, რომ „ეს ტერმინი ჩვეულებრივ გამოიყენება პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში ნებისმიერი ღვთისმოსავი მუსლიმის მიმართ“.[242] **ეს სახელდება განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება ისეთ ქვეყნებში, სადაც სალაფიტები მუსლიმური თემის უმცირესობას წარმოადგენენ. სალაფიზმი უფრო ფართო ცნებაა ვიდრე ვაჰაბიზმი.[243] დობროსლავა ვიქტორ-მაჩი, რომელმაც ეთნოგრაფიული კვლევა ჩაატარა პანკისში, აღნიშნავს, რომ ტერმინები „ვაჰაბიზმი“ და „სალაფიზმი“ რუსეთის ანტიჩეჩნურ დისკურსში გამოიყენება „ექსტრემიზმისა“ და „ტერორიზმის“ სინონიმებად.[244] პანკისელი სალაფიტებიც თვლიან, რომ „ვაჰაბიტი“ მათი მტრების მიერ კონსტრუირებული ტერმინია, რომელშიც მტერი მოიაზრებს ნეგატიურ აღმნიშვნელს:** „ვაჰაბისტი ასოცირდება ტერორიზმთან“, ასე განგვიმარტა პანკისელმა სალაფიტმა ამ ტერმინის საკუთარი აღქმა და დაამატა, „ვაჰაბისტი ასოცირდება რაღაც ურჩხულთან, ცუდის გამკეთებელთან, მკვლელთან, მომპარავთან, ყაჩაღთან“.[245]

პანკისელი სწავლულები ამბობენ, რომ ისინი თავს უბრალოდ სუნიტური ისლამის მიმდევრებად მიიჩნევენ. ერთ-ერთი ყოფილი იმამის აზრით, „მტერს“ მათი ამგვარი სახელდება სჭირდება იმისათვის, რომ მონიშნოს „არასწორი“ ისლამი და გამიჯნოს ის „სწორი“ ისლამისგან.[246] ერთ-ერთი სალაფიტი აღნიშნავს, რომ მუჰამად ალ ვაჰაბის ერთი წიგნიც კი არ წაუკითხავს და მისთვის გაუგებარია, რატომ უნდა იყოს ვაჰაბისტი.[247] კიდევ ერთი პანკისელი სალაფიტი საკუთარი თავის განსაზღვრის უშედეგო მცდელობაზე მიანიშნებს: „სულ ყოველთვის ამას ვყვირით: არა ვართ ჩვენ ვაჰაბისტები [...] მუსლიმები ვართ ხალხო, მუსლიმები“.[248]

241 Wiktorowicz, Quintan. „Anatomy of the Salafi Movement.“ *Studies in Conflict & Terrorism* 29 (2006): 207-239.

242 Prasad, Conor. *Georgia's Muslim Community: A Self-Fulfilling Prophecy?* ECMI Working Paper, 2017. წვდომა სექტემბერი 15, 2017. https://www.ecmi.de/uploads/tx_lfpubdb/Working_Paper_58_En.pdf

243 Bin Ali, Mohamed. *The Roots of Relitious Extremism: Understanding the Salafi Doctrine of Al-Wala' wal Bara'*. London: Imperial College Press, 2016. გვ. 21.

244 Wiktor-Mach, Dobroslawa. „Competing Islamic Traditions in the Caucasus.“ *Caucasian Review of International Affairs* 3 (2009): 63-69.

245 ინტერვიუ, რესპონდენტი N 8, 30/10/2017.

246 ინტერვიუ, რესპონდენტი N 3, 16/09/2017.

247 ინტერვიუ, რესპონდენტი N 1, 14/09/2017.

248 ინტერვიუ, რესპონდენტი N 2, 14/092017.

თავად სალაფიტებისთვის სასურველი სახელდებებია აჰლ უს-სუნნა ვალ ჯამ'ა (أهل السنة والجماعة – ahlus sunnah wal jammah) და აჰლ ალ-ჰადისი (أهل الحديث – ahl al-hadith). **თუმცა, ორიენტად (აღმოსავლეთად) მონიშნულ პანკისელ სალაფიტებს საკუთარი თავის აღწერის და განსაზღვრის უფლება წართმეული აქვთ.** ორიენტი ობიექტია, რომელსაც აღწერენ, რომელზეც მსჯელობენ და რომელსაც განსაზღვრავენ. სწორედ ამ ხმის წართმევის აქტს მიიჩნევს პალესტინელი წარმოშობის პოსტკოლონიალისტი თეორეტიკოსი ედუარდ საიდი ისლამის ორიენტალიზაციის ერთ-ერთ ასპექტად.[249] ორიენტალიზმის პრობლემა არის არა მხოლოდ რეალობის დამახინჯება, არამედ ისიც, რომ ის რეალობის შემქმნელი ხდება. რეალობის დეორიენტალიზაცია და ისლამის ანტიორიენტალისტური აღწერა, პირველ რიგში ესენციალისტური მიდგომის უარყოფას გულისხმობს.[250]

სალაფიტური მოძრაობისთვის დამახასიათებელია ჰეტერეგონულობა და პურიტანული რელიგიური მიდგომა.[251] სალაფიტური ჯგუფების სტრატეგიებისა და პოლიტიკის განსხვავებულობის მიუხედავად, მათ ერთმანეთის მსგავსი დამოკიდებულება აქვთ რელიგიური იურისპრუდენციისადმი. მათ ასევე აერთიანებთ აყიდა (aqida) ანუ რელიგიური მრწამსი და თავჰიდი (tawhid), რაც გულისხმობს ალაჰის ერთადერთ ღმერთად აღიარებას. სალაფიტები უარყოფენ თავასუფს (tawassuf) ანუ მნიშვნელოვანი რელიგიური ფიგურების თაყვანისცემას.[252] **სალაფიზმის მრავალგვარობას ამტკიცებს მკვლევრების მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაციები, რომლებიც ჯგუფებს შორის საკვანძო განმასხვავებელ ნიშნებს ეფუძნება.** მაგალითად, ისლამური მოძრაობების ექსპერტი ქვინტან ვიქტოროვიჩი გამოყოფს სალაფიტების სამ ჯგუფს:[253]

1. პურისტები – მათთვის მნიშვნელოვანია ცოდნის გავრცელებისა და ცნობიერების ამაღლებისთვის არაძალადობრივი მეთოდების გამოყენება. პურისტები თვლიან, რომ სანამ რელიგიური მოძღვრება არ განიწმინდება, მანამ პოლიტიკური ქმედება ვერ უზრუნველყოფს სამართლიანობას. მრწამსის აღსრულების გზებია: ა) და“ვა (da“wa) – პროზელიტიზმი ბ) თაზკიია (tazkiyya) – განწმენდა გ) თარბიია (tarbiya) – რელიგიური განათლება, სულის გაწვრთნის და დისციპლინირების გზა. პურისტები ეწინააღმდეგებიან სალაფიტების მოძრაობად მოაზრებას, ვინაიდან ეს სახელდება სალაფიზმს პოლიტიკურ კონოტაციას სძენს. მათი მისიაა ისლამის დაცვა კორუმპირებული გავლენებისგან და არაისლამური ღირებულებებისაგან. გლობალურად პურისტები ხშირად შორს იყვნენ გეოპოლიტიკური კონტექსტისა და რეალობისგან და ამის გამო სხვა მუსლიმების

249 Said, Edward. *Orientalism.* New Delhi: Penguin Books, 2001.

250 Sayyid, Bobby, S. *The Fundamental Fear: Eurocentrism and the Emergence of Islamism*. London: Zed Books, 1997.

251 Wiktorowicz, Quintan. „Anatomy of the Salafi Movement.“ *Studies in Conflict & Terrorism* 29 (2006): 207-239.

252 Abdel-Haleem, Tariq in Bin Ali, Mohamed. *The Roots of Relitious Extremism: Understanding the Salafi Doctrine of Al-Wala' wal Bara'*. London: Imperial College Press, 2016.

253 Wiktorowicz, Quintan. „Anatomy of the Salafi Movement.“ *Studies in Conflict & Terrorism* 29 (2006): 207-239.

კრიტიკას იმსახურებდნენ.[254] 2. **პოლიტიკური სალაფიტები** – მათთვის მნიშვნელოვანია მათი რწმენის პრინციპების პოლიტიკის ველზე გადათარგმნა. მათი აზრით, რელიგიური პრინციპებით ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს სამართლიანი საზოგადოების ჩამოყალიბებას და სამართლიანი პოლიტიკის განხორციელებას. 3. **ჯიჰადისტები** – ისინი შეუძლებლად მიიჩნევენ არსებული გარემოების გარდაქმნას მილიტარისტული და რევოლუციური გზის გარეშე.

შესაბამისად, სალაფიტური მოძრაობის სხვადასხვა მიმდინარეობებს განსხვავებული ხედვა აქვთ სამყაროში მიმდინარე მოვლენების ინტერპრეტაციასა და პოლიტიკურ სტრატეგიებთან მიმართებით. ისლამური მოძრაობების მკვლევარი ომაიმა აბდელ ლატიფი (Omayma Abdel Latiff) ვიქტოროვიჩის მსგავსად სალაფიტების სამ ძირითად ჯგუფს გამოყოფს:

1. მეცნიერული სალაფიზმი (al-salafiyyah al-ilmiyyah) – მისი მთავარი ამოცანაა ყურანის და ისლამური იურისპრუდენციის შესწავლა.

2. აქტივისტური სალაფიზმი (al-salafiyyah al-harakiyyah) – პოლიტიკურად და საზოგადოებრივად აქტიური სალაფიტები. ლატიფს ამ ჯგუფში შეჰყავს რეფორმისტი სალაფიტებიც (al-salafiyyah al-islahiyyah).

3. ჯიჰადისტები (al-salafiyyah al-jihadiyyah) – ე.წ. ჯიჰადის გარშემო გაერთიანებული ჯგუფი.[255]

წინამდებარე კვლევისთვის მნიშვნელოვანია თავად ისლამის სწავლულების აზრიც სალაფიზმის მრავალგვარობასთან დაკავშირებით. როგორც ისლამური იურისპრუდენციის მკვლევარი, მუჰამედ ბინ ალი შენიშნავს, ტარიქ აბდელ ჰალიმი (Tariq Abdel haleem), ისლამის კანადაში მცხოვრები ეგვიპტელი სწავლული, თანამედროვე სალაფიტების რვა ჯგუფს გამოყოფს:[256]

1. „ესტაბლიშმენტის“ სალაფიტები (establishment Salafis) – საუდის არაბეთის ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილი ოფიციალური სწავლულები, რომლებიც შედიან ულამის საბჭოში (Hay“at kibar al-Ulama) და სხვა ოფიციალურ კომიტეტებში.

254 მაგალითისთვის, ერთ-ერთი პურისტი სწავლული პალესტინელების ინტიფადასაც კი ეწინააღმდეგებოდა 2002 წელს. ხოლო სწავლული მუჰამად ნასირ ალ-დინ ალ-ალბანის (Muhammad Nasir al-Din al-Albani) აზრით, ისრაელის მიერ პალესტინის ტერიტორიების ოკუპაციის შემდეგ, პალესტინელები უკვე არ ცხოვრობდნენ დარ ალ-ისლამში (*dar al-islam*-), ისლამის საუფლოში, და, ამიტომაც, მისი ფატვა პალესტინელებს მუსლიმურ ქვეყნებში მიგრაციისკენ მოუწოდებდა.

255 Abdel Latiff, Omayma (2009). „Trends in Salafism.“ In Bin Ali, Mohamed. *The Roots of Relitious Extremism: Understanding the Salafi Doctrine of Al-Wala' wal Bara'*. London: Imperial College Press, 2016.

256 Abdel Haleem, Tariq, „The Counterfeit Salafis: Deviation of the Counterfeit Salafis from the Methodology of Ahlul Sunnah Wal-Jama'ah.“ In Bin ali, Mohamed. *The Roots of Relitious Extremism: Understanding the Salafi Doctrine of Al-Wala' wal Bara'*. London: Imperial College Press, 2016. გვ. 54

2. მადხალი (Madkhali) ანუ ჯამი (Jami) სალაფიტები – სალაფიტები, რომლებიც მისდევენ იემენელი სწავლულის რაბი ალ-მადხალის და ეთიოპიელი სწავლულის მუჰამად ამან იბნ ალი ჯამის სწავლებებს.

3. ალბანიანელი სალაფიტები – სალაფიტები, რომლებიც მისდევენ მუჰამად ნასირ ალ-დინ ალ-ალბანის სწავლებებს. ალბანი, მადხალი და ესტაბლიშმენტის სალაფიტები პურისტები არიან და ყურადღებას ძირითადად რწმენასა და განათლებაზე ამახვილებენ.

4. აკადემიური სალაფიტები – მეცნიერულ მეთოდოლოგიას იყენებენ და უფრო პოლიტიკურებიც არიან.

5. იხვანი (Ikhwan) სალაფიტები – პოლიტიკური სალაფიტები არიან და მათი წარმომადგენელია ეგვიპტური ორგანიზაცია მუსლიმთა საძმო (Ikhwan al-Muslimin).

6. სურურიანელი სალაფიტები – საიდ ქუტუბისა და ალ-ვაჰაბის ხედვების ერთგვარ ჰიბრიდს მისდევენ.

7. ქუტუბიანელი სალაფიტები – საიდ ქუტუბის სწავლებას მისდევენ.

8. გლობალური ჯიჰადისტები – მაგალითად, ალ-ყაიდა.[257]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სალაფიტური ჯგუფების მრავალგვარობა ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიებით არ შემოიფარგლება. აქედან გამომდინარე, პრობლემურია პანკისში გავრცელებული ახალი ღვთისმოსაობის დაყვანა „ვაჰაბიზმამდე“, განსაკუთრებით იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ეს ტერმინი სალაფიტების ოპონენტების მიერაა მათზე თავსმოხვეული. რაც შეეხება სალაფიზმს, ტერორიზმსა და ფუნდამენტალიზმს შორის ტოლობის ნიშნის დასმას, ამგვარი განზოგადება დისკრიმინაციული და არამეცნიერულია, ვინაიდან სალაფიზმსა და ფუნდამენტალიზმს წინასწარგანსაზღვრულად საფრთხისშემცველ მოცემულობად წარმოაჩენს. მაჰმუდ მამდანის, პოლიტიკის მეცნიერებების პროფესორის თანახმად, არათუ ფუნდამენტალიზმსა და ტერორიზმს შორის, არამედ პოლიტიკურ ისლამსა და ტერორიზმს შორისაც კი ვერ დავსვამთ ტოლობის ნიშანს.[258] მამდანი პოლიტიკური ისლამის ქოლგის ქვეშ გამოჰყოფს რეფორმისტულ და რადიკალურ ფრთას. რადიკალურ ფრთის ქვეშ კი შეიძლება გამოვყოთ საზოგადოებაზე ორიენტირებული და სახელმწიფოზე ორიენტირებული მოძრაობები. საზოგადოებაზე ორიენტირებული მოძრაობების დამახასიათებელი ნიშანია საზოგადოებრივი მხარდაჭერა და არაძალადობრივი მეთოდები. სახელმწიფოზე ორიენტირებულ მოძრაობებსაც ცალსახად ვერ გავაიგივებთ ტერორიზმთან. ასე

257 იქვე.

258 Mamdani, Mahmood. *Good Muslim, Bad Muslim: America, the Cold War, and the Roots of Terror*. New York: Three Leaves Press, 2004. Kindle edition.

მაგალითად, სახელმწიფოზე ორიენტირებული პოლიტიკური ისლამის ერთ-ერთი ილუსტრაციაა პაკისტანის პრეზიდენტის ზია ულ-ჰაქის მმართველობა (1978-1988), რომელიც ავტორიტარული იყო, მაგრამ არა ტერორისტული. ამ მოცემულობაში, როდესაც სურათი ასეთი კომპლექსურია, პანკისელი მუსლიმების რელიგიური მიკუთვნებულობის ხელაღებით „რადიკალიზმთან" გაიგივება, მოქალაქეების დემონიზაციასთან ერთად, მათ სახელმწიფო სამსახურებისთვის დაკვირვების ობიექტად აქცევს, იმ ბუნდოვანი მიზეზით, რომ ისინი თავიანთ რელიგიურობას სულიერი ცხოვრების წესების ზედმიწევნით დაცვით გამოხატავენ.

3.4. მუსლიმად ყოფნა პანკისის ხეობაში

პანკისის ხეობაში რელიგიაზე და კერძოდ სალაფიზმზე საუბრისას უგულებელყოფილია თავად სალაფიტების აზრი, ვინაიდან ისინი წინასწარვე, თითქოს თავისთავად არსებული სიცხადიდან გამომდინარე მოინიშნებიან „საშიშ მუსლიმებად" და ამიტომაც, ეპისტემიური უპირატესობა პრივილეგირებული დომინანტური პერსპექტივების კვლავწარმოებას ენიჭება. როგორია თავად ახალი ღთვისმოსავების რეფლექსია მათ რწმენაზე და როლზე პანკისის ხეობაში? არის თუ არა პანკისის რელიგიური სურათი დიქოტომიური? რას გულისხმობენ როდესაც საუბრობენ „საშიშ" ისლამზე?

1990-იანი წლებიდან პანკისში მიმდინარე რელიგიური ტრანსფორმაცია ჩეჩნეთის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლასთან ერთად დაკავშირებული იყო „თვით"-ის ტრანსფორმაციასთან, რაც გამოიხატებოდა ცხოვრების წესის, სოციალური გამოხატვის, საგნებთან და ღმერთთან დამოკიდებულების გადააზრებით. ისლამი აღმოჩნდა ერთგვარი გარანტია იმ გასაღების პოვნისათვის, რომელიც რადიკალურად შეცვლიდა ადგილობრივების სუბიექტურობას.[259] ახალი ღვთისმოსაობა ქისტებს სულიერებასთან დაბრუნების განსხვავებულ შესაძლებლობას და გამოცდილებას სთავაზობდა. ახალ სუბიექტს გარე და შიდა ფაქტორებთან დაპირისპირების ფონზე უწევდა თავის დამკვიდრება. დროთა განმავლობაში დაპირისპირების ინტენსივობის, შინაარსის და ტაქტიკის ცვლილების შესაბამისად სალაფიზმის რამდენიმე ტალღა შეგვიძლია გამოვყოთ : 1) 1997-2007 წლები; 2) 2007-2017 წლები და 3) 2018 წელი, რომელიც მოვლენების განსხვავებულად განვითარების გამო, ცალკე გამოყოფას საჭიროებს. სალაფიზმის პირველი ტალღისთვის დამახასიათებელია საკუთარი ნიშის დამკვიდრების ხისტი მცდელობები, იმამების პოსტზე ყოფნის ხანმოკლეობა და უცხოელი სწავლულების ჩართულობა. სალაფიზმის მეორე ტალღა გამოირჩევა იმამების პოსტზე ყოფნის სტაბილურობით (10 წლის განმავლობაში მხოლოდ 2 იმამი) და რელიგიური განათლების მქონე ადგილობრივი სწავლულების ჩართულობით. 2018 წლის ტალღა კი ხასიათდება ჯამაათის სამოქალაქო ჩართულობით, კონსოლიდაციის ნიშნებით და სულიერების „თვით"-ისკენ მიპყრობით.

259 Behrooz, Ghamari-Tabrizi. *Foucault in Iran: Islamic Revolution after the Englightenment*. Minneapolis: University of Minnesota Press, 2016. გვ. 65.

სალაფიზმის პირველი ტალღის დროს განვითარებული დაპირისპირება დიდწილად პირველ თავში განხილული პოლიტიკური გარემოებებით და ჰეგემონური დისკურსით იყო ნასაზრდოები, მაგრამ, ამასთანავე, როგორც თვისებრივი კვლევის ინტერვიუების ანალიზიდან გამოიკვეთა, რამდენიმე ხელშემწყობი ფაქტორითაც იყო განპირობებული: 1. თავდაპირველად ახალმა ღვთისმოსავებმა რელიგია ძირითადად უცხოელებისგან შეიმეცნეს. უცხოელი სწავლულები კარგად არ იცნობდნენ ადგილობრივ კონტექსტს და არ ითვალისწინებდნენ ადგილობრივი საზოგადოებრივი წყობის სპეციფიკას. შესაბამისად, ახალი ღვთისმოსავებიც უფრო მეტ სიმკაცრეს იჩენდნენ „ტრადიციული ისლამის“ რიტუალებისგან გამიჯვნისას და ცხოვრების წესის კრიტიკისა. 2. ამასთანავე, თავად ადგილობრივ მიმდევრებსაც არ ჰქონდათ სათანადო ცოდნა და განათლება. ერთ-ერთი რესპონდენტი შენიშნავს: „ადრე უფრო მცირე ცოდნა ჰქონდათ. ამიტომაც, ცოდნა რაც მცირე გაქვს, მით უფრო მეტ შეცდომას უშვებ“.[260] 3. 1990-იანი წლების ბოლოს სალაფიტები პანკისელ მუსლიმებში უმცირესობას წარმოადგენდნენ. თავდაპირველად „ტრადიციული ისლამის“ მეჩეთში დადიოდნენ სალოცავად, მაგრამ ერთხელაც მათ იქ ლოცვის უფლება არ მისცეს, რამაც ამ ორ ჯგუფს შორის ურთიერთობა დაძაბა. თუმცა, დღეს უკვე თავად სალაფიტი სწავლულებიც აღიარებენ ინტერვიუებში, რომ პირველი ტალღისთვის დამახასიათებელი ხისტი მიდგომა შეცდომა იყო, მაგრამ არასწორად მიაჩნიათ მათი ამჟამინდელი მოღვაწეობის წარსული გამოცდილებით შეფასება. მაგალითად, ისლამის სწავლული იხსენებს, თუ როგორ მოუწოდა მან ერთ-ერთ შეხვედრაზე უხუცესებს მათი დამოკიდებულების გადააზრებისკენ: „ეს სურათი უნდა შეიცვალოს თქვენს თვალებში, ეხლა უნდა დაინახოთ ვინც სწორად ქადაგებს, სწორად მიუდგება საკითხებს“.[261]

ადგილობრივებს შორის სალაფიზმის კრიტიკოსთა ნაწილი ინტერვიუში განასხვავებს, ერთი მხრივ, თავდაპირველ ანუ **პირველი ტალღის სალაფიზმს** უახლესი ე.ი. **მეორე ტალღის სალაფიზმისგან** და მეორე მხრივ, უახლეს სალაფიზმში გამოყოფს „დოვლა“ სალაფიტების ქვეჯგუფსაც. ასე მაგალითად, ერთ-ერთი უხუცესი არასწორად მიიჩნევს, „რადიკალის“ იარლიყის ზოგადად სალაფიტების მიმართ გამოყენებას და განმარტავს, რომ ის მხოლოდ „დოვლა“ სალაფიტებს მოიხსენიებს ამ ტერმინით: „მთლიანად სალაფიტებზე რადიკალებს არ ვხმარობ, იმიტომ რომ არასწორი იქნებოდა. იმათში, მე აღვნიშნე, რომ არიან პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდები“.[262] ამავდროულად, სალაფიზმის კრიტიკოსები ზოგჯერ წინააღმდეგობაში მოდიან მათსავე შეფასებებთან და ზოგადად სალაფიტების ესენციალიზებას ახდენენ და კრიტიკისას მათ ჰომოგენურ ჯგუფად განიხილავენ. **მეორე ტალღის სალაფიტებში** სულ მცირე ორი ძირითადი ჯგუფი იკვეთება: **სალაფიტების ბირთვი** და **„დოვლა“ ისლამის მიმდევრები,** რომლებიც რესპონდენტთა ნაწილის თანახმად სალაფიტთა მარგინალურ უმცირესობას წარმოადგნენ. **სალაფიტების ბირთვიც** თავის მხრივ არაერთგვაროვანი შემადგენლობისაა. მა-

260 ინტერვიუ, რესპონდენტი N 10, 1/11/2017.

261 ინტერვიუ, რესპონდენტი N 7, 11/10/2017.

262 ინტერვიუ, რესპონდენტი N 18, 2/11/2017.

გალითად, განსხვავებები იკვეთება, ისეთ საკითხებთან მიმართებით, როგორიცაა: 1. მაზჰაბები – ადგილობრივი ისლამის სწავლულის თანახმად, პანკისელი სალაფიტები ძირითადად ოთხივე მაზჰაბს აღიარებენ.[263] ამასთან ერთად, ზოგი შაფიიტური მაზჰაბის მიმდევარია, ზოგი კი ჰანბალიტურის. 2. მიმდინარე მოვლენებისადმი დამოკიდებულება – მაგალითად, 2018 წელს პანკისში ჰესების საწინააღმდეგო ტალღის დროს, განსხვავებული მიდგომა გამოავლინა ე.წ. ინტერესთა ჯგუფმა. 3. საზოგადოებრივ ჯგუფებთან ურთიერთობა – ინტერვიუების ანალიზის შედეგად იკვეთება უთანხმოებები, რომელიც ზოგჯერ კონფლიქტშიც გადაზრდილა, ერთი მხრივ, სალაფიტების (ძირითადად, ინტერესთა ჯგუფების) და მეორე მხრივ, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების და უხუცესთა კავშირის წარმომადგენლებს შორის. როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი შენიშნავს, ეს „ხელოვნური დაპირისპირებებია“. [264] **სალაფიტების ბირთვის** დამოკიდებულება ტრადიციული ისლამის მიმდევრების მიმართ კი, ამ ეტაპზე, კრიტიკული, მაგრამ ამასთანავე შემწყნარებლური და თავაზიანია. მაგალითად, ერთ-ერთი სალაფიტი სწავლულის ინტერვიუში იკვეთება, რომ მისი მიდგომა ეფუძნება ისტორიული გარემოებების გათვალისწინებას:

> ჩვენ ვხვდებით, რომ ის ეტაპი, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ – სუფისტები, ჩვენი უხუცესები, იყო ძალიან რთული პერიოდი – კომუნიზმის პერიოდი, განათლების მიღება არ იყო შესაძლებელი და რაც შერჩათ პრაქტიკაში, ანუ იმ რიტუალების მიმდევრები იყვნენ ისინი. ამიტომ ჩვენ არ ვამბობთ პირდაპირ – თუ ეს გააკეთეთ, თქვენ ხართ ურწმუნოები. ჩვენ ვუხსნით, რომ მოერიდეთ ამ პრობლემურ რიტუალებს.[265]

ხოლო სალაფიტი ახალგაზრდის თანახმად, შემწყნარებლური მიდგომა განპირობებულია „ტრადიციული ისლამის“ მიმდევრების ასაკითაც:

> რადგან უფროსები არიან, ის რომ აქამდე მოიტანეს ამაზე მადლობელიც უნდა ვიყოთ ჩვენ მათი და რახან ჩვენ ვერ შევუცვლით, მაშინ იყონ და აკეთონ ის რაც უნდათ და რაც სწორედ მიაჩნიათ. უკვე ესეთი დამოკიდებულება არის დღეს.[266]

რაც შეხება „დოვლა“ ისლამის მიმდევრებს, მათი ნაწილისთვის მნიშვნელოვანია „ურწმუნოებისგან“ გამიჯვნის საკითხი. მათ თაქფირისტებსაც უწოდებენ – თაქფირი ერთი მუსლიმის მიერ მეორის მკრეხელობაში დადანაშაულებას აღნიშნავს. ხოლო **სალაფიტების ბირთვის** წარმომადგენელი ერთ-ერთი სწავლული მიიჩნევს, რომ „ქუფრის“ ანუ

263 ინტერვიუ, რესპონდენტი N 9, 31/10/2017.
264 ინტერვიუ, რესპონდენტი N 8, 30/10/2017.
265 ინტერვიუ, რესპონდენტი N 9, 31/10/2017.
266 ინტერვიუ, რესპონდენტი N 13, 3/11/2017.

„ურწმუნოობის“ დაბრალება საშიში და შესაბამისად, მოსარიდებელი საკითხია.[267] რესპონდენტი დასძენს, რომ პანკისში ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, ვინმესთან მისულიყვნენ და „ქაფირად“ გამოეცხადებინოთ. პირიქით, არის თანამშრომლობის პრეცედენტები, როდესაც ტრადიციული ისლამის წარმომადგენლები, მათ შორის უხუცესთა კავშირიდან რიგი საკითხების განსახილველად სალაფიტ სწავლულს მიმართავენ რჩევისთვის.[268,269] **აქედან, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქისტური საზოგადოების მოწყობის თავისებურებები, პანკისში გავრცელებულ ახალ ღვთისმოსაობას ადგილობრივ გამოცდილებასთან სინთეზირებისკენ უბიძგებს.**

რესპონდენტთა ინტერვიუების ანალიზიდან იკვეთება, რომ სალაფიტების კრიტიკოსები მათ ძირითადად „რადიკალიზაციაში“ სდებენ ბრალს, რაშიც რესპონდენტები გულისხმობენ ადათების უგულებელყოფასა და არაბიზაციას, ასევე, ცხოვრების წესის და გარეგნული გამოხატულების ცვლილებას, რაც, თავის მხრივ, სახელმწიფოსგან დეზინტეგრაციის საფუძვლად სახელდება. უფრო კონკრეტულად, სალაფიტების მიმართ კრიტიკულად განწყობილი რესპონდენტები ტრადიციების უგულებელყოფას, სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციის მოშლას, ცეკვა-სიმღერაზე უარის თქმას და რელიგიურობის გარეგნულ გამოხატულებას გულისხმობენ. სალაფიტები მათი პურიტანული ცხოვრების წესიდან გამომდინარე უარს ამბობენ ისეთ პრაქტიკებზე, რომელიც მათ რელიგიასთან შეუსაბამოა. მაგრამ, ამავე დროს, როგორც სალაფიტი რესპონდენტები განმარტავენ, ისინი ინარჩუნებენ ყველა იმ ქისტურ ადათ-წესს, რომელიც არ ეწინააღმდეგება ყურანსა და ჰადისებს. მაგალითად, ადათიდან გამომდინარე, ნათესავებს შორის ქორწინება, რომელიც „არაბიზაციის“ გამოვლინებად იკითხება, ადგილობრივ სალაფიტებში მიღებული არ არის. არათუ ერთი გვარის, არამედ ერთი თეიფის შიგნითაც კი არ არის დაშვებული ქორწინება. ერთ-ერთი ახალგაზრდა დუისიდან აღნიშნავს:

> [ის] რომ არაბიზაცია ხდება მაგას ნამდვილად არ ვეთანხმები იმიტომ, რომ დღეს, გვაქვს უფროსის პატივისცემაც, სახლში სტუმრის მიღებაც [...]. ალიმებიც [სწავლულებიც] პირიქით მოგვიწოდებენ რომ ის ზრდილობა, ის ღირებულებები, რაც გვქონდა, არ დავკარგოთ და შევინარჩუნოთ. ამაზეც მიდის აქცენტი ანუ რეალურად რაც ყურანს და ჰადისებს არ ეწინააღმდგება ის შენარჩუნებულია და დარწმუნებული ვარ იდენტობას არ დავკარგავთ.[270]

პანკისელი ქისტების მიერ მათი სულიერი ცხოვრების წესის ზედმიწევნით დაცვა გახდა, ერთი მხრივ, მათი ინტეგრაციის საზომი და ორიენტალიზაციის მიზეზი და მეორე მხრივ,

267 ინტერვიუ, რესპონდენტი N 9, 31/10/2017.
268 ინტერვიუ, რესპონდენტი N 9, 31/10/2017.
269 ინტერვიუ, რესპონდენტი N 18, 2/11/2017.
270 ინტერვიუ, რესპონდენტი N 13, 3/11/2017.

მათი „საშიშ“ მუსლიმად კვალიფიცირების კრიტერიუმი. რას გულისხმობენ არასალაფიტები, როდესაც საუბრობენ პანკისელების ინტეგრაციაზე და ქისტურ იდენტობაზე? არასალაფიტების ჯგუფი მოიცავს რესპონდენტების ისეთ ფართო სპექტრს, როგორიცაა ტრადიციული ისლამის მიმდევრები, უხუცესთა კავშირის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციების და საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლები. არასალაფიტი რესპონდენტებისთვის ინტეგრაციისა და ქისტური იდენტობის მთავარი განმსაზღვრელები კულტურულ-ფოლკლორული მახასიათებლები (როგორიცაა სიმღერა, ან ცეკვა) და საზოგადოების ადგილობრივი მოწყობის წესია. რას გულისხმობენ სალაფიტები, როდესაც ინტეგრაციაზე საუბრობენ? სალაფიტი რესპონდენტებისთვის ინტეგრაცია გულისხმობს ეთნიკურ ქართველებთან ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ ურთიერთობას, რომელიც ორივე ჯგუფის ინტერესებს ითვალისწინებს და გამორიცხავს რომელიმე ჯგუფისთვის მიუღებელ ასპექტებს. ასე მაგალითად, თუ არასალაფიტებისა და ქართველებისთვის ალკოჰოლური სასმელი სტუმარ-მასპინძლობის არსებითი კომპონენტია, სალაფიტი სწავლული არაასიმილაციონისტური ინტეგრაციის ღირებულებას უსვამს ხაზს:

> ჩვენი ინტეგრაცია ქართველ ხალხში თუ კულტურაში არ არის დაკავშირებული მუსიკასთან და ქეიფთან. თუ მარტო მუსიკასთან და ქეიფთან არის დაკავშირებული ძალიან ცუდი. [..] სმა ჩვენთვის არ შეიძლება, ეს დიდ ცოდვებში შედის. ჩვენ ვალდებული ვართ, ვთქვათ, რომ ეს აკრძალულია, ეს ჩვენი ვალია და ვისაც უნდა ქეიფში მონაწილეობა ან იმღეროს და იცეკვოს ეს მისი არჩევანია და ეხლაც შეჩერებული არ არის ეს.[271]

რაც შეეხება გაუცხოების არგუმენტს, არასალაფიტები გაუცხოების მიზეზად სალაფიტების სულიერი ცხოვრების წესს და კულტურულ განსხვავებულობას ასახელებენ, ხოლო სალაფიტი რესპონდენტები გაუცხოების მიზეზებს ისტორიულ და პოლიტიკურ გარემოებებში ეძებენ. მაგალითად, ერთ-ერთი რესპონდენტი, საბჭოთა კავშირის დროს არსებულ მჭიდრო კავშირებს საერთო მეურნეობების პრაქტიკით ხსნის, ხოლო 1990-იანი წლებიდან გაჩენილი გაუცხოების მიზეზს ხედავს სახელმწიფო პოლიტიკაში, რომელმაც პანკისის კრიზისის დროს ბლოკ-პოსტებით გამიჯნა ორი ეთნიკური ჯგუფი.[272]

სალაფიტების ცეკვისა და სიმღერისგან განრიდება მნიშვნელოვანი კულტურული განმასხვავებელი გახდა ორიენტალისტურ ორბიტაზე მათ მოსანიშნად. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ-ერთი თანამშრომლის თანახმად, რელიგიური სუბიექტი „ჩამორჩენილი“ სუბიექტია, რადგან „გართობა მაგათთვის არ შეიძლება, ცეკვა-სიმღერა მაგათთვის არ შეიძლება არანაირად, კონცერტზე და მუსიკის მოსმენა არ შეიძლება, რადიო სადმე თუა ჩართული უნდა გათიშო, ტელევიზორში თუ რამე კონ-

271 ინტერვიუ, რესპონდენტი N 9, 31/10/2017.

272 ინტერვიუ, რესპონდენტი N 10, 1/11/2017.

ცერტი ან რაღაცაა, ასეთ ღონისძიებებზე ესეთი რადიკალები არ მონაწილეობენ“.[273] რელიგიური სუბიექტურობის სწორედ ეს კულტურული ასპექტი გადაიქცა „რადიკალიზაციის“ წინააღმდეგ ბრძოლის ასპარეზად. მაგალითად, სამოქალაქო და პოლიტიკური ავანგარდი სიმღერისა და ცეკვის პოპულარიზაციით ებრძვის ახალ ღვთისმოსავთა რელიგიურობას, რომელსაც იმთავითვე „რადიკალიზაციად“ მოიაზრებს, რისი გამოხატულებაც ინტერვიუდან ამ ამონარიდში შეგვიძლია დავინახოთ: რომ არა ცეკვა-სიმღერის წახალისება „მარტო ლოცვების ხმას გავიგებთ“ პანკისის ხეობაში.[274] ამასთანავე, „ტრადიციული ისლამის“ მიმდევარი რესპონდენტის აზრით, ტრადიციულ ცეკვასა და სიმღერაზე უარის თქმით სალაფიტები უარს ამბობენ ვაინახური იდენტობის უმნიშვნელოვანეს ასპექტზე: „ვაინახი კაცი ცეკვის და სიმღერის გარეშე წამოუდგენელია, როგორც ასეთი, პირადად ჩემთვის“.[275] სალაფიტი სწავლული კი თვლის, რომ „ქისტების ადათ-წესები მარტო ცეკვაზე და მარტო სიმღერაზე არ არის აგებული: „თუ დარჩა ქისტური ადათ-წესები სიმღერის გარეშე ეს დანაკარგი არ იქნება მაინცდამაინც“.[276]

რელიგიური ცხოვრების წესისთვის შესაბამისი გარეგნული ატრიბუტიკა, როგორიცაა წვერი, ტუნიკა ან საბურველი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განმასხვავებელი კულტურული მარკერია, რომელიც „საშიშ“ ორიენტად მონიშნავს სალაფიტებს. ჯერ კიდევ 2004 წელს, საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა გარეგნული ატრიბუტიკა გამოიყენა „საფრთხის“ მოსანიშნად და „წვერმოშვებულ ვაჰაბიტურ ელემენტებად“ დახასიათებულ ახალ ღვთისმოსავებს ბრძოლა გამოუცხადა.[277] არაერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მხოლოდ გარეგნული ატრიბუტიკის შეცვლა და მეჩეთში რეგულარული სიარულიც კი საკმარისია, რომ მუსლიმს „ვაჰაბიტის“ იარლიყი მიეკეროს.[278] ერთ-ერთი ახალგაზრდა რესპონდენტი ომალოდან შენიშნავს, რომ „თუ ადამიანი მორწმუნე ხდება – ჰოპ რაღაცა გახდა მოწრმუნე და მას ვაჰაბიტს უწოდებენ ეგრევე“.[279] ხოლო ახალგაზრდა რესპონდენტი დუისიდან განმარტავს, რომ „უფრო სეკულარული „ტიპები,“ ვინც არ კითხულობენ ყურანს და არ უნდათ რელიგიური კანონები და წესები საკუთარ ცხოვრებაში გაატარონ, მიჩნეულნი არიან „ტრადიციონალისტებად.““[280] ის დასძენს, რომ სალაფიტებისგან განსხვავებით, ტრადიციული ისლამის მიმდევრები ცდილობენ ნაკლებად გამოირჩეოდნენ საქართველოს დანარჩენი მოსახლეობისგან და „ისეთივე თვალით გვიყურებენ, როგორც არამუსულმანები“.[281]

273 ინტერვიუ, რესპონდენტი N 23, 1/11/2017.

274 ინტერვიუ. რესპონდენტი N 20, 20/10/2017.

275 ინტერვიუ. რესპონდენტი N 30, 18/10/2017.

276 ინტერვიუ. რესპონდენტი N 9, 31/10/2017.

277 საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა საქართველოს უშიშროების სამინისტროში. *24* საათი. თებერვალი 19, 2004.

278 ინტერვიუ, რესპონდენტი N 31, 22/09/2017; ინტერვიუ, რესპონდენტი N 32, 5/3/2018.

279 ინტერვიუ, რესპონდენტი N 32, 5/3/2018.

280 ინტერვიუ, რესპონდენტი N 5, 15/09/2017.

281 ინტერვიუ, რესპონდენტი N 5, 15/09/2017.

„არამუსულმანის მზერა“ გაშინაგანებული ჰეგემონური მზერაა. პანკისელი მუსლიმის მიერ ახალი ღვთისმოსავების „არამუსლიმის მზერით“[282] შეფასების მიღმა ნორმატიული სუბიექტურობის აღიარება და მის წინაშე საკუთარი „უვნებელობის“ დამტკიცების მცდელობა იკითხება. რელიგიურობის გამომხატველი ნიშან-თვისებები სალაფიტს აშორებს ჰეგემონური იდეალისგან და მას არანორმატიულ სუბიექტად აქცევს, რაც მას, თავის მხრივ, დაუმორჩილებელ და ამგვარად „საშიშ“ სუბიექტად მონიშნავს.

282 ინტერვიუ, რესპონდენტი N 5, 15/09/2017.

თავი 4.
გლობალური უსაფრთხოების ჩრდილქვეშ: სიტყვები და მათი ძალა

11 სექტემბრის ტრაგედიის შემდგომ დამკვიდრებული პოპულარული მოსაზრება, რომ ტერორიზმი თავისთავადი, აბსოლუტური ბოროტებაა, რომლის მიზეზებს არათუ ვერ მოიძიებ, არამედ ამგვარ ძიებათა მცდელობაც კი ამორალურია (იხ. თავი 2), 2004-2005 წლებიდან მოყოლებული ნელ-ნელა ლეგიტიმურობას კარგავს.[283] ქაოსმა და პროტესტმა, რომელიც ავღანეთსა და ერაყში სამხედრო ინტერვენციებს მოყვა, და ტერორისტულმა აქტებმა მადრიდსა და ლონდონში (განსაკუთრებით კი საშინაო ტერორისტების „გაჩენამ“), აიძულა სხვადასხვა სახელმწიფოთა ხელისუფლებები დაფიქრებულიყვნენ და ეძიათ ახალი მიდგომები ომის, დაპატიმრებისა და ფიზიკური განადგურების მიღმა. ტაბუ ტერორიზმის მიზეზთა ძიებაზე უნდა მოხსნილიყო. სწორედ, ამ პერიოდში წარმოდგინდა ტერმინი რადიკალიზაცია საშუალებად, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდებოდა იმ პროცესის კვლევა, რომლის შედეგადაც ტერორისტი წარმოიშვებოდა და რომლის გამოკვლევასაც ანალიტიკური ბაზა უნდა შეექმნა ახალი პრევენციული სტრატეგიებისათვის.[284] თუმცა, როგორც ერთხელ უკვე შევნიშნეთ (იხ. თავი 2), ეს ახალი ინიციატივები არათუ ერთმნიშვნელოვნად დადებითი შედეგების მომტანი არ აღმოჩნდა, არამედ სწორედ ტერმინ რადიკალიზაციაზე დაფუძნებული მოდელების შემუშავება უშუალოდ დაუკავშირდა იმგვარი ფართო ცოდნის დამკვიდრებას, რომელიც ისლამური იდენტობის მატარებელ ადამიანებს „საშიშებად“ და „უვნებლებად“, „არაცივილიზებულებად“ და „ცივილიზებულებად“ ყოფს. ამ კვლევის წინა, მესამე თავში, უკვე ვნახეთ თუ როგორ ისხამს ადამიანთა ამგვარი სეგრეგაცია ხორცს პანკისის ხეობის ადგილობრივ კონტექსტში. რატომაა თავად ტერიმინი რადიკალიზაცია პრობლემური, რა კავშირშია ის ტერორიზმის ცნებასთან, როგორ უკავშირდება ტერორიზმი და მისი თანმდევი ტერმინები – რადიკალიზაცია, ძალადობრივი ექსტრემიზმი, თუ რელიგიური იდეოლოგია ადამიანების სეგრეგაციას მათი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, ან საერთოდაც რა იგულისხმება ტერმინ რადიკალიზაციაში, ვისი რადიკალიზაცია, რის მიხედვით, რომელი „ამოსავალი წერტილიდან“ რომელ „დანიშნულების წერტილამდე“ – ეს ის საკითხებია, რომლებსაც ამ თავში შევეხებით. ხანდახან ისეც ხდება ხოლმე, რომ სიტყვები, რომლებსაც ადამიანების, თუ მათი ცხოვრების წესის აღსაწერად ვიყენებთ, ასე ცხადი და უვნებელი რომ გვეჩვენება ერთი შეხედვით, იმთავითვე გამოავლენენ ხოლმე მათსავე შინაგან წინააღმდეგობრიობას და სიცხადის ელფერსაც კარგავენ,

283 Kundnani, Arun. “Radicalisation: the journey of a concept.”, *Race & Class*, 54,*2* (2012): 3–25. doi: 10.1177/0306396812454984 http://rac.sagepub.com . გვ, 4

284 იქვე, გვ. 4

რა წამსაც უმარტივეს, მათსავე საზრისთან დაკავშირებულ შეკითხვებს დავსვამთ. თუნდაც ასეთს: როგორაა შესაძლებელი, რომ ერთი და იგივე სიტყვა – რადიკალური/რადიკალიზმი/რადიკალიზაცია – ერთდროულად ორ მნიშვნელობას ატარებდეს, დადებითსა და უარყოფითს, სასურველსა და საშიშს, იმის მიხედვით, თუ ვის მიემართება ის? როგორაა შესაძლებელი, რომ ერთ სიტყვაში ამ ერთდროულად მოცემულ, თითქოსდა ურთიერთგამომრიცხავ მნიშვნელობებში იერარქიასაც ვხვდებით და ამ ორიდან ერთი იერარქიის სათავეში მოექცევა ხოლმე? მაგალითად ასე: წინადადებაში „ჩვენ გვჭირდება რადიკალური პოლიტიკური და სოციალური ცვლილებები“ რადიკალური პოლიტიკური და სოციალური ცვლილება დადებითი, სასურველი მნიშვნელობის მატარებელიც ხდება თუკი ამ წინადადებას, მოცემული სიტუაციის მიხედვით, „ლეგიტიმური“ ჯგუფის, ვთქვათ, ქალთა ან სექსუალური უმცირესობების უფლებებისათვის მებრძოლი „თეთრი“, „სეკულარული“ ადამიანი ამბობს; მაგრამ, თუკი იმავე წინადადებას იტყვის, ვთქვათ, „ჰიჯაბიანი“ ქალი ანდაც „წვერმოშვებული“ მუსლიმი კაცი, რომელიც ჰესების მშენებლობის წინააღმდეგ იბრძვის, რადიკალური უკვე უარყოფითის და საშიშის მნიშვნელობასაც კი იძენს. სწორედ ამიტომაა, რომ ამ თავში ჩვენ ვცდილობთ კრიტიკულად გავერკვიოთ ისეთ ტერმინებსა და კვლევით მოდელებში როგორებიცაა რადიკალიზაცია და რადიკალიზაციის ინდივიდუალური, ეტაპობრივი კვლევითი მოდელები, ძალადობრივი ექსტრემიზმთან და ტერორიზმთან გამკლავება და ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციული პროგრამები.

4.1. ძალადობიდან დისციპლინირებამდე. რადიკალიზაცია, ძალადობრივი ექსტრემიზმი და ახალი კვლევითი მოდელები

ტერორიზმის მიზეზთა ძიება, რადიკალიზაციისა თუ ძალადობრივი ექსტრემიზმის პროცესთა ანალიზი, ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენცია და მასთან გამკლავება, ერთად აღებული ის ტერმინებია, რომლებიც 2004-2005 წლებში მკვიდრდება როგორც ტერორიზმის კვლევის შესახებ არსებულ ლიტერატურაში, ისე საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის ენაში. შეჯამებულად, ამ ტერმინებს აქ სამხედრო ინტერვენციების ალტერნატიულ მიდგომათა ძიება შეგვიძლია ვუწოდოთ, რომლებიც უფრო ფართო, ტერორიზმთან გამკლავების ჩარჩოში ერთიანდებიან.

თავის მხრივ, ტერმინი **ტერორიზმთან გამკლავება** გულისხმობს როგორც სამხედრო ოპერაციებს, ისე საკანონმდებლო და პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტებს, რომელთა მიზანია გააკონტროლოს, აღკვეთოს და აღმოაჩინოს ტერორისტული აქტივობები. ტერორიზმთან გამკლავების სტრატეგია უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში გარდაიქმნა უფრო ფართო სტრატეგიულ მიდგომად, რომელიც მოიცავს არასამხედრო მცდელობებსაც აღიკვეთოს ძალადობრივ-ექსტრემისტული ჯგუფები, ხელი შეეშალოს

მათი აქტივობების განვრცობას და შეიცვალოს გარემო, რომელიც ხელს უწყობს ძალადობრივი ექსტრემიზმის გავრცელებას.[285] ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლის ეს არასამხედრო მცდელობები ორი სახელწოდებით არიან ცნობილი: **ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენცია (PVE) და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავება (CVE).** ამ ორი ინიციატივის ზუსტი განმარტება არ არსებობს, ვინაიდან ორივე მათგანი შესაძლოა მოიცავდეს სტრატეგიული კომუნიკაციის მეთოდებს, მედია, საგანმანათლებლო და სათემო აქტივობებს და სხვ. თუმცა, მაგალითად, გაეროს განვითარების დეპარტამენტის კვლევა ამ ორი ინიციატივის შემდეგნაირად განსხვავებას ცდილობს: **ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავება მთავარ აქცენტს უკვე არსებულ ძალადობრივ ექსტრემისტულ ქმედებებთან გამკლავებაზე სვამს, ხოლო ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენცია ფოკუსირდება ძალადობრივი ექსტრემიზმის სამომავლო განვრცობის პრევენციაზე.** ამის მიუხედავად, პრაქტიკაში, ამ ორი მიდგომის რეალური ინიციატივები ორივე ასპექტზე ამახვილებენ ხოლმე ყურადღებას.[286]

მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ სახელმწიფოთა, თუ სახელმწიფოთაშორისი პრევენციული და არასამხედრო მიდგომები თავისთავად მნიშვნელოვანი და დადებითი განვითარებაა ტერორიზმთან ბრძოლისა და გამკლავების მეთოდთა არსებულ ფართო სპექტრში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრევენციულ, რადიკალიზაციის მოდელზე დაფუძნებულ მიდგომებს ხშირად არათუ დადებითი ეფექტი არ აქვთ, არამედ თავად ხდებიან ადამიანებისა და სოციალური ჯგუფების/თემების დისკრიმინაციის წყარო.

ასე მაგალითად, დერადიკალიზაციის, ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისა და მასთან ბრძოლის პრობლემურ ასპექტებსა და სახელმწიფო და უსაფრთხოების სამსახურების მიერ ძალის ხშირ გადამეტებაზე საუბრობს ტერორიზმის მკვლევარი და ტერორიზმის კვლევის ინიციატივის დირექტორი ალექს პ. შმიდი. სტატიაში რადიკალიზაციის, დერადიკალიზაციის და კონტრრადიკალიზაციის ცნებებისა და ლიტერატურის მიმოხილვის შესახებ, შმიდი ყურადღებას ამახვილებს როგორც ამ ცნებათა სიზუსტის სიმწირეზე, ისე არსებული კვლევებისა და დანერგილი პროგრამების შეფასებათა მრავალ უზუსტობაზე.[287] შმიდის თანახმად, რადიკალიზაციის ცნება ხშირად პოლიტიზირებული, ბუნდოვანი და ცალმხრივია მკაფიო განსაზღვრის გარეშე გამოიყენება და წინასწარვე დაკავშირებულია ხოლმე ტერორიზმთან, როგორც მის საბოლოო და თითქოს გარდაუვალ შედეგთან. ამიტომაც, განსაკუთრებით პრობლემურია ის მოცემულობები, როდესაც რადიკალიზაციის ცნება ფართოვდება და პირდაპირ მიეწერება ცალკეულ ადამიანებსა, თუ მოძრაობების პოლიტიკურ აქტივიზმს, განსაკუთრებით

285 UNDP. Journey to Extremism in Africa: Drivers, Incentives and the Tipping Point fot Recruitment. *09 September 2017. წვდომა 12 ივნისი, 2018* გვ. 19. *http://www.undp.org/content/undp/en/home/librarypage/democratic-governance/journey-to-extremism.html.*

286 იქვე.

287 Schmid, Alex, P.: *Radicalisation, De-Radicalisation, Counter-Radicalisation: A Conceptual Discussion and Literature Review.* ICTT: The Hague, 2013.

ისეთ საზოგადოებებში, სადაც სოციალურ განვითარებას არადემოკრატიული რეჟიმები აფერხებენ.[288]

ასევე, გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის 2017 წლის ანგარიში ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის შესახებ, მიუთითებს, რომ მიუხედავად სახელმწიფო და საერთაშორისო უსაფრთხოების ზომების მნიშვნელობისა ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისთვის, ის საშუალებები და მეთოდები, რომლითაც უსაფრთხოების სხვადასხვა ინსტიტუციები პოტენციურ საშიშროებებს პასუხობენ, შესაძლოა უკუეფექტური აღმოჩნდეს და ხელი შეუწყოს კონკრეტული ჯგუფების სტიგმატიზაციას.[289]

Human Rights Watch-ის 2017 წლის მსოფლიო ანგარიშში გამოქვეყნებულ მიმოხილვაში, ლეტა ტაილერი წერს, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოებს აკისრიათ ვალდებულება დაიცვან თავიანთი მოსახლეობა ზიანისაგან, **მრავალი ეროვნული კანონი და უსაფრთხოების ზომა ბუნდოვანი და თავსმოხვეულია. ნაცვლად მეტი უსაფრთხოების უზრუნველყოფისა, ისინი ქმნიან ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევისა და ეროვნული უმცირესობების გაუცხოების რისკს.**[290] ამასთანავე, ტაილერის შეფასებით, ისეთი პროგრამები, როგორებიცაა პრევენციული ინიციატივები ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ თავისთავად მისასალმებელია, როგორც მნიშვნელოვანი დანამატი ტერორიზმთან ბრძოლის სხვა, ძალოვან მეთოდებთან, თუკი მათი იმპლემენტაცია გამსჭვალული იქნება განსაკუთრებული ყურადღებითა და პატივისცემით ადამიანის უფლებებისადმი. თუმცა, ტაილერისვე თანახმად, მაგალითად, გაერთიანებული ერების N2178 რეზოლუცია განსაზღვრავს რადიკალიზაციის პრევენციას ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლის საფუძველმდებარე ელემენტად იმ განმარტების გარეშე, რომ რადიკალური ქცევა უნდა მოიცავდეს ძალადობას, ან ძალადობის განზრახვას. ამგვარი დაზუსტების გარეშე კი, ეს მიდგომა წარმოშობს აკრძალვათა მთელ სპექტრს, რომელიც მშვიდობიანი შეკრებისა და გამოხატვის უფლებებს, მათ შორის აკადემიურ და რელიგიურ თავისუფლებასაც მოიცავს.[291]

ამას გარდა, საქმე ისაა, რომ მართალია, ერთი მხრივ, ტერმინ რადიკალიზაციის დამკვიდრებამ შესაძლებელი გახადა ტერორიზმის გამომწვევ მიზეზთა ძიება და ანალიზი, მის ადაპტაციას ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციულ თუ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისათვის შექმნილ მოდელებში, ისტორიკოსისა და ისლამის სპეციალისტის მარკ სედგვიკის თანახმად, უარყოფითი შედეგები მოჰყვა:

288 იქვე, გვ. 19.

289 UNDP. *Preventing Violent Extremism through Promoting Inclusive Development, Tolerance and Respect for Diversity. A development response to addressing radicalization and violent extremism*, 14 February 2017. წვდომა 2 ნოემბერი, 2018. http://www.undp.org/content/undp/en/home/librarypage/democratic-governance/conflict-prevention/discussion-paper---preventing-violent-extremism-through-inclusiv.html გვ. 27.

290 Tayler, Letta. "How New Global Counterterrorism Measures Jeopardize Rights," In *Human Righst Watch Worldreport,2017*. გვ. 27 წვდომა 3 აპრილი, 2018. https://www.hrw.org/sites/default/files/world_report_download/wr2017-web.pdf .

291 იქვე, გვ. 35.

„რადიკალიზაციის ცნება ყურადღებას ამახვილებს ინდივიდზე და გარკვეულწილად იდეოლოგიასა და ჯგუფზე, თუმცა ნაკლებ ყურადღებას უთმობს უფრო ფართო გარემოებებს – „საფუძველმდებარე მიზეზებს", რომლებზეც საუბარი ასე რთული გახდა 9/11-ის შემდეგ და რომლებიც ხშირად დღესაც უგულებელყოფილია ანალიზისას. იქამდე, სანამ გარემოებები, რომლებიც წარმოქმნიან ისლამისტი რადიკალის მიერ დეკლარირებულ წუხილებს, უგულებელყოფილი იქნება, გარდაუვალი იქნება ისლამისტი რადიკალის უბრალოდ „უმიზეზო მეამბოხედ" წარმოჩინება".[292]

ხოლო, კუნდნანის მიხედვით, ტერორიზმის კვლევების სხვადასხვა ანალიტიკურმა დეპარტამენტებმა საშინაო ტერორიზმის გამომწვევი მიზეზების სრულფასოვანი ანალიზის განვითარების და ამ ანალიზის შედეგების ხელისუფლებებისათვის მიწოდების ნაცვლად, დაიწყეს ისეთი პროცესის მოდელირება, რომელიც მხოლოდ ინდივიდუალურ მოტივებს შეისწავლის და რომლის გამოც ცალკეული ადამიანები მიიჩნევიან წინასწარ განწყობილად გახდნენ ტერორისტული ძალადობისათვის დამახასიათებელი ექსტრემისტული იდეოლოგიის მხარდამჭერნი. **ამგვარი რადიკალიზაციის ინდივიდუალური მოდელები, კუნდნანისათვის, მიზეზებს ინდივიდუალურ ფსიქოლოგიურ და თეოლოგიურ დონეებზე ეძებენ და გამოტოვებენ როგორც გეოპოლიტიკის, ისე ადგილობრივი სოციალურ-პოლიტიკური პირობების როლს რადიკალიზაციის „საფუძველმდებარე" მიზეზების შესწავლისას.**[293]

კუნდნანი, ანალიტიკურ სტატიაში, რომელშიც ის რადიკალიზაციაზე არსებულ ლიტერატურასა და სტრატეგიებს მიმოიხილავს, გამოყოფს ამ ლიტერატურისა და სტრატეგიათა 3 ძირითად მიმართულებას: 1. რადიკალიზაციის კულტურულ-ფსიქოლოგიურ მოდელს; 2. რადიკალიზაციის, როგორც თეოლოგიური პროცესის მოდელს და 3. რადიკალიზაციის, როგორც თეოლოგიურ-ფსიქოლოგიური პროცესის მოდელს.[294] ამგვარი მოდელების მთავარი პრობლემურობა, ერთი მხრივ, თავად ტერმინ რადიკალიზაციის დისკრიმინაციულ იარლიყად გამოყენება, განსაკუთებით მუსლიმთა თემების მიმართ, და მათი დეპოლიტიზების მოთხოვნაა; მეორე მხრივ კი, ამგვარი მოდელები შესაძლებლობას აძლევენ სხვადასხვა სახელმწიფო სამსახურებს **წინასწარი, ხშირად ბუნდოვანი მიზეზებით აწარმოონ დაკვირვება ცალკეულ მოქალაქეებზე, მხოლოდ იმ ნიშნით, რომ ისინი ან კრიტიკულად არიან განწყობილები ცალკეული სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის მიმართ ან/და ამავდროულად თავიანთ რელიგიურ იდენტობას სხვადასხვა ნიშნით გამოხატავენ: წვერის ტარება, ჩაცმულობა, სულიერი ცხოვრების წესების ზედმიწევნით დაცვა და სხვ.**[295]

292 Sedgwick, Mark. "The Concept of Radicalization as a Source of Confusion", *Terrorism and Political Violence*, 22, *4* (2010): 479-494, DOI: 10.1080/09546553.2010.491009. გვ.480.

293 Kundnani, *Radicalisation*, 2012. გვ.5-6.

294 იქვე.

295 Kundnani, Arun. *Muslims Are Coming! Islamophobia, Extremism, and the Domestic War on Terror.* London and New York: Verso, 2014.

გაეროს განვითარების პროგრამის 2017 წლის ანგარიში, რომელიც იკვლევს იმგვარი რადიკალიზაციის შესაძლო განმაპირობებელ მიზეზებს, რომელიც შესაძლოა ძალადობრივ ექსტრემიზმში გადაიზარდოს, თავად რადიკალიზაციას აუცილებელ პრობლემად არ მიიჩნევს და შენიშნავს, რომ **ისტორიის განმავლობაში არსებობდა და დღესაც არსებობს რადიკალური მოძრაობების არაერთი მაგალითი, რომლებმაც მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებები მოიტანეს,** მათ შორისაა სამოქალაქო და პოლიტიკური თანასწორობის მოძრაობები, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის უფლებებთან და სხვ.[296] მიუხედავად იმისა, რომ ტერორიზმის არაერთი მკვლევრის თანახმად, ტერორიზმის მიზეზების ძიება სამ დონეზე უნდა ხდებოდეს – ინდივიდუალური მოტივაცია და რწმენათა სისტემა, ტერორისტული ორგანიზაციების სტრატეგიები და ფართო სოციალური და პოლიტიკური კონტექსტი – რადიკალიზაციის პროცესის შემსწავლელი კვლევები, რომლებიც 11 სექტემბრის შემდგომი პერიოდიდან ტარდება, უმრავლეს შემთხვევაში ზემოთ აღნიშნულ მეორე და მესამე დონეებს ყურადღებას არ აქცევენ.[297] ამასთანავე, როგორც მაგალითად, კუნდნანი და ჰაიესი შენიშნავენ 2018 წლის კვლევით ანგარიშში, ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების გლობალური სტრატეგიების შესახებ, მიუხედავად მრავალი კვლევისა, რომლებიც ცდილობენ ინდივიდუალურ დონეზე არსებულ „ექსტრემისტულ-რელიგიურ იდეოლოგიასა“ (რასაც არ უნდა გულისხმობდეს ეს) და პოლიტიკურ ძალადობას შორის კორელაციის დადგენას, ისეთი ემპირიული მონაცემები, **რომელიც გაამყარებდა თეზისს – ექსტრემისტული იდეოლოგია იწვევს ტერორიზმს, არ არსებობს.**[298] კუნდნანი და ჰაიესი ასევე შენიშნავენ, რომ ამ მოცემულობიდან გამომდინარე, ტერორიზმის არაერთი წამყვანი მკვლევარი, მაგალითად, მარკ სეიგმანი ან ჯონ ჰორგანი, რომლებმაც თავად განავითარეს რელიგიური რადიკალიზაციის მოდელები, დღეს უკვე კრიტიკულად უდგებიან ამგვარი რადიკალიზაციის მოდელებს. მარკ სეიგმანი, წამყვანი მკვლევარი და 2000-იანი წლების დასაწყისში რელიგიური რადიკალიზაციის მოდელის ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერი, დისტანცირდა რელიგიურ იდეოლოგიაზე, როგორც ტერორიზმის გამომწვევ უმთავრეს ფაქტორზე თავისივე ადრეული ფოკუსისგან. 2013 წელს მან განაცხადა, რომ ხელისუფლებებმა უნდა შეწყვიტონ „რადიკალიზაციის“ ცნების გამოყენება, რადგანაც ამგვარი რამ საერთოდ არ არსებობს. ზოგიერთ ადამიანს, როდესაც ახალგაზრდაა, რადიკალური შეხედულებები აქვს, თუმცა, მათი უმრავლესობა დროთა განმავლობაში უბრალოდ იცვლის ამ შეხედულებებს. და ამიტომაც, ხელისუფლებამ საკუთარ რეაგირებაში არ უნდა გადააჭარბოს, რადგანაც ამგვარად უარეს პრობლემებს შექმნის.[299] ხოლო, მაგალითად, ჰორგანის, პენსილვანიის უნივერსიტეტის ტერორიზმის შესწავლის საერთაშორისო ცენტრის დირექტორის, თანახმად, **იდეა, რომ რადიკალიზაცია ტერორიზმს იწვევს, დღეს ყველაზე დიდი მი-**

296 UNDP, *Preventing Violent Extremism*, გვ. 17.

297 იქვე.

298 Kundnani, Arun and Ben Heyes: *The globalisation of Countering Violent Extremism policies. Undermining human rights, instrumentalising civil society.* Amsterdam: Transnational Institue, 06 March,2018, გვ. 21. წვდომა 02 ნოემბერი, 2018. https://www.tni.org/en/publication/the-globalisation-of-countering-violent-extremism-policies .

299 მარკ სეიგმანი, პერეფრაზირებულია კუნდნანისა და ჰაიესის მიხედვით, გვ. 14 (იხ. ზედა შენიშვნა).

თია ტერორიზმის კვლევებში. იმ ადამიანთა აბსოლუტური უმრავლესობა, რომლებსაც რადიკალური წარმოდგენები აქვთ, საერთოდ არ ერთვება ძალადობრივ ქმედებებში. ამასთანავე, სულ უფრო მეტი მტკიცებულება არსებობს იმისა, რომ სულაც არაა აუცილებელი ადამიანებს, ვინც ტერორისტულ ქმედებებში ერთვებიან, რადიკალური წარმოდგენები ჰქონდეთ.[300]

ამგვარად, აქ შეგვიძლია შევაჯამოთ ის პრობლემები, რომლებიც ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისა და მასთან გამკლავების ინდივიდუალურ ფსიქოლოგიურ-თეოლოგიურ პროგრამებს, კვლევით მოდელებსა და ინიციატივებს ახასიათებთ. ამ პრობლემური საკითხების თავიდან აცილება გადამწყვეტი მნიშვნელობისაა არამხოლოდ აკადემიური თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ კვლევის დაგეგმვისას და განხორციელებისას, არამედ მათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ იმ სახელმწიფოებმაც, რომლებშიც ძალადობრივი ექსტრემიზმის, რომელიც შესაძლოა ტერორიზმში გადაიაზრდოს, პრევენციისა და მასთან გამკლავების პროგრამების დანერგვა იგეგმება. ეს საჭიროა იმისათვის, რომ ეს პროგრამები და შემუშავებული კვლევითი მოდელები არ ლახავდნენ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებსა და შეესაბამებოდნენ კანონის უზენაესობის პრინციპს.[301] აღნიშნული პრობლემური საკითხებია:

- ტერორიზმის მიზეზების ძიებისას ინდივიდუალურ, რელიგიურ-იდეოლოგიურ ასპექტებზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება და როგორც ლოკალური, ისე გლობალური სოციალურ-პოლიტიკური ასპექტების უგულებელყოფა;

- განსაკუთრებული კონცენტრირება ისლამსა და მუსლიმ მოსახლეობაზე;

- ცნებების – ტერორიზმი, რადიკალიზაცია, ძალადობრივი ექსტრემიზმი ზუსტი დეფინიციების არ არსებობა და განსაკუთრებული კონცენტრირება ე.წ. „ახალ ტერორიზმზე“;

- არ არსებობა ისეთი მეთოდოლოგიურად გამართული ემპირიული მონაცემების, რომლებიც დაადასტურებდნენ ინდივიდუალური მოდელების მიერ წინ წამოწეულ ჰიპოთეზას ინდივიდუალურ რადიკალიზაციას, რელიგიურ იდეოლოგიას, ძალადობრივ ექსტრემიზმსა და ტერორიზმს შორის კაუზალური კავშირის არსებობის შესახებ;

- რადიკალიზაციის, ძალადობრივი ექსტრემიზმისა და ტერორიზმის გაიგივება;

- რადიკალიზაციის ცნების აბსოლუტურ და არა ფარდობით ცნებად მოაზრება;

300 იქვე.

301 შდრ. იქვე, გვ. 40.

- ე.წ. „უვნებელი“ და „საშიში/რადიკალი“ მუსლიმების დიქოტომიური ხატის კონსტრუირება და მათ შორის გამყოფი ხაზის გავლება;

- რელიგიასა და რელიგიურ იდეოლოგიაზე, როგორც თითქოსდა ტერორიზმის გამომწვევ მიზეზებზე განსაკუთრებული ფოკუსირება;

- ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისა და მასთან ბრძოლის ინიციატივებისა და პროგრამების გამოყენება ცალკეული მოქალაქეების (უმეტესწილად, მუსლიმი მოქალაქეების) შესახებ ინფორმაციის შეგროვებისთვის და ამ ინიციატივათა აპროპრიაცია სხვადასხვა სახელმწიფოთა უსაფრთხოების სამსახურების მიერ, რაც, თავის მხრივ, ხშირად, ცალკეული ადამიანების თუ მთლიანი თემების სამოქალაქო უფლებების დარღვევას და დისკრიმინაციას იწვევს.

4.2. ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის მოდელების, კვლევებისა და რეკომენდაციების საგულისხმო პრაქტიკა

მიუხედავად ტერორიზმის კვლევების დარგში ინდივიდუალური ფსიქოლოგიურ-თეოლოგიური მოდელების კვლავინდელი დომინანტურობისა, უკანასკნელ წლებში მოდელები, რომლებიც განსაკუთრებით ფოკუსირდებიან ექსტრემიზმსა და რელიგიურ იდეოლოგიაზე, კრიტიკის ქვეშ ექცევიან. ამგვარ მოდელებს არამხოლოდ წინა ქვეთავში ნახსენები ტერორიზმის კვლევების ისეთი ცნობილი მკვლევრები აკრიტიკენ, როგორებიც არიან, მაგალითად, სეიგმანი, ჰორგანი თუ კუნდნანი, არამედ, ისეთი ახალი კვლევებიც, როგორებიცაა გაეროს განვითარების დეპარტამენტის კვლევა აფრიკაში ექსტრემიზმისა და ტერორიზმის შესახებ, გაეროს განვითარების დეპარტამენტის ზოგადი განვითარების მოდელი ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლისათვის და სხვ.

ეს მკვლევრები და ახალი მიმართულების კვლევები ცდილობენ გასცდნენ რადიკალიზაციის ინდივიდუალ-ფსიქოლოგიურ მოდელებს, რელიგიასა ან რელიგიურ იდეოლოგიაზე კონცენტრირებულ თეზისებს და შეიმუშავონ ახალი მოდელები, რომლებიც მიმართულია ზოგად პრევენციაზე და მოიცავს სოციალურ-პოლიტიკურ სტრუქტურულ მიზეზებსაც. ამავდროულად, ამ ახალი ლიტერატურის ნაწილი ტერმინ რადიკალიზაციაზე ფოკუსირების ნაცვლად, ცდილობს დაამკვიდროს ცნება – **ძალადობრივი ექსტრემიზმი, რომელიც შესაძლოა ტერორიზმში გადაიზარდოს.**[302]

მკვლევრებისა და კვლევითი მოდელების გარდა, ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკ-

302 მიუხედავად იმისა, რომ თავად ძალადობრივი ექსტრემიზმის ცნების ზუსტი განმარტება ასევე არ არსებობს, რაზეც მიუთითებენ კიდეც სხვადასხვა ავტორები, ვთვლით, რომ ასეთი სპეციფიკური ტერმინის, კერძოდ - ძალადობრივი ექსტრემიზმი, რომელიც შესაძლოა ტერორიზმში გადაიზარდოს, უფრო ნეიტრალურია, ვიდრე რადიკალიზაციისა ან მხოლოდ ძალადობრივი ექსტრემიზმის ერთობ ფართო და დაუზუსტებელი ტერმინები.

ლავებისა და პრევენციის კრიტიკულ ასპექტებზე ისეთი სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციებიც საუბრობენ, როგორიც გაეროა. ასე მაგალითად, 2015 წელს გაეროს გენერალური მდივნის ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სამოქმედო გეგმაში ვკითხულობთ: გაეროს ტერორიზმთან გამკლავების სტრატეგია, ოთხი მთავარი ღერძისაგან შედგება. ესენია: I. იმ სტრუქტურულ გარემოებათა შესწავლა და აღმოფხვრა, რომლებიც ხელს უწყობს ტერორიზმის გავრცელებას; II. ტერორიზმის პრევენცია და მასთან ბრძოლა; III. სახელმწიფოთა ქმედითობის გაზრდა და გაეროს როლის გაძლიერება; IV. ადამიანის უფლებების დაცვისა და კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა. ამის მიუხედავად, ბოლო ათწლეულის განმავლობაში, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა II ღერძის იმპლემენტაციას, და, ამავდროულად I და IV ღერძები ყურადღების მიღმა რჩებოდა. ამიტომაც, გენერალური მდივნის სამოქმედო გეგმის თანახმად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პრევენციულ ზომებს და ამ ზომათა შესაბამისობას I და IV ღერძებთან.[303] გაეროს I და IV ღერძზე ყურადღების გამახვილება, თავისთავად გულისხმობს მსჯელობისას **იმგვარი პრევენციული მოდელებისა და ინიციატივების მოცვას, რომლებსაც უფრო მეტად აქვთ ჰოლისტური მიდგომა და ყურადღებას ამახვილებენ არა რადიკალიზაციის ინდივიდუალურ, ეტაპობრივ მოდელზე, არამედ ძალადობრივი ექსტრემიზმისა და ტერორიზმის გამომწვევი მიზეზების ძიებისას ითვალისწინებენ მიკრო, მაკრო და მეზო ფაქტორების ურთიერთკავშირს.**

ინდივიდუალური, ეტაპობრივი მოდელების ხარვეზებს დეტალურად აანალიზებენ ველდჰუისი და სთაუნი სტატიაში „ისლამისტური რადიკალიზაცია: საფუძველმდებარე მიზეზების მოდელი“.[304] მათ თანახმად, ეტაპობრივი მოდელების მთავარი პრობლემურობა ორ მნიშვნელოვან ასპექტში, მეთოდოლოგიურ და არსობრივ ხარვეზში, იკვეთება: მთავარი, მეთოდოლოგიური ხარვეზი დამოკიდებული ცვლადის შერჩევის პრინციპია. კერძოდ, ეტაპობრივი მოდელები დამოკიდებულ ცვლადად იმგვარ შემთხვევებს არჩევენ, რომლებიც კონკრეტულ ღირებულებას იძენენ დამოკიდებული ცვლადისათვის: რადიკალიზაციის ეტაპობრივი მოდელის ვალიდურობის დასამტკიცებლად ამ მოდელთან შესაბამისი რადიკალიზაციის „წარმატებული“ შემთხვევები შეირჩევა, რაც მკვლევარს ერთი და იმავე პროცესის დანახვის და საბოლოოდ, საერთო პრინციპის გამოკვეთის საშუალებას აძლევს.[305] თუმცა, როგორც ველდჰუისი და სთაუნი დასძენენ, ზუსტად ისევე, როგორც შეუძლებელია ახსნა, თუ როგორ წარმოიშვება რევოლუციების ფენომენი, მხოლოდ რევოლუციების შესწავლით, ანდაც ახსნა როგორ ხდებიან წიგნები ბესტსელერები, მხოლოდ ბესტსელერებზე დაკვირვებით, ასევე შეუძლებელია გაიგო რას ნიშნავს რადიკალიზაცია, მხოლოდ „რადიკალიზაციის“ შემთხვევების შესწავლით; რადიკალი-

303 UN General Assembley: *Plan of action to prevent violent extremism. Report of the Secretary-General.* 2015, გვ. 3. წვდომა 01 ნოემბერი, 2018 http://www.undp.org/content/dam/norway/undp-ogc/documents/SG%20PVE%20plan%20of%20action.pdf .

304 Veldhuis, Tinka and Jorgen Staun. *Islamist Radicalisation: A Root Cause Model.* The Hague: Netherlands Institute of International Relations Clingendael, October 2009.

305 იქვე, გვ.17.

ზაციის ეტაპობრივი მოდელები კი სწორედ ამას აკეთებენ.[306] ამასთანავე, ამგავრი მოდელების ათვისება, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურის მიერ, **ისეთ ქმედებებშიც შეიძლება გადაიზარდოს, როგორიცაა ცალკეული მოქალქის წინასწარი მოაზრება რადიკალიზაციის რომელიმე, ვთქვათ დასაწყის ფაზაზე მყოფად და მისი დაკვირვების ობიექტად ქცევა იმ წინასწარგანსაზღვრული მოსაზრებით, რომ მოქალაქე რადიკალიზაციის ერთი ფაზიდან მექანიკურად გადავა მომდევნო ფაზაში.**[307]

მეორე, არსებითი ხარვეზი კი ასეთია: ეტაპობრივი მოდელები ატარებენ „სტატისტიკური დისკრიმინაციის" რისკს რადიკალიზაციის ზოგადი მახასიათებლები ისეთ შემთხვევებს მიაწერონ, რომლებიც ამ მოდელებში ვერ თავსდებიან. ამგვარად, ერთი მხრივ, ადამიანები, რომლებიც, ვთქვათ, რადიკალიზაციის საწყის ეტაპზე მყოფებად მოიაზრებიან, მიიჩნევიან მაღალი რისკის მატარებლად გადავიდნენ რადიკალიზაციის ბოლო, ე.ი. ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრიანების ან ტეროსიტული ქმედების ჩადენის ფაზაში. მეორე მხრივ, ამგვარი ზოგადი მახასიათებლების მიწერით, უდანაშულო ადამინები რასის, რელიგიური მიკუთვნებულობისა და ზოგადი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, რადიკალიზაციის რისკის ქვეშ მყოფებად მიიჩნევიან.[308]

ველდჰუისისა და სთაუნის თანახმად, რადიკალიზაციის ეტაპობრივი მოდელებისაგან განსხვავებით, საფუძველდებარე მიზეზების მოდელის განსაკუთრებული უპირატესობა ისაა, რომ ის პოზიტიური პოლიტიკის კეთების შესაძლებლობას იძლევა. ავტორების მიხედვით, ნაცვლად ადამიანთა ქცევების შეზღუდვისა (რაზეც ორიენტირდება რადიკალიზაციის ეტაპობრივი მოდელი), პოლიტიკის მიზანი სტრუქტურული ფაქტორებისა და გარემოებების ცვლილება უნდა იყოს. ამასთანავე, ამკრძალველი პოლიტიკა ხშირად დაგვიანებულიცაა და უკვე მომწიფებული დანაშაულის აღმოფხვრაზეა ორიენტირებული. ამიტომაც, **საფუძველმდებარე მიზეზების მოდელის მიხედვით, მაკრო დონეზე, ყურადღება უნდა მიექცეს სტრუქტურული გარემოებების გაუმჯობესებას, რათა შეიქმნას სოციალური გარემო,** რომელიც ხელს შეუშლის ძალადობრივი ექსტრემიზმის გავრცელებას და ხელს შეუწყობს ჯგუფთა შორის კონსტრუქციულ ურთიერთობებს.[309] ამასთანავე, ეს მოდელი ხაზს უსვამს იმას, რომ პოლიტიკის შემქმნელების მიზანი ისეთი გარემოს შექმნა უნდა იყოს, რომელშიც მუსლიმები აღარ იგრძნობენ თავს დისკრიმინირებულად ტრადიციული რელიგიური ტანსაცმლის, წვერის ტარების თუ ღვთისმოსაობის სხვა გარეგნული გამოხატულებების გამო.[310]

ამ მხრივ, საყურადღებოა **გაეროს განვითარების დეპარტამენტის კონცეპტუალური ჩარჩო** ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციასა და გამკლავებაზე და მისი კვლევა აფ-

306 იქვე.
307 იქვე, გვ. 18.
308 იქვე.
309 იქვე, გვ. 66.
310 იქვე, გვ. 67.

რიკის სხვადასხვა ქვეყნებში ძალადობრივი ექსტრემიზმის შესახებ. განსხვავებით არა ერთი მოდელისგან, რომლებიც მართალია საუბრობენ ძალადობრივი ექსტრემიზმის გამომწვევი და საფუძველმდებარე მიზეზების შესწავლის მნიშვნელობაზე, მაგრამ საბოლოოდ მინიმალურ ყურადღებას უთმობენ მათ და ცალკეულ ინდივიდუალურ ქცევებზე კონცენტრირდებიან, გაეროს განვითარების დეპარტამენტი ძალადობრივი ექსტრემიზმის შესახებ მსჯელობას სტრუქტურულ ფაქტორებზე ხაზგასმით იწყებს:

> „ძალადობრივი ექსტრემიზმის საფუძველმდებარე მიზეზები კომპლექსური, მრავალშრიანი და ურთიერთგადაჯაჭვულია და უკავშირდება იმ სტრუქტურულ გარემოს, რომელშიც წარმოიშობა რადიკალიზაცია და, შესაძლოა, ძალადობრივი ექსტრემიზმიც. ძალადობრივი ექსტრემიზმი ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გარემოებების, მათ შორის რეგიონალური და გლობალური პოლიტიკის, პირმშოა. მზარდი ჰორიზონტალური უთანასწორობა ის მოცემულობაა, რომელიც მუდმივად სახელდება ძალადობრივი ექსტრემიზმის ერთ-ერთ მთავარ ხელშემწყობად. თუმცა, არც მხოლოდ უმუშევრობა ან სიღარიბეა ძალადობის და ექსტრემიზმის მასაზრდოებელი და ბიძგის მიმცემი ფაქტორი: უსამართლობის განცდა, ადამიანის უფლებების დარღვევები, სოციალური და პოლიტიკური ექსკლუზია, ფართოდ გავრცელებული კორუფცია ან კონკრეტული ჯგუფების განგრძობითი სტიგმატიზება ასევე მოიაზრება მნიშვნელოვან ბიძგის მიმცემ ფაქტორად. როდესაც ყველა ეს ჰორიზონტალური უთანასწორობა ერთად იყრის თავს კონკრეტულ ჯგუფთან მიმართებით, რადიკალური მოძრაობებისა და ძალადობის ამოხეთქვაც უფრო მოსალოდნელია.“[311]

ამასთანავე, გაეროს განვითარების დეპარტამენტის კონცეპტულური ჩარჩო არ ფოკუსირდება რელიგიურად შთაგონებულ ძალადობრივ ექსტრემიზმზე და მიიჩნევს, რომ ექსკლუზიური ყურადღება რელიგიურ ექსტრემიზმზე უგულებელყოფს და აბუნდოვანებს სხვადასხვა ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფების საფრთხის სიმძიმეს.[312] ამგვარად, ჩარჩო გამოყოფს 8 ფაქტორს, რომელმაც შესაძლოა რადიკალური ქცევა განაპირობოს და ძალადობრივ-ექსტრემისტული ქმედებები გამოიწვიოს. ეს ფაქტორებია:

1) გლობალური პოლიტიკის როლი და გავლენა;

2) ეკონომიკური ექსკლუზია და სოციალური მობილობის შეზღუდული შესაძლებლობები;

3) პოლიტიკური ექსკლუზია და კუმშვადი სამოქალაქო სივრცე;

311 UNDP, *Preventing Violent Extremism*, გვ. 10.

312 იქვე, გვ. 17.

4) უთანასწორობა, უსამართლობა, კორუფცია და ადამიანის უფლებების დარღვევები;

5) სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემებით იმედგაცრუება;

6) საზოგადოებაში მზარდი უთანასწორობის უგულებელყოფა;

7) სუსტი სახელმწიფოებრიობა და უუნარო უსაფრთხოების სამსახურები;

8) ცვალებადი გლობალური კულტურა და მედიისა და გართობის ინდუსტრიის მიერ ძალადობის გაბანალურება.[313]

თუმცა, სტრუქტურულ ფაქტორებთან ერთად, კონცეპტუალური ჩარჩო რადიკალიზებიდან ძალადობრივ ექსტრემიზმში გადასვლის ინდივიდუალურ პროცესზეც საუბრობს:

> „ადამიანების რადიკალურ და ძალადობრივ მოძრაობებში ჩართვა არის შედეგი სოციალიზაციის პროცესისა, რომელიც ჩვეულებრივ განპირობებულია პიროვნული, ემოციური და ფსიქოლოგიური ფაქტორებით, როგორებიცაა: გაუცხოება, იდენტობის ძიება და ღირსება, შურისძიება ოჯახის წევრის დაკარგვის გამო, ცუდი მოპყრობა ან დაპატიმრება, კომუნიკაციის რღვევა ხელისუფლებასა წარმომადგენლებსა და ახალგაზრდა თაობას შორის და ვირტუალური ჯგუფები სოციალურ მედიაში.“[314]

გაეროს განვითარების დეპარტამენტის კონცეპტუალური ჩარჩოს თანახმად, მართალია ძალადობრივი ექსტრემიზმი უსაფრთხოების პრობლემას განეკუთვნება, **მაგრამ ძალოვანი, მხოლოდ უსაფრთხოების ზომების გამოყენებაზე ორიენტირებული მიდგომა, ძალადობრივი ექსტრემიზმის კიდევ უფრო მეტი განვრცობის რისკს ქმნის.**[315] ამიტომაც, განვითარების დეპარტამენტს მიაჩნია, რომ ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის მდგრადობა და ნაყოფიერება ინკლუზიური განვითარების მიდგომას საჭიროებს. ეს უკანასკნელი კი ტოლერანტულობაზე, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიძლიერესა და უთანასწორობათა შემცირებაზე უნდა იყოს დაფუძნებული. ამგვარად, განვითარების დეპარტამენტი ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის სტრატეგიის 11 საფუძველდმდებარე ელემენტს გამოყოფს:

1. კანონის უზენაესობის ხელშეწყობა და ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისათვის ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის მისადაგება; 2. კორუფციასთან

313 იქვე.

314 იქვე, გვ. 23.

315 იქვე, გვ. 25.

ბრძოლის გაძლიერება (ისეთ ქვეყნებში, სადაც ეს პრობლემა არსებობს); 3. რისკის ქვეშ მყოფი ჯგუფებისათვის ძალადობის ჩანაცვლება და სოციალურ-ეკონომიკური ალტერნატივების შექმნა; 4. გადაწყვეტილებების მიღებაში ჩართულობის გაძლიერება და სამოქალაქო სივრცის გაფართოება ნაციონალურ და ადგილობრივ დონეებზე; 5. ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერება, რათა უკეთ შეძლონ სერვისების მიწოდება და უსაფრთხოების უზრუნველყოფა; 6. შიდა, ადგილობრივი შუამავლების მხარდაჭერა გაუცხოებულ ჯგუფებთან დიალოგის პოპულარიზებისათვის და ყოფილი ექსტრემისტების რეინტეგრაციისთვის; 7. გენდერული თანასწორობის მხარდაჭერა და ქალთა გაძლიერება; 8. ახალგაზრდობის ჩართვა საზოგადოებრივი შეკავშირებულობის მშენებლობაში; 9. რელიგიურ ორგანიზაციებთან და რელიგიურ ლიდერებთან თანამშრომლობა, მონაწილეობა ძალადობრივი ექსტრემისტების მიერ რელიგიის ბოროტად გამოყენების მცდელობებთან გამკლავებაში; 10. მედიასთან მუშაობა ადამიანის უფლებებისა და ტოლერანტობის მხარდაჭერის მიზნით და 11. ადამიანის უფლებების პატივისცემის, მრავალფეროვნების და სკოლებსა და უნივერსიტეტებში გლობალური მოქალაქეობის კულტურის განვრცობის მხარდაჭერა.[316]

გაეროს კონცეპტუალური ჩარჩო არამხოლოდ მისი მრავალშრიანი და ჰოლისტური მიდგომის გამოა ყურადსაღები, არამედ იმიტომაც, რომ ის აფრიკის სხვადასხვა ქვეყნებში ძალადობრივი ექსტრემიზმის მიზეზების შესწავლის მიზნით ჩატარებულ კვლევას ეყრდნობა. თავად ამ კვლევის განსაკუთრებულ ღირებულებას კი რამდენიმე მიზეზი განაპირობებს. კვლევა, პირველ რიგში, ითვალისწინებს იმ მეთოდოლოგიურ ხარვეზებს, რომლებიც ახასიათებს ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის კვლევათა ფართო სპექტრს. გარდა იმისა, რომ კვლევის ავტორები შედარებით ანალიზს იყენებენ, მათ მულტიმეთოდური მიდგომა აქვთ და აანალიზებენ მაკრო, მეზო და მიკრო ფაქტორებს, კვლევის რამდენიმე მახასიათებელი, ცალკე აღნიშვნის ღირსია; ამოდიან რა იმ მოცემულობიდან, რომ არცერთ მოდელს არ შესწევს ძალა, წინასწარ განჭვრიტოს, თუ რატომ შეიძლება ცალკეულმა ადამიანმა იძალადოს, მიუხედავად ამ ადამიანისთვის დამახასიათებელი კონკრეტული გარემოებების, წინასწარი განწყობების, კონკრეტული ურთიერთობებისა და კონკრეტული იდეებისადმი კეთილგანწყობისა, კვლევის მთავარი მიზანი იმ სტრუქტურული გარემოებების აღმოჩენა იყო, რომელიც თავად ძალადობისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის განვრცობას უწყობს ხელს.[317] ამიტომაც, კვლევა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ცალკეულ ადამიანთა იმ მცირე ჯგუფებს, რომლებმაც მიუხედავად იმისა, რომ სხვების მსგავსი გამოწვევების წინაშე დგანან, აირჩიეს ძალადობრივ ექსტრემისტულ ჯგუფებში გაერთიანება. შესაბამისად, გაეროს განვითარების დეპარტამენტის კვლევა მხოლოდ რადიკალიზაციაზე ფოკუსირების ნაცვლად, **რეკრუტირებაზე ფოკუსირდება.** ამას გარდა, კვლევის შერჩევა მოიცავდა 718 ადამიანს, რომელიც სამ ჯგუფად იყო ჩაშლილი: პირველადი ჯგუფი, იმ 495 ადამიანს მოიცავდა, რომლებიც ნებაყოფლობით შეუერთდნენ ძალადობრივ ექსტრე-

316 იქვე, გვ. 27.

317 UNDP. *Journey to Extremism*, გვ.17.

მისტულ ჯგუფებს; მეორე ჯგუფი შედგებოდა 78 ადამიანისგან, რომელთა რეკრუტირებაც ძალის გამოყენებით მოხდა და მესამე, საკონტროლო ჯგუფი, რომელიც მოიცავდა 145 ადამიანს, რომელთაც არანაირი აფილაცია არ ჰქონიათ რომელიმე ძალადობრივ ექსტრემისტულ ჯგუფთან.[318] რეკრუტირებულ ინდივიდებზე კონცენტრირება და საკონტროლო ჯგუფის გამოყოფა, ამ კვლევის განსაკუთრებული უპირატესობაა, რადგან ამით კვლევა თავიდან იცილებს არარეალისტური ინდივიდუალური მოდელების აგებას და ამასთანავე, რეკრუტირებისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის მაკრო, მიკრო და მეზო ფაქტორების მოცვა, კვლევის შედეგებს უფრო რეალისტურს ხდის.

კვლევას შედეგად მოჰყვა მნიშვნელოვანი აღმოჩენები, რომელთა შორისაა: განათლებაზე ხელმისაწვდომობა და შესაბამისად, წერა-კითხვის ცოდნა არის ერთ-ერთი ფაქტორი ადამიანების ძალადობრივ ექსტრემისტულ ჯგუფებში რეკრუტირებისას.[319] კვლევის შედეგებმა ასევე აჩვენა, რომ არსებობს კავშირი რელიგიური მოტივით რეკრუტირებასა და ინდივიდთა რელიგიური ცოდნის დონეს შორის. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტთა 51% პროცენტმა რელიგია დაასახელა ექსტრემისტულ ჯგუფში გაწევრიანების მიზეზად, ამავდროულად რესპოდენტთა 57% აღიარა, ცუდად ან საერთოდ არ იცის რელიგიური ტექსტები. ამავდროულად, კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ რელიგიური განათლების მიღების საშუალოზე მაღალი წლები არა ხელშემწყობი, არამედ პირიქით, რეკრუტირების ხელისშემშლელი ფაქტორია. **ამიტომაც კვლევის ავტორები მიიჩნევენ, რომ ეს შედეგები უპირისპირდება ისლამოფობიურ რიტორიკას და აჩვენებს რელიგიური განათლებისა და რელიგიაში უკეთ გათვიცნობიერების ხელშეწყობის მნიშვნელობას ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის ინიციატივებისთვის.**[320]

კვლევამ ასევე აჩვენა ეკონომიკური ფაქტორების მნიშვნელობა რეკრუტირების პროცესში და გამოავლინა, რომ მრავალგანზომილებიანი სიღარიბე და დაუსაქმებლობა ძალადობრივ ექსტრემისტულ ჯგუფებში გაწევრიანების ერთ-ერთი გამომწვევი ფაქტორია.[321]

ამას გარდა, კვლევის მნიშვნელოვანი შედეგია იმის ჩვენებაც, რომ ადგილობრივი მთავრობით უკმაყოფილება და მისდამი დაბალი ნდობა მაღალი მნიშვნელობის მატარებელი ინდიკატორია იმ ინდივიდებისათვის, რომლებიც რეკრუტირებულები იყვნენ ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფების მიერ. ასევე მაღალი წილი მოდის ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა უკმაყოფილება უსაფრთხოების სამსახურებით და პოლიტიკოსებით, დემოკრატიულ ინსტიტუტებისადმი დაბალი ნდობა და იმის რწმენა, რომ მათ მნიშვნელოვანი ცვლილებების მოტანა არ შეუძლიათ.[322]

318 იქვე, გვ. 18.
319 იქვე, გვ. 4.
320 იქვე, გვ. 5.
321 იქვე.
322 იქვე.

თუმცა, კვლევის ყველაზე თვალსაჩინო შედეგი ინდივიდის ძალადობრივ ექსტრემისტულ ჯგუფში რეკრუტირების ე.წ. „გარდამტეხი მომენტის“ გამოკვეთაა. კონკრეტულად კი იმის, თუ რა უბიძგებს ცალკულ ადამიანს ამგვარ ჯგუფში გაერთიანებისაკენ, როდესაც ბევრი სხვა, რომელიც მსგავსსავე გარემოებებში იმყოფება, ასეთ ჯგუფებს არ უერთდება. აფრიკის რამდენიმე ქვეყანაში ჩატარებული ამ კვლევის შედეგების მიხედვით, რესპოდენტთა 71%-თვის ამგვარი განმაპირობებელი ფაქტორი, ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინებასთან ერთად, „ხელისუფლების ქმედებები“, მათ შორის „ოჯახის წევრის ან მეგობრის მკვლელობა“ და „ოჯახის წევრის ან მეგობრის დაჭერა“ იყო. ამგვარად, კვლევის ავტორები ასკვნიან, რომ ცალკეულ სახელმწიფოთა უსაფრთხოების აქტორების ქმედებები, რომლებიც არ შეესაბამებიან ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვას, რეკრუტირების პროცესის მნიშვნელოვანი დამაჩქარებელი შეიძლება გახდეს.[323]

კვლევის ამ მთავარი აღმოჩენებიდან გამომდინარე ავტორები ასკვნიან: მიუხედავად იმისა, რომ აფრიკის ამ რამდენიმე ქვეყნის კონტექსტის გათვალისწინებით, სამხედრო და ძალოვანი ქმედებები ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტებია ტერორიზმთან ბრძოლაში, კონკრეტულად კი ისეთ ჯგუფებთან გამკლავებაში, როგორებიცაა ბოკო ჰარამი და ალ-შაბააბი, კითხვა იმის შესახებ თუ როგორ ხორციელდება ეს ქმედებები და რა გავლენა აქვთ მათ ადგილობრივ მოსახლეობაზე, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა გრძელვადიანი წარმატებისათვის.[324] ამ შენიშვნის გაკეთების შესაძლებლობას კი ის მონაცემები იძლევიან, რომლებიც აჩვენებენ **თუ რაოდენ უკუპროდუქტიული შეიძლება იყოს უსაფრთხოებაზე ორიენტირებული სახელმწიფო ქმედებები, როდესაც ისინი განსაკუთრებული სიფრთხილით, ადამიანის უფლებების დაცვასთან და კანონის უზენაესობასთან შესაბამისობაში არ ხორციელდება. ასე განხორციელებული ძალოვანი ქმედებები კი წარმოშობს ფართოდ გავრცელებულ უნდობლობას პოლიციის, სამხედრო ძალებისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიმართ, რაც, როგორც კვლევამ აჩვენა, ძალადობრივ-ექსტრემისტულ ჯგუფებში გაწევრიანების უმთავრესი განმაპირობებელია.**[325]

ამიტომაც, შედეგებიდან გამომდინარე, კვლევა ხაზს უსვამს ზოგადი განვითარების მიდგომის მნიშვნელობას და მისი ინტეგრაციის აუცილებობას ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ინიციატივებში. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ ზოგადი განვითარების პროგრამის დანერგვისას ან მასთან შესაბამისობაში მყოფი ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის ინიციატივებისა და პოლიტიკის შემუშავებისას ისეთი კრიტიკული კითხვები დაისვას, რომლებიც გადაამოწმებდა ამ პოლიტიკისა და ინიციატივების შესაბამისობას ადამინის უფლებებთან, მათ შორის შესაბამისობას კანონის წინაშე თანასწორობის ფუნდამენტური პრინციპების დაცვასთან.[326] ეს შეკითხვებია:

323 იქვე.

324 იქვე, გვ. 87.

325 იქვე.

326 Kundnani and Heyes, *The globalisation of Countering Violent Extremism policies,* გვ. 40.

- ხომ არ ახდენს დაგეგმილი ინიციატივები და პოლიტიკა ცალკეული პირების ქმედებისთვის მთლიანი საზოგადოებრივი ჯგუფის სტიგმატიზირებას მათზე კოლექტიური პასუხისმგებლობის დაკისრებით?

- ხომ არ აიგივებს დაგეგმილი ინიციატივები და პოლიტიკა რელიგიურ პრაქტიკას, რელიგიური ცხოვრების წესს და რწმენას ძალადობრივ ექსტრემიზთან და ამგვარად ხომ არ ეწევა მათ ფორმალურ და არაფორმალურ ცენზურასა და შეზღუდვას?

- ხომ არ მოიაზრებს დაგეგმილი ინიციატივები და პოლიტიკა კონკრეტულ პოლიტიკური შეხედულებებსა და იდეოლოგიას ძალადობრივი ექსტრემიზმის წამახალისებელ ფაქტორად და, ამგვარად, ხომ არ ზღუდავს მათ პოლიტიკური ცენზურისა და სოციალური ინჟინერიის მეშვეობით?

- რამდენადაა შემუშავებული ინიციატივები და პოლიტიკის ჩარჩო დაფუძნებული მოცემულ ტერიტორიაზე პოლიტიკური ძალადობის ობიექტურ, პროპორციულ და მიუკერძოებელ შეფასებაზე? გათვალისწინებულია თუ არა ყველა შესაბამისი სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფაქტორი?

- რამდენად დემოკრატიულადაა დაგეგმილი და განხორციელებული ინიციატივები და პოლიტიკა? შემუშავებულია თუ არა შესაბამისი მექანიზმები დაგეგმილი და განხორციელებული ინიციატივებისა და პოლიტიკის გადახედვისათვის; კონკრეტულად კი იმის შეფასებისათვის, თუ რამდენადაა შემუშავებული პოლიტიკა ზოგადად საჭირო, პროპორციული, ლეგიტიმური და ეფექტური?

- ემყარება თუ არა პოლიტიკა უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომებს?

- რამდენად დიდ ძალაუფლებას აძლევს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პოლიტიკა სამართალდამცავ ორგანოებს ცალკეულ მოქალაქეებზე დაკვირვებისა და ძალისმიერი ქმედებების გამოყენებისთვის?[327]

327 იქვე, გვ.40-41.

თავი 5:
მიჯნიდან დანახული პოლიტიკა: სახელმწიფოს მიდგომები, ექსპერტული ანალიზი და ადგილობრივები

წინამდებარე კვლევის ეს ბოლო თავი შემდეგ საკითხებს განიხილავს: სახელმწიფოს ძალოვან და არაძალოვან მიდგომებს პანკისის ხეობაში, განსაკუთრებით 2012-2017 წლებში (1); მეორე თემატური ნაწილი აჯამებს ექსპერტებთან და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელებთან კვლევის ფარგლებში სახელმწიფოს ძალოვანი და არაძალოვანი მიდგომების შესახებ ჩატარებული ინტერვიუების ანალიზის შედეგებს, (2); ხოლო ბოლო ნაწილი აღწერს როგორც უსაფრთხოების საკითხებზე პანკისელთა შეფასებებს, ისე მათ პერსპექტივას ახლო აღმოსავლეთში მებრძოლთა წასვლის მიზეზებზე (3).

5.1. სახელმწიფო პოლიტიკა პანკისის ხეობაში 2003–2018 წლებში

2003-2018 წლებში, პანკისის ხეობის მიმართ საქართველოს ხელისუფლებების პოლიტიკაში სამი განსხვავებული პერიოდი იკვეთება: 2003-2008, 2008-2012 და 2012-2018 წლები. ამიტომაც, სანამ 2012-18 წლების მიდგომათა მიმოხილვას შევუდგებით, აქ მოკლედ შევაჯამებთ ამ სამი პერიოდის ძირითად მახასიათებლებს.

(1) 2003-2008 წლებში სააკაშვილის ხელისუფლება აგრძელებს 2002 წელს პანკისის კრიზისის საპასუხოდ აღებულ სახელმწიფო კურსს (იხ. თავი 1) და საერთაშორისო ანტიტერორისტული კამპანიის ფონზე ცდილობს აშშ-სა და ევროპასთან თავისი ურთიერთობების ინსტიტუციონალიზებას. ამასთან ერთად, 2004 წელს ახლად არჩეული პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან შეხვედრისას მას ჩეჩენ მებრძოლთა წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობას დაჰპირდა.[328] მოსკოვში ვიზიტიდან რამდენიმე დღეში, უშიშროების სამინისტროში გამოსვლისას, მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ მკაცრ ზომებს მიიღებს ჩრდილოეთ კავკასიიდან შეიარაღებული ადამიანების საქართველოში გადმოსვლის შემთხვევაში.[329] ამ პერიოდში ჩეჩენ ლტოლვილთა გაუჩინარების ფაქტებმა პანკისელებში აღძრა ეჭვი რუსეთში მათი

328 Peuch, Jean-Christophe. „Georgia: Saakashvili Sees in 'Wahabbism' A Threat to Secularism." Radio Free Europe. February 18, 2004. წვდომა 15 მაისი, 2018. https://www.rferl.org/a/1051586.html .

329 საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა საქართველოს უშიშროების სამინისტროში. *24 საათი.* თებერვალი 19, 2004.

საიდუმლო ექსტრადიციის შესახებ. 2004 წელს სოფელ დუისის ცენტრში გაუჩინარებულ ჩეჩენთა მხარდასაჭერი საპროტესტო აქცია გაიმართა.[330]

მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებამ პანკისში მტკიცე საზღვრები გაავლო „საშიშ“ და „უვნებელ“ მუსლიმებს შორის და ე.წ. „ვაჰაბიზმი“ „სენად“, „ანტიქართულ“ და „მტრულ“ იდეოლოგიად გამოაცხადა,[331] ახალი ღვთისმოსავები კი, ვინც ზედმიწევნით მისდევენ სულიერი ცხოვრების წესს, „წვერმოშვებულ ვაჰაბიტურ ელემენტებად“ მონიშნა და მათ წინააღმდეგ უმკაცრესი და უკომპრომისო ბრძოლა დაიწყო.[332] 2005 წელს, პირველად, სწორედ პერიფერიულ პანკისის ხეობაში მოიპოვა სააკაშვილის ხელისუფლებამ სახელმწიფო ძალადობაზე მონოპოლია. ამ მოვლენას ანთროპოლოგი პოლ მენინგი „პილოტურ ექსპერიმენტს“[333] უწოდებს. 2005 წლის ივლისში, ქისტების ყოფით კონფლიქტში ანტიტერორისტული პროგრამის ფარგლებში გაწვრთნილი და შეიარაღებული ძალოვანები ჩაერივნენ, სოფელ დუისში საცხოვრებელ სახლს ცეცხლი წაუკიდეს და 2 პირი მოკლეს. როგორც ერთი პანკისის მკვიდრი რესპონდენტი იხსენებს ამ შემთხვევას, ძალოვანებს „არც ჰქონიათ მცდელობა, შესულიყვნენ, კარები შეენგრიათ ან რაღაცა სხვა მეთოდებით აეყვანათ ადამიანები“.[334]

(2) 2008-2012 წლებში მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება პანკისის მიმართ პოლიტიკას ცვლის. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობებში დაიწყო ახალი ეტაპი, რომლისთვისაც დამახასიათებელია პროაქტიული მიდგომა, რაც ეფუძნება ჩრდილოეთ კავკასიისა და რუსეთის ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ერთეულებად განხილვას და მათთან მიმართებით სხვადასხვა პოლიტიკის გატარებას.[335] ხელისუფლებამ ჩრდილოეთ კავკასიის მიმართ ახალი პოლიტიკა ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ნაწილი გახადა და ეს საკითხი „ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის საქართველოს სახელმწიფო კონცეფციის“ ქოლგის ქვეშ მოაქცია.[336] ეს პოლიტიკა მიზნად ისახავდა საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს შორის ურთიერთობების გაღრმავებას და ქართული რბილი ძალის გავრცელებას რეგიონში. 2008-2012 წლების პოლიტიკური სტრატეგიის შედეგად საქართველომ ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონის მცხოვრებთათვის უვიზო მიმოსვლა შემოიღო, აღიარა ჩერქეზთა გენცოდი, ჩრდილოეთ კავკასიელ სტუდენტებს საქართვე-

330 Peuch, Jean-Christophe. „Georgia: Saakashvili Sees in 'Wahabbism' A Threat to Secularism.“ Radio Free Europe. February 18, 2004. წვდომა 15 მაისი, 2018. https://www.rferl.org/a/1051586.html .

331 საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა საქართველოს უშიშროების სამინისტროში. *24 საათი.* თებერვალი 19, 2004.

332 იქვე.

333 Manning, Paul. „Folklore and Terror in Georgia's 'Notorious' Pankisi Gorge.“ *Explorations in Anthropology* 9 (2009): 18-27.

334 ინტერვიუ. რესპონდენტი N 2, 14/09/2017.

335 კახიშვილი, ლევან. საქართველო, რუსეთი და ჩრდილოეთ კავკასია: ოპტიმალური პოლიტიკის ძიებაში. კავკასიური სახლი, 2015. წვდომა აპრილი 5, 2018. http://caucasianhouse.ge/wp-content/uploads/2015/09/brief-print.pdf .

336 იქვე.

ლოში განათლების მისაღებად შეუქმნა პირობები სპეციალური პროგრამის მეშვეობით და დააფინანსა პირველი კავკასიური რუსულენოვანი არხის მაუწყებლობა.

„ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის საქართველოს სახელმწიფო კონცეფცია“, რომელიც 2012 წლის ივნისში დაამტკიცა პარლამენტმა, ითვალისწინებდა საქართველოში ჩრდილოეთ კავკასიელების განათლების, ეკონომიკის, კულტურის და სოციალური მხარდაჭერის მეშვეობით ადამიანებს შორის კავშირების გაღრმავებას. ამასთან ერთად, საქართველოს ხელისუფლება მიზნად ისახავდა ჩრდილოეთ კავკასიელთა დახმარებას საკუთარი უფლებების დაცვაში და ისტორიული სამართლიანობის დადგენაში.[337]

რაც შეეხება კონკრეტულად პანკისის ხეობას, სააკაშვილის ხელისუფლება კვლავ „საშიშ“ და „უვნებელ“ მუსლიმებად ყოფს ქისტებს, მაგრამ ამჯერად „საშიშ“ მუსლიმებთან თანამშრომლობის სტრატეგიას ირჩევს. ერთ-ერთი რესპონდენტი, უხუცესთა კავშირის წარმომადგენელი, შენიშნავს, რომ „ასეთი პრინციპი იყო – პანკისის ხეობას მართავენ ვაჰაბიტები, ჩვენ [ნაციონალური მოძრაობა] ვმართავთ ვაჰაბიტებს“.[338] თუმცა, 2012 წლის 28-29 აგვისტოს ჩატარებულმა ლაფანყურის სპეცოპერაციამ, პანკისელების, კერძოდ კი, სალაფიტების დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ შეცვალა. როგორც არაერთი რესპონდენტი შენიშნავს, შედეგად, 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებში პანკისელი ამომრჩეველების უმრავლესობამ ხმა ქართულ ოცნებას მისცა.[339] ოფიციალური ვერსიის თანახმად, სპეცოპერაცია ლაფანყურის ტყიდან 5 ახალგაზრდის გატაცებას მოჰყვა. შინაგან საქმეთა სამინისტრო ამტკიცებდა, რომ შეიარაღებულმა ჯგუფმა ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოს საზღვარი გადმოკვეთა და ახალგაზრდები მძევლებად აიყვანა. სახალხო დამცველის განცხადებით კი ოფიციალური ვერსია, რომელიც თავიდანვე გაჟღერდა, არ შეესაბამებოდა სინამდვილეს.[340] ომბუდსმენმა 2013 წლის 22 ოქტომბერს საზოგადოებრივი კომისია შექმნა, რომლის მიზანიც სპეცოპერაციის ფარგლებში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შესწავლა იყო. 2014 წელს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა პარლამენტს, შექმნილიყო დროებითი საპარლამენტო საგამოძიებო კომისია, მაგრამ პარლამენტმა უარი განაცხადა და სოფელ ლაფანყურთან ჩატარებული სპეცოპერაციის საქმის დეტალები საზოგადოებისთვის დღემდე უცნობია.

3) 2012-2018 წლებში ქართული ოცნების ხელისუფლებას წინამორბედისგან განსხვავებული პოლიტიკა ჰქონდა პანკისის ხეობისა და ჩრდილოეთ კავკასიისადმი. 2012 წლის

337 საქართველოს პარლამენტის დადგენილება. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის საქართველოს სახელმწიფო კონცეფცია. 2002. წვდომა 5 აპრილი, 2018. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1698588

338 ინტერვიუ. რესპონდენტი N 18, 2/11/2017.

339 ცესკო. არჩევნები 2012. http://results2012.cec.gov.ge/major18.html

340 ალადაშვილი, გიორგი. „ორი წელი ლაფანყურის სპეცოპერაციიდან“. რადიო თავისუფლება. 27 აგვისტო 2014. წვდომა 15 აგვისტო, 2018. https://www.radiotavisupleba.ge/a/ori-tseli-lapankuris-spetsoperatsiidan/26553115.html

შემდეგ ჩრდილოეთ კავკასია რუსეთთან ურთიერთობების ჩარჩოში მოექცა და სახელმწიფოს პოლიტიკა შეგვიძლია „პოლიტიკის არქონის პოლიტიკა[დ]“[341] შევაფასოთ: ქართული ოცნების ხელისუფლებამ უვიზო რეჟიმი რუსეთის ყველა მოქალაქეზე განავრცო, შეუწყვიტა დაფინანსება კავკასიურ სამაუწყებლო არხს და სტუდენტებს ჩრდილოეთ კავკასიიდან. ქართული ოცნების ხელისუფლებაც წინამორბედის მსგავსად, „საშიშ“ და „უვნებელ“ მუსლიმებად ყოფს პანკისელებს, მაგრამ დიალოგისთვის ირჩევს „უვნებელ“ მუსლიმებს ანუ ტრადიციული ისლამის მიმდევრებს, კერძოდ კი უხუცესთა კავშირს. პანკისის მოსახლეობის კვლავინდებურად ორ ჯგუფად დაყოფას და სახელმწიფოს მხრიდან ერთ-ერთის პრიორეტიზებას ისეთი შედეგებიც აქვს, როგორიცაა პანკისში უხუცესთა კავშირის ავტორიტეტის რყევის ნიშნები. კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ინტერვიუებში ამის მიზეზად სახელდება: 1) სახელმწიფო პოლიტიკის უპირობო მორჩილება და ლოიალობა, მაშინაც კი, როდესაც ეს ადგილობრივების საერთო ინტერესებს ეწინააღმდეგება. ამგვარი მიდგომის უახლესი ილუსტრაციაა 2018 წელს ჰესების წინააღმდეგ პანკისელთა მობილიზაცია, რომლის დროსაც ჰესების წინააღმდეგ ცალსახა პოზიციის დაკავებისგან თავი შეიკავა უხუცესთა კავშირმა და სალაფიტების უმცირესობამ, ინტერესის ჯგუფის სახით. 2) უხუცესთა კავშირის არჩევის წესი და შემადგენლობა. უხუცესთა კავშირი 2004 წელს დარეგისტრირდა, როგორც მეხქ ხეალ-ის (ქვეყნის სამართალი) მემკვიდრე. მის შემადგენლობაში შედის 35 რიგითი წევრი და გამგეობის ათი წევრი. ახალგაზრდა რესპონდენტების ნაწილი ეჭვქვეშ აყენებს უხუცესთა კავშირის წარმომადგენლობის ლეგიტიმაციას, რადგან ის დარეგისტრირებული ორგანიზაციაა და არა ხალხის მიერ არჩეული მეხქ ხეალ-ი. 3) უხუცესთა კავშირის მიერ სალაფიტების მტრად მონიშვნა მათ ავტორიტეტს ამცირებს, ვინაიდან ისინი ამგვარად პანკისელი ახალგაზრდების უმრავლესობას უპირისპირდებიან.[342] როგორც ერთი პანკისელი შენიშნავს:

> როცა პანკისის ხეობაში სალაფიზმი არის პროცენტულად უფრო მეტი და შენ პირდაპირ ცდილობ, რომ ეს სალაფიზმი სამიზნედ გახადო და ყოველთვის რაღაცა სუსტი წერტილი მოუძებნო და იმას დაარტყა.[..] მთლიანი საქართველოს წინაშე ცდილობ, რომ ისინი დაჩაგრო და ფაქტიურად საინფორმაციო ომს აწარმოებ, ამ დროს შეუძლებელია ის საბჭო იყოს ძლიერი ინსტიტუტი ამ საზოგადოებაში.[343]

ამგვარად, მიუხედავად ზემოთ აღწერილი სხვადასხვა პერიოდებისათვის დამახასიათებელი განსხვავებული პოლიტიკური მიდგომებისა, პოლიტიკის ცენტრალური ხაზი უცვლელი რჩება: პანკისის ხეობა, ჯერ კიდევ 90-იანი წლების ბოლოდან მონიშნულია უსაფრთხოების „შავ ხვრელად“, ხოლო 2003 წლიდან მოყოლებული ხეობის მოსახლეობა რელიგიური კუთვნილების მიხედვით კლასიფიცირებულია „უვნებელ“ და „საშიშ“ მუსლი-

341 კახიშვილი, ლევან. საქართველო, რუსეთი და ჩრდილოეთ კავკასია: ოპტიმალური პოლიტიკის ძიებაში. კავკასიური სახლი, 2015. წვდომა აპრილი 5, 2018. http://caucasianhouse.ge/wp-content/uploads/2015/09/brief-print.pdf .

342 Yearbook of Muslims in Europe. 2014. Vol 6-ის თანახმად, პანკისის ახალგაზრდების 60-80% სალაფიტია.

343 ინტერვიუ. რესპონდენტი N 28, 4/11/2017.

მებად. თუმცა, რა კონკრეტული ძალოვანი და არაძალოვანი მიდგომები იკვეთება უკვე „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პოლიტიკაში პანკისის ხეობის მიმართ, მომდევნო ქვეთავების მსჯელობის მთავარი საგანია.

5.2. სახელმწიფოს ძალოვანი მიდგომების სამართლებრივი და კრიტიკული მიმოხილვა: სახელმწიფო უსაფთხოების სამსახური

სახელმწიფოს უსაფრთხოების და ზოგადი განვითარების სტრატეგიებში, ხედვებსა და პროგრამებში სიღრმისეულად გასარკვევად, ჩვენ ინტერვიუებისათვის მივმართეთ ისეთ უწყებებს, როგორებიცაა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური და შერიგებისა და ინტეგრაციის სამინისტრო. ამ სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებთან საბოლოო შეთანხმება ინტერვიუებზე ვერ შედგა (ინტერვიუებზე ოფიციალური უარი არ მოგვსლია, თუმცა კვლევის დასრულებამდე არც დასტური მიგვიღია); ხოლო, ამ სტრუქტურათა ზოგიერთი წარმომადგენელი მართალია შეგვხვდა, თუმცა ინტერვიუს ჩაწერაზე და მისი კვლევის მიზნებისათვის გამოყენებაზე უარი გვითხრა. თავისთავად, ინტერვიუებზე ფაქტობრივი უარი ან გაჭიანურება მიუთითებს სახელმწიფო სტრუქტურათა დახურულობაზე, ინფორმაციის გაზიარების, საჯაროდ ხელმისაწვდომობის თუ სამეცნიერო კვლევის წარმართვის ხელშეწყობის კუთხით. ამ მოცემულობიდან გამომდინარე, ეს ქვეთავი, რომელიც სახელმწიფოს ძალოვან მიდგომებს ეხება, ორი ნაწილისაგან, სამართლებრივი და არასამართლებრივი ანალიზისაგან შედგება.

5.2.1. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების შეუზღუდავი მანდატი და კომპეტენციები

უსაფრთხოების სამსახური 2015 წლამდე სხვადასხვა ინსტიტუციური ფორმით არსებობდა. 2015 წელს ის შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოეყო და ცალკე უწყების სახით ჩამოყალიბდა, რაც ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების დიდი ნაწილის მხრიდან პოზიტიურად შეფასდა.[344] უსაფრთხოებისა და საპოლიციო სისტემების გაყოფის მნიშვნელობის მიუხედავად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ფართე მანდატი, დუბლირებური და წინააღმდეგობრივი კომპეტენციები, ოპერატიულ საქმიანობაზე სუსტი სასამართლო კონტროლი, უწყების საქმიანობაზე დაბალი საპარლამენტო ზედამხედველობა და გამჭირვალობის სუსტი გარანტიები აღნიშნულ უწყებაშ ჭარბი და შეუზღუდავი ძალაუფლების კონცენტრაციას იწვევს და ადამიანის უფლებათა დარღვევის მაღალ რისკებს ქმნის.

344 კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის. განცხადება. 29 მაისი, 2015. წვდომა 20 სექტემბერი, 2018. https://emc.org.ge/ka/products/koalitsia-shinagan-sakmeta-saministros-reformis-protsess-ekhmaureba

სუს-ის დამოუკიდებლობის და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის კონსტიტუციური გარანტიები დაბალია და ის მმართველ პოლიტიკურ გუნდს უწყების ხელმძღვანელის დანიშვნისა და გათავისუფლების მარტივ, დაუბალანსებელ ბერკეტებს აძლევს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ კანონის თანახმად, სუს-ი მთავრობის უშუალო დაქვემდებარებაში მოქმედი აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების დაწესებულებათა სისტემაა, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სახელმწიფო უსაფრთხოებას.[345] სუს-ს კონფლიქტური და შეუსაბამო კომპეტენციები გააჩნია და ანალიტიკური და ოპერატიული მუშაობის მიღმა, საგამოძიებო და სამართალდაცვით ფუნქციებს მოიცავს. უწყებას აქვს სასამართლოს მიერ სუსტად გაკონტროლებული ფარული მიყურადების სისტემა და ასევე უსაფრთხოების ოფიცრის, ე.წ. „ოდეერის“ ინსტიტუტი, რომელიც მათ შორის, ავტონომიური დაწესებულებების საქმიანობის გაუმართლებელი კონტროლის ბერკეტს აძლევს.

უწყების საგამოძიებო ქვემდებარეობაში ტერორიზმთან, სახელმწიფო, ტერიტორიულ, ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ დანაშაულებთან ერთად, კორუფციასთან და თანასწორუფლებიანობის დარღვევასთან დაკავშირებული დანაშაულებიც შედის. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ კანონის თანახმად, სუს-ის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას მის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებულ დანაშაულთა თავიდან აცილება (პრევენციული ღონისძიებების განხორციელება), გამოვლენა, აღკვეთა და გამოძიება წარმოადგენს. უწყება აღნიშნული დანაშაულების, მათთან დაკავშირებული მოსალოდნელი საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების ანალიზს მუდმივად ახდენს.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის საგამოძიებო ფუნქციის მინიჭებას აკრიტიკებს სამოქალაქო სექტორი,[346] რომელიც მიიჩნევს, რომ აღნიშნული კომპეტენცია შეუსაბამოა სამსახურის ანალიტიკურ-კონტრდაზვერვით საქმიანობასთან და უსაფრთხოების სამსახურში ძალაუფლების თავმოყრას იწვევს[347], რაც შესაძლოა ბოროტად იქნეს გამოყენებული. სუს-ისთვის საგამოძიებო ფუნქციების გადაცემა ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებსაც. უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენების მაღალი რისკის და ტრადიციული საპოლიციო საქმიანობის დუბლირების თავიდან ასაცილებლად, ისეთი უფლებამოსილებები, როგორიცაა სისხლის სამართლის საქმის გამოძიება, დაკავება და დაპატიმრება, ექსკლუზიურად უნდა განეკუთვნებოდეს სხვა სამართალდამცავ ორგანოებს.[348] ანალოგიურ მიდგომას ითვალისწინებს გაეროს საუკე-

345 ,, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი

346 კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ შეფასება, წვდომა 12 სექტემბერი, 2018. http://coalition.ge/files/comments_on_the_ministry_of_internal_affairs_reform_concept_25092015_ge.pdf

347 ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველო (TI). უსაფრთხოების სამსახურის რეფორმა საქართველოში. თბილისი, 2018 , გვ.27.

348 PACE Recommendation 1402, გაიდლაინი B3., ციტირებულია: *„უსაფრთხოების სამსახურის რეფორმა საქართველოში“*, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველო (TI), თბილისი, 2018 , გვ.28.

თესო პრაქტიკების მიმოხილვაც და ანალიტიკურ და სადაზვერვო ფუნქციებს საგამოძიებო კომპეტენციასთან შეუთავსებლად მიიჩნევს.[349]

ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები განსაკუთრებით აკრიტიკებენ კორუფციული და თანასწორუფლებიანობის დარღვევასთან დაკავშირებული დანაშაულების სუს-ის საგამოძიებო ქვემდებარეობაში მოქცევას.[350] კორუფციასთან დაკავშირებული დანაშაულების უსაფრთხოების სამსახურის მანდატში მოქცევა სცდება აღნიშნული უწყების საქმიანობის მიზანს (გარდა იმ შესაძლო შემთხვევებისა, როდესაც კორუფციული დანაშაული შეიძლება სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხს დაუკავშირდეს) და ის საჯარო სამსახურებზე გაუმართლებელი კონტროლის მოპოვების რისკებს აჩენს (აღსანიშნავია, რომ სუს-ის მიერ გამოძიებული საქმეების დიდი ნაწილი სწორედ კორუფციულ დანაშაულებზე მოდის[351]). სისხლის სამართლის კოდექსის 142 (ადამიანის თანასწორუფლებიანობის დარღვევა) და 142 [1] (რასობრივი დისკრიმინაცია) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების სუს-ის საგამოძიებო ქვემდებარეობაში შეტანა კი თანასწორობის საკითხების და პირველ რიგში რელიგიური, ეთნიკური უმცირესობების, ასევე მიგრანტებისა და უცხოელების საკითხების უსაფრთხოების პარადიგმაში ხედვის ნათელი მაგალითია. აღნიშნული მანდატი სუს-ს არადომინანტი რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების მონიტორინგის და კონტროლის შესაძლებლობას აძლევს. [352]

საგამოძიებო კომპეტენციასთან ერთად, დანაშაულის გამოძიების ან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის მიკუთვნებული სხვა ფუნქციის შესრულების მიზნით სუს-ს პრევენციული ფუნქციების განხორციელების უფლებაც აქვს.[353] პრევენციული უფლებამოსილებების განხორციელების კუთხით პრობლემურია ის გარემოება, რომ კანონით არ არის გაწერილი კონკრეტული შემთხვევები, როდესაც სუს-ს პრევენციული ღონისძიებების განხორციელების კომპეტენცია უჩნდება. კერძოდ, კანონი ზოგად და ბუნდოვან მითითებას აკეთებს „საფრთხის თაობაზე საკმარისი საფუძვლის ვარაუდის“ შესახებ. კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად ,,საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის“ არის „ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ დამკვირვებელს გარემოებათა გათვალისწინებით დასკვნის გასაკეთებლად“, ხოლო საფრთხედ მიიჩნევა ,,ვითარება, როდესაც არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მოვლენათა მოსალოდნელი განვითარების შეუფერხებელი

349 United Nations Human Rights Council, Fourteenth Session, „Compilation of Good Practices on Legal and Institutional Frameworks.“ May 17, 2010. წვდომა 29 სექტემბერი, 2018. https://fas.org/irp/eprint/unhrc.pdf

350 ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) და საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველო (TI). უსაფრთხოების სამსახურის რეფორმა საქართველოში. თბილისი, 2018. გვ. 27-30.

351 ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველო (TI). უსაფრთხოების სამსახურის რეფორმა საქართველოში. თბილისი, 2018, გვ. 29.

352 იქვე, გვ. 28.

353 კერძოდ, კანონის მე-13 მუხლის თანახმად, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ შესაძლებელია საფრთხე შეექმნას სახელმწიფო უსაფრთხოებას, სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს შემდეგ პრევენციულ ღონისძიებებს, რომელიც მოიცავს: ა) პირის გამოკითხვას; ბ) პირის იდენტიფიკაციას; გ) პირის მოწვევას; დ) ზედაპირული შემოწმებას და ზედაპირული დათვალიერებას; ე) სპეციალური შემოწმებას და დათვალიერებას; ვ) ადგილის დატოვების მოთხოვნას და კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვას. ამასთან ერთად, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად სამსახური უფლებამოსილია, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პრევენციული ღონისძიებების გარდა, განახორციელოს სხვა პრევენციული ღონისძიებები, რომლებიც არ იწვევს ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებში ჩარევას.

მსვლელობის შემთხვევაში დიდი ალბათობით ზიანი მიადგება სამსახურის მიერ დასაცავ სიკეთეს". მითითებული აბსტრაქტული დეფინიციებიდან გამომდინარე, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების საფუძვლები ზოგადია და ის აბსტრაქტულ საფრთხეებს მიემართება, რაც იმ პირობებში, როდესაც პრევენციული ღონისძიებების გამოყენებაზე საპროკურორო და სასამართლო კონტროლი დაბალია, სუს-ს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების და მოქალაქეთა უფლებებში გაუმართლებელი ინტერვენციის შესაძლებლობას აძლევს. აღსანიშნავია, რომ კანონით პირდაპირ გათვალისწინებული პრევენციული ღონისძიებების გარდა (პირის გამოკითხვა, პირის იდენტიფიკაცია, პირის მოწვევა, ზედაპირული შემოწმება და ზედაპირული დათვალიერება, სპეციალური შემოწმება და დათვალიერება, ადგილის დატოვების მოთხოვნა და კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვა), კანონი უწყებას აძლევს საშუალებას, განახორციელოს სხვა პრევენციული ღონისძიებები, რომლებიც „ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებში ჩარევას არ იწვევს". აღნიშნული ჩანაწერი ასევე ზოგადი და ბუნდოვანია და უწყებას ის ადამიანის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების შეზღუდვის თვითნებურ შეზღუდვის მაღალ რისკებს ატარებს.

სუს-ის სპეციალური დანაყოფები უფლებამოსილები არიან გამოიყენონ სპეციალური დაცვის საშუალებები, მათ შორის, ფიზიკური ძალა, სპეციალური საშუალებები და ცეცხლსასროლი იარაღი. აღსანიშნავია, რომ დემოკრატიული სისტემების დიდ ნაწილში უსაფრთხოების სამსახურებს ძალის გამოყენების უფლებამოსილება არ აქვთ და ისინი მათ მიერ შეგროვებულ ანალიტიკურ ინფორმაციას სამართალდამცავ ორგანოებს აწვდიან.[354]

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარების დროს სუს-ის ფართო კომპეტენციების პრობლემას. ექსტრემალური სიტუაციების შტაბის უფროსი, რომელიც სუს-ის ხელმძღვანელია, თავად განსაზღვრავს კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარების ლოკაციას, დროს და მის დამთავრებას.[355] ამ პროცეს-

354 იქვე, გვ. 33.

355 ,,ექსტრემალური სიტუაციების მართვის ოპერატიული შტაბის საქმიანობის ორგანიზებისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 დეკემბრის N662 დადგენილების თანახმად, ტერორისტული საქმიანობის შედეგად შექმნილი ექსტრემალური სიტუაციის მართვის მიზნით მთავრობის განკარგულებით იქმნება შტაბი, რომელსაც ხელმძღვანელობს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი და რომელსაც ემორჩილება კონტრტერორისტულ ოპერაციაში მონაწილე ყველა პირი. შტაბი ა) ახორციელებს არსებული მდგომარეობის, ტერორისტული საქმიანობის შედეგად შექმნილი საფრთხეებისა და გამოწვევების იდენტიფიცირებას, შეფასებასა და ანალიზს; ბ) შეიმუშავებს ოპერაციის ჩატარების გეგმას; გ) ქმნის კონტრტერორისტულ ოპერაციაში მონაწილეობისათვის მოზიდული ძალებისა და საშუალებების ერთობლივ ჯგუფს; ახორციელებს მათ უშუალო ხელმძღვანელობას ოპერაციის მსვლელობისას და მის დამთავრების შემდეგ. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მონაწილეობს ტერორისტული აქტის შედეგად მიყენებული ზარალის ლიკვიდაციისა და შედეგების მინიმუმამდე დაყვანის ღონისძიებებში; დ) ორგანიზებას უწევს კონტრტერორისტულ ოპერაციაში მონაწილეობისათვის საჭირო ძალების, აგრეთვე, სპეციალური საშუალებებისა და ტექნიკის გამოყოფას, მომზადებასა და გამოყენებას წინასწარ შემუშავებული გეგმების შესაბამისად; ამოწმებს მათ მზადყოფნას; ე) ახორციელებს ტერორისტებთან მოლაპარაკებების ორგანიზებას, შესაბამისი სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებას; ვ) განსაზღვრავს კონტრტერორისტული ღონისძიებების დროს განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმის ზონებს (უსაფრთხოების და კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარების ზონები);ზ) შტაბის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, აცნობებს საქართველოს მთავრობას, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს, საქართველოს პარლამენტს, უცხო ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლებს და/ან სხვა პირებს კონტრტერორისტული ოპერაციის მიმდინარეობის, მასშტაბისა და შედეგების შესახებ. კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარებისას, ტერორისტული აქტის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება ხდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ან მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი სხვა ფორმით.

ში შტაბი არ ექვემდებარება საპარლამენტო კონტროლს და შტაბის ანგარიშვალდებულება არსებითად მთავრობისთვის კონტრტერორისტული ოპერაციის დაწყების შესახებ ინფორმაციის მიწოდებით შემოიფარგლება.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ უფლებამოსილებების განხორციელების პროცესში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სამსახურის საქმიანობის თითქმის სრულად გასაიდუმლოების ფაქტი, რაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს გაუმჭვირვალე უწყებად აქცევს და აქედან გამომდინარე ძალაუფლების თვითნებური გამოყენების რისკებს ქმნის. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური 13 სტრუქტურული ერთეულისგან შედგება[356] და მათგან საჯაროა მხოლოდ შვიდი ერთეულის დებულება, ხოლო საინფორმაციო-ანალიტიკური, კონტრდაზვერვის, სახელმწიფო უსაფრთხოების, სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტების და კონტრტერორისტული ცენტრის დებულებები სახელმწიფო საიდუმლოებას განეკუთვნება[357]. ,,სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონის და „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N507 დადგენილების მე-2 დანართის თანახმად, სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს ინფორმაცია სადაზვერვო, სახელმწიფო უსაფრთხოების, მართლწესრიგის, კონტრსადაზვერვო, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების გეგმების, ორგანიზების, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საშუალებების, ფორმების, მეთოდებისა და შედეგების, კონკრეტული ღონისძიებების განხორციელების, აგრეთვე კონკრეტული პროგრამების დაფინანსების შესახებ; აგრეთვე იმ პირთა თაობაზე, რომლებიც ზემოაღნიშნულ სფეროებში, კონფიდენციალურ საფუძველზე თანამშრომლობენ ან ადრე თანამშრომლობდნენ ასეთი საქმიანობის განმახორციელებელ საქართველოს შესაბამის უწყებებთან. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე შემდგომ კონკრეტდება თითოეული საქმიანობა, რომელიც მიიჩნევა სახელმწიფო საიდუმლოებად, რაც მიუთითებს, რომ სუს-ის უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა საქმიანობა, მათ შორის ამ საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმატიული აქტები, სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს, რაც მათ კვლევასა და ადამიანის უფლებების პერსპექტივიდან შეფასებას შეუძლებელს ხდის.

ცხადია, ეროვნული უსაფრთხოების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე არსებობს ცალკეული ინფორმაციები, რომლებზე წვდომაც კანონიერად არის შეზღუდული. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს მსგავსი ინფორმაციის ამომწურავი ჩამონათვალი, ზოგადად მიჩნეულია, რომ საიდუმლო შეიძლება იყოს სადაზვერვო სამსახურების მიერ

356 ადმინისტრაცია, კონტრტერორისტული ცენტრი, ანტიკორუფციული სააგენტო, გენერალური ინსპექცია, კონტრდაზვერვის, სახელმწიფო უსაფრთხოების, საინფორმაციო-ანალიტიკური, ოპერატიულ-ტექნიკური, ოპერატიული ღონისძიებების, ეკონომიკური, სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტები, ობიექტების დაცვისა და კადრების მთავარი სამმართველოები.

357 დებულებები. წვდომა 15, სექტემბერი, 2018 https://ssg.gov.ge/page/info/normative-acts .

მოპოვებული ინფორმაცია, ეროვნული უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით, ინფორმაცია იარაღისა და სხვა სამხედრო სისტემების წარმოების, მათი შესაძლებლობების ან გამოყენების შესახებ, ინფორმაცია თავდაცვის გეგმების, ოპერაციების და შესაძლებლობის შესახებ იმ ვადით, რომლის ფარგლებშიც ეს ინფორმაცია უსაფრთხოების მიზნებისთვის გამოყენებადია.[358] მითითებულიდან გამომდინარე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურების მიერ მოპოვებული ინფორმაციისა და მათი მოპოვების მეთოდების გასაიდუმლოება კანონით ზუსტად დადგენილი გარემოებებიდან გამომდინარე უნდა ხდებოდეს და სუს-ის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტები ავტომატურად სახელმწიფო საიდუმლოებად არ უნდა მიიჩნეოდეს. ამის მიუხედავად, კონკრეტულ შემთხვევებში ადგილი აქვს ცალკეული გარემოებების დაუსაბუთებლად გასაიდუმლოებას. მაგალითად, გაურკვეველია რა სამართლებრივი საფუძვლით ასაიდუმლოებს სუს-ი ცალკეული დეპარტამენტების დებულებებს, რომლებიც წესით მხოლოდ სტრუქტურისა და ფუნქციების შესახებ ინფორმაციას უნდა შეიცავდეს[359]. ანალოგიური პრობლემა იკვეთება ტერორისტული საქმიანობის ცალკეულ სისხლის სამართლის საქმეებში, სადაც, როგორც უკვე აღინიშნა, საქმის ადვოკატები საუბრობენ სისხლის სამართლის საქმეების მასალების ავტომატურად გასაიდუმლოებაზე იმის მიუხედავად, რომ საქმეში შესაძლოა არ იყოს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია.

ამდენად, სუს-ი შეუზღუდავი და ფართე მანდატის მქონე უწყებას წარმოადგენს, რომელიც ადამიანის უფლებების დარღვევის მაღალ რისკებს ქმნის. იმ პირობებში, როდესაც სუს-ის საქმიანობა პანკისის ხეობაში ისედაც აქტიური და ინტენსიურია, უწყების ფართო კომპეტენციებთან, დაბალ საპარლამენტო კონტროლთან და გამჭირვალებასთან დაკავშირებული ინსტიტუციური კრიტიკა ადგილობრივ თემში კონტროლის და უფლებების დარღვევის კიდევ უფრო მძიმე რისკების შესახებ მიუთითებს.

5.2.2. ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლისა და გამკლავების პოლიტიკის კრიტიკული მიმოხილვა

როგორც წინა ქვეთავებშიც შევნიშნეთ, სუს-ის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი ტერორიზმთან ბრძოლაა. ამის მიუხედავად, უწყებას არ გააჩნია ტერირიზმთან ან ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლის პოლიტიკის დოკუმენტი და სტრატეგია, რის გამოც სახელმწიფოს ხედვისა და მიდგომების სათანადო შეფასება რთული ხდება.

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქვეთავის მიზანი არის არა ტერორიზმთან და ძალადობრივ ექსტრემიზმთან სახელმწიფო ბრძოლის პოლიტიკის ეფექტიანობის შე-

358 Tshwane Principles, Part II, Principle 9, ციტირებულია: ,,უსაფრთხოების სამსახურის რეფორმა საქართველოში", ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველო (TI), თბილისი, 2018 , გვ. 107.

359 იქვე, გვ. 101.

ფასება, არამედ იმ პარადიგმული ხარვეზების იდენტიფიცირება, რომლებიც სუს-ის პოლიტიკას გააჩნია.

საქმიანობების ანგარიშებში, **სუს-ის განმარტების მიხედვით, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენები და ისეთი ტერორისტული ორგანიზაციები, როგორებიცაა ისლამური სახელმწიფო, ალ-ყაიდა და თალიბანი განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენენ და ეს მოცემულობა კავკასიის რეგიონზეც უარყოფითად აისახება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ტერორისტული თავდასხმის მაღალი რისკი არ არის, გამოწვევები არსებობს.**[360] ერთ-ერთ ასეთ გამოწვევად უწყება სირიასა და ერაყში საქართველოს მოქალაქეების წასვლას ასახელებს. მაგალითად 2015 წლის ანგარიშის მიხედვით, ამ ქვეყნებში „ტერორისტული მიზნებით“, 2015 წლის მონაცემებით. საქართველოს 50-მდე მოქალაქე იმყოფებოდა.[361]

2015-2017 წლის ანგარიშების მიხედვით, სუს-მა ტერორიზმთან ბრძოლის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებები განახორციელა. არსებული ანგარიშების შესაბამისად, უწყების მიზნები შემდეგი ძირითადი ბლოკების ქვეშ ერთიანდება: 1. ნებისმიერტერორისტულ საქმიანობაზე რეაგირება, პრევენცია და მათი აღკვეთა. 2. ტერორისტული რისკების შემცირება. 3. სახელმწიფოს, მისი ინტერესებისა და მოქალაქეების ტერორისტული საქმიანობის ყველა ფორმისგან დაცვა. სწორედ მათ მიემართება 2015-2017 წლების საანგარიშო პერიოდში სუს-ის მიერ განხორციელებული ძირითადი ღონისძიებები ტერორიზმთან ბრძოლის მიმართულებით. მათ შორის არის, მაგალითად, 2015 წელს „ისლამური სახელმწიფოს“ წარმომადგენლის აიუფ ბორჩაშვილის და მასთან დაკავშირებული პირების დაკავება; 2015-2017 წლის საანგარიშო პერიოდში „რადიკალური იდეოლოგიის გავრცელების მიზნით ინტერნეტ სივრცის გამოყენების პრევენცია“,[362] ტერორისტული საქმიანობისათვის ქვეყნიდან გამგზავრებისა და შემოსვლის პრევენციის მიზნით სასაზღვრო კონტროლის გაძლიერება, სხვადასხვა პირთათვის გამგზავრების ან შემოსვლის აკრძალვა; ტერორიზმის დაფინანსების ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა, ტერორისტულ საფრთხეზე მზადყოფნისა და რეაგირების შესაძლებლობების გაუმჯობესება; მათ შორის, სახელმწიფო სტრატეგიული ობიექტების პასპორტიზაცია და რისკების ანალიზის პროცესი; საერთაშორისო თანამშრომლობა ოპერატიული ინფორმაციის გაცვლის მხრივ, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ ერთობლივი ქმედებების დაგეგმვა და სხვ.

აღნიშნულ ანგარიშში ჩვენთვის განსაკუთრებით სიმპტომატური და კვლევის მიზნებისთვის საინტერესოა ანგარიშებში გამოყენებული ტერმინები და მიდგომები. პირველ რიგ-

360 სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. ტერორიზმთან ბრძოლა. წვდომა 29 ოქტომბერი, 2018, https://ssg.gov.ge/page/counter-terrorism

361 სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში 2015, გვ.13. წვდომა 29 ოქტომბერი, 2018, https://ssg.gov.ge/page/info/reports

362 სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2015-2017 წლების ანგარიშები. წვდომა 29 ოქტომბერი, 2018 https://ssg.gov.ge/page/info/reports

ში ანგარიშებში გამოყენებული ტერმინების ბუნდოვანობას უნდა გაესვას ხაზი. ეს ეხება ისეთ ტერმინებს, როგორებიცაა „ისლამისტური იდეოლოგია“, „რადიკალური იდეოლოგია“, „რადიკალური მოწოდებები“, „რადიკალიზებული მოქალაქეები“, „ექსტრემისტული მოწოდებები“ თუ „ექსტრემისტული იდეები“. მაგალითად, 2015 წლის ანგარიშში ვკითხულობთ: „ისლამურმა სახელმწიფომ“ საქართველოს ცალკეულ რეგიონებში მხარდამჭერთა გარკვეული რაოდენობა შეიძინა. ისლამისტური იდეოლოგიის გამავრცელებლები ცდილობენ, საზოგადოების გარკვეული ნაწილის დაბალი ცნობიერება მათ სასარგებლოდ გამოიყენონ“.[363] ასევე, მაგალითად, 2016 წლის ანგარიშში ვკითხულობთ: „აქტიურად ხორციელდებოდა რადიკალური იდეოლოგიის გამავრცელებელი პირებისა და ორგანიზაციების ოპერატიული კონტროლი“.[364] ხოლო, მაგალითად, 2017 წლის ანგარიშში, ვნახულობთ, რომ

> „2017 წელს საქართველო რამდენიმე მნიშვნელოვანი, ზოგ შემთხვევაში კი კრიტიკული გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა, ადგილი ჰქონდა ტერორიზმის დაფინანსების მცდელობის, ექსტრემისტული და ტერორისტული იდეების მხარდაჭერისა და საქართველოს ცალკეული მოქალაქეების რადიკალიზაციის ფაქტებს“.[365]

აღნიშნული ტერმინები არ არის განსაზღვრული მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, ან პოლიტიკის დოკუმენტებით, რის გამოც სუს-ის მიერ მათი გამოყენების ზუსტი შინაარსის და კონტექსტის დადგენა რთულია. კვლევის ფარგლებში ჩვენ ოფიციალურად გამოვითხოვეთ სუს-განინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სამართლებრივი საფუძვლით ხდება ამ ტერმინთა გამოყენება და სახელმწიფო უსაფრთოხების სამსახურში შემუშავებული რა კრიტერიუმების (მათ შორის სამართლებრივის) საფუძველზე ხდება აღნიშნულ ტერმინებში კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების ასახვა. გამოთხოვილ ინფორმაციაზე უწყებამ შემდეგი პასუხი გასცა:

> „წერილში ჩამოთვლილი ტერმინები, რომლებიც გამოყენებულია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშებში, წარმოადგენს საყოველთაოდ ცნობილი განსაზღვრებების გამოყენების საშუალებას. ანალოგიური და მსგავსი ტერმინები, საერთაშორისო ტერმინების ანალიზისას, გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნების სამართალდამცავი უწყებების და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებში. მსგავსი ტიპის განმარტებებსა და ტერმინებს იყენებენ – გაერო, ეუთო, ევროპის

363 სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგრიში 2015, გვ. 11. წვდომა 29 ოქტომბერი, 2018 https://ssg.gov.ge/page/info/reports , კურსივი კვლევის ავტორებისაა.

364 სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში 2016, გვ. 13. წვდომა 29 ოქტომბერი, 2018 https://ssg.gov.ge/page/info/reports ,კურსივი კვლევის ავტორებისაა.

365 სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში 2017, გვ. 13. წვდომა 29 ოქტომბერი, 2018 https://ssg.gov.ge/page/info/reports ,კურსივი კვლევის ავტორებისაა.

> საბჭო, ევროკომისია, საერთაშორისო ორგანიზაციები და მკვლევარები, სხვადასხვა დონის ანგარიშებსა და ანალიტიკურ დოკუმენტებში. შესაბამისად, ანალიტიკურ თუ საანგარიშო დოკუმენტში მათი გამოყენება არ საჭიროებს დამატებითი კრიტერიუმების შემუშავებას, ამა თუ იმ კონკრეტული ტერმინის გამოყენების ლეგიტიმაციისათვის, ასევე არ საჭიროებს საკანონმდებლო დონეზე განმარტებას".[366]

როგორც ოფიციალური პასუხიდან ჩანს, სუსი მიიჩნევს, რომ ტერმინები „რადიკალიზაცია", „ექსტრემიზმი", „რადიკალური იდეოლოგია" და სხვ., საყოველთაოდ ცნობილი განსაზღვრებებია, რომლებსაც იყენებენ როგორც სხვადასხვა სახელმწიფოთაშორისო სტრუქტურები და ორგანიზაციები, ისე ცალკეული სახელმწიფოების სამართალდამცავი უწყებები და მკვლევრები. თუმცა, წინამდებარე კვლევის მე-4 თავში, რომელიც მიმოიხილავს ტერმინებს „რადიკალიზაცია" და „ძალადობრივი ექსტრემიზმი", ნაჩვენებია, რომ აღნიშნული ტერმინების მრავალი მახასიათებელი შეიძლება გამოვყოთ, თუმცა მათი საყოველთაოდ ცნობილი განსაზღვრებების მოძიება საკმაოდ რთული საქმე იქნებოდა; და, მითუმეტეს, არ არსებობს მათი კონკრეტული, საყოველთაოდ შეთანხმებული კრიტერიუმები. ამდენად, უწყების მიდგომა, რომ ეს ტერმინები საყოველთაოდ ცნობილია და გამოიყენება არაერთი მკვლევრის მიერ და არ არსებობს ანგარიშებში მათი გამოყენებისას დამატებითი კრიტერიუმების შემუშავების საჭიროება, პრობლემური მიდგომაა და თვითნებობის მაღალ რისკებს შეიცავს.

ამ პირობებში მთავარი კითხვა ასე შეიძლება განისაზღვროს: აქვთ თუ არა ამ ტერმინებს საყოველთაოდ ცნობილი განსაზღვრებები და ზუსტი კრიტერიუმები ისეთ სახელმწიფოთაშორის სტრუქტურებში, როგორებიცაა გაერო, ეუთო, ევროპის საბჭო და ევროკომისია?

1) **გაერო** – გაეროს გენერალური მდივანი ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის სამოქმედო გეგმაში შენიშნავს: „ძალადობრივი ექსტრემიზმი მრავალმხრივი, მკაფიო განმარტების არ მქონე, ფენომენია. ის არც ახალია და არც ექსკლუზიურად ახასიათებს რომელიმე რეგიონს, ეროვნებას ან რწმენათა სისტემას".[367] გენერალური მდივანი ასევე შენიშნავს, რომ „ტერორიზმის მსგავსად" (იხ. თავი 2) „ძალადობრივი ექსტრემიზმის" განმარტება ცალკეული წევრი სახელმწიფოების პრეროგატივაა და ეს განმარტება შესაბამისობაში უნდა იყოს საერთაშორისო სამართალთან, განსაკუთრებით, ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალთან.[368]

366 სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წერილობითი პასუხი ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრს (04/06/2018, N SSG 3 18 00081828).

367 UN General Assembley. *Plan of action to prevent violent extremism. Report of the Secretary-General.* 2015, გვ.1. წვდომა 01 ნოემბერი, 2018 http://www.undp.org/content/dam/norway/undp-ogc/documents/SG%20PVE%20plan%20of%20action.pdf

368 იქვე. გენერალური მდივნის მიერ ტერმინ „რადიკალიზაციაზე" გაკეთებული შენიშვნებსა და მის თანმდევი პრობლემატური საკითხების დეტალური მიმოხილვა იხ. ამ კვლევის თავი 4-ში.

2) **ეუთო** – ეუთოს მიერ მომზადებულ ანგარიშში, რომელიც ისეთ ძალადობრივ ექსტრემიზმსა და რადიკალიზაციასთან გამკლავებას ეხება, რომელიც შესაძლოა ტერორიზმში გადაიზარდოს, ვკითხულობთ, რომ ამ დრომდე, კონსენსუსი იმ თემაზე, თუ რას გულისხმობს „ტერორიზმი“ და „ძალადობრივი ექსტრემიზმი“, არ არსებობს. თავად „ძალადობრივი ექსტრემიზმი“ შედარებით ახალი ცნებაა, რომელიც ცდილობს მოიცვას ექსტრემიზმისა და ძალადობის უფრო ფართო ფორმები.[369] ხოლო, რადიკალიზაციას ეუთოს ანგარიში ექსტრემიზმს უკავშირებს (ამ უკანსკნელსაც ცალკე განმარტავს) და შენიშნავს, რადიკალიზაციას არ აქვს ერთი, უნიკალური მამოძრავებელი, ის კომპლექსური და მრავალაზროვანია, თუმცა, ეუთოს თანახმად, შესაძლებელია გარკვეული ფაქტორების გამოყოფა[370]

3) **ევროპის საბჭო** – ევროპის საბჭომ 2006 წელს რადიკალიზაცია განსაზღვრა ფენომენად, როდესაც ადამიანები ემხრობიან მოსაზრებებს, ხედვებს და იდეებს, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს ტერორისტული ქმედებები.[371]

4) **ევროპული პარლამენტი** – ევროპარლამენტი „რადიკალიზაციას“ განსაზღვრავს ფენომენად, როდესაც ადამიანები ემხრობიან არატოლერანტულ მოსაზრებებს, შეხედულებებსა და იდეებს, რომლებიც შესაძლოა ძალადობრივ ექსტრემიზმში გადაიზარდოს.[372]

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ მართალია ზემოთ ჩამოთვლილი სტრუქტურები იყენებენ ტერმინებს, როგორებიცაა „ძალადობრივი ექსტრემიზმი“ და „რადიკალიზაცია“, ეს ტერმინები არც შეთანხმებულია, არც კონკრეტული კრიტერიუმები აქვთ გამოყოფილი და ამავდროულად კრიტიკის ქვეშაც ექცევიან სწორედ ბუნდოვანი განმარტებების და, ამდენად, ადამიანის უფლებების დარღვევის რისკის გამო.

ტერმინთა ბუნდოვანების საკითხი მხოლოდ ბუნდოვანების გამო არაა პრობლემური. საქმე ისაა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ტერმინები აბსოლუტური ფორმით გამოყენება,[373] თითქოს ისინი თავისთავად ცხადი განსაზღვრებები იყოს, სახელმწიფოს, კონკრეტულად კი სუს-ს აძლევს საშუალებას უსაფრთხოების ეგიდით მუდმივად გაზარდოს კონტროლი თავის მოქალაქეებზე. გაზრდილი კონტროლისა და ძალისმიერი ქმედებების გამოყენების რეალისტურობა, გარდა უშუალოდ სუს-ის ანგარიშებში ამოკითხული ტერმინების

369 Neumann, Peter. R., *Countering Violent Extremism and Radicalisation that leads to terrorism*: *Ideas, Recommenadations, and Good Practices from OSCE Region.* Austria: OSCE, 2017. გვ. 19.

370 იქვე, გვ. 21

371 Schmid, Alex, P., *Radicalisation, De-Radicalisation, Counter-Radicalisation: A Conceptual Discussion and Literature Review.* The Hague: ICTT, 2013. გვ. 12.

372 Kundnani, Arun and Ben Heyes: *The globalisation of Countering Violent Extremism policies. Undermining human rights, instrumentalising civil society.* Amsterdam: Transnational Institue, 06 March,2018, გვ. 21. წვდომა 30 ოქტომბერი, 2018 https://www.tni.org/en/publication/the-globalisation-of-countering-violent-extremism-policies

373 ტერმინების რადიკალიზაცია და ძალადობრივი ექსტრემიზმის აბსოლუტურ და არა ფარდობით ტერმინებად გამოყენებაზე და მათ თანმდევ პრობლემურ საკითებზე მსჯელობისათვის იხ. თავი 4.

ბუნდოვანებისა, ამოიკითხება პანკისის მოსახლეობასთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგებშიც, სადაც ისინი შენიშნავენ, რომ რელიგიური იდენტობის გამო ხშირად ყოვნდებიან საზღვარზე და სავარაუდოდ, სპეციალური და დისკრიმინაციული კონტროლის ქვეშ ექცევიან. ამასთან, ადგილობრივები მიუთითებენ პანკისის ხეობაში სუს-ის და პოლიციის მიერ განხორციელებულ ინტენსიურ კონტროლზეც, რომელიც, როგორც წესი, მათი სამოქალაქო აქტივიზმის შეზღუდვისკენ არის მიმართული.

ამასთანავე, მაგალითად სუს-ის 2017 წლის ანგარიშში, ზემოთ მოყვანილ ციტატას იმის შესახებ, რომ 2017 წელს საქართველო კრიტიკული გამოწვევის წინაშეც აღმოჩნდა, რადგან ადგილი ჰქონდა როგორც ექსტრემისტული და ტერორისტული იდეების მხარდაჭერას, ისე კონკრეტული მოქალაქეების რადიკალიზაციის ფაქტებს, მალევე მოყვება შენიშვნა 2017 წლის 21-22 ნოემბერს თბილისში ჩატარებული ანტიტერორისტული სპეცოპერაციის შესახებ. ამ შენიშვნას კი მტკიცებით ფორმით მოსდევს შემდეგი:

> „მოგვიანებით გამოვლენილ იქნა ჩატაევის ტერორისტულ ჯგუფთან კავშირზე მყოფი სხვა პირებიც. 2017 წლის 26 დეკემბერს თბილისსა და ახმეტის რაიონში, აღნიშნული პირების დაკავების მიზნით, ჩატარდა სპეცოპერაცია. დაკავებულ იქნა 5 პირი. ერთ-ერთი მათგანი მოგვიანებით, სპეცოპერაციის დროს მიყენებული ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა“.[374]

ამ შენიშვნით, სუს-ის ანგარიში მათ შორის თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეზეც მიუთითებს. გარდა იმისა, რომ ამგვარი მტკიცებითი ფორმა არღვევს თემირლან მაჩალიკაშვილის უდანაშაულობის პრეზუმციას,[375] წინასწარ, განმარტების გარეშე მოცემული ტერმინები „ექსტრემისტული და ტერორისტული იდეების მხარდაჭერა“ და „რადიკალიზაციის ფაქტები“ პოლიტიკურად და იდეოლოგიურად ფუთავს თემირლან მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფის საქმეს და საქართველოს მოსახლეობას ისე წარუდგენს ამ საქმეს, თითქოს, „რადიკალიზაციის ფაქტი“ წინასწარ შემუშავებული, ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე დადგინდა.

2015-17 წლის ანგარიშებში ტერმინების რადიკალიზაცია, ექსტრემიზმი ბუნდოვანი გამოყენება და მათი პირდაპირი დაკავშირება ტერორიზმთან შესაბამისობაშია იმ კრიტიკულ პუნქტთან, რომელზეც საუბარი კვლევის მე-4 თავში გვქონდა. კერძოდ, რომ რადიკალიზაციის, ექსტრემიზმისა და ტერორიზმის ერთმანეთთან გაიგივება იწვევს ადამიანებისა და კონკრეტული თემის ძირითადი უფლებების დარღვევას და მათ რელიგიური და სხვა

374 სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში 2017, გვ. 14. წვდომა 29 ოქტომბერი, 2018, https://ssg.gov.ge/page/info/reports

375 შდრ. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი. *“EMC-იმ თემირლან მაჩალიკაშვილის მშობლების სახელით სუს-ის წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა.”* 20 აპრილი. 2018. წვდომა 30 ოქტომბერი, 2018 https://emc.org.ge/ka/products/emc-im-temirlan-machalikashvilis-mshoblebis-sakhelit-sus-is-tsinaaghmdeg-tbilisis-sakalako-sasamartloshi-sarcheli-sheitana

ნიშნით დისკრიმინაციას. როგორც ამას გაეროს გენერალური ასამბლეის გენერალური მდივანიც შენიშნავს, ხშირად, ექსტრემიზმისა და ძალადობის, ან ექსტრემიზმისა და ტერორიზმის გაიგივება მოიცავს კონტრტერორისტული მეთოდების ზედმეტად ფართო გამოყენების რისკს, მათ შორის ისეთი ქმედებების წინააღმდეგაც, რომლებიც არ უნდა კვალიფიცირ ტერორისტულ ქმედებებად.[376]

5.3. სახელმწიფოს არაძალოვანი მიდგომები: სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია

პანკისის ხეობაში სახელმწიფოს არაძალოვანი მიდგომები უკავშირდება ძირითადად ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის და სამოქალაქო თანასწორობის პოლიტიკას, რომელსაც მეტწილად შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი განსაზღვრავს და კოორდინირებს. ეს მიდგომები გაწერილია 2015-2020 წლების სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიაში,[377] რომელიც საქართველოს მთავრობამ 2015 წლის აგვისტოში დაამტკიცა. სტრატეგიის დოკუმენტის შესავალში ვკითხულობთ:

> „დემოკრატიის განმტკიცება და განვითარება საქართველოს საზოგადოებისა და ხელისუფლების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია, რომლის მისაღწევად აუცილებელია ინდივიდთა შორის თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა. ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვა და მრავალფეროვნებასა და პლურალიზმზე დაფუძნებული საზოგადოების ხელშეწყობა მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყნის დემოკრატიულობის ხარისხს და განვითარებას“.[378]

სტრატეგიის დოკუმენტს ოთხი საკვანძო მიმართულება აქვს:

- ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლები თანაბრად და სრულფასოვნად მონაწილეობენ სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში;
- ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის შექმნილია თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობები და შესაძლებლობები;
- ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის ხელმისაწვდომია ხარისხიანი განათლება ყველა დონეზე და გაუმჯობესებულია სახელმწიფო ენის ცოდნა;

376 UN General Assembley, *Plan of action,* გვ. 2

377 სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წწ. საქმოქმედო გეგმა. წვდომა 20 ოქტომვერი, 2018. http://smr.gov.ge/FileList.aspx?ID=34

378 იქვე, გვ. 1

- შენარჩუნებულია ეთნიკურ უმცირესობათა კულტურა; წახალისებულია ტოლერანტული გარემო.[379]

სტრატეგიის დოკუმენტი ადამიანის უფლებების და თანასწორობის პერსპექტივით ხედავს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის საკითხს და დოკუმენტს მნიშვნელოვანი კონცეპტუალური ხარვეზი არ აქვს. თუმცა, არსებითი გამოწვევაა სტრატეგიის მიზნების სფუძველზე სახელმწიფო აპარატის მიერ შემუშავებული ყოველწლიური სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული ღონისძიებების რეალურ საჭიროებებზე ორიენტირებულობა და მათი ეფექტიანი შესრულება. ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები აჩვენებს, რომ მთავრობას მეტწილად აქტივობებზე დაფუძნებული მიდგომა აქვს და სათანადოდ არ ზომავს სოციალური ცვლილებების მასშტაბს.

2015-2017 წლების ანგარიშების მიხედვით პანკისის ხეობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგიის მეოთხე პუნქტს, ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნებას (მათ შორის, ადგილობრივი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი იყო სკოლებში ჩეჩნური ენის სწავლების შესაძლებლობის გაჩენა). მიუხედავად იმისა, რომ თავისთავად კულტურული ღონისძიებების გამართვა მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობების კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის, ერთი მხრივ, როგორც ეს პანკისის ხეობაში ჩატარებულმა თვისებრივმა ინტერვიუებმა აჩვენა, ამგვარ ღონისძიებებზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება, ხოლო, მეორე მხრივ, დარარჩენ სამ სტრატეგიულ პუნქტთან მიმართებით განხორციელებული ღონისძიებები, ხშირად არ შეესაბამება პანკისის ადგილობრივი მოსახლეობის წუხილებსა და რეალურ საჭიროებებს. სრულფასოვანი პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ინკლუზიის ნაცვლად, ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პოლიტიკა ხშირად არადომინანტი ჯგუფების ეგზოტიზაციაზე დაიყვანება, რაც აღნიშნულ ჯგუფებს პოლიტიკურ სუბიექტურობას უკარგავს.

კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ინტერვიუებში არაერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ხეობაში ჩატარებული ღონისძიებები არ ეფუძნება რეგიონში სოციალური საჭიროებებისა და ეკონომიკური რესურსების სათანადო შეფასებას და არ არის სისტემური ცვლილებებისკენ მიმართული. ერთ-ერთი რესპონდენტი განმარტავს, რომ სახელმწიფო და არასამათავრობო ორგანიზაციების პროექტები, როგორიცაა მცირე მეწარმეების ხელშეწყობა, მხოლოდ ერთჯერადად და ერთეულ ადამიანებს უმართავს ხელს და ვერ უზრუნველყოფს სიღარიბისა და დასაქმების პრობლემის აღმოფხვრას.[380] ის დასძენს, რომ „ასეთი გრანტები გაიცემა წელიწადში 1-3 და დიდ როლს არ თამაშობს და ცოტა ხნის შემდეგ იხურება“, ამიტომაც მისი აზრით, ხეობაში „საჭიროა მასშტაბური

379 იქვე, გვ. 6

380 ინტერვიუ. რესპონდენტი N 9, 31/10/2017.

პროექტები“.[381] თავად არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელიც შენიშნავს, რომ „პატარა მინი პროექტებით არაფერი გამოვა“.[382] რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რესპონდენტები შენიშნავენ, რომ პროექტის განხორციელებისას არ ხდება ადგილობრივების ჩართულობის უზრუნველყოფა და მათი დასაქმება. როგორც ერთ-ერთი უხუცესი ამბობს, თუ „ფირმამ გაიმარჯვა მოჰყავს თავისი ხალხი. შეიძლება 2-3 კაცი დაასაქმოს“.[383] ხეობის მოსახლეობა ეკონომიკისა და სოციალური კრიზისის მოსაგვარებლად ჯერ კიდევ 2000-2001 წლებში ითხოვდა გრძელვადიანი დასაქმების ადგილების შექმნას. მათი აზრით, ხეობაში ეკონომიკის განვითარებისთვის შეიძლება წვენების და მატყლის გადასამუშავებელი ქარხნების აგება, შინამრეწველობის განვითარება, მიმღები პუნქტების გახსნა.[384] სოციალური ფონიდან გამომდინარე მაღალია პანკისიდან მოსახლეობის საქართველოდან გადინების დონეც.[385]

პანკისის ხეობის საჭიროებებს შორის რესპონდენტები ერთსულოვნად გამოყოფენ დასაქმების პრობლემას. რესპონდენტები განათლების საკითხსაც დასაქმებასთან მიმართებით განიხილავენ. სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ახალგაზრდების ადგილზე დასაქმება. როგორც ერთ-ერთი მასწავლებელი შენიშნავს, „ძალიან ბევრი პერსპექტიული ახლგაზრდა არის ხეობაში, რომელმაც წარჩინებით დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი, მაგრამ საკუთარი უნარების რეალიზებას ვერ ახდენს“.[386] ის დასძენს, რომ მოსწავლეთა ნაწილი უმაღლეს სასწავლებელში უბრალოდ არ აბარებს, რადგან იცის რომ ფინანსურად ვერ გასწვდება ქალაქში ცხოვრებას და სწავლას.[387] თავის მხრივ, უმაღლესი განათლების მიღების შეუძლებლობა კი მოსწავლეების მოტივაციაზე ახდენს გავლენას და სკოლიდან გადინების ერთ-ერთი მიზეზია. ასე მაგალითად, როგორც დუისის სკოლის მასწავლებელი შენიშნავს, ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია პერიფერიაში მცხოვრები მოსწავლეებისთვის: მას კლასში სოფელ წინუბანში მცხოვრები ექვსი მოსწავლე ჰყავდა, მაგრამ მეცხრე კლასის შემდეგ მათგან ოთხმა სკოლაში სიარულს თავი გაანება.[388]

განსხვავებით პანკისის ხეობის ცენტრალური სოფლებისგან, სადაც საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებების გარდა არასამთავრობო ორგანიზაცია KRDF-იც სთავაზობს მოსწავლეებს უფასო დამატებით მოსამზადებელ გაკვეთილებს, პერიფერიულ სოფელ

381 ინტერვიუ. რესპონდენტი N 9, 31/10/2017.

382 ინტერვიუ. რესპონდენტი N 24, 2/11/2017.

383 ინტერვიუ. რესპონდენტი N 18, 2/11/2017.

384 შუბითიძე, ვერა. „უსაფრთხოება და ეთნიკური კულტურის ადაპტაციის უნარი ახალ სოციალურ-კულტურულ გარემოსთან.“ *უსაფრთხოების სტრატეგიის ეთნიკური ასპექტები (პანკისის კრიზისი),* რედ. ლია მელიქიშვილი. თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2002. გვ. 95

385 სიხარულიძე, არჩილ და სხვა. *ისლამი საქართველოში: პოლიტიკა და ინტეგრაცია.* თბილისი: კავკასიური სახლი, 2016. გვ. 19.

386 ინტერვიუ. რესპონდენტი N 34, 5/3/2018.

387 იქვე.

388 იქვე.

წინუბანში სკოლა მოსწავლეებისთვის სათანადო სასწავლო გარემოს ვერ უზრუნველყოფს, ვინაიდან არ აქვს საბაზისო ინფრასტრუქტურა. წინუბნის დაწყებითი სკოლა ექვსკლასიანია და მოსწავლეებს სწავლის გაგრძელება სოფელ დუისში უწევთ, მაგრამ, დუისი-წინუბნის გზის მოუწესრიგებლობის გამო, დიდთოვლობისას წინუბნელ მოსწავლეებს გადაადგილება უჭირთ.

ინტერვიუების ანალიზის თანახმად, პანკისელი ქისტები ხშირად ლეგიტიმური წინააღმდეგობის გამოხატვისგანაც იკავებენ თავს, რაც ზღუდავს მათ ჩართულობას და რიყავს მათ პოლიტიკური ველიდან. პოლიტიკური თავშეკავების რამდენიმე მიზეზი იკვეთება:

1) მოსახლეობას არ აქვს იმედი, რომ მათ სამოქალაქო ჩართულობას შედეგი მოჰყვება. ქისტი რესპონდენტების უკმაყოფილებას იწვევდა სპეცსამსახურების მხრიდან მათი შევიწროვება საქართველოს საზღვრის გადაკვეთის დროს, რაც მათ გააპროტესტეს სოფელ დუისში ჩატარებულ აქციაზე, მაგრამ როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს: „პროტესტის გამოხატვას რა აზრი აქვს. [...] ჩავატარეთ მიტინგი, მაგრამ არაფერი შედეგი“.[389]

2) ინტერესთა ჯგუფების ლოიალობა მოქმედი ხელისუფლების მიმართ, განპირობებულია ქისტების, როგორც ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის, სიფრთხილით, არ გაანაწყენონ დომინანტი ეთნიკური ჯგუფი. ისინი, როგორც „სტუმრები“, ხშირად კმაყოფილდებოდნენ იმ შემოთავაზებული მიზერული სარგებელით, რასაც მათ ქართული სახელმწიფო სთავაზობს, ვინაიდან უფლებების მოთხოვნის ნაცვლად, თავდაცვის რეჟიმში უწევდათ ცხოვრება. ასე განმარტავს საკუთარ პრაგმატულ დამოკიდებულებას სახელისუფლებო პოლიტიკის მიმართ ქისტი უხუცესი:

> ჩვენ ერთი რამე ვიცით ქისტებმა, რომ ჩვენ ძალიან ცოტანი ვართ საქართველოში მცხოვრები ხალხი. [..] პოლიტიკურ ამინდს ვერ შევცვლით, ეს ძალიან კარგად ვიცით. ჩვენი არასწორი ნაბიჯებით ზიანის მეტს არაფერს არ მოვუტანთ ჩვენს ხალხს, ეს ერთი. მეორე, ჩვენ თითქმის 200 წელია და მეტიც ჩვენი ბედი დავუკავშირეთ ქართველი ხალხის ბედს, ვცხოვრობთ საქარველოში და სადაც დგას ქართველი ხალხის უმრავლესობა იქ ვდგავართ ჩვენც. [..] ჩვენ პრაგმატულად ვუყურებთ ამ მიმდინარე პოლიტიკურ ცხოვრებას და ვცდილობთ რომ ჩართულნი ვიყვეთ ამ პროცესში ისეთნაირად, რომ რაიმე ზიანი არ მივაყენოთ ჩვენს ხალხს და ჩვენს კუთხეს.[390]

შეზღუდული პოზიტიური თავისუფლების ფონზე, ქისტი რესპონდენტები ნეგატიური თავისუფლებითაც კმაყოფილდებიან და როგორც ერთ-ერთი მათგანი შენიშნავს: „უბრალოდ

389 ინტერვიუ. რესპონდენტი N 4, 16/09/2017.

390 ინტერვიუ. რესპონდენტი N 18, 2/11/2017.

მთავარია შევიწროვება არ იყოს, დაჩაგვრა არ იყოს და ძალიან დიდ რაღაცეებს მთავრობისგან ჩვენც არ მოვითხოვთ“.[391] თუმცა, 2018 წლის დასაწყისში ქისტების ნაწილმა სამოქალაქო წინააღმდეგობით უარი თქვა „სტუმრის“ სტატუსით შემოფარგვლაზე და მისი წევრები სახელმწიფოს წინაშე წარსდგნენ, როგორც პოლიტიკური სუბიექტები და უფლებამოსილი მოქალაქეები, რომლებმაც „პოლიტიკური ამინდის“ შეცვლა გადაწყვიტეს. ისინი ჯერ თემირლან მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფისთვის სთხოვდნენ სახელმწიფოს პასუხს, ხოლო 2018 წლის გაზაფხულიდან კი პანკისის ხეობაში ჰესების მშენებლობის წინააღმდეგ გამოვიდნენ. ქისტი აქტივისტების თანახმად, ხელისუფლებამ საპასუხოდ დაკითხვებზე დაიბარა აქტიური პანკისელები.[392] აქედან იკვეთება, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების რუკაზე ქისტების მოწყვლადი პოზიციით შეეცადა მათთვის „სტუმრის“ სტატუსის შეხსენებას და,ამგვარად,უხილავ,აპოლიტიკურ საზღვრებში მათ მოქცევას.

3) ქისტების მიერ გამოთქმული ნებისმიერი სოციალური თუ პოლიტიკური წინააღმდეგობა უსაფრთხოების ჭრილში განიხილება და ამ პირობებში, „ანტისახელმწიფოებრივ“ ქმედებად აღქმის რისკის მატარებელია, რაც ადგილობრივებს არ აძლევს ეთნიკური ქართველების მსგავსად უკმაყოფილების და წინააღმდეგობის თავისუფლად გამოხატვის საშუალებას. როგორც ერთ-ერთი ახალგაზრდა შენიშნავს,

> ჩვენი თითის განძრევა ნიშნავს, რაღაცის აფეთქებას თითქოს. [...] თუ ჩვეულებრივი ქართველი გააკეთებს რაღაცას, ხდება მისი ჯარიმით გამოშვება ას ლარიანით და აქ ეს რომ მოხდეს, ვიღაც ეთნიკურმა წარმომადგენელმა გააკეთოს იქნება დიდი პრობლემა – დაიბარებენ პროკურატურაში, დაიბარებენ სადღაც, გააშუქებენ და ა.შ.[393]

4) სახელმწიფოს ძალადობრივი და სადამსჯელო პოლიტიკის სამიზნედ ყოფნა განაპირობებს ქისტების სამოქალაქო ჩართულობისგან გარიყვას. სახელმწიფოს „სადამსჯელო“ ოპერაციებს მიჩვეული ადგილობრივები უფრთხიან, რომ წინააღმდეგობის გამოხატვით არ დაკარგონ ის მინიმუმიც, რაც მოეპოვებათ. ერთ-ერთი რესპონდენტი წუხს, რომ მისი მეზობლები დასჯის შიშით წინააღმდეგობისგან თავს იკავებენ: „ვის დახმარებას მოგვიხსნიაონო, ვის სამსახურიდან გაგვაგდებენო, ვის რაღაცაში ჩაგვიდებენ იმასო და ყველა არის ჩუმად“.[394]

391 ინტერვიუ. რესპონდენტი N 3, 16/09/2017.

392 წულაია, გვანცა.“პანკისში საპროტესტო აქციები - მაჩალიკაშვილის საქმე და ჰესები.“ *რეზონანსი.* 20 ივლისი, 2018. წვდომა 20 სექტემბერი, 2018. http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=52359

393 ინტერვიუ. რესპონდენტი N 15, 3/11/2017.

394 ინტერვიუ. რესპონდენტი N 35, 5/3/2017.

5.4. ექსპერტები პანკისის ხეობის, სახელმწიფო სტრატეგიისა და პანკისიდან ერაყსა და სირიაში გადინების შესახებ

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქარათველოს სახლმწიფო მინისტრის აპარატთან ერთად არასამთავრო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები (რომლებსაც აქ გაერთიანებული სახით ექსპერტებს ვუწოდებთ) მნიშვნელოვანი აქტორები არიან პანკისის შესახებ ფართო საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში, სახელმწიფო სტრუქტურებისათვის პანკისზე სტრატეგიული პოლიტიკის მიწოდებასა და თავად პანკისის ხეობაში სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ინფრასტრუქტურის შექმნაში. ამიტომაც, როგორც კვლევის მეთოდების ნაწილშიც აღვწერეთ, ექსპერტებთან ინტერვიუები ინფორმაციული ტიპისა და ექსპერტული ცოდნის წარმოების ანალიზის ტიპის ნაზავს წარმოადგენს; ე.ი. ერთი მხრივ, ჩვენ გვაინტერესებდა ექსპერტთა ხედვის, ინფორმაციისა და შეფასებების სისტემატიზება, ხოლო, მეორე მხრივ, თავად ექსპერტთა მიერ წარმოებული ცოდნის კრიტიკული ანალიზი. ექსპერტთა ინტერვიუებში შეგვიძლია სამი ძირითადი თემატური ბლოკი გამოვკვეთოთ: 1) სახელმწიფოს ძალოვანი მიდგომების შეფასება; 2) სახელმწიფოს არაძალოვანი მიდგომების შეფასება და 3) ექსპერტთა პერსპექტივა ახლო აღმოსავლეთში გადინების მიზეზებზე. თავად ეს სამი ბლოკი კი შემდეგ შესაბამის, ინტერვიუებიდან ინდუქციურად გამოყოფილ თემატურ კატეგორიებად იყოფა: 1) სახელმწიფოს ძალოვანი მიდგომები: „კამპანიურობასა“ და „სტრატეგიის არ ქონას“ შორის; 2) სახელმწიფოს არაძალოვანი მიდგომები: არაძალოვანი მიზნების უმიზნობა; 3) ექსპერტთა პერსპექტივა ახლო აღმოსავლეთში გადინების მიზეზებზე: „იდეოლოგია, გმირები და ფული“.

1. სახელმწიფო „კამპანიურობასა“ და „სტრატეგიის არ ქონას“ შორის:

„სახელმწიფოს არ აქვს სტრატეგია. მისი სტრატეგია რეაქციულია და მიმართულია ტერორისტების აღმოჩენასა და დაჭერაზე. ეს არის მთავარი პრობლემა“,[395] „ეს არის კამპანიური მიდგომა. არ შეიძლება კამპანიური მიდგომა ქონდეს [სახელმწიფოს], დიფერენცირებული მიდგომა უნდა იყოს აუცილებლად“,[396] – ასე აფასებენ ინტერვიუებში ექსპერტები სახელმწიფოს ძალოვან მიდგომებს პანკისის ხეობისადმი.

ექსპერტები პანკისის ხეობისადმი მთავრობების მიდგომებზე საუბრისას სხვადასხვა საკითხებს გამოყოფდნენ, როგორებიცაა, მაგალითად, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პერიოდის სტრატეგიები და მისი შედარება ქართული ოცნების მთავრობის პერიოდთან, 90-იან წლებში პანკისის კრიზისი და პრეზიდენტ შევარდნაძის პერიოდი და სხვ.. თუმცა, განსაკუთრებულ ყურადღებას ისინი უთმობენ ტერორიზმთან ბრძოლის

395 ექსპერტებთან ინტერვიუ N2, 22/09/2017

396 ექსპერტებთან ინტერვიუ N1, 22/09/2017

შესახებ კანონს, კერძოდ კი, სისხლის სამართლის კოდექსში შესულ ცვლილებას, რომელიც უცხო ქვეყანაში ტერორისტული მიზნით გადინებასა და სამხედრო მხარდაჭერას ეხება.

ექსპერტების მიერ კანონის კრიტიკულ შეფასებას შემდეგი მთავარი მიზეზები განაპირობებს: პირველ რიგში, ექსპერტები თვლიან, რომ დაახლოებით 2015 წლიდან მოყოლებული, პანკისიდან ახლო აღმოსავლეთში გადინება აღარ ხდება.[397] გადინების შეჩერების მიზეზებად სახელდება: 1. „ისლამური სახელმწიფოს“ დასუსტება;[398] 2. საქართველოში „ისლამური სახელმწიფოს“ მთავარი რეკრუტორის დაჭერა[399] და 3. „ილუზიის“, რომ სირიაში წასვლით ასადის რეჟიმს და შესაბამისად, რუსეთს ებრძვი, მსხვრევა.[400]

სწორედ, აქედან გამომდინარეობს კანონში შესული ცვლილებისადმი ექსპერტების კრიტიკული მიდგომაც: კანონი დღეს მოცემულ რეალობასთან შეუსაბამოა. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა დეტალურად განგვიმარტა:

> მაშინ როცა ეს კანონი მიიღეს სწორი იყო ეს კანონი, იმიტომ, რომ პრობლემა იყო ის, რომ ბევრი ხალხი მიდიოდა. და თანაც რაღაც პერიოდი, 2015 წლის ზაფხულამდე ისის-ს ჰქონდა სამხედრო გამარჯვებები და ცხადია, რომ იგებს და იმარჯვებს იმის მხარეს ყოფნა ბევრს უნდა ხო?! გამარჯვებულის მხარეს ყოფნას რა ჯობია?! და ეს კანონიც მაშინ მიიღეს, რომ ნახეს ბევრი ხალხი მიდის და ეს რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს [...] შეიძლებოდა რომ ეს რაოდენობა გაზრდილიყო და ამიტომ პრევენცია ეგ იყო, რომ იქ თუ წახვალ იცოდე, უკან ვეღარ ჩამოხვალ. ახლა ეს ისის-ი დამთავრდა, ეს იდეოლოგია დამარცხდა და ახლა ბევრმა ქვეყანამ, ტაჯიკეთმაც მაგალითად, დაიწყო პროგრამების განხორციელება, რომ თუ წახვედი შეგიძლია ჩამოხვიდე და რეაბილიტაციის პროგრამა გაიარო და მერე დაუბრუნდე ცხოვრებას, თუ გინდა.[401]

კანონის მოუქნელობა წასულთა დიფერენცირებისა და უკან დაბრუნების პოლიტიკის კუთხით ერთ-ერთი მიზეზია, რომელიც ასევე განაპირობებს ექსპერტთა სკეპტიკურ დამოკიდებულებას კანონში შეტანილი ცვლილების მიმართ. „მთავრობას ურჩევნია აუტკივარი თავი არ აიტკივოს“[402] – განმარტავს ერთ-ერთი ექსპერტი და მიიჩნევს, რომ 2013 წელს კანონში შესული ცვლილება სწორედ ამიტომაც რჩება კვლავაც ძალაში – „ კანონი არის ეგეთი, რომ ჩამოხვალ და 9 წელი უნდა ჩაჯდე ციხეში. ხოდა ამიტომ პოლიტიკა ეგეთია, რომ მოდი არ ჩამოხვიდე, მანდ მოკვდი და სადმე დაგმარხავენ და ეგ

397 ექსპერტებთან ინტერვიუ N1, N2, N3, N4, N5

398 ექსპერტებთან ინტერვიუ N2, 22/09/2017 და N3, 19/10/2017

399 ექსპერტებთან ინტერვიუ N3, 19/10/2017

400 ექსპერტებთან ინტერვიუ N1, 22/09/2017

401 ექსპერტებთან ინტერვიუ N3, 19/10/2017

402 იქვე.

იქნება“.[403] თუმცა, უკან დაბრუნების შემთხვევაშიც, იმავე ექსპერტის აზრით, კანონს ბრალის დამტკიცების, ე.ი. ტერორისტულ ორგანიზაციაში უშუალოდ გაწევრიანების ბრალეულობის კუთხითაც აქვს პრობლემები.[404]

იმაზე, რომ წასულთა დიფერენცირება არ ხდება, სხვა ექსპერტებიც საუბრობენ ინტერვიუებში: „მარტო ხელების გადაგრეხვა არის ჩვენი პოლიტიკა სამწუხაროდ – სპეცსამსახურების“,[405] მიიჩნევს ერთ-ერთი ექსპერტი და თვლის, რომ სახელმწიფოს უნდა იყოს მოქნილი; ე.ი. სწრაფ შედეგზე კი არ უნდა იყოს ორიენტირებული, როდესაც უკან დაბრუნებულების დაპატიმრება ხდება, არამედ გრძელვადიანი ხედვა უნდა ქონდეს იმისა, თუ როგორ შეუშალოს რეკრუტირებისათვის მოწყვლადობას ხელი.[406] ხოლო, ექსპერტი N1 აზუსტებს დიფერენცირებული მიდგომის არსს და მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია, იმ ადამიანებს, ვინც ბაშარ ალ-ასადის რეჟიმთან საბრძოლველად წავიდა და უშალოდ ტერორისტულ ორგანიზაციებში არ იბრძოდა, ან, სულ მცირე, მათ ოჯახებს მაინც უკან დაბრუნების საშუალება მიეცეთ.[407]

2. სახელმწიფოს არაძალოვანი მიზნების უმიზნობა:

თუკი ძალოვანი მიდგომის ექსპერტული შეფასებები ერთიანდებიან კატეგორიაში „სახელმწიფო კამპანიურობასა და სტრატეგიული მიდგომის არ ქონას შორის“, არაძალოვანი მიდგომების შეფასებების ერთიან კატეგორიას შეგვიძლია ვუწოდოთ „სახელმწიფოს არაძალოვანი მიზნების უმიზნობა“, რისი ყველაზე თვალსაჩინო ილუსტრაციაც არის ერთ-ერთი ექსპერტის ინტერვიუდან შემდეგი ამონარიდი: „ჯამში თითქოს, კი რაღაცას გაძლევს სახელმწიფო, მაგრამ ჯამში მაინც არაფერს არ გაძლევს“.[408]

ექსპერტები სახელმწიფოს არაძალოვანი მიდგომებისა და მიზნების შეფასებისას, პირველ რიგში, სახელმწიფოს ძალოვანი მიდგომებისადმი სკეპტიკური დამოკიდებულებიდან ამოდიან. როგორც სახელმწიფოს ძალოვანი მიდგომების შეფასებებში ვნახეთ, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფოს გრძელვადიანი სტრატეგია არ გააჩნია, არსებული კი „ხელების გადაგრეხვაზეა“ ორიენტირებული და არც დიფერენცირებულია. სწორედ აქედან გამომდინარე, ექსპერტები, გრძელვადიან სტრატეგიაში, უმთავრესად, გულისხმობენ არაძალოვან მიდგომებს, რომლებშიც ორი ძირითადი მიმართულება იკვეთება: 1) პრევენცია – მიმართული იდეოლოგიაზე და 2) პრევენცია – მიმართული ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. აქვე უნდა ავღნიშნოთ ის შეუსაბამობაც, რომელიც ექსპერტებთან ინტერვიუებში გამოიკვეთა. კერძოდ, როგორც ვნახეთ, რესპონდენტები თვლიან,

403 იქვე.

404 როგორც ექსპერტი N3 შენიშნავს ინტერვიუში: „მაგ კანონს კიდევ ერთი პრობლემა აქვს რომ რას უმტკიცებ? როგორ უმტკიცებ?“

405 ექსპერტებთან ინტერვიუ N2, 22/09/2017

406 იქვე.

407 ექსპერტებთან ინტერვიუ N1, 22/09/2017

408 ექსპერტებთან ინტერვიუ N4, 17/10/2017

რომ დღეს პანკისიდან გადინება და პანკისში მცხოვრები ცალკეული მოქალაქეების ტერორისტულ ორგანიზაციებში რეკრუტირება აღარ ხდება, შესაბამისად, ბუნდოვანი რჩება რატომ საუბრობენ, როგორც ამას ქვემოთ დეტალურად ვნახავთ, ექსპერტები პრევენციაზე კვლავაც უსაფრთხოების ჭრილში. თუმცა, პირველ რიგში, ჯერ თავად ექსპერტების მიერ არაძალოვანი მიდგომების შეფასებასა და მათ ხედვებს შევაჯამებთ.

ექსპერტები არაძალოვან მიდგომებზე საუბრისას ახსენებენ ისეთ პროგრამებსა და ინიციატივებს, რომლებსაც ეთნიკური ინტეგრაციის პოლიტიკის ქვეშ მაგალითად შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ახორციელებს. ამ ინიციატივებისადმი ექსპერტთა დამოკიდებულება არც დადებითია და არც უარყოფითი, ვინაიდან, როგორც ეს ზემოთ საილუსტრაციოდ მოყვანილ ციტატაშიც ვნახეთ, ის ექსპერტები, რომლებიც ინტერვიუებში არაძალოვან მიდგომებზე დეტალურად საუბრობენ, თვლიან, რომ ეს ინიციატივები ცვლილებებს ვერ იწვევს: „სპორტის სამინისტრო აკეთებს რაღაც თამაშობებს ხანდახან, ხანდახან CSO ჩადის, ხანდახან USAID ჩადის. კონტექსტიდან არის ამოგლეჯილი, რა“.[409] ამიტომაც, მაგალითად, ექსპერტი N2 მიიჩნევს, რომ ამგვარი ინიციატივები არ არის „პრევენციული მექანიზმი, რომ არ გახდეს ტერორისტი“[410] და ამიტომაც მისთვის „იდეოლოგიაზე“ ფოკუსირებული პრევენციაა მნიშვნელოვანი:

> დადებითი როლური მოდელები გვჭირდება. მაგალითად, თუ ადამიანი ვერ ხედავს პერსპექტივას, უნდა ვანახოთ ახალგაზრდა ბიჭი, ვაჰაბიტი თუნდაც, რომელიც წავიდა თბილისში ჩააბარა, მერე მოხვდა ერასმუსის პროგრამაში და წავიდა სადმე. თუ არ გვყავს ესეთი უნდა შევქმნათ. მეორე არის კიდევ ის, რომ ჯგუფებთან ვიმუშავოთ. მოხუცებთან სხვა გზავნილი უნდა გვქონდეს, ახალგაზრდებთან სხვა, ქალებთან სხვა გზავნილი და ვაჰაბიტებთან სხვა გზავნილი და იმამებთან სხვა. ანუ რომ ჩადიხარ შეხვედრაზე და ყველა ერთად რომ არის შეკრებილი არ შეიძლება ერთნაირად ელაპარაკო.[411]

ამ გზავნილების შემუშავებას, ექსპერტის აზრით, კომპლექსური მიდგომა და ისეთი პრევენციული მოდელის შექმნა სჭირდება, სადაც ჩაერთვებოდნენ ფსიქოლოგები და სოციოლოგებიც , ვინც, თავის მხრივ, ახალგაზრდებთან იმუშავებდნენ. თუმცა, კითხვაზე, კონკრეტულად როგორ უნდა იმუშაო პრევენციაზე, ექსპერტმა N2 გვიპასუხა, რომ ეს „მილიონ დოლარიანი შეკითხვაა“,[412] რომელზეც პასუხი მას არ აქვს. ამ არცოდნის მიუხედავად, ზემოთ მოყვანილ ციტატაში იკვეთება, ექსპერტის მიერ „რადიკალიზაციის“ ფაზობრივი, ფსიქოლოგიურ-ინდივიდუალური მოდელისათვის უპირატესობის მინიჭება და ამის საფუძველზე პანკისის მთელი მოსახლეობის პოტენციურ „საფრთხედ“ წარმოდ-

409 ექსპერტებთან ინტერვიუ N2, 22/09/2017

410 იქვე.

411 იქვე.

412 იქვე.

გენა. ხოლო, იმ შეკითხვაზე პასუხად, დღევანდელი პროგრამები ადამიანების კიდევ უფრო მეტ გარიყვას ხომ არ იწვევენ, ექსპერტი N2 აცხადებს, რომ მთავარია იცოდე რა არის შენი სამიზნე და აქედან ამოხვიდე:

> მთავარი არის ის, რომ ამ ვაჰაბიზმს მოვაშოროთ ფუნდამენტალიზმი, სხვანაირად რაც არ უნდა აცეკვო და ათამაშო ის ადამიანები, დაფიქრდება მეორე დღეს, ჩაიხედავს ყურანში და მოისმენს იატაკქვეშეთში ლოცვებს, მაინც იგივე აზრზე დაბრუნდება. აქ ძაან დიდი არჩევანი არ არის. მოკლედ, რა უნდა გააკეთო: უნდა მოაშორო ფუნდამენტალიზმი, უნდა აჩვენო ის ცუდი მხარე, რაც აქვს დღეს ამ ფუნდამენტალიზმს და რა გამოიწვია და რა შედეგებამდე მიიყვანა საზოგადოება.[413]

მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტი N2-ის ინტერვიუში გაურკვეველი რჩება რას გულისხმობს „ვაჰაბიზმისთვის ფუნდამენტალიზმის“ ჩამოშორებაში, „ყურანში ჩახედვაში“ ან რა უშუალო კავშირშია ეს მოსაზრება „ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებასთან“, რესპონდენტი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს მიერ პანკისის რელიგიურ საკითხებში უშუალო ჩარევა არასწორია, ვინაიდან სახელმწიფოს ამგვარი ჩარევა რელიგიის საკითხებში მისთვის კლასიკური მოდელია იმისა თუ როგორ არ უნდა მოიქცეს სახელმწიფო. ამგვარმა ჩარევამ, მისი აზრით, არასამთავრობო ორგანიზაციად გადააკეთა უხუცესთა საბჭო და წონა დააკარგვინა თემში.[414] ექსპერტებიც N1 და N3 მიიჩნევენ, რომ შიდა რელიგიურ საკითხებში ჩარევა არასწორია: „მნიშვნელოვანი[ა], რომ როცა ხარ რაღაცა დავაში, რომელშიც შენ არა გაქვს იმდენი ავტორიტეტი, რომ იყო შუამავალი, ხომ ჯობია რომ ამ დავაში არ ჩაერიო რა?! ისიც იყოს, ისიც იყოს, შენ რატომ უნდა გაარჩიო მათ შორის მიმდინარე საქმეები ხო?!“[415]

მეორე, მნიშვნელოვანი საკითხი სახელმწიფოს არაძალოვანი მიდგომების შეფასებისას ექსპერტებისათვის ეკონომიკური და სოციალური საკითხებია. ისინი სახელმწიფოს (და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის) მიერ განხორციელებულ ზოგიერთ ადგილობრივ პროგრამას, როგორიცაა, ვთქვათ, „აწარმოე საქართველოში“, გარკვეულწილად, დადებითად აფასებენ, მაგრამ ამავდროულად მიაჩნიათ, რომ ეს პროგრამები საკმარისი არაა. ასე მაგალითად, როგორც ექსპერტი N4 განმარტავს:

> აი, ქალებს ასწავლეს მანქანის ტარება. ერთი სად უნდა ატარო მანქანა იქ, ჯერ ხომ მანქანა უნდა გყავდეს? ასწავლეს საბუღალტრო კურსები და ჯერ ეგ ერთი, სამკვირიან საბუღალტრო კურს რომ გაივლი პანკისში, აქ სად უნდა იმუშაო [...] აი, ეს აწარმოე საქართველოში არის ძალიან მაგარი, მაგრამ თანადაფინანსებას ითხოვს.[416]

413 იქვე.

414 ექსპერტებთან ინტერვიუ N2, 22/09/2017

415 ექსპერტებთან ინტერვიუ N3, 19/10/2017

416 ექსპერტებთან ინტერვიუ N4, 17/10/2017

ექსპერტები არაერთ ისეთ პროგრამაზე საუბრობენ, რომლებიც მუდმივად ან თანადაფინანსებას ითხოვენ, ანდაც საერთოდ მოწყვეტილნი არიან პანკისის ხეობაში არსებული სოციალური და ეკონომიკური რეალობისაგან, იქნება ეს სხვადასხვა ტრენინგები თუ პროგრამები:[417]

ზოგადად პროტექციონიზმი საშინელებაა ეკონომიკაში. მაგრამ ხანდახან ბიზნესს თუ წაახალისებდი, რომ რაღაცა თავისუფალი ადგილი გამოეყო ერთი ადამიანისთვის პანკისის ხეობიდან. იმიტომ, რომ იქ ბევრია, რომ გამოდიხარ პანკისის ხეობიდან იქ „ბადაგონი“ არის და დიდი კომპანიები, რომლებსაც შეუძლიათ 20 კაცი თავისუფლად დაასაქმოს დღეს, ხვალ. ამას ეხლა ვერ ეტყვი ბიზნესს, რომ შენს გეგმებს გადახედე და ვიღაც დამისაქმე რა, მაგრამ თუ აუხსნი, რომ ეს არის ეროვნული ინტერესი და მიწაზე, მაგალითად, 2%-ს დაგიკლებ გადასახადს, შეიძლება რა. მთავარი არის რამდენად კრეატიული ხარ, რამდენად გინდა და რამდენად გაქვს ხედვა. [418]

ექპერტთა შეხედულებები იმის შესახებ თუ რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ არაძალოვანი მიდგომების ჭრილში პანკისი ხეობაში. შეჯამებული სახით, ასე გამოიყურება:

1. განათლებაზე ორიენტირებული ქმედებები, რომლებიც შემდეგ კონკრეტულ ქმედებათა დიაპაზონად ჯგუფდება:
- დაარსება სასულიერო სასწავლებლის ან უნივერსიტეტის, სადაც პანკისში მცხოვრებ მუსლიმებს ადგილზე შეეძლებათ განათლების მიღება;
- ლიტერატურის შექმნა – ისტორიული და ეთნოგრაფიული მიმართულებით – რათა ქისტებს ქონდეთ ინფორმაცია საკუთარი ისტორიისა და წარმომავლობის შესახებ;
- განათლების მიღების ხელშეწყობა: სწავლის, მობილობისა და საცხოვრებლის დაფინანსება;
- ქართული ენის შესწავლის ხელშეწყობა;
- სკოლის მასწავლებელთა გადამზადება.

2. დასაქმებაზე ორიენტირებული ქმედებები:
- რეგიონის დიდ კომპანიებთან შეთანხება და ადგილობრივების დასაქმება;
- არსებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებში ადგილობრივების ჩართვა და დასაქმება.

3. ეკომონიკისა და სოციალური პირობების გაუმჯობესება:
- რეწვისა და მცირე მეურნეობის ხელშეწყობა;
- პანკისის ხეობაში არსებული დასაქმების პროგრამების გაუმჯობესება იმით, რომ, სახელმწიფომ ხელი შეუწყოს ადგილობრივ მოსახლეობას თანადაფინანსების მიღებაში იმ პროგრამებისთვის, რომლებიც ამას მოითხოვენ;
- ადგილობრივი საწარმოების გახსნა.

417 ექსპერტებთან ინტერვიუ N2 და N4

418 ექსპერტებთან ინტერვიუ N2, 22/09/2017

4. უშუალოდ ტერორისტულ ორგანიზაციებში რეკრუტირებისა და გადინების პრევენცია:
- ახალგაზრდებთან სპეციფიკური მუშაობა და მათთვის პროტოტიპების შექმნა იმისათვის, რომ ტერორისტულ ორგანიზაციებში რეკრუტირებას შეეშალოს ხელი;
- დიფერენცირებული გზავნილების შექმნა სხვადასხვა რელიგიური, გენდერული და ასაკობრივი ჯგუფებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტები არაერთ მნიშვნელოვან გამოსავალს სახავენ პანკისის რეგიონში სოციალური და ეკონომიკური რეალობის გასაუმჯობესებლად, ისინი საკუთარსავე ინიციატივებს არა ხეობის ზოგადი განვითარების კუთხით, არამედ კვლავაც უსაფრთხოების ჭრილში წარმოსახავენ. ამგვარი მიდგომა კი თავისთავში კვლავაც გულისხმობს პანკისის ხეობის მთლიანი მოსახლეობის „საფრთხედ“ მონიშვნას. ეს გამოკვეთილად ჩანს ექსპერტების მიერ სოციალური და ეკონომიკური განვითარების საკუთარ ხედვებზე საუბრისას და ისეთი წანამძღვრების გამოყენებისას, როგორებიცაა ადგილზე დაჯაჭვება, დასაქმდებიან და არსად აღარ წავლენ და სხვა. ამგვარი წანამღძვრების ილუსტრაციები შემდეგ ამონარიდებშიც შეგვიძლია ვნახოთ: „რაღაცა სისტემატიური ფორმები უნდა გქონდეს ალბათ, რომ ადგილზე დააჯაჭვო, რეწვიდან დაწყებული, რაღაც მცირე მეურნეობით“;[419] „იყვნენ დასაქმებულები არსად არ წავლენ და არც იმაზე არ იფიქრებენ ომში წავიდნენ თუ სად წავიდნენ და მშვენივრად იქნებიან რა, არა?!“;[420] „დააფინანსე რა. გეფიცებით მეტი არაფერი არაა, არც კადიროვი გაახსენდებათ, არც სირია, აღარც ალ-ქაიდა, აღარც ფარეულიძეები და ვაბშე არავინ არ გაახსენდებათ რა. აი ხო ძაან მარტივია“. [421]

3) ექსპერტთა პერსპექტივა ახლო აღმოსავლეთში გადინების მიზეზებზე: „იდეოლოგია, გმირები და ფული“:

ექსპერტების პერსპექტივები პანკისის ხეობიდან ახლო აღმოსავლეთში გადინების მიზეზებზე ორ მიმართულებად შეგვიძლია გავყოთ: 1. ექსპერტთა პერსპექტივებად იმის შესახებ თუ რა მიზეზებით ხდებოდა გადინება და 2. ექსპერტთა პერსპექტივებად უშუალოდ რეკრუტირების ინსტრუმენტების შესახებ.

გადინების მიზეზებზე საუბრისას ყველა ექსპერტი უმთავრეს მიზეზად პანკისელი თარხან ბათირაშვილის („ისლამურ სახელმწიფოში“ ცნობილი, როგორც აბუ ომარ ალ-შიშანი) ფაქტორს და პრესის მიერ მის პოპულარიზებას ასახელებს. როგორც ერთ-ერთი ექსპერტი შენიშნავს, „მემგონი ბათირაშვილის ფაქტორი იყო ძალიან დიდი როლის შემსრულებელი – რომანტიზების და მერე მთელი პრესა რომ ამაზე წერდა“.[422] თუმცა, ბათირაშვილზე, როგორც გადინების ერთ-ერთ მთავარ მიზეზზე საუბრისას, ყველა ექსპერტი ისეთივე ნეიტრალური არ რჩება, როგორც აქ მოყვანილ ციტატაშია. ბათირაშვი-

419 ექსპერტებთან ინტერვიუ N2, 22/09/2017

420 ექსპერტებთან ინტერვიუ N4, 17/10/2017

421 იქვე.

422 ექსპერტებთან ინტერვიუ N5, 27/10/2017

ლის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად დასახელებასთან ერთად, ექსპერტთა ინტერვიუებში ვაწყდებით პანკისელებზე საუბრისას უტრირებას და მკაფიო ორიენტალისტურ მზერას. მაგალითად, ექსპერტი N3 ასე აღწერს ბათირაშვილის ფაქტორის გავლენას გადინებაზე „ამასობაში [ბათირაშვილი] გახდა გმირი პანკისში. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ყველაზე ცნობილი პანკისელი იყო, მერე ფული ჰქონდა ბევრი, ლამაზი ქალები ჰყავდა, კარგი მანქანები ჰქონდა და ამათაც მეტი რა უნდოდათ, დაინახეს, რომ აგე იქ კარგი პონტია, რა".[423] სხვა ექსპერტები კი ბათირაშვილის გავლენას გადინებაზე ასეთიი მიზეზებით ხსნიან: ბათირაშვილის წარმოდგენა არა „ტერორისტად, არამედ თავისუფლებისთვის მებრძოლ გმირად",[424] ვინაიდან, ერთ-ერთი ექსპერტის აზრით „მათ აქვთ ღირებულებები, რომლებსაც ხანდახან ჩვენ ვერ ვგებულობთ",[425] ბათირაშვილი გახდა პროტოტიპი წარმატების მიღწევისა და გმირად გახდომისათვის პანკისის ხეობაში არსებული უპერსპექტივო მდგომარეობის საპირისპიროდ.[426]

გადინების განმაპირობებელი მეორე მთავარი მიზეზი, ექსპერტთა აზრით, არის პროპაგანდა, იდეოლოგია და რელიგიური მოტივაცია. ეს უკანასკნელი კი, ზოგიერთ ექსპერტს საკმაოდ ზოგადად და ბუნდოვნად ესმის: „ჩემი ვალია, როგორც მუსლიმის ჯიჰადი. ჯიჰადი რა არის ეხლა მუსლიმისთვის? – ჯიჰადი არის ამოსავალი წერტილი (...) მესიჯებში ძირითად ეგ არის, ჩემი და-ძმა იხოცება და მე იქ უნდა ვიყო".[427] ხოლო, ისლამური სახელმწიფოს პროპაგანდაზე საუბრისას, ორგანიზაციის, რომელსაც ცხადია ნამდვილად აქვს პროპაგანდისა და რეკრუტირების ძლიერი მექანიზმები, ზოგიერთი ექსპერტი დისკრიმინაციულ განმარტებებს აკეთებს და ამ განმარტებების განზოგადებისას ტერორისტის იარლიყს მთლიანად პანკისის მოსახლეობას აკერებს:

> სხვათაშორის ერთი კარგი ვიდეო არის, სადაც სპიკერი ამბობს ისლამური სახალიფოსი, თვითონ დგას და უკან უდგას ყრუ ერთი ბიჭი და ერთი ცალფეხა და ამბობს, რომ აი ნახეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებიც კი მოდიან ჯიჰადში და შენ ვინც ამ ვიდეოს უყურებ და ზიხარ და ჯანმრთელი ხარ, არ გაქვს შენ იმის უფლება, რომ სახლში იჯდე. ესეთი რაღაცეები ჩემზე და თქვენზე არ იმოქმედებს, იმიტომ, რომ ჩვენ სხვა ღირებულებები გვაქვს, სხვა ინტერესები გვაქვს, სხვა გარემოში გავიზარდეთ. მაგრამ როდესაც ყურანის გარშემო ტრიალებს და თან ისეთი ყურანი, რომელიც არის XVII-XVIII საუკუნის ვაჰაბის მიერ ინტერპრეტირებული და საერთო არა აქვს ყურანთან. ძაან მოქმედებს ესეთი ამბები.[428]

423 ექსპერტებთან ინტერვიუ N3, 19/10/2017

424 ექსპერტებთან ინტერვიუ N2, 22/09/2017

425 იქვე, კურსივი კვლევის ავტორებისაა.

426 ექსპერტებთან ინტერვიუ N4, 17/10/2017

427 იქვე

428 ექსპერტებთან ინტერვიუ N2, 22/09/2017. კურსივი კვლევის ავტორებისაა.

პროპაგანდაზე საუბრისას, ექსპერტები ასევე გამოყოფენ ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა თავგადასავლის ძიების წყურვილი,[429]ახალგაზრდებისთვის „ამერიკული ოცნების ახდენის“ დაპირება ხალიფატის მიერ და ფულისა და გავლენის მოპოვების იმედი.[430] მესამე მნიშვნელოვან ფაქტორად ექსპერტები ჩეჩნეთ-რუსეთის ომის გამოცდილებას და სირიაში რუსეთთან დაპირისპირების მოტივს გამოყოფენ, ხოლო მეოთხე მიზეზად – ეკონომიკურ და სოციალურ ფაქტორებს, როგორებიცაა თვითრეალიზება და დასაქმება.[431]

უშუალოდ რეკრუტირების ინსტრუმენტებზე საუბრისას, ექსპერტები გამოყოფენ სოციალური ქსელების და მათთან ასოცირებული პროგრამების მნიშვნელობას, თუმცა მიიჩნევენ რომ რეკრუტირების პროცესზე უშუალო გავლენა ადგილობრივ გავლენის აგენტებს აქვთ.[432]

ზემოთ ერთხელ უკვე ვახსენეთ, რომ გადინების მიზეზებზე საუბრისას ექსპერტები ერთ-ერთ მიზეზად რელიგიასაც ახსენებენ, მაგრამ ამ უკანასკნელზე წარმოდგენები ხშირად საკმაოდ ზედაპირულია. მიუხედავად სახელმწიფოს ზოგიერთი სტრატეგიის ექსპერტების მიერ კრიტიკული შეფასებისა (როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ექსპერტთა ნაწილი ინტერვიუებში შენიშნავს, რომ არ შეიძლება სახელმწიფომ პანკისში არსებული რელიგიური ჯგუფები დაყოს და რომელიმე მათგანს უპირატესობა მიანიჭოს), რესპონდენტები ინტერვიუებში ფაქტიურად წინააღმდეგობაშიც მოდიან საკუთარსავე შეფასებებთან და თავად ახდენენ რელიგიური ჯგუფების ესენციალიზებას:

> გამორიცხულია, შეიძლება იყო ვაჰაბიტი, მაგრამ არ იყო ისეთი ფუნდამენტალი მიმდევარი რა – „მოდერეით“ ტიპი იყო. მაგრამ იყო ძლიერი მიმდევარი ვაჰაბიზმისა და სიმპათია არ გქონდეს იმ მდგომარეობისადმი, რაც ვაჰაბიტებს დღეს უჭირავთ, გამორიცხულია, არ არსებობს. ეგ იგივეა რომ იაკობინელების დროს საფრანგეთში იაკობინელებს მხარს არ უჭერდნენ იტალიაში მყოფი იაკობინელები, იგივე ამბავი არის ზუსტად. იმიტომ, რომ ეგ არის მათი ცხოვრების მოტო – მთელი არსი მაგაში არის, რომ ერთადერთი ჭეშმარიტება ღმერთის სიყვარულია და შენ უნდა მისდიო ღმერთს. დანარჩენი – მუსიკა, ხელოვნება, არტი, ცეკვა-თამაში და რაღაც ეგეთები არის გამორიცხული მათთვის.[433]

ერთადერთი რესპონდენტის გამოკლებით, ყველა ექსპერტი სალაფიტურ ჯგუფს ვაჰაბიტებს უწოდებს, აიგივებს მათ რადიკალიზმთან და ტერორიზმთან, ხოლო პანკისის ხეობას საფრთხის წყაროდ მონიშნავს: „საფრთხის წყაროა პანკისი ნებისმიერი ხელისუფ-

429 ექსპერტებთან ინტერვიუ N3, 19/10/2017

430 ექსპერტებთან ინტერვიუ N4, 17/10/2017

431 ექსპერტებთან ინტერვიუ N1, N2, N3, N4, N5

432 ექსპერტებთან ინტერვიუ N2, 22/09/2017 და N3, 19/10/2017

433 ექსპერტებთან ინტერვიუ N2, 22/09/2017

ლების დროს“[434] – გვეუბნება ინტერვიუში ექსპერტი N4, ხოლო ექსპერტი N2 გვიხსნის, რომ „ვაჰაბიტებთან“ სპეციალურად არ იჭერს ურთიერთობას, რადგან ინფორმაციის მიღებას მათგან აზრი არ აქვს, ვინაიდან „ისინი არ გეტყვიან, რომ ისლამური სახელმწიფო არის კარგი, მაგრამ როდესაც ფარდის უკან გავლენ, აი, 100 პროცენტით ვარ დარწმუნებული, ისე არ ფიქრობენ, როგორც გეუბნებიან“.[435] ამავდროულად, ჩვენ მიერ გამოკითხული ყველა ექსპერტი, ერთის გამოკლებით, სალაფიტურ ჯგუფს ესენციალიზებს და მათ ფუნდამენტალისტებსა და ვაჰაბიტებს უწოდებს, ფუნდამენტალიზმს ტერორიზმთან აიგივებს და განმარტებათა გარეშე ხმარობს ისეთ ცნებებს, როგორიცაა,მაგალითად, რადიკალიზაციაა.

ამგვარად, აქ შეგვიძლია შევაჯამოთ ექსპერტებთან ინტერვიუების ძირითადი მიგნებები: 1) ექსპერტები კრიტიკულად უყურებენ სახელმწიფოს ძალოვან მიდგომებს პანკისის ხეობისადმი, განსაკუთრებით კი სისხლის სამართლის კოდექსში შესულ ცვლილებას, რომელიც უცხო ქვეყანაში ტერორისტული მიზნით გადინებასა და სამხედრო მხარდაჭერას ეხება. კანონში შესულ ცვლილებას ექსპერტები კონტექსტიდან ამოგლეჯილად და არსებულ რეალობასთან შეუსაბამოდ მიიჩნევენ; 2) ექსპერტები მიჩნევენ, რომ სახელმწიფოს არაძალოვანი მიდგომები საკმარისი არ არის, სწრაფ შედეგზეა ორიენტირებული და არ შეესაბამება პანკისის ხეობაში არსებულ რეალურ მოთხოვნილებებს; 3) ახლო აღმოსავლეთში გადინების მთავარ მიზეზებად ექსპერტები მიიჩნევენ როლურ მოდელებს, იდეოლოგიას/პროპაგანდას, რელიგიას და ეკონომიკურ და სოციალურ ფაქტორებს.

ამასთან ერთად, ექსპერტებთან ინტერვიუების უდიდეს ნაწილში მკაფიოდ იკვეთება ორიენტალისტური და დისკრიმინაციული მიდგომა პანკისის ხეობისადმი. პანკისელთა, განსაკუთრებით კი სალაფიტთა ესენციალიზება, მათი „ვაჰაბიტებად“ სახელდება, ასოცირება რადიკალიზმთან და ტერორიზმთან, მათი მონიშვნა არასრულფასოვან და არასანდო ადამიანებად, დისკრიმინაციულია, ქმნის და კვლავაწარმოებს სტერეოტიპებს, და შესაბამისად, წინააღმდეგობაში მოდის ყველა იმ მნიშვნელოვან პუნქტთან, რომელთა გათვალისწინებაც, გაეროს გენერალური მდივნის რეკომენდაციის, გაეროს განვითარების დეპარტამენტის ანგარიშისა და სხვადასხვა მნიშვნელოვანი მკლევარის რეკომენდაციების თანახმად (იხ. დაწვრილებით თავი IV), უნდა ხდებოდეს ძალადობრივ ექსტრემიზმსა თუ რადიკალიზაციაზე საუბრისას და კვლევისას.

434 ექსპერტებთან ინტერვიუ N4, 17/10/2017

435 ექსპერტებთან ინტერვიუ N2, 22/09/2017

5.5. პანკისელი ქისტების პერსპექტივები სირიაში მებრძოლთა წასვლის მიზეზებზე

2012 წლიდან სირიასა და ერაყში საქართველოდან წასული მებრძოლების რიცხვი დაახლოებით 50-დან 200-მდე მერყეობს.[436] ეს რიცხვი მოიცავს იმ მებრძოლებსაც, რომლებიც სირიაში საზღვარგარეთ მიგრაციაში ყოფნისას გაემგზავრნენ. ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევები პანკისელთა სირიაში წასვლის შესწავლისას მიზეზებს ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიურ და თეოლოგიურ დონეებზე ეძებენ და უგულებელყოფენ ისეთ საფუძველმდებარე მიზეზებს, როგორებიცაა სპეციფიკური სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტი, გეოპოლიტიკა და ისტორიული გარემოებების კვალი (იხ. ვრცლად თავი 4). საგულისხმოა, რომ საქართველოში ჩატარებული კვლევებიც ე.წ. „რადიკალიზაციის მიზეზებზე" მიგნებებს ძირითადად პანკისის ხეობის მოსახლეობის იმ ნაწილთან ინტერვიუებს აფუძნებენ, რომელიც არ არის უშუალო კავშირში სირიაში მებრძოლთა წასვლასთან.[437] მეთოდოლოგიურად გამართული კვლევის სამიზნეს კი, სულ მცირე, უშუალოდ რეკრუტირებულები უნდა წარმოადგენდნენ, რის გარეშეც არაემპირიულია ახლო აღმოსავლეთში მებრძოლთა წასვლის მიზეზებზე საუბარი. ზემოთ აღნიშნული ხარვეზული მეთოდოლიგიური მიდგომა განაპირობებს მთლიანად რეგიონის მაცხოვრებლების პოტენციურ „ექსტრემისტებად" მოაზრებას და აქედან გამომდინარე, მათი ხედვებისა და ცხოვრების წესის „რადიკალიზაციის" ისეთი ბუნდოვანი კრიტერიუმებით შეფასებას, როგორიცაა გლობალური ინტერვენციული პოლიტიკის კრიტიკა, სახელმწიფოს პოლიტიკისადმი უკმაყოფილება, სულიერი ცხოვრების წესების ზედმიწევნით დაცვა და სხვა. რადიკალიზაციის ამ კრიტერიუმებით შეფასება, ერთი მხრივ, კონკრეტული პოლიტიკური თვალსაზრისების ცენზურასა და მუსლიმი თემის ცხოვრების წესის პოლიტიკურ ინსტრუმენტალიზაციასა და სტიგმატიზებაზე მიუთითებს, ხოლო მეორე მხრივ, უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ რადიკალიზაცია, როგორც გაეროს განვითარების ფონდის 2017 წლის ანგარიშში ვკითხულობთ, აუცილებლად ძალადობრივი მეთოდების გამოყენების წინაპირობას არ წარმოადგენს.[438]

წინამდებარე თავში წარმოდგენილი თვისებრივი ინტერვიუების ანალიზი ეფუძნება პანკისის მოსახლეობის პერსპექტივებს მებრძოლების წასვლის მიზეზებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ პანკისელ რესპონდენტთა პერსპექტივები ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთგვაროვანია და მოიცავს როგორც გაბატონებულ ახსნებს წასვლასთან დაკავშირებით, ასევე ჰეგემონური ინტერპრეტაციული ჩარჩოს მიღმა, ადგილობრივ გამოცდილებასა და ალტერნატიულ მსოფლხედველობაზე დაფუძნებულ ხმებს.

436 Clifford, Bennett. „Georgian Foreign Fighter Deaths in Syria and Iraq: What Can They Tell Us About Foreign Fighter Mobilization and Recruitment?," *Caucasus Survey* (2017): 1-19.

437 მაგალითად, გოგუაძე, გიორგი და სერგი კაპანაძე. *დაეში და საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები.* საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS), 2015. წვდომა 10 სექტემბერი, 2017. http://grass.org.ge/wp-content/uploads/2015/11/daesh-da-skhva-gamotsvevebi.pdf

438 United Nations Development Programme. *Journey to Extremism in Africa: Drivers, Incentives and the Tipping Point for Recruitment*. 2017. წვდომა 12 ივნისი, 2018. http://journey-to-extremism.undp.org/en

მებრძოლთა სირიაში წასვლა გლობალური მოვლენაა, რომელსაც განსხვავებული ლოკალური გარემოებები უდევს საფუძვლად. წასვლის მიზეზებზე პანკისელთა პერსპექტივების კლასიფიცირებისას დავეყრდენით ჰოლისტურ მიდგომას, რომელიც ყურადღებას ამახვილებს მებრძოლთა სირიაში წასვლის მაკრო, მეზო და მიკრო ფაქტორებსა და მათ ურთიერთმიმართებაზე.[439,440] კომპლექსურ გარემოებებს გამოკვეთს მკვლევრების ჯეიმს ხალილისა და მარტინე ზიუზენის მიერ შემოთავაზებული ტიპოლოგიაც, რომელიც მოიცავს (1) სტრუქტურულ მიზეზებს, (2) ხელშემწყობ ფაქტორებს, რომლებიც სტრუქტურული მიზეზების მოტივად გარდაქმნას უზრუნველყოფენ და (3) ინდივიდუალურ მოტივებს.[441] მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ავტორები იმ განსხვავებულ თეორიულ ჩარჩოს, კონტექსტსა და პოლიტიკურ პროექტს მიეკუთვნებიან, რომლებიც წინა თავებში კრიტიკულად მიმოვიხილეთ, მათ მიერ შემოთავაზებული მიზეზთა კლასიფიკაციის მრავალშრიანი პარადიგმა ჩვენთვის საინტერესოა, როგორც ანალიზის ინსტრუმენტი, რომელიც უფრო ნიუანსირებული სურათის გამოკვეთის საშუალებას იძლევა ადგილობრივების პერსპექტივათა კლასიფიკაციისთვის.

მებრძოლთა ახლო აღმოსავლეთში წასვლაზე მსჯელობისას პანკისელთა პერსპექტივებში განსაკუთრებით გამოიკვეთა უსამართლობის ფაქტორი, რომელიც ჩვენს მიერ გამოყენებული კლასიფიკაციის თანახმად განეკუთვნება **სტრუქტურულ მიზეზებს,** რომლებიც თავის მხრივ ვლინდება გლობალური, რეგიონული და ადგილობრივი პოლიტიკის დონეზე.

(1) გლობალურ უსამართლობაზე საუბრისას რესპონდენტები გამოყოფენ კოლონიალურ წარსულს, გლობალურ ძალთა ინტერვენციულ პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში და ავღანეთში, მუსლიმთა უფლებების შელახვას, ისლამის აღმსარებლობის თავისუფლების შეზღუდვას არამუსლიმურ ქვეყნებში და ბაშარ ალ-ასადის მიერ ოპოზიციის დევნას სირიაში. ერთ-ერთი რესპონდენტი გლობალური ძალების ქმედებების უკან პოლიტეკონომიკურ ინტერესებს ხედავს და თვლის, რომ „გიგანტი ქვეყნები“ არ უნდა წყვეტდნენ სხვა სახელმწიფოების ბედს,[442] ხოლო მეორე რესპონდენტი შენიშნავს, რომ წინააღმდეგობის რადიკალური მეთოდების გამოყენებას უსამართლობის წინაშე მდგარი ადამიანების გამოუვალი მდგომარეობაც განაპირობებს.[443] საგულისხმოა, რომ ზემოთ აღნიშნული ლოგიკა გვხვდება ანტიკოლონიურ მოაზროვნე ფრანც ფანონთანაც, რომელიც ჩაგრულთა მიერ ძალადობრივი მეთოდების გამოყენების მიზეზების

439 იქვე.

440 Veldhuis, Tinka and Jorgen Staun. *Islamist Radicalisation: A Root Cause Model*. The Hague: Netherlands Institute of International Relations, 2009. წვდომა 5 აპრილი, 2018. https://www.diis.dk/files/media/publications/import/islamist_radicalisation.veldhuis_and_staun.pdf

441 Khalil, James and Martine Zeuthen. *Countering Violent Extremism and Risk Reduction: A Guide to Programme Design and Evaluation*. Royal United Services Institute for Defence adn Security Studies, 2016. წვდომა 25 აპრილი, 2018. https://rusi.org/sites/default/files/20160608_cve_and_rr.combined.online4.pdf

442 ინტერვიუ. რესპონდენტი N 10, 1/11/2017.

443 ინტერვიუ. რესპონდენტი N 9, 31/10/2017.

ანალიზისას ისეთი გარემოების მნიშვნელობაზე მიუთითებდა, როგორიცაა იმპერიული ძალადობა და სტრუქტურული უსამართლობა.[444]

რესპონდენტთა ნაწილი გლობალური უსამართლობის ფარგლებში განიხილავს ბაშარ ალ-ასადის პოლიტიკას სირიაში და მებრძოლთა წასვლის მიზეზად პოლიტიკური რეჟიმის მიერ ჩაგრული მოსახლეობის დახმარების სურვილს ასახელებს. ასე მაგალითად, ერთ-ერთი რესპონდენტი განმარტავს, რომ „ესენი [მებრძოლები] იყვნენ წასულები ასადის რეჟიმის დასანგრევად და ხალხს რომ ჰქონოდა არჩევანის უფლება, ეცხოვრა ... ჩვეულებრივად და არა ტირანიით და ავტორიტარულ რეჟიმში“.[445]

(2) რეგიონულ დონეზე უსამართლობაზე საუბრისას რესპონდენტები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ რუსეთ-ჩეჩნეთის კონფლიქტზე. წინამდებარე კვლევის პირველ თავში (იხ. ქვეთავი 1.1.) მიმოხილულია რუსეთის მიერ ჩეჩნეთში მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი ომის დანაშაულები. რუსეთ-ჩეჩნეთის ომში ჩეჩენ მებრძოლთა მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდნენ შურისმაძიებლები, რომლებიც მათი ახლობლების გატაცების, წამების, გაქრობის ან მოკვლის შემდეგ შეუერთდნენ ბრძოლას.[446] საგულისხმოა, რომ გაეროს განვითარების პროგრამის მიერ გამოცემული კვლევის თანახმად, ძალადობრივი წინააღმდეგობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან განმაპირობებელ ფაქტორად იკვეთება ხელისუფლების მიერ „ოჯახის წევრის ან მეგობრის მკვლელობა“ ან დაჭერა.[447] უნდა აღინიშნოს, რომ სირიაში წასულ მებრძოლთა ნაწილს რუსეთ-ჩეჩნეთის ომში მონაწილეობის გამოცდილება ჰქონდა[448] და თავის თავზე განიცადა კონფლიქტის შედეგები. ერთ-ერთი რესპონდენტი განმარტავს, რომ ჩეჩნეთის ომის ტრამვატულმა გამოცდილებამ და რუსეთის სახით „საერთო მტერმა“ განაპირობა ასადის მოწინააღმდეგე სირიელთა მიმართ თანაგანცდა: „ძალიან ბევრისგან გამიგია, რომ „რა მნიშვნელობა აქვსო ჩეჩნეთიდან გავუწევ წინააღმდეგობას რუსეთსო თუ სირიიდანო. იქაც ერთი და იგივე მტრის წინააღმდეგ მომიწევსო ბრძოლაო.“[449]

ამასთანავე, რუსეთ-ჩეჩნეთის პირველი ომი, რომელშიც პანკისელი ქისტებიც მონაწილეობდნენ და რომელიც ჩეჩნების გამარჯვებით დასრულდა, ქისტი მებრძოლებისა და ახალგაზრდებისთვის ისტორიული მეხსიერების განმსაზღვრელ ნაწილად იქცა. შესაბამისად რუსეთთან პირდაპირ თუ ირიბად წინააღმდეგობაში შესვლის შემდგომი მცდელობები, ერთ-ერთი რესპონდენტის თანახმად, დამარცხებასთან შეუგუებლობას და

444 Fanon, Frantz. *The Wretched of the Earth*. Penguin Classics, 2001.

445 ინტერვიუ. რესპონდენტი N 2, 14/09/2017.

446 Politkovskaya, Anna. *A Small Corner of Hell: Dispatches from Chechnya*. Chicago: The University of Chicago Press, 2003.

447 United Nations Development Programme. *Journey to Extremism in Africa: Drivers, Incentives and the Tipping Point for Recruitment*. 2017. წვდომა 12 ივნისი, 2018. http://journey-to-extremism.undp.org/en

448 Cecire, Michael. „Same Sides of Different Coins: Contrasting militant activisms between Georgian fighters in Syria and Ukraine.“ *Caucasus Survey* 3 (2016): 282-295.

449 ინტერვიუ. რესპონდენტი N 19, 17/09/2017.

პირველ ომში განცდილი გამარჯვების ეიფორიის ხელახალი მოპოვების მცდელობასაც წარმოადგენს.[450]

(3) ადგილობრივ დონეზე უსამართლობაზე საუბრისას რესპონდენტები პანკისის მიმართ სახელმწიფოს პოლიტიკაზე და, კერძოდ, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ხელისუფლებების მიერ ჩატარებულ სპეცოპერაციებზე ამახვილებენ ყურადღებას. ჯოყოლოს სკოლის მასწავლებელი იხსენებს, რომ თემირლან მაჩალიკაშვილის სასიკვდილოდ დაჭრის შემდეგ, პანკისელები კიდევ ერთხელ აღმოჩდნენ ისეთი უსამართლობის წინაშე, რომელიც წინააღმდეგობასაც კი უკარგავს აზრს და ადამიანს უძლურს ტოვებს:

> მეორე დღეს ბიჭებს რომ ვუყურებდი, არ ვიცი რა.. დანახვა არ მინდოდა, იმდენად ყველას თავი ჰქონდა ჩაქინდრული. იმათ გულში რა ტრიალებდა, მეტ-ნაკლებად მე ვიცი. იმიტომ, რომ... რაღაც უსამართლობა, ძალიან დიდ უსამართლობას, რომ შეეჯახებიან... აცნობიერებ რატომ ხდებიან.. უძლური ხარ და არაფერი აღარ გრჩება.[451]

ახლო აღმოსავლეთში წასვლის მიზეზებთან დაკავშირებით პანკისელ რესპონდენტთა პერსპექტივების ანალიზისას ისეთი საკითხებიც გამოიკვეთა, რომლებიც ჩვენს მიერ გამოყენებული კლასიფიკაციის თანახმად **ხელშემწყობ ფაქტორებს** განეკუთვნება: მაგალითად, (1) **სოციალური მედია,** რომელიც სირიელი მოსახლეობის ჩაგრული მდგომარეობის ამსახველი ვიდეოების გავრცელების საშუალება იყო; ამ ვითარებაში აქტუალიზებული (2) **ეთიკა,** რომელიც მორწმუნეებს ჩაგრულთა დახმარებისაკენ მოუწოდებს; 3) **სოციალური კაპიტალი,** რაც გულისხმობს, რომ სანაცნობო წრე განსაზღვრავს მებრძოლთა მობილიზაციას, რასაც ამტკიცებს მკვლევარი ბენეტ კლიფორდის მიერ ჩატარებული კვლევაც, რომელიც სირიაში დაღუპულ პანკისელ მებრძოლთა მონაცემების ანალიზს ეყრდნობა;[452] (4) **წარსული ბრძოლის გამოცდილება,** რაც ძირითადად აქტუალურია სირიაში წასული მებრძოლების პირველი ტალღისთვის, რომლის ნაწილიც ჩეჩნეთში იბრძოდა; (5) **დასაქმების შესაძლებლობების არარსებობა და სოციო-ეკონომიკური კონტექსტი,** რაც თავისმხრივ ქმნის ისეთ არასტაბილურ გარემოს, რომელიც ამარტივებს გადაწყვეტილების მიღებას.

გაეროს განვითარების პროგრამის კვლევის თანახმადაც, ეკონომიკური ფაქტორი განმსაზღვრელი მნიშვნელობისაა, ვინაიდან მოძრაობაში რეკრუტირება ინდივიდს მისი წუხილებისა და შეზღუდული ეკონომიკური შესაძლებლობების პოლიტიკურად თარგმნის საშუალებას აძლევს.[453] ამასთან ერთად, ჩვენი კვლევის რესპონდენტთა

450 ინტერვიუ. რესპონდენტი N 5, 15/09/2017.

451 ინტერვიუ. რესპონდენტი N 36, 5/03/2018.

452 Clifford, Bennett. „Georgian Foreign Fighter Deaths in Syria and Iraq: What Can They Tell Us About Foreign Fighter Mobilization and Recruitment?," *Caucasus Survey* (2017): 1-19.

453 United Nations Development Programme. *Journey to Extremism in Africa: Drivers, Incentives and the Tipping Point for Recruitment*. 2017. წვდომა 12 ივნისი, 2018. http://journey-to-extremism.undp.org/en

ნაწილი უარყოფს მატერიალური მოტივის არსებობას. ასე მაგალითად, ერთ-ერთი რესპონდენტი ამტკიცებს, რომ „როცა სირიაში მიდიხარ ფაქტიურად სიკვდილზე აწერ ხელს“,[454] შესაბამისად, მისი აზრით, მატერიალური მოტივი არასაკმარისი საფუძველია მებრძოლთა თავგანწირვისთვის, რადგან „რა ფული უნდა გადაგიხადონ, რომ მოკვდე რა“.[455] აქედან გამომდინარე, ანალიზისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ მიზეზთა კლასიფიკაციის მრავალშრიანი პარადიგმა, რომელიც ამ თითქოს ურთიერთგამომრიცხავ მიგნებას ლოგიკურს ხდის: რესპონდენტთა პერსპექტივები სოციო-ეკონომიკურ კონტექსტზე ჩვენს მიერ გამოყენებული კლასიფიკაციით **წამახალისებელ ფაქტორს** მიეკუთვნება, ხოლო პერსპექტივები უფრო ვიწრო მატერიალურ ინტერესზე – ინდივიდუალური მოტივის კატეგორიას.

ახლო აღმოსავლეთში წასვლის მიზეზებთან დაკავშირებით პანკისელ რესპონდენტთა პერსპექტივები ისეთ **ინდივიდუალურ მოტივებსაც** ეხება, როგორიცაა (1) **თანაგანცდა,** სოლიდარობა და „გულის ქონა;“ (2) **პირადი თვისებები:** სიმამაცე, გამბედაობა, სამართლიანობა; (3) **წარმატებული პანკისელი მებრძოლების,** როგორც მისაბაძი მაგალითების ფაქტორი. ამგვარად, რესპონდენტთა ნაწილი აღნიშნავს, რომ გამბედაობასთან ერთად, გულწრფელმა თანაგანცდამ და ჩაგრულთა მიმართ სოლიდარობის გრძნობამ განსაზღვრა ქისტი მებრძოლის გადაწყვეტილება:

> ამათ ხოცავენო მითხრა, 9 თვის და 8 თვის ბავშვებს.. სურათებს მაჩვენებდა თავის ტელეფონში, რომ აი უყურეო ასე ხოცავენო და როგორ შეიძლებაო, რომ შენ ამაზე რეაქცია არა გქონდესო. ადამიანი რომელიც მუსულმანი ხარო და გული გაქვსო ასეთ რამეს შენ ვერ გაატარებო.[456]

„გული ჰქონდა“,[457] „ადამიანური გრძნობა იყო“, [458] „როცა დაბომბილ ხალხს ხედავ ვინც კივის [...] სოლიდარობა გიჩნდება“,[459] ამგვარად რესპონდენტთა ნაწილი ცდილობს მებრძოლთა ჰუმანურ თვისებებს გაუსვას ხაზი და ამით დაუპირისპირდეს მებრძოლებისა და მთლიანად ხეობის განზოგადებულ დეჰუმანიზებას და „მონსტრად“ წარმოჩენას.

პანკისელ მებრძოლთა სირიაში წასვლის კონტექსტუალიზებისას, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მებრძოლთა ძირითადი ნაწილი სირიაში 2015 წლამდე გაემგზავრა. როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი შენიშნავს, ეს იყო პერიოდი, როდესაც საერთაშორისო პოლიტიკური ელიტაც თანხმდებოდა ბაშარ ალ-ასადის

454 ინტერვიუ. რესპონდენტი N 10, 1/11/2017.
455 იქვე.
456 ინტერვიუ. რესპონდენტი N 25, 3/11/2017.
457 ინტერვიუ. რესპონდენტი N 14, 3/11/2017
458 ინტერვიუ. რესპონდენტი N 15, 3/11/2017.
459 ინტერვიუ. რესპონდენტი N 7, 11/10/2017.

დანაშაულებრივ ქმედებებზე და მხარს უჭერდა სირიის ოპოზიციას.[460] რესპონდენტებმა ვრცლად ისაუბრეს სირიის ომში გარე ფაქტორთა ნეგატიურ გავლენებზე. სირიაში ჩასვლის შემდეგ მებრძოლებს იქ კომპლექსური რეალობა დახვდათ. ერთ-ერთი პანკისელი რესპონდენტი, რომელიც სირიის ომის დაწყებისას დამასკოში იმყოფებოდა სასწავლებლად, აღნიშნავს, რომ თავდაპირველად სირიის ოპოზიციას შესწევდა ასადის დამარცხების ძალა. თუმცა, დასახმარებლად ჩასულმა გარე ნაკადმა ხელი შეუშალა ადგილობრივი ოპოზიციის წარმატებულ წინააღმდეგობას, რადგან უცხოელ მებრძოლებს შორის აღმოჩნდნენ ისეთი ჯგუფები, რომელთაც პირადი ინტერესები ამოძრავებდათ ან/და ზესახელმწიფოთა და დაინტერესებული ქვეყნების გავლენის ქვეშ იყვნენ.

> როცა გარედან ნაკადი შევიდა, რა თქმა უნდა, მანდ ყველა არ მიდის სირიის დასახმარებლად და ყველას არ უნდა სიკეთის გაკეთება. მანდ სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურების წარმომადგენლები შედიან, სხვა დანარჩენ ქვეყნებს აქვთ თავიანთი ინტერესები.[461]

ის, თუ რომელ ოპოზიციურ ჯგუფს შეუერთდა რიგითი პანკისელი მებრძოლი, მისი სანაცნობო წრით განისაზღვრა. თავდაპირველად, რიგითი მებრძოლები არ ფლობდნენ სათანადო ინფორმაციას სირიაში არსებული ოპოზიციური ჯგუფების ჰეტეროგენულობისა და პოლიტიკის შესახებ. ისინი ძირითადად უერთდებოდნენ იმ ჯგუფებს, სადაც ცნობილი პანკისელი საველე მეთაურები ან ნაცნობები ეგულებოდათ. მებრძოლებს ჯგუფურ მიკუთვნებულობაზე ყურადღების გამახვილება მხოლოდ ისლამური სახელმწიფოს შექმნის შემდეგ მოუწიათ, როცა მათ შორის უთანხმოება გაჩნდა. ერთ-ერთი რესპონდენტი განმარტავს: „ვინც მიდიოდა, იმ ცნობილ პირებთან მიდიოდა და ისეთი გარკვეული ის არ იყო, რომ ეს არის სწორი დაჯგუფება, ამას აქვს სწორი მიზნები, ის არ არის. ე.ი. ყველას უნდოდა, რომ იმ ხალხს დახმარებოდა.“[462]

რესპონდენტების ნაწილი ამტკიცებს, რომ დაჯგუფებები, რომელსაც თავდაპირველად მებრძოლები შეუერთდნენ არ წარმოადგენდნენ ტერორისტულ დაჯგუფებებს. დროთა განმავლობაში საბრძოლო ასპარეზზე ახალი ჯგუფები გამოჩდნენ და მათი დიდი ნაწილი მოგვიანებით „ტერორისტული ორგანიზაციების“ სიაში შევიდა. მართლაც, მაგალითად ჯუნუდ ალ-შამი, რომელიც 2012 წელს დაარსდა და სადაც ცნობილი პანკისელი საველე მეთაური მურად მარგოშვილი (მუსლიმ ალ-შიშანი) იბრძვის, ტერორისტული ორგანიზაციების სიაში მოგვიანებით, 2014 წელს აღმოჩნდა. ერთ-ერთი რესპონდენტის შეფასებით:

460 ინტერვიუ. რესპონდენტი N 2, 14/09/2017.

461 ინტერვიუ. რესპონდენტი N 9, 31/10//2017.

462 იქვე.

> ეს იყო ოპოზიცია, ეს იყო ჩეულებრივად [..] დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი, ასადის რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული და მხოლოდ შემდგომ გახდა ხომ ეს ტერორისტული ორგანიზაცია და ეხლა ეს იყო, რა თქმა უნდა, ვიღაცის ინტერესებში, რომ ეს ასე მომხდარიყო.[463]

პანკისელები სირიაში ძირითადად შემდეგ ჯგუფებთან იყვნენ აფილირებულები: აჯნად ალ-კავკაზთან (ajnad al-kavkaz), ჯაიშ ალ-მუჰაჯირინ ვალ-ანსართან (Jaish al-muhajireen wal-ansar – JMA), კავკასიის ემირატთან (Imarat Kavkaz), ჯაბჰატ ალ-ნუსრასთან (Jabhat al-Nusra), ჯუნუდ ალ-შამთან (Junud al-Sham), ჯაიშ ალ-უსრასთან (Jaish al-Usrah) და ისლამურ სახელმწიფოსთან (ISIS).[464] სირიის ოპოზიციის სცენაზე სხვა მნიშვნელოვან ჯგუფებს შორის აღსანიშნავია სირიის თავისუფალი არმია, აჰრარ ალ-შამი და ტაჰრირ ალ-შამი. აგულისხმოა, რომ ასეთი მრავალფეროვანი ჯგუფური მიკუთვნებულობის მიუხედავად, სირიაში მებრძოლი პანკისელები ძირითადად მაინც მხოლოდ ისლამური სახელმწიფოს რიგებში მებრძოლებად მოიაზრებიან. სირიაში ჩასვლის შემდეგ არაერთმა მებრძოლმა გადაიაზრა საკუთარი როლი და უკან დაბრუნება გადაწყვიტა. მაგალითად, ერთ-ერთი რესპონდენტი მოგვითხრობს, რომ „იქ ვინც ჩადის, ატყობს, რომ რეალობას აცდენილია მათი შეხედულებები ამ ომის მიმართ“.[465] თუმცა, 2015 წლიდან, მას შემდეგ რაც ტერორიზმის შესახებ კანონში ცვლილებები შევიდა, მებრძოლებს საქართველოს საზღვრის გადმოკვეთა აეკრძალათ. რაც შეეხება მებრძოლთა უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით საერთაშორისო გამოცდილებას, ერთი მხრივ, რეპრესიული (დაკავება, მოქალაქეობის ჩამორთმევა, საშინაო პატიმრობა) და მეორე მხრივ, უფრო მეტად გრძელ ვადაზე გათვლილი, არარეპრესიული (რეაბილიტაცია, რეინტეგრაცია) მიდგომები იკვეთება. ისევე, როგორც მებრძოლთა წასვლის მიზეზებზე საუბარი, მათ დაბრუნებაზე მსჯელობებიც ხელისუფლების პოლიტიკის, სოციალურ-ეკონომიკური მოცემულობის, გეოპოლიტიკური სტრატეგიის და ადგილობრივთა თვალსაზრისების გათვალისწინებას საჭიროებს ანალიზისას.

ახლო აღმოსავლეთში წასულ მებრძოლებთან დაკავშირებით, პირველ რიგში საგულისხმოა რამდენიმე გარემოება: ა) მებრძოლთა ნაწილი საზღვარგარეთ მიგრაციაში ყოფნისას გაემგზავრა სირიაში; ბ) მებრძოლთა ნაწილს რუსეთ-ჩეჩნეთის ომში მონაწილეობის გამოცდილება ჰქონდა; გ) დაჯგუფებები, რომლებსაც მებრძოლები შეუერთდნენ, თავდაპირველად არ წარმოადგენდნენ ტერორისტულ ორგანიზაციებს და მათ საერთაშორისო მხარდაჭერაც ჰქონდათ; დ) არასწორია სირიაში წასული მებრძოლების მხოლოდ ისლამური სახელმწიფოს წევრებად მოაზრება, რადგან მებრძოლები სხვადასხვა ჯგუფებთან იყვნენ აფილირებულები. რაც შეეხება მებრძოლთა წასვლის მიზეზებს,

463 ინტერვიუ. რესპონდენტი N 7, 11/10/2017.

464 Clifford, Bennett. „Georgian Foreign Fighter Deaths in Syria and Iraq: What Can They Tell Us About Foreign Fighter Mobilization and Recruitment?,“ *Caucasus Survey* (2017): 1-19.

465 ინტერვიუ. რესპონდენტი N 19, 17/09/2017.

მეთოდოლოგიურად გაუმართავი და ხარვეზული იქნებოდა პანკისის ხეობის მოსახლეობასთან ინტერვიუებზე დაყრდნობით ამ მიზეზებზე საუბარი, რადგან ამგვარი მიდგომა მთლიანად რეგიონის მაცხოვრებლებს პოტენციურ „ექსტრემისტებად“ მოიაზრებს. აქედან გამომდინარე, მათი ხედვებისა და ცხოვრების წესის „რადიკალიზაციის“ ისეთი ბუნდოვანი კრიტერიუმებით შეფასებაც ხდება, როგორებიცაა გლობალური ინტერვენციული პოლიტიკის კრიტიკა და სულიერი ცხოვრების წესების ზედმიწევით დაცვა. ეს კი სულ მცირე კონკრეტული პოლიტიკური თვალსაზრისების ცენზურასა და მუსლიმი თემის ცხოვრების წესის პოლიტიკურ ინსტრუმენტალიზებასა და სტიგმატიზებაზე მიუთითებს. ვინაიდან ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანი იყო ეპისტემური სამართლიანობა და ხეობაში მიმდიანრე მოვლენებზე ჰეგემონური პარადიგმის გარღვევა, ამ ქვეთავში წარმოდგენილია ადგილობრივი მოსახლეობის პერსპექტივები მებრძოლთა წასვლის მიზეზებზე. ეს პერსპექტივები არაერთგვაროვანია და მოიცავს როგორც გაბატონებულ ახსნებს წასვლასთან დაკავშირებით, ისე ჰეგემონური ინტერპრეტციული ჩარჩოს მიღმა, ადგილობრივ გამოცდილებასა და მსოფლხედველობაზე დაფუძნებულ ხმებსაც. მონაცემთა ანალიზისას ინსტრუმენტად გამოვიყენეთ წასვლის მიზეზთა კლასიფიკაციის მრავალშრიანი პარადიგმა, რომლის თანახმადაც საფუძველმდებარე მიზეზებში რესპონდენტებმა აღნიშნეს გლობალური, რეგიონული და ადგილობრივი ინტერვენციული პოლიტიკის, უსაფრთხოების მიდგომების და ისტორიული გამოცდილების როლი. პანკისელმა რესპონდენტებმა ისაუბრეს ისეთ გარემოებებზეც, რომლებიც განეკუთვნება წამახალისებელ ფაქტორებს და ინდივიდუალურ მოტივებს. საერთო ჯამში, გამოვლინდა, რომ ექსპერტებისა და მკვლევრებისგან განსხვავებით, პანკისელი რესპონდენტების ნაწილი მებრძოლთა წასვლის მიზეზების ანალიზისას, პირველ რიგში, არ ივიწყებს ისტორიას და წარსულ გამოცდილებას, გლობალურ პოლიტიკურ პროცესებს და წამახალისებელი ფაქტორების როლსა და ინდივიდუალურ მოტივებზე საუბრისას, მათ მონათხრობს ლაიტმოტივად წარსულის კვალი და გლობალური პოლიტიკის აჩრდილი გასდევს.

ეპილოგი

ჩვენი კვლევის მთავარი დაპირება ეპისტემური უსამართლობის ჩვენება და შესაბამისად, იმ დომინანტური ჩარჩოს გარღვევა იყო, რომელიც გვაიძულებს პანკისის ხეობას და პანკისელებს მუდმივად ეჭვის თვალით ვუმზიროთ. და თუკი მათ მაინცდამაინც ეჭვით არ ვუმზერთ, საუკეთესო შემთხვევაში, უბრალოდ ჩვენი მზერის არეალიდან ვრიყავთ, რათა მშვიდად დავივიწყოთ ისინი. მაგრამ, აგერ უკვე რამდენიმე თვეა, 2018 წლის გაზაფხულიდან დღემდე, თემირლანის მამა, მალხაზ მაჩალიკაშვილი სახელმწიფოსგან სამართლიანობისსავე მაძიებელ, დავით სარალიძის მამასთან, ზაზა სარალიძესთან[466] ერთად, ყოველდღე იჭრება ჩვენს თვალთახედვაში. შვილმკვდარი მამების გამოსვლის სახელით ცნობილი აქციები დედაქალაქის შუაგულიდან, რუსთაველის გამზირიდან უწყვეტად „აწუხებენ“ პოლიტიკურ ცენტრს. „შეწუხებაზე“ რეაგირება არც პოლიტიკურმა მანქანამ დააყოვნა და მაჩალიკაშვილისა და სარალიძის დეჰუმანიზებას შეუდგა, თუმცა სხვადასხვა მეთოდით. თუკი ზაზა სარალიძე ემოციურად არასტაბილურ და უწესო მოქალაქედ[467] შერაცხეს, რამდენიმე დღით დააკავეს და ამით შეეცადნენ, საზოგადოების სარალიძისადმი თანაგანცდა შეესუსტებინათ, მალხაზ მაჩალიკაშვილი, თემირლანის მსგავსად, ტერორიზმის პოტენციურ ხელშემწყობ მუსლიმად მონიშნეს და არაერთხელ დაიბარეს პროკურატურაში დაკითხვაზე.[468] თუმცა, არამხოლოდ ეს. მაჩალიკაშვილების ოჯახი 26 დეკემბერს ჩატარებული სპეცოპერაციის დროს სუს-ის მხრიდან დამამცირებელი მოპყრობის ფაქტებზე გამოძიების დაწყებას დიდი ხანია ითხოვს; პროკურატურისთვის წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნების მიუხედავად, რომელიც განცდილ ტანჯვას აჩვენებს, პროკურატურას გამოძიების დაწყებაზე გადაწყვეტილება დღემდე არ მიუღია.

466 სკოლის მოსწავლე დავით სარალიძე 2017 წლის 1 დეკემბერს მოკლეს. სკოლის მოსწავლეებს შორის ჯგუფური ჩხუბი, ორი ახალგაზრდის, მათ შორის დავით სარალიძის მკვლელობით დასრულდა. დავით სარალიძის სიცოცხლის ხელყოფის საქმის გამოძიებას მისი მამა, ზაზა სარალიძე აკრიტიკებს და გამოძიებაში არსებული ფუნდამენტური ხარვეზების შესახებ დავობს. სარალიძეების ოჯახის მტკიცებით, რაც ასევე დადასტურდა პარლამენტში აღნიშნულ საქმეზე შექმნილი დროებითი საგამოძიებო კომისიის მიერ, მათი შვილის შესაძლო მკვლელების იდენტიფიცირება გამოძიებას არ მოუხდენია, რაც სავარაუდოდ ხელისუფლებასთან დაკავშირებული პირებთან მათი ნათესაური და სხვა სახის კავშირებით და სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან მათი დაცვის ინტერესით იყო განპირობებული. ზაზა სარალიძის მიერ ორგანიზებული მასობრივი აქციების შედეგად ქვეყნის მთავარი პროკურორი თანამდებობიდან გადადგა. სასამართლო საქმეზე კვლავაც მიმდინარეობს, თუმცა გამოძიების მხრიდან სავარაუდო დამნაშავეების იდენტიფიცირება და ბრალის წარდგენა ამ დრომდე არ ხდება. ზაზა სარალიძე მალხაზ მაჩალიკაშვილთან ერთად ამ დრომდე აგრძელებს რუსთაველის გამზირზე პროტესტს.

467 ზაზა სარალიძე, 2018 წლის გაზაფხულიდან მოყოლებული უკვე რამდენიმე თვეა აქციებს ღია ცის ქვეშ მართავს, თუმცა მას და მალხაზ მაჩალიკაშვილსაც სამართალდამცავები კარვის გაშლის უფლებას არ აძლევენ. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით, ამ აკრძალვით შსს კონსტიტუციას არღვევს. 26 ოქტომბერს ზაზა სარალიძე სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს პოლიციელზე თავდასხმის მუხლით მას შემდეგ დააკავეს, რაც შსს-მ კიდევ ერთხელ აშალა აქციის კარვები და სარალიძე მათთან დაპირისპირებაში შევიდა. იხ. ვარადაშვილი, მარიამ. „ზაზა სარალიძე თბილისში დააკავეს, თუმცა რუსთავში გაასამართლებენ“. 29 ოქტომბერი, 2018. წვდომა 04 სექტემბერი, 2018. http://netgazeti.ge/news/315446/ .

468 ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი .“EMC მალხაზ მაჩალიკაშვილის დაკითხვების პროცესს აფასებს.” 30 აგვისტო, 2018. წვდომა 04 ნოემბერი, 2018. https://emc.org.ge/ka/products/emc-malkhaz-machalikashvilis-dakitkhvebis-protsess-afasebs .

ხოლო, მთავარ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიება, რომელიც 26 დეკემბრის სპეცოპერაციის დროს თემირლან მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფის საკითხს ეხება, უამრავი ხარვეზით მიმდინარეობს, მათ შორის, საქმის ყველაზე მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოპოვება სუს-ის მონაწილეობით მოხდა, ამავე უწყების მიერ განადგურდა და დაზიანდა არსებითი მნიშვნელობის მტკიცებულებები, თემირლანის მშობლებს დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსს პროკურატურა ამ დრომდე არ ანიჭებს და არც სახელმწიფო საიდუმლოდ მიჩნეულ საქმის მასალებზე აძლევს პროკურატურა მაჩალიკაშვილების ადვოკატებს წვდომას. მალხაზ მაჩალიკაშვილი 2018 წლის ივნისის თვეში იმაზეც საუბრობდა, რომ მას, სავარუდოდ, უთვალთვალებენ სახელმწიფო სტრუქტურები, რის გამოც მან პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორსაც მიმართა.[469] პასუხი სახელმწიფოსგან ჯერ არც ამ პრობლემაზე ისმის.

ინტენსიური სახელმწიფო კონტროლი და მეთვალყურეობა, რომელიც არა მარტო მალხაზ მაჩალიკაშვილს, არამედ, როგორც ამ კვლევამ აჩვენა, მთლიანად პანკისის ხეობის ყოველდღიურობას ეხება, არუნ კუნდნანის სიტყვებით რომ ვთქვათ, ტოტალიტარიზმის კლასიკურ მიდგომებს ბევრი რამით წააგავს: პოლიტიკაზე საუბრისას სიტყვების განსაკუთრებული სიფრთხილით შერჩევა, განცდა, რომ ვერავის ენდობი, სახელმწიფო ძალაუფლების თვითნებურად გამოყენების პრაქტიკები და სხვ., „დემოკრატიული ტოტალიტარიზმის“ მახასიათებელთა მხოლოდ მცირე ჩამონათვალია.[470] იმ საზოგადოებას კი, კვლავაც კუნდნანის მიხედვით რომ ვთქვათ, რომელიც საკუთარი მოსახლეობისსავე ერთ ნაწილს რიყავს და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობისგან ბლოკავს, ის საშიშროებაც ემუქრება, რომ ამით ბოლოს მხოლოდ ცარიელი, ტექნოკრატიული, რეალური პოლიტიკის კეთების შესაძლებობისაგან დაცლილი სივრცე შერჩეს ხელთ.[471] თუმცა, არსებობს ალტერნატივაც, რომლის საუკეთესო მაგალითიც მალხაზ მაჩალიკაშვილისა და ზაზა სარალიძის ერთმანეთისადმი უპირობო სოლიდარობაა. სახელმწიფოს მხრიდან მათი სამოქალაქო უფლებების არაერთი დარღვევის და საზოგადოებრივი წნეხის მიუხედავათ, ისინი უბრალოდ ერთად დგანან რუსთაველის გამზირზე, ყოფილი პარლამენტის წინ და არსად წასვლას არ აპირებენ.

ამ სამოქალაქო, თანაგანცდის ეთიკაზე დაფუძნებულ სოლიდარობასთან ერთად, არსებობს ცოდნაზე დაფუძნებული, არსებული მიდგომების გადააზრებაზე მიმართული და სამომავლო პოლიტიკის შექმნაზე ორიენტირებული ალტერნატივაც, რომლის ჩვენებაც ამ კვლევით განვიზრახეთ და ამიტომაც, ისეთ კითხვებზე ვეცადეთ პასუხების გაცემა, როგორებიცაა:

469 ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი. “EMC მალხაზ მაჩალიკაშვილის მიმართ თვალთვალისა და კონტროლის ფაქტებზე პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორს მიმართავს.” 07 ივნისი, 2018. წვდომა 04 ნოემბერი, 2018. https://emc.org.ge/ka/products/emc-malkhaz-machalikashvilis-mimart-tvaltvalisa-da-kontrolis-faktebze-personaluri-monatsemebis-datsvis-inspektors-mimartavs .

470 Kundnani, Arun. *Muslims Are Coming! Islamophobia, Extremism, and the Domestic War on Terror.* London and New York: Verso, 2014. გვ. 198,200.

471 იქვე, გვ.201.

რამ განაპირობა პანკისის ხეობის „საფრთხედ“ მონიშვნა მსოფლიო უსაფრთხოების რუკაზე? როგორ აღმოჩნდა ის გლობალური და ადგილობრივი პოლიტიკის ეპიცენტრში? როგორაა დაკავშირებული პანკისის ადგილობრივი რელიგიური სურათი და მისი ტრანსფორმაციები თანამედროვე უსაფრთხოების გლობალურ სისტემასთან? ამ კითხვებზე პასუხების მოძიება *მხოლოდ* იმ განსაკუთრებული პოლიტიკური და ისტორიული ტრაექტორიის კონტექსტშია შესაძლებელი, რომელიც პანკისის ხეობას ერგო „ბედად“.

თანამედროვე, გლობალური უსაფრთხოების სისტემა იმპერიული წარსულის, ცივი ომის და მის შემდგომ განვითარებული უსაფრთხოების პოლიტიკის ნაყოფია. გლობალური ძალების და მათი მოკავშირე ქვეყნების პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთსა და ავღანეთში არაერთ ავტორს აქვს სიღრმისეულად შესწავლილი.[472] ამიტომაც, ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანი გახდა „პერიფერიული“ საზოგადოებების განსხვავებული სურათის ჩვენება და იმის ძიება, თუ როგორ ირეკლავს ამ საერთაშორისო პროცესებს განსხვავებული ისტორიული ტრაექტორიისა და რეგიონული გარემოების მქონე ადგილობრივი კონტექსტი. პანკისზე უსაფრთხოების საბურველს მიღმა მსჯელობას ვერ დავიწყებთ, სანამ არ შევაფასებთ ადგილობრივისა და გლობალურის მუდმივი ურთიერთგადაკვეთის სპეციფიკას და მის გავლენას პანკისელ ქისტთა ყოფაზე. ამისათვის კი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ერთი მხრივ, გლობალური უსაფრთხოებისათვის საკვანძო ცნებებისა და აზროვნების დომინატური ჩარჩოს კრიტიკული მიმოხილვა და მეორე მხრივ, პანკისის ხეობის უახლეს წარსულში მომხდარი ისეთი მოვლენების ანალიზი, როგორებიცაა პანკისის კრიზისი, ადგილობრივი თემის რელიგიური სახეცვლილებები და სახელმწიფოს პოლიტიკის შედეგები.

პანკისის კრიზისი წარიმართა რუსეთ-ჩეჩნეთის ომის, ეკონომიკური კოლაფსის და გლობალურ ძალთა ინტერესების გადაკვეთის ფონზე. ამ გარემოებების გაბუნდოვანებამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი მოსახლეობის დადანაშაულება და „საფრთხედ“ მონიშვნა. რეალურად კი, პანკისის კრიზისის დროს მოსახლეობის ნაწილმა თავის თავზე აიღო სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა მიზეზით უგულებელყოფილი მოვალეობები. ხელისუფლებამ, რომელმაც კრიმინოგენური მდგომარეობის მოსაგვარებლად სათანადო რეაგირება არ მოახდინა, 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ, პირდაპირ ანტიტერორისტული სპეცოპერაციით შეახსენა პანკისელებს თავისი არსებობა. ასე იქცნენ პანკისელები იმ „სხვად“, რომელთან დაპირისპირებაშიც განისაზღვრა პოსტსაბჭოთა საქართველოს როლი საერთაშორისო უსაფრთხოების არენაზე.

2001 წლის 11 სექტემბერი გადამწყვეტი აღმოჩნდა პანკისის ხეობისათვის იმდენად, რამდენადაც მან განსაზღვრა, როგორც რუსეთ-ჩეჩნეთის კონფლიქტის „ანტიტერორისტულ“ კამპანიად შეფუთვა, ისე საერთაშორისო ძალთა ინტერესების თანაკვეთა და ლაგამამოუდებელი უსაფრთხოების პოლიტიკის გლობალიზაცია, რამაც, თავის მხრივ

472 იხ., მაგალითად, Asad, Talal (2007); Mamdani, Mahmood (2004); Gerges, Fawez A. (2016).

არსებითად განაპირობა პანკისის ხეობის მიმართ საქართველოს ხელისუფლების მიდგომები. ამ პერიოდის (2001-2005 წლები) საერთაშორისო უსაფრთხოების მიდგომები უმთავრესად ძალოვანი იყო და მას სჭირდებოდა ეპისტემური დაფუძნება „ახალი“ და „ძველი“ ტერორიზმის ცნებების სახით. ცოდნის ამგვარად წარმოება კი, თავის მხრივ, განაპირობებდა ძალოვანი ინტერვენციებიდან, ომიდან და გეოპოლიტიკური ინტერესებიდან ყურადღების გადატანას და ისეთი ცოდნის შექმნას, რომელიც ტერორიზმს მარტივ ახსნას მოუძებნიდა და „ირაციონალურობითა“ და „ფანატიზმით“ ახსნიდა. ამ პროცესებმა საფუძველი შეუქმნეს ადამიანთა ცხოვრებების იერარქიზებას მათ პოტენციურ „ტერორისტებად“ მონიშვნით, რაც, თავის მხრივ, ნაკლებად ღირებული სიცოცხლის მქონე სუბიექტზე „ლეგიტიმური“ ძალადობის შესაძლებლობას იძლეოდა.

დღეს გლობალური უსაფრთხოების მიდგომებში წამყვანია არაძალოვანი მიდგომები „რადიკალიზაციასთან“ და „ძალადობრივ ექსტრემიზმთან“ გამკლავებისა და მათი პრევენციის ინიციატივების სახით, რომლებიც თავიანთ პოლიტიკას ხშირად „უნივერსალურ“, თითქოს თავისთავად ობიექტურ კრიტერიუმებს აფუძნებენ. ამგვარი მიდგომა კი, ერთი მხრივ, უგულებელყოფს განვითარებადი და განვითარებული ეკონომიკის ქვეყნების განსხვავებულ სტრუქტურულ მოცემულობებს და, მეორე მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობის ისტორიულ გამოცდილებას. ეს კი, როგორც გაეროს განვითარების პროგრამის კვლევა აჩვენებს, მოსახლეობას გაუცხოების საფრთხეს უქადის და აქედან გამომდინარე, შესაძლოა უკუპროდუქტიული აღმოჩნდეს. რადიკალიზაციის მოდელები ეფუძნება „საშიში“ და „უვნებელი“ მუსლიმების დიქოტომიური ხატის შექმნას და ხდება საზოგადოებრივი ჯგუფებისა და ადამიანების დისკრიმინაციის წყარო. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი არაძალოვანი მიდგომები საქართველოში სახელმწიფო დონეზე უშუალოდ იმპლემენტირებული ჯერ არ არის, მაინც ამგვარი მიმართულების კვლევების ზრდა არასამთავრობო სექტორში და წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩატარებული ექსპერტთა ინტერვიუები მათი სამომავლოდ დაფუძნების შესაძლებლობაზე მიანიშნებს. ამიტომაც, აქედანვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს მიდგომები განსაკუთრებით საფრთხილოა იმ ვითარებაში, როდესაც უკვე არსებობს მუსლიმი მოსახლეობის დიქოტომიურ ჭრილში წარმოჩენის და მათი დისციპლინირების პრაქტიკები.

გლობალური უსაფრთხოების პოლიტიკას დისციპლინირების ფუნქციაც აქვს და მიზნად ისახავს „არამუსლიმის მზერით“ დანახული ნორმატიული სუბიექტურობის თავსმოხვევას, რაც მუსლიმის „საშიშად“ ან „უვნებელად“ მონიშვნის საფუძველი ხდება. ყველა მუსლიმი მანამ, სანამ ამ ჰეგემონური მახასიათებლებისკენ სწრაფვით არ დაამტკიცებს საკუთარ „უვნებელობას“, „საშიშ“ მუსლიმად მოიაზრება. რელიგიურობის გამომხატველი ნიშან-თვისებების თავისთავად „რადიკალიზაციის“ გამოვლინებად მოაზრება კი „დაუმორჩილებელი“ სუბიექტის დისციპლინირებას და მის დომინანტურ თარგზე მოჭრას ემსახურება.

პოლიტიკა, რომელიც დომინანტურ მზერასა და დომინანტურ ეპისტემოლოგიებს ეფუძ-ნება, ადგილობრივებს საკუთარი თავის განსაზღვრის უფლებასაც ართმევს. ის მათი ნაწილის რწმენას „ვაჰაბიზმად“, ანუ ოპონენტების მიერ თავსმოხვეული სახელდებით განსაზღვრავს და უგულებელყოფს როგორც ადგილობრივთა ხმებს და კონტექსტს, ისე მრავალგვარობას, რომელიც ახასიათებს სალაფიზმს, ბევრად უფრო ფართო ცნებას, ვიდრე ვაჰაბიზმია.

2003-2018 წლებში საქართველოს ხელისუფლებების პოლიტიკა პანკისის ხეობის მი-მართ სამ პერიოდად შეიძლება დავყოთ, რომლისთვისაც დამახასიათებელია ძალოვან და არაძალოვან მიდგომებს შორის საზღვრების მუდმივი რღვევა: ერთი მხრივ, ანტიტე-რორისტული კამპანიის საფარქვეშ პანკისის ხეობის მოსახლეობასთან, როგორც „საფ-რთხესთან“, უკომპრომისო ბრძოლა და მეორე მხრივ, მათი კულტურულ-ფოლკლორულ მახასიათებლამდე დაყვანა. ორივე მიდგომა ორიენტალიზაციის შემადგენელი ნაწი-ლია და პანკისელების პოლიტიკური ველიდან გარიყვის საფუძველს ქმნის, რაც, თავის მხრივ, ხელისუფლებას საშუალებას აძლევს, რომ ადგილობრივების სოციალური და პოლიტიკური წინააღმდეგობა უსაფრთხოების ჭრილში თარგმნოს. ეს კი განაპირობებს ადგილობრივი მოსახლეობის აპოლიტიკურ საზღვრებში მოქცევას და ამგვარად, მათთ-ვის მოქალაქეობრივი უფლებამოსილების შეზღუდვას და პოლიტიკური სუბიექტურობის ჩახშობას, საიდანაც გამოსავალი, პანკისელთა აზრით, მათი ფორმალური პოლიტიკური ჩართულობის ხელშეწყობა და სამოქალაქო წინააღმდეგობისთვის ანგარიშის გაწევაა.

გამოყენებული ლიტერატურა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. „ბაისუევი და ანზოროვი საქართველოს წინააღმდეგ“. საჩივარი 39804/04. სტრასბურგი, 2013. http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/baiusebidaanzorovi.pdf .

ადამიანის უფლებათა ცენტრი. *დუმილი კლავს: ჩეჩენ ლტოლვილთა უფლებების შელახვა საქართველოში.* 2006. წვდომა 5 დეკემბერი, 2017. http://www.humanrights.ge/files/chechen_report_Geo.pdf.

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი. „EMC-იმ თემირლან მაჩალიკაშვილის მშობლების სახელით სუს-ის წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა“. 20 აპრილი, 2018. წვდომა 30 ოქტომბერი, 2018 https://emc.org.ge/ka/products/emc-im-temirlan-machalikashvilis-mshoblebis-sakhelit-sus-is-tsinaaghmdeg-tbilisis-sakalako-sasamartloshi-sarcheli-sheitana

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი. „EMC მალხაზ მაჩალიკაშვილის დაკითხვების პროცესს აფასებს“. 30 აგვისტო, 2018. წვდომა 04 ნოემბერი, 2018. https://emc.org.ge/ka/products/emc-malkhaz-machalikashvilis-dakitkhvebis-protsess-afasebs .

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი. „EMC მალხაზ მაჩალიკაშვილის მიმართ თვალთვალისა და კონტროლის ფაქტებზე პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორს მიმართავს“. 07 ივნისი, 2018. წვდომა 04 ნოემბერი, 2018. https://emc.org.ge/ka/products/emc-malkhaz-machalikashvilis-mimart-tvaltvalisa-da-kontrolis-faktebze-personaluri-monatsemebis-datsvis-inspektors-mimartavs .

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველო (TI). *უსაფრთხოების სამსახურის რეფორმა საქართველოში.* თბილისი, 2018.

ალადაშვილი, გიორგი. „სპეცოპერაცია პანკისსა და თბილისში“. *რადიო თავისუფლება,* 26 დეკემბერი, 2017. წვდომა 23 აგვისტო, 2018. https://www.radiotavisupleba.ge/a/spetsoperatsia-pankissa-da-tbilisshi/28939197.html

ალბუთაშვილი, მათე. *პანკისის ხეობა: ისტორიულ-ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული აღწერა.* თბილისი, 2005.

გობრონიძე, გიორგი. *ისლამის რადიკალიზაციის პრობლემა, სახელმწიფოს პოლიტიკა და რეგიონული თანამშრომლობის პერსპექტივები - ხედვა საქართველოდან.* თბილისი: კავკასიური სახლი, 2017. წვდომა 20 მარტი, 2018. http://regional-dialogue.com/wp-content/uploads/2018/03/mar-GE.pdf.

გოგუაძე, გიორგი და სერგი კაპანაძე. *დაეში და საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები.* საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS), 2015. წვდომა 10 სექტემბერი, 2017. http://grass.org.ge/wp-content/uploads/2015/11/daesh-da-skhva-gamotsvevebi.pdf.

ვარადაშვილი, მარიამ. „ზაზა სარალიძე თბილისში დააკავეს, თუმცა რუსთავში გაასამართლებენ“. *ნეტგაზეთი.* 29 ოქტომბერი, 2018. წვდომა 04 სექტემბერი, 2018. http://netgazeti.ge/news/315446/ .

ზვიადაძე, სოფო. *ისლამი, პოლიტიკა და იდენტობა პანკისში.* თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2016. წვდომა ნოემბერი 20, 2017. http://www.cipdd.org/upload/files/pankisi-web.pdf.

კაკაბაძე, გიორგი. „ვაჰაბიზმის საფრთხეები საქართველოსთვის“. რადიო თავისუფლება. მაისი 2, 2002.

კახიშვილი, ლევან. საქართველო, რუსეთი და ჩრდილოეთ კავკასია: ოპტიმალური პოლიტიკის ძიებაში. კავკასიური სახლი, 2015. წვდომა აპრილი 5, 2018. http://caucasianhouse.ge/wp-content/uploads/2015/09/brief-print.pdf .

კეკელიძე, თამარ. *პანკისი პრესის ფურცლებზე.* თბილისი: კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 2007.

კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის. „კოალიცია შიგანგან საქმეთა სამინისტროს რეფორმების პროცესს ეხმაურება“, წვდომა 12 სექტემბერი, 2018. http://coalition.ge/files/comments_on_the_ministry_of_internal_affairs_reform_concept_25092015_ge.pdf

ლიკლიკაძე, კობა. „ამერიკული ‘წვრთნისა და აღჭურვის’ პროგრამა და შევარდნაძის სიურპრიზი“. *რადიო თავისუფლება.* 29 აგვისტო, 2002. წვდომა 10 მარტი, 2018. https://www.radiotavisupleba.ge/a/1523045.html

მაისაია, ვახტანგ. *თანამედროვე ისლამის როლი მსოფლიო გეოპოლიტიკაში.* წვდომა 20 მაისი, 2018. https://bit.ly/2LBubKz

მამისიმედიშვილი, ხვთისო. *პანკისი: წარსული და თანამედროვეობა.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008.

მარგოშვილი, ლეილა. *პანკისელი ქისტების წეს-ჩვეულებები და თანამედროვეობა.* თბილისი: მეცნიერება, 1985.

მელიქიშვილი, ლია. *უსაფრთხოების სტრატეგიის ეთნიკური ასპექტები (პანკისის კრიზისი).* თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2002.

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა საქართველოს უშიშროების სამინისტროში. *24 საათი.* თებერვალი 19, 2004.

სიხარულიძე, არჩილ და სხვა. *ისლამი საქართველოში: პოლიტიკა და ინტეგრაცია.* თბილისი: კავკასიური სახლი, 2016.

სუბელიანი, სოზარ. „გასული კვირის ყველაზე ხმაურიან თემად დევნილთა ყრილობა და ამ ყრილობაზე“. *რადიო თავისუფლება.* 17 თებერვალი, 2002. წვდომა 5 აპრილი, 2018. https://www.radiotavisupleba.ge/a/1518909.html .

უსაფრთხოების სახელმწიფო სამსახური. დებულებები. წვდომა 15, სექტემბერი, 2018 https://ssg.gov.ge/page/info/normative-acts

შუბითიძე, ვერა. „უსაფრთხოება და ეთნიკური კულტურის ადაპტაციის უნარი ახალ სოციალურ-კულტურულ გარემოსთან“. *უსაფრთხოების სტრატეგიის ეთნიკური ასპექტები (პანკისის კრიზისი),* რედ. ლია მელიქიშვილი. თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2002.

ჩიქოვანი, გულდამ. „დასახლების სტრუქტურული ცვლილებები, კონფლიქტური სიტუაციები და მათი დარეგულირების ტრადიციული მექანიზმები“. *უსაფრთხოების სტრატეგიის ეთნიკური ასპექტები (პანკისის კრიზისი),* რედ. ლია მელიქიშვილი. თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2002.

ჩიქოვანი, თამარ. „ქართული პრესის ყურადღების ცენტრში კვლავ პანკისის ხეობა მოექცა: კვირის ბოლოს“. *რადიო თავისუფლება.* 1 მარტი, 2003. წვდომა 5 დეკემბერი, 2017. https://www.radiotavisupleba.ge/a/1526854.html

წულაია, გვანცა“.პანკისში საპროტესტო აქციები - მაჩალიკაშვილის საქმე და ჰესები“. *რეზონანსი.* 20 ივლისი, 2018. წვდომა 20 სექტემბერი, 2018. http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=52359

ხანგოშვილი, ხასო. „რელიგია და ტერორიზმი“. *საღვთო წიგნები: ბიბლია, სახარება, ყურანი.* თბილისი: მერიდიანი, 2014.

ხუციშვილი, ლია. „რელიგიური რეორიენტაციის პრობლემები პოლიტიკურ საზოგადოებაში“. *უსაფრთხოების სტრატეგიის ეთნიკური ასპექტები (პანკისის კრიზისი),* რედ. ლია მელიქიშვილი. თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2002.

ხუციშვილი, ქეთევან. „კავკასია გეოპოლიტიკური თვალსაზრისით (სუბიექტები, ინტერესები)“. *უსაფრთხოების სტრატეგიის ეთნიკური ასპექტები (პანკისის კრიზისი),* რედ. ლია მელიქიშვილი. თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2002.

ჯონსი, სტივენ. *საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2013.

ჰალბახი, უვე. „რუსეთი ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში: „ახლო საზღვარგარეთსა და „შიდა საზღვარგარეთს“ შორის“. *საზღვრებს მიღმა: კონფლიქტები და თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიაში.* ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო, 2017.

Amnesty International. Amnesty International Statement on the Situation of Chechen Asylum-Seekers. 2004. წვდომა 15 მაისი, 2018. https://www.amnesty.org/download/Documents/96000/eur460102004en.pdf .

Asad, Talal. „The Idea of an Anthropology of Islam“. *Qui Parle* 17 (2009): 1-30.

Asad, Talal. *On Suicide Bombing.* New York: Columbia University Press, 2007.

Behrooz, Ghamari-Tabrizi. *Foucault in Iran: Islamic Revolution after the Englightenment.* Minneapolis: University of Minnesota Press, 2016.

Beydoun, Khaled A., *American Islamophobia: Understanding the Roots and Rise of Fear.* Oakland, California: University of California Press, 2018.

Bhabha, Homi“.Of Mimicry and Man: The Ambivalence of Colonial Discourse“. In *The Location of Culture,* by Bhabha, Homi, 121-131. New York: Rutledge, 1994.

Bin Ali, Mohamed. *The Roots of Relitious Extremism: Understanding the Salafi Doctrine of Al-Wala' wal Bara'.* London: Imperial College Press, 2016.

Bogner, Alexander, Beate Litting und Wolfgang Menz: *Interviews mit Experten. Eine praxisorientierte Einführung.* Springer VS: Wiesbaden, 2014.

Bourdieu, Pierre. „Participant Objectivation“. *The Journal of Royal Anthropological Institute,* 9 (2003): 281-294.

Cecire, Michael. „Same Sides of Different Coins: Contrasting militant activisms between Georgian fighters in Syria and Ukraine“. *Caucasus Survey* 3 (2016): 282-295.

Clifford, Bennett. „Georgian Foreign Fighter Deaths in Syria and Iraq: What Can They Tell Us About Foreign Fighter Mobilization and Recruitment?“, *Caucasus Survey* (2017): 1-19.

Derlugian, Georgi. „Whose Truth?“ In *A Small Corner of Hell: Dispatches from Chechnya,* by Anna Politkovskaya. Chicago: The University of Chicago Press, 2003.

Derrida, Jacques: *Autoimmunity: Real and Symbolic Suicides. Dialogue with Jacques Derrida.* In: Giovanna Borradori (Ed.), Philosophy in a Time of Terror. Dialogues with Jürgen Habermas and Jacques Derrida, 85-136. Chicago and London: The Ubiversity of Chicago Press, 2003.

„Directive (EU) 2017/541 of the European Parliament and of the Council“. წვდომა 10 სექტემბერი, 2018. https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX:32017L0541.

„EU rules on terrorist offences and related penalties“. Council Framework Decision June 13, 2002. წვდომა 10 სექტემბერი, 2018. https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=LEGISSUM:l33168 .

Fanon, Frantz. *The Wretched of the Earth.* Penguin Classics, 2001.

Gerges, Fawaz A. *ISIS. A History.* Princeton and Oxford: Princeton University Press, 2016.

Gilligan, Emma. *Terror in Chechnya: Russia and the Tragedy of Civilians in War.* Princeton: Princeton University Press, 2010.

Global Terrorism Database. წვდომა 15 აპრილი 2018. https://www.start.umd.edu/gtd/about/.

Gould, Rebecca“.Secularism and Belief in Georgia’s Pankisi Gorge“. *Journal of Islamic Studies,* 22 (2011): 339-373.

Hegamann, Hendrik und Martin Kahl. *Terrorismus und Terrroismusbekämpfung. Eine Einführung.* Wiesbaden: Springer VS, 2018.

Human Rights Watch. In the Name of Counter-Terrorism: Human Rights Abuses Worldwide. March 25, 2003. წვდომა 5 დეკემბერი, 2017. https://www.hrw.org/report/2003/03/25/name-counter-terrorism-human-rights-abuses-worldwide/human-rights-watch-briefing .

Human Rights Watch. *Worse Than a War: „Disappearances" in Chechnya – A Crime Against Humanity.* 2005. წვდომა 15 მაისი. https://www.hrw.org/legacy/backgrounder/eca/chechnya0305/chechnya0305.pdf .

Institute for Economics & Peace. Global Terrorism Index Report 2017. *წვდომა 11 ივლისი, 2018. http://visionofhumanity.org/app/uploads/2017/11/Global-Terrorism-Index-2017.pdf.*

Keller, Reiner: *Wissensoziologische Diskursanalyse. Grundlegung eines Forschungsprograms.* VS Verlag: Wiesbaden, 2011 (3. Auflage).

Khalil, James and Martine Zeuthen. *Countering Violent Extremism and Risk Reduction: A Guide to Programme Design and Evaluation.* Royal United Services Institute for Defence adn Security Studies, 2016. წვდომა 25 აპრილი, 2018. https://rusi.org/sites/default/files/20160608_cve_and_rr.combined.online4.pdf

Kundnani, Arun and Ben Heyes: *The globalisation of Countering Violent Extremism policies. Undermining human rights, instrumentalising civil society.* Amsterdam: Transnational Institue, 06 March, 2018. წვდომა 02 ნოემბერი, https://www.tni.org/en/publication/the-globalisation-of-countering-violent-extremism-policies .

Kundnani, Arun. „Radicalisation: the journey of a concept"., *Race & Class,* 54,2 (2012): 3–25. doi: 10.1177/0306396812454984 http://rac.sagepub.com .

Kundnani, Arun. *Muslims Are Coming! Islamophobia, Extremism, and the Domestic War on Terror.* London and New York: Verso, 2014. Kindle edition.

Kurtsikidze, Shorena and Vakhtang Chikovani. "Georgia's Pankisi Gorge: An Ethnographic Survey". *Berkeley Program in Soviet and Post-Soviet Studies: Working Paper Series,* 2002. Accessed November 20, 2017. https://escholarship.org/uc/item/64d7v9hj.

Mahmood, Saba: *Religious Difference in a Secular Age.* A Minority Report. Princeton University Press: Princeton and Oxford, 2016.

Mamdani, Mahmood. *Good Muslim, Bad Muslim: America, the Cold War, and the Roots of Terror.* New York: Three Leaves Press, 2004. Kindle edition.

Manning, Paul. „Folklore and Terror in Georgia's 'Notorious' Pankisi Gorge". *Explorations in Anthropology* 9 (2009): 18-27.

McBrien, Julie. *The Fruit of Devotion: Islam and Modernity in Kyrgyzstan.* 2008. Accessed November 6, 2017 https://d-nb.info/1024975843/34.

Neumann, Peter. R., *Countering Violent Extremism and Radicalisation that leads to terrorism: Ideas, Recommenadations, and Good Practices from OSCE Region.* Austria: OSCE, 2017.

Peuch, Jean-Christophe. „Georgia: Saakashvili Sees in 'Wahabbism' A Threat to Secularism". Radio Free Europe. February 18, 2004. წვდომა 15 მაისი, 2018. https://www.rferl.org/a/1051586.html .

Pokalova, Elena. *Chechnya's Terrorist Network: The Evolution of Terrorism in Russia's North Caucasus.* Santa Barbara: PRAEGER, 2015.

Politkovskaya, Anna. *A Small Corner of Hell: Dispatches from Chechnya.* Chicago: The University of Chicago Press, 2003.

Prasad, Conor. *Georgia's Muslim Community: A Self-Fulfilling Prophecy?* ECMI Working Paper, 2017. წვდომა სექტემბერი 15, 2017. https://www.ecmi.de/uploads/tx_lfpubdb/Working_Paper_58_En.pdf.

Said, Edward. *Orientalism*. New Delhi: Penguin Books, 2001.

Sanikidze, George. „Islamic Resurgence in the Modern Caucasian Region: „Global" and „Local" Islam in the Pankisi Gorge". In *Regional and Transregional Dynamism in Central Eurasia: Empires, Islam and Politics,* edited by Tomohiko Yuama, 263-282. Sapporo: Hokkaido University Press, 2007.

Sayyid, Bobby, S. *The Fundamental Fear: Eurocentrism and the Emergence of Islamism.* London: Zed Books, 1997.

Schmid, Alex, P.: *Radicalisation, De-Radicalisation, Counter-Radicalisation: A Conceptual Discussion and Literature Review.* ICTT: The Hague, 2013.

Sedgwick, Mark. M. Sedgwick. „The Concept of Radicalization as a Source of Confusion“, *Terrorism and Political Violence,* 22, 4 (2010): 479-494, DOI: 10.1080/09546553.2010.491009. გვ.480.

Selected Speeches of President George W. Bush; წვდომა 01 მაისი 2018; https://georgewbushwhitehouse.archives.gov/infocus/bushrecord/documents/Selected_Speeches_George_W_Bush.pdf).

Tayler, Letta. „How New Global Counterterrorism Measures Jeopardize Rights“, In *Human Righst Watch Worldreport,* 2017. გვ. 27 წვდომა 3 აპრილი, 2018 https://www.hrw.org/sites/default/files/world_report_download/wr2017-web.pdf .

United Nations Human Rights Council, Fourteenth Session, „Compilation of Good Practices on Legal and Institutional Frameworks“. May 17, 2010. წვდომა 29 სექტემბერი, 2018. https://fas.org/irp/eprint/unhrc.pdf

UN General Assembley: *Plan of action to prevent violent extremism. Report of the Secretary-General.* 2015. წვდომა 01 ნოემბერი, 2018. http://www.undp.org/content/dam/norway/undp-ogc/documents/SG%20PVE%20plan%20of%20action.pdf .

UNDP. Journey to Extremism in Africa: Drivers, Incentives and the Tipping Point fot Recruitment. 09 September 2017. წვდომა 12 ივნისი, 2018. *http://www.undp.org/content/undp/en/home/librarypage/democratic-governance/journey-to-extremism.html;*

UNDP. *Preventing Violent Extremism through Promoting Inclusive Development, Tolerance and Respect for Diversity: A development response to addressing radicalization and violent extremism.* 14 February 2017. წვდომა 2 ნოემბერი, 2018. http://www.undp.org/content/undp/en/home/librarypage/democratic-governance/conflict-prevention/discussion-paper---preventing-violent-extremism-through-inclusiv.html

Veldhuis, Tinka and Jorgen Staun. Islamist Radicalisation: *A Root Cause Model.* The Hague: Netherlands Institute of International Relations Clingendael, October 2009.

Walsh, Nick P. „Al-Qaeda Men Handed to US, Says Georgia“. The Guardian. October 23, 2002. Accessed July 20, 2018. https://www.theguardian.com/world/2002/oct/23/alqaida.terrorism .